# კვირის პალიტრა
ყოველკვირეული გაზეთი

№ 1 (351) ◆ 7 – 13 იანვარი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



## „კვირის პალიტრას“ და მის მკითხველს ქრისტეშობას ულოცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

გვ.4

ყველას გილოცავთ სულიერი დაბადებისა და განახლების დღესასწაულს – ქრისტეშობას. დაე, ეს წელი ყველა ჩვენთაგანისთვის, ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი ღვთივდაცული ერისთვის იყოს მშვიდობის, კეთილდღეობისა და ბედნიერების მომტანი.

## შევეშვათ მრთმანეთის „ჭამას“ თავს ვუშველოთ, ქართველებო!

საქართველოში „განსაზღვრული რაოდენობის“ ხალხს აქვს უფლება ამტკიცოს – რა არის შავი და რა თეთრი. თუ არ დაეთანხმები, არც ამაზე მოიკლავენ თავს...

დავკარგეთ სამშობლოსადმი სიყვარული, პატრიოტიზმი ცარიელ სიტყვად დარჩა და ვერ ამიხსნია, როგორ შეიძლება ამ მცირერიცხოვან ერს ჰქონდეს გაუთავებელი მისწრაფება ქვეყნის ნგრევისა?! ვფიქრობ, ჩვენშივეა რაღაც დიდი უბედურება ჩაბუდებული. მინდა კარგი მთავრობა გვყავდეს, კარგი საზოგადოება და კარგი ქვეყანა! ნათქვამია: თევზი თავიდან ფუჭდებაო და ეს კარგად უნდა გააცნობიეროს მთავრობამ! გვ.3



## „ტერაქტი ვენახში“



შევარდნაძის მოდარაჯე სპეცდანიშნულების რაზმს მიხას ილლიაში ამოჩრილი მოგრძო საგანი შვეულმფრენიდან თავდაპირველად საზენიტო „სტინგერი“ თუ ტანკსაწინააღმდეგო „მუხა“ ჰგონებია...

გვ.8

## ნათელაშვილი პროკურატურის ყოფილი პარტკომია

მიხეილ სააკაშვილი

## „ჩვენი ელექტორატი არასოდეს გადავა შევარდნაძე-ქვანია-სააკაშვილის მხარეზე...“

შალვა ნათელაშვილი

გვ.6

## 10 წლის წინ „ბუნკერიდან“ დანახული შობის ღამე...



6 იანვრის ღამეს ე.წ. „ბუნკერში“ მოულოდნელად ჩაქრა შუქი, მანამდე ასეთი რამ არ მომხდარა. გვ.13

ღამის 3 საათი იყო, როცა ვიღაცამ თქვა, დარბაზში შეიკრიბეთ, პრეზიდენტს სურს სიტყვით გამოსვლაო. ხალხი დარბაზს მიაწყდა...

## MTV-ზე „შატილის ასულოს“ ატრიალებენ და ჭკუაზე არ არიან...

გვ.12



## წლის ადამიანის ტიტული ჯორჯ ბუშმა და უსამა ბინ ლადენმა გაიყვეს

მკითხველის რეიტინგი

გვ.35

## რა ღგას გოჩა სისაურის გათავისუფლების უკან?

„რეალურად ნარჩემაშვილი სისაურს ვერასოდეს გააკონტროლებდა“



კახეთში ნარკოტიკები უმეტესად პოლიციის განყოფილებებში იყიდება. ხშირ შემთხვევაში ასე ხდება სხვა რაიონებშიც. თბილისში ამ დანაშაულებრივმა ჯგუფმა ბარიგები და გამსაღებლებიც კი ჩამოიცილა გზიდან დაპატიმრებების, დაშინების, ზოგჯერ ფიზიკური ლიკვიდაციის გზით. პრაქტიკულად, ბოლო პერიოდში ერთ-ერთი მთავარი ნარკობარონი გახლდათ ბატონი სისაური. გვ.5

გივი თარგამაძე



გვ.7-8

## „კაცისკვლით მიღებული ოფიცრობა სულაც არ მინდოდა...“

„უცნობმა რევოლვერი მეორე ხელში გადაიტანა და მესროლა. ტყვიამ სვეტის კუთხე ჩამოანგრია და რიკოშეტით კედელს მოხვდა. შემდეგ ისევ მე ვესროლე ზედიზედ ორჯერ – პირველი ტყვია გულმკერდის არეში, ხოლო მეორე – ფერდში მოხვდა. უცნობი მამაკაცი მიღებული ჭრილობებისგან ადგილზევე გარდაიცვალა...“

ვერსია

## მოგზაურობა ჯოჯოხეთში, ანუ იქ, სადაც ჩიტი ორასი ათასი დოლარი ღირს და ქალი – ოცი ათასი

გვ.10

რამდენიმე დღის შემდეგ მივხვდი, რომ ჩამოსვლისთანავე გაყიდვა დამიპირა. სასამართლოზე აკი ვთქვი კიდეც... ამას მანამდე როგორ წარმოვიდგენდი, მაგრამ აქ თურმე ესეც შეიძლება. წარმოიდგინეთ, ერთ ჩიტში, შევარდენია თუ რაღაც, ორას ათას დოლარამდე იხდიან, ქალი კი, მგონი ოცი-ოცდაათი ათასი დოლარი ღირს, მეტი არა.

გურამს თითქოს ხელის ერთი დაკვრით გაუცამტვერდა თიკოსადმი ჯერ კიდევ თვითმფრინავში აღძრული სიმპათია. მისდა გასაოცრად, ქალიშვილი ისე იოლად პასუხობდა ყველა შეკითხვას, გურამს უკვირდა კიდეც, სად ამის ხელობის პატრონი და სად ასეთი გულახდილობაო.

## ქრისტეშობის მადლი გფარავდეთ!

## დღესასწაული

შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით წუხელ სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სამღვდელოებასთან ერთად საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა. 7 იანვარს კი დღის 12 საათზე სიონის სამღვდელოება ალილოზე გავა თბილისის უბნებსა და ქუჩებში. საზეიმო მსვლელობა სამების მშენებარე ტაძარში დასრულდება. ალილოზე შეგროვილ ტკბილეულსა და სურსათ-სანოვაგეს კი საპატრიარქოში მიიტანენ, რის შემდეგაც მას ბავშვთა სახლებს დაურიგებენ!

## მამა ბასილი შობას ტყვეობაში შეხვდება

ახალი წლის დღესასწაულს ტყვეობაში შეხვდა პანკისის ხეობაში გატაცებული მამა ბასილი. მისი გათავისუფლების მოთხოვნით სოფელ მატანში მთელი კვირის მანძილზე გრძელდებოდა ეკლესიის მსახურთა (მათ შორის მამა ბასილთან ერთად რამდენიმე თვის წინ გატაცებული ბერები არიან) და ადგილობრივ მცხოვრებთა აქცია. გამტაცებლები მამა ბასილის გათავისუფლებაში კვლავ ერთ მილიონ დოლარს ითხოვენ, აქციის მონაწილეები კი ხეობაში შესვლას აპირებენ და პოლიციას უმოქმედობაში ადანაშაულებენ. პოლიცია კი აცხადებს, რომ ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ხეობის სოფლების უხუცესებსა და საკრებულოების თავმჯდომარეებთან მამა ბასილის გამოსახსნელად. ბერები ირწმუნებიან, რომ გამოძიებისათვის დიდი ხანია ცნობილია გამტაცებელთა ვინაობა, პანკისის ხეობაში მათი ადგილსამყოფელიც და მობილური ტელეფონის ნომერიც და სანამ არ გაათავისუფლებენ მძევალს, მანამდე არ შევწყვეტთ აქციას, მეტიც, შევალთ და გამტაცებლებს ჩავბარდებითო(!).

იქნებ შობის მადლმა მაინც გაულღოს გული გამტაცებლებს...

## მშვიდობისმყოფელებს მანდატი ამოეწურათ

31 დეკემბერს მანდატის ვადა ამოეწურა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ რუსეთის სამშვიდობო ძალებს და, ფაქტობრივად, უკვე უკანონოდ იმყოფებიან იქ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პარლამენტში აცხადებენ, რომ რუს მშვიდობისმყოფელებს მანდატის ვადა არ გაუგრძელდებათ, თუმცა ცნობილია, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე არ აპირებს მათ გაყვანას. იმავდროულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლება ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს რამდენიმე სახელმწიფოსთან, რათა დაითანხმოს ისინი რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებაზე, თუმცა არ აკონკრეტებენ ამ სახელმწიფოებს. აღნიშნულ მოლაპარაკებებს სკეპტიკურად აფასებს აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი. მისი თქმით, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაბედავს რუსეთის ნების წინააღმდეგ წასვლას და აქ თავისი სამშვიდობო ძალების გამოგზავნას. ნადარეიშვილი კვლავ დაჟინებით მოითხოვს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესრულებას რუსეთის სამშვიდობო ძალების გასვლასთან დაკავშირებით და ამბობს, რომ მდინარე ენგურიდან რუსების წასვლის შემდეგ საქართველო საკუთარ შეიარაღებულ ძალებს უნდა დაეყრდნოს და შემუშავებული გეგმით იმოქმედოს.

## იაროვი ჯორბენაძის გასაცნობად ჩამოვიდა

თბილისში ოფიციალური ვიზიტით (და როგორც თავადვე ბრძანა) სახელმწიფო მინისტრ ავთო ჯორბენაძის გასაცნობად ჩამოვიდა დსთ-ის საქმეთა აღმასრულებელი მდივანი იური იაროვი. მაგრამ „გაცნობამდე“ ჯერ სახელმწიფო მინისტრსა და შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრა-კონსულტაცია ჰქონდა საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს. როგორც ცნობილი შეიქნა, იაროვთან შესახვედრად ქართულმა მხარემ ჩამოაყალიბა პოზიცია რუსეთის სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით. ეს პოზიცია კი ირაკლი მენაღარიშვილმა გაახმოვანა: „რუსეთის სამშვიდობო ძალების დარჩენა კონფლიქტის ზონაში არაკონსტრუქციულია, ამიტომ საჭიროა ან რეალურად შეუწყონ ხელი კონფლიქტის მოგვარებას და დაამყარონ მშვიდობა, ან მათი მისია შეწყდეს. ამ საქმეში დსთ-ის აღმასრულებელმა სამდივნომაც შეიძლება შეასრულოს პოზიტიური როლი“. პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ იაროვმა ბრძანა, რომ სამშვიდობო ძალების გაყვანა-არგაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას ქართული მხარე და პრეზიდენტი შევარდნაძე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიიღებსო. სახელმწიფო მინისტრის თქმით, მანდატის გაგრძელების ან შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილება ქართულმა მხარემ სხვა ქვეყნებთან კონსულტაციების შემდეგ უნდა მიიღოს...

## აფხაზების აგრესია

3 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში რუსი მშვიდობისმყოფელების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეიჭრა აფხაზ ბოევიკთა ბანდა და ცეცხლი გაუხსნა ადგილობრივ მცხოვრებლებს. მათ საპასუხო ცეცხლი შეაგებეს ქართველმა პარტიზანებმა. სროლა ნახევარი საათის მანძილზე გრძელდებოდა, ამ ხნის მანძილზე მშვიდობისმყოფელებს არაფერი უღონიათ თავდამსხმელთა დასაკავებლად.

კვირას კი სოხუმის რეჟიმის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა გაათავისუფლეს იმავე დღეს დაკავებული „რუსთავი2“-ისა და არხის სამეგრელოს რეგიონის კორესპონდენტები. როგორც არხის ჟურნალისტმა, მაია ღურწკაიამ განაცხადა, ისინი აფხაზების მიერ ენგურის ხიდის გადაკეტვის მიზეზების გასაგებად გადავიდნენ მეორე ნაპირზე, სადაც უთხრეს, რომ ხიდის გადაკეტვის მიზეზი იყო სოხუმის რეჟიმის უშიშროების უფროსის ავტომანქანის გატაცება. სწორედ ამ დროს დააკავეს ჟურნალისტები მთვრალმა აფხაზებმა, კამერები წაართვეს და გალის მილიციაში წაიყვანეს. საბედნიეროდ, ინციდენტი მშვიდობიანად ამოიწურა. მილიციაში ჟურნალისტებს დაუბრუნეს კამერები, ბოდიში მოუხადეს და გამოუშვეს.

## ბიუჯეტი კვლავ გაირღვა

ხელისუფლების ეკონომიკურმა გუნდმა და სახელმწიფო მინისტრმა საპარლამენტო ფრაქციებთან დაიწყეს კონსულტაციები, სადაც აღმასრულებლები კანონმდებლებს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პარამეტრებს უთანხმებენ. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული ბიუჯეტის პარამეტრები მნიშვნელოვნად შეიცვლება, რადგან ძალოვანი სტრუქტურები ულტიმატუმის ტონით მოითხოვენ დაფინანსების გაზრდას. მათ მხარს უჭერს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გია ბარამიძე და ისიც კატეგორიულად აცხადებს, რომ თუ ამ უწყებებს არ გაეზრდებათ დაფინანსება, კომიტეტი მხარს არ დაუჭერს 2002 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის მიღებას. ბიუჯეტის აღნიშნული კანონპროექტით აღშფოთებას ვერ მალავენ საპარლამენტო ფრაქციებიც. „მრეწველები“ მოითხოვენ, რომ მრეწველობის სტიმულირებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყოს 50 მილიონი ლარი; „ალიანსი ახალი საქართველოსთვის“ და „თანადგომა“ პედაგოგებისათვის ხელფასების გაორმაგებას მოითხოვენ; შემოსავლებისა და გადასახადების საპარლამენტო კომიტეტი კი ბიუჯეტის ხარჯების 100 მილიონი ლარით გაზრდას და იმავდროულად, აქციზური საქონლის უფრო მკაცრ დაბეგვრას მოითხოვს... მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მოთხოვნებს არ უწერია აღსრულება, რადგან ისედაც 184 მილიონი ლარით სეკვესტრირებული 2001 წლის ბიუჯეტი კიდევ 87 მილიონით გაირღვა წლის ბოლოს.

## ქართველ-ებრაელ ხალხთა მეგობრობის დასტურად

საახალწლოდ გამოიცა საქართველო-ისრაელის ერთობლივი მარკა, რომელზეც სიმბოლურადაა ასახული ქართულ-ებრაული ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობა. ერთობლივი მარკის შექმნის იდეა ისრაელს ეკუთვნის. მარკებზე ასახულია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში არსებული შოთა რუსთაველის ფრესკა და ქუთაისის სინაგოგა ქართულ-ებრაული წარწერებითურთ.

## კრიმინალებმა ახალი წელი „აღნიშნეს“

ახალი წლის პირველი კვირა „მდიდარი“ გამოდგა უმძიმეს დანაშაულთა (ყაჩაღობა-ქურდობის) თვალსაზრისით. 31 დეკემბერს ღამით პირწმინდად გაძარცვეს მომღერალ ლელა წურწუმიას ბინა, საიდანაც წაიღეს ძვირფასეულობა, რამდენიმე ათასი დოლარი, მომღერლის საკონცერტო კაბები, სათვალეთა კოლექცია და ტელევიზორი... ასევე ახალი წლის დღეები თბილისში მოხდა ოთხი მკვლელობა(!), უამრავი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, რომელმაც 14 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. იმავდროულად, დააკავეს საშიში რეციდივისტი, მკვლელობებისა და ყაჩაღობისათვის სომხეთისა და რუსეთის სამართალდამცავების მიერ ძებნილი აშოტ ზალტიკიანი, რომელიც თბილისში ყალბი დოკუმენტებით იმყოფებოდა, ყაჩაღთა ჯგუფი შექმნა და რამდენიმე დანაშაულიც ჩაიდინა.

## ჯორბენაძე აღიარებს მაფიის არსებობას?!

სახელმწიფო მინისტრმა ავთო ჯორბენაძემ გამოსცა განკარგულება, რომლის საფუძველზეც შეიქმნება კონტრაბანდასთან ბრძოლის კომისია(!). საინტერესო ის არის, რომ ანალოგიური მისიის შესასრულებლად თავის დროზე შემოსავლების სამინისტროს ბაზაზე დიდი ხმაურით შეიქმნა საგანგებო ლეგიონი, რომელმაც არათუ შეასრულა ეს მისია, არამედ პრეზიდენტის რისხვა დაიმსახურა და, რაც მთავარია, კონტრაბანდის მასშტაბებმა ფანტასტიკურ ზღვარს მიაღწია... ჯორბენაძის მიერ ჩამოყალიბებულ ანტიკონტრაბანდულ კომისიას პრეზიდენტის თანაშემწეები თემურ ბასილია და გიორგი ისაკაძე უხელმძღვანელებენ, რომლებსაც უწინარესად სიგარეტისა და ნავთობის ბიზნესში, უფრო სწორად, მაფიაში მოუწევთ „ხელის ფათური“, კონტრაბანდის უდიდესი წილი ხომ სწორედ სიგარეტსა და ნავთობპროდუქტებზე მოდის. ავთანდილ ჯორბენაძემ საჯაროდ აღუთქვა სიგარეტისა და ნავთობის მაგნატებსაც და წვრილფეხა ბიზნესმენებსაც, რომ ხელისუფლება მათ ყველა პირობას შეუქმნის, რათა „წილი“ აღარ მისცენ სამართალდამცავ და ძალოვან სტრუქტურებს, სამაგიეროდ, ბიზნესმენებმა ეს თანხები უკანასკნელ თეთრამდე ბიუჯეტში უნდა შეიტანონო! ამ უპრეცედენტო განცხადებით სახელმწიფო მინისტრმა, ფაქტობრივად, აღიარა არათუ მხოლოდ კორუფციის, არამედ მაფიის არსებობა საქართველოში.

## დიდთოვლობის გამო სამხედრო გზა დაიკეტა

დიდთოვლობის და ზვავსაშიშროების გამო დაიკეტა საქართველოს სამხედრო გზა და ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილია როკის უღელტეხილის მონაკვეთზე, სადაც დაგროვილია ავტოტრანსპორტისა და მგზავრების დიდი ნაკადი. მიმდინარეობს დაზვერვითი სამუშაოები, რომლის დასრულებისთანავე ზვავებს ხელოვნურად ჩამოუშვებენ საარტილერიო ჭურვების სროლით და შემდეგ გზებს გაწმენდენ!

## ეუთო საზღვრის ახალ მონაკვეთს გააკონტროლებს

ეუთოს დამკვირვებელთა რვაკაციანი მორიგი ჯგუფი ჩადგა რუსეთ-საქართველოს საზღვრის კიდევ ერთ (ინგუშეთის) მონაკვეთზე, სოფელ სნოში. იქ ეუთოს დამკვირვებლებმა საკონტროლო-გამშვები პუნქტი გახსნეს და ქართველ მესაზღვრეებთან ერთად შეუდგნენ საზღვრის 57-კილომეტრიანი მონაკვეთის გაკონტროლებას. ეუთოს მისიის მიერ საზღვრის ამ მონაკვეთის გაკონტროლების გადაწყვეტილება ერთი თვის წინ ვენაში, ეუთოს შტაბბინაში მიიღეს. ქართული მხარე კმაყოფილებით აცხადებს, რომ ეუთოს მისიის გააქტიურება საქართველო-რუსეთის საზღვარზე ჩვენს ქვეყანას ბევრ პრობლემას მოუხსნის. უწინარესად, წერტილი დაესმება რუსეთის გაუთავებელ ბრალდებებს საქართველოს მიმართ, თითქოსდა ტერორისტთა მფარველობის შესახებ. დღემდე ეუთოს მისია რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთს აკონტროლებდა მხოლოდ, სადაც არ დაუფიქსირებია საზღვრის უკანონო დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

## ენერგობლოკზე დივერსია გამოირიცხა

აშშ-დან თბილისში საგანგებოდ ჩამოსულმა „ეი-ი-ეს კორპორაციის“ სათავო ოფისის ექსპერტებმა ადგილზე შეამოწმეს „თბილსრესის“ მე-10 ენერგობლოკის ნანგრევები და დაზიანებული აგრეგატები და აფეთქების შესაძლო მიზეზებიდან დივერსია მთლიანად გამორიცხეს! ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფეთქებული მე-10 და დაზიანებული მე-9 ენერგობლოკების აღდგენისათვის გაღებული ხარჯები ელექტროენერგიის ტარიფში არ აისახება, ანუ ტარიფი არ გაიზრდება. თუმცა ეს კრიზისში მყოფ ენერგოსისტემას ვერ შველის, რადგან საქართველოში ელექტროგენერაციის საბაზისო სიმძლავრე აღარ არსებობს და არც „ეი-ი-ეს“-ი ასახელებს კონკრეტულ ვადას მე-10 და მე-9 ბლოკების აღდგენითი სამუშაოების დამთავრების შესახებ. სტაბილური ენერგია საქართველოში მხოლოდ სომხეთიდანღა შემოდის... რაც შეეხება მე-10 ენერგობლოკის აფეთქებას, ამერიკელ ექსპერტებს ეჭვი აქვთ, რომ აფეთქება ავტომატური მართვის სისტემის გაუმართაობამ გამოიწვია. სხვათა შორის, ამერიკელმა ექსპერტებმა ისიც განაცხადეს, მიმდინარე წლის გაზაფხულ-ზაფხულში სათავო ოფისი კვლავ მიუბრუნდება საქართველოს დატოვების საკითხსო. მართალია მათ არ დაუკონკრეტებიათ მიზეზები, რის გამოც „ეი-ი-ეს“-მა შეიძლება დატოვოს საქართველო, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ კორპორაციამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა საქართველოში...

## „ყვავილების ქვეყანას“ განაჩენი გამოუტანეს

როგორც იქნა, პოპულარულ სიმღერას „ყვავილების ქვეყანა“ „პატრონი“ გამოუჩნდა. უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ძალაში დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სიმღერის ავტორად კვლავ კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი დაასახელა. ვასაძეები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ და აცხადებენ, რომ მორიგი მტკიცებების მოძიებისთანავე კვლავ აღძრავენ სარჩელს...

## „სტრონციუმ-90“ სასიკვდილო საფრთხეს ქმნის

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ძალისხმევას, რომ როგორმე გაანეიტრალოს წალენჯიხაში, სოფელ ლიასთან არსებული ბირთვული წყაროები, ჯერჯერობით, შედეგი არ მოჰყოლია. „სტრონციუმ-90“, რომლის გამოსხივებაც 150-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას, კვლავ მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. ხალხი გადამჭრელი ზომების მიღებას სთხოვს ხელისუფლებას და მასობრივი აქციების დაწყებით იმუქრება. გარემოს დაცვის სამინისტრო კი ცდილობს დაამზადოს კონტეინერები, რომელშიც ამ ნივთიერებას მოათავსებენ. ამასთან, საჭიროა საგანგებო ჯგუფის შექმნა, რომელშიც წალენჯიხის რაიონიდან „სტრონციუმ-90“-ს გამოიტანს.

კვლავ რთულია რადიაციისაგან დასხივებულ მეტყევეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლებსაც კანზე ნეკროზის პროცესი გაუღრმავდათ. მათი ახლობლები ხელისუფლებისაგან ითხოვენ დახმარებას ავადმყოფთა საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასაგზავნად... ამასობაში საქართველოში ჩამოვიდნენ გაეროსთან არსებული ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტები, რომლებიც ქართველ კოლეგებთან ერთად „სტრონციუმ-90“-ს რვატონიანი ტყვიის კონტეინერით სარკოფაგში მოათავსებენ!

## კიდევ სამი ოჯახი უსახლკაროდ დარჩება?!

რუსთაველის პროსპექტზე მშენებარე სასტუმრო „თბილისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე ორსართულიანი სახლი ჩამოინგრა და ორი ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. უსახლკაროდ დარჩენის საფრთხე ემუქრება კიდევ სამ ოჯახს. ისინი სახლის ნგრევას სასტუმრო „თბილისის“ სამშენებლო სამუშაოებს აბრალებენ და აცხადებენ, რომ შენობას ბზარები ჯერ კიდევ 5 წლის წინ გაუჩნდა, როცა სასტუმრო „თბილისისთვის“ საჭირო კომუნიკაციებისათვის მიწის თხრა დაიწყესო. „თბილისის“ ადმინისტრაცია კი აცხადებს, რომ ჭანტურიას ქუჩიდან 13 ოჯახი გაასახლა მას შემდეგ, რაც თითოეულ ოჯახს ბინის კვადრატულ მეტრში 600 დოლარი გადაუხადა, მაგრამ 5 ოჯახი მაინც დარჩა, რომლებთანაც ადმინისტრაციამ სხვადასხვა მიზეზთა გამო საერთო ენა ვერ გამოძებნა. კატეგორიულ უარს აცხადებს შენობის დატოვებაზე იქ მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახი; მათი თქმით, შენობა მათი წინაპრის აშენებულია და სახლზე პრეტენზიას აცხადებენ ოჯახის საფრანგეთში მცხოვრები წევრებიც.

## შეწყალება?..

მიმდინარე კვირაში შეწყალების კომისია განიხილავს ირაკლი დოკვაძისა და პეტრე გელბახიანის საკითხს, რომლებიც ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტის გამო არიან მსჯავრდადებულნი. ისინი უკვე 9 წელიწადია სასჯელს იხდიან. თავის დროზე სასამართლომ მათ ჯერ სიკვდილით დასჯა, შემდეგ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, მოგვიანებით კი სასჯელი 12 წლამდე შეამცირეს. ამჟამად დოკვაძისა და გელბახიანის საქმის გადასინჯვას და მათ შეწყალებას პარლამენტის ეროვნული თანხმობის კომისია ითხოვს. თავის მხრივ, დოკვაძე და გელბახიანი კატეგორიულ უარზე არიან და აცხადებენ, რომ შეწყალების თხოვნით არავითარ შემთხვევაში არ მიმართავენ პრეზიდენტს...

## სავაჭრო ცენტრი უფრო „დაამშვენებს“ ქალაქს(?!)

პარლამენტარმა გურამ შარაძემ ამჯერად თბილისის არქიტექტურის დეპარტამენტის წინააღმდეგ დაიწყო კამპანია და კატეგორიულად მოითხოვა მათგან მეტროსადგურ „რუსთაველის“ გვერდით მიმდინარე სავაჭრო ცენტრის მშენებლობის შეჩერება-გაუქმება. საქმე ის არის, რომ ეს ე.წ. სავაჭრო ცენტრი შენდება მეტრო „რუსთაველის“ გვერდით არსებული ძველი თაღოვანი კედლის წინ და თანაც მთელი ამ კედლის გასწვრივ ტროტუარზე. თავის დროზე იქ მდგარი შენობები იმიტომ დაანგრიეს, რომ ხალხის სავალი გზა და ქუჩა გაეფართოებინათ. გამოჩენილი კედელი კი ისტორიული და არქიტექტურული ღირებულებების მქონე ნაგებობად აღიარეს...

გურამ შარაძემ თანამოაზრეებთან ერთად კედელთან საპროტესტო აქცია მოაწყო, რომელსაც ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეც შეუერთდა. ქალაქის არქიტექტურის დეპარტამენტი კი გაიძახის, რომ მშენებლობა კედელს არ შეეხება(!), რომ „სავაჭრო ცენტრი“ გამჭვირვალე ტიპის პავილიონი იქნება და უფრო დაამშვენებს იქაურობას(!). შარაძე ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს!



## ევრო საქართველოშიც გამოჩნდა

2002 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირის 12 სახელმწიფოში ბრუნვაში შევიდა საერთო ევროპული ვალუტა ევრო. შედეგად დაიწყო მსოფლიოში უპრეცედენტო საფინანსო ოპერაცია, რომელიც ორ თვეში დასრულდება. სწორედ ამ ვადაში უნდა მოხდეს მიმოქცევიდან მარკის, ფრანკის, შილინგის და სხვა ფულადი ერთეულების ამოღება, რომლებსაც მთლიანად ჩაენაცვლება ევრო. ახალ ვალუტაზე, ჯერჯერობით, უარი თქვეს ბრიტანეთმა, დანიამ და შვედეთმა. ევრო უკვე გამოჩნდა საქართველოშიც. ეროვნულ ბანკში უკვე 10 მილიონი ევრო დევს და ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ევროს ორშაბათიდან, ანუ 7 იანვრიდან გამოიტანენ გასაყიდად. შესაბამისად, საბოლოოდ გაირკვევა ლარის კურსი ევროსთან მიმართებით. ექსპერტები კი ვარაუდობენ, რომ საქართველოს სავალუტო ბაზარზე მაინც დიდხანს იბატონებს დოლარი!

## ბადი ავტოკატასტროფას ემსხვერპლა

„დიდი მწუხარება“ დაატყდა თავს ახალი წლის პირველ დღეებში აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს ბილ კლინტონს. მისი უსაყვარლესი ძაღლი ბადი ქუჩაში, კლინტონის სახლის მახლობლად ავტომანქანამ გაიტანა. კლინტონი ძაღლს თეთრ სახლში ყოფნის დროსაც კი გვერდიდან არ იშორებდა. ბადი პრეზიდენტმა 1997 წელს მიიყვანა პირველად თავის რეზიდენციაში და როგორც კლინტონის თანაშემწეები ხუმრობდნენ, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე ბადი ერთადერთი ერთგული მეგობარი იყო კლინტონისო... დამწუხრებულმა ბილმა უერთგულესი მეგობარი საკუთარი სახლის ეზოში დაკრძალა!

# თავს ვუშველოთ, ქართველებო!!!

**„ყველა თავისი ბედისა და უბედურების მიზეზი თვითონ არის! ყველა თავის ბედსა და უბედობას თვითონ ჭედავს...“**

**ალბერ კამიუ**

*10 წლის წინ თბილისის ომი დამთავრდა (სამოქალაქო ომი კი დაიწყო), ზვიად გამსახურდიამ დატოვა საქართველო და მავანთა ხმამაღალი დაპირებებითა და განცხადებებით ქვეყანაც თავისი „ბედის გამოჭედვის“ პროცესს შეუდგა. დრომ კი გვიჩვენა, რომ უფრო კონკრეტულ ადამიანთა „ბედი გამოიჭედა“, ვიდრე ქვეყნისა და ხალხისა. შედეგად შობა-ახალწლის დღეებშიც გვერდს ვერ ვუვლით ლაპარაკს ქვეყნის მომავლის გაურკვეველ პერსპექტივაზე, გაქურდულ-გაღლეტილ ბიუჯეტსა და დარღვეულ ტერიტორიულ მთლიანობაზე; ურთიერთშუღლის, სულიერი და ზნეობრივი დეფიციტისა და ვინ იცის კიდევ რამდენი პრობლემისა და მოუშუშებელი ჭრილობის შესახებ... და კიდევ: მართალია, ბევრი რამ გადაფასდა, ზვიადისტებიც და ერთ დროს მათი დაუძინებელი მტრებიც რიგდებიან, ერთად აფასებენ წარსულსაც და აწმყოსაც, ერთად მიაგებენ პატივს გარდაცვლილ პრეზიდენტს და ალბათ, შორს აღარაა ის დროც, როცა ეროვნული თანხმობა დაისადგურებს, მაგრამ ვფიქრობ, ყოველი შობა-ახალწლის დღესასწაულთან ერთად მძიმე მოგონებების დღეებიც იქნება (განსაკუთრებით თბილისის ომის მრგვალი თარიღებისას). ამაში ქართველები საკუთარი თავის გარდა ვერავის დავადანაშაულებთ. 10 წლის წინ დაწყებული უბედურება ჩვენ თვითონ გამოვჭედეთ! მომავლის გამოჭედვაც ჩვენს ხელთაა... ამ იმედით შევეგებეთ ახალ წელსაც და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელსაც მოსკოვიდან რამდენიმე დღით ჩამოსული* **ვახტანგ კიკაბიძე** *ულოცავს „კვირის პალიტრის“ მკითხველებს:*

— ახალ წელს მოსკოვში შევხვდი. ჯერ თბილისიდან რადიო „ფორტუნამ“ დამირეკა საახალწლო მილოცვისათვის, შემდეგ კი ავსტრალიის რუსულმა რადიომ, იქნებ რამე გვითხრაო! ძალიან განვიცდი ავსტრალიაში მძვინვარე ხანძარს-მეთქი, ვუპასუხე მილოცვასთან ერთად. შემდეგ ჩემს თავზე გამეცინა ავსტრალიის ხანძრის ხსენების გამო, რადგან საქართველოს იმდენი დარდი და პრობლემა აწუხებს, ავსტრალია რა მოსატანია. შობა-ახალწელს გულით ვულოცავ ქართველებს და მინდა, რომ ბოლოს და ბოლოს დავმშვიდდეთ, მივხედოთ ქვეყანას, მოვეგოთ გონს, რადგან რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ ჩვენვე ვღუპავთ სამშობლოს. ვისურვებ, რომ შედარებით კარგი წელი ყოფილიყოს, დალაგებულიყოს ჩვენი ცხოვრება. გავიგე, რომ შაბათს შეკრებილან ბევრი პარტიის წარმომადგენლები თბილისის ომის 10 წლისთავთან დაკავშირებით, ვიცი, რომ რიგდებიან მაშინდელი მოწინააღმდეგენი. ცოტა სასაცილოდაც მოეჩვენება გარეშეს და ვერც გაიგებს, რატომ ებუტება და ებრძვის ამდენი ხალხი ერთმანეთს ამ პატარა ქვეყანაში. ამიტომ, დროა ხელისუფლებამ, პარტიებმა და ხალხმა ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდონ, ჩაეხუტონ და ქვეყანას უშველონ... ათი წლის წინ რაც მოხდა, ყველამ ვიცით და როცა თვე-ნახევრის წინ პარლამენტთან კვლავ მოზღავებული ხალხი ვიხილე, ცივმა ოფლმა დამასხა. ვიფიქრე, ახლა უკვე საბოლოოდ დაიღუპება საქართველო-მეთქი! მინდა ყველას ვუთხრა, ვისაც ამ მოვლენების აგორებაში მიუძღვის წვლილი, ხელისუფალსაც და ოპოზიციონერსაც, რომ არ შეიძლება ცეცხლთან თამაში, რადგან ჩემი ინფორმაციით, დიდი შანსი იყო ყველას ძვირად დაგვჯდომოდა ეს ამბავი. რატომღაც კვლავაც დღევანდელი დღით ვცხოვრობთ და მომავალზე არ ვფიქრობთ. ყველაფერი კეთდება საქართველოს დასაღუპავად და ამას კვლავ ქართველები აკეთებენ, ვფიქრობ, უფრო შეუგნებლად, ვიდრე წინასწარი განზრახვით. შეუგნებლობა კი საშინელი სენია. შეგნებულად მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ ოღონდ დღეს პურის ფული მქონდეს, გავმდიდრდე და მეზობელი და ქვეყანაც ეშმაკსაც წაუღია, დღეს თუ ვშოულობ, ხვალაც ვიშოვიო! თვითმფრინავში უცნობ თბილისელებთან ერთად ვიმგზავრე და სულ იმაზე გვქონდა ლაპარაკი, რომ დავკარგეთ სამშობლოსადმი სიყვარული, პატრიოტიზმი ცარიელ სიტყვად დარჩა და ვერ ამიხსნია, როგორ შეიძლება ამ მცირერიცხოვან ერს ჰქონდეს გაუთავებელი მისწრაფება ქვეყნის ნგრევისა?! ერთმანეთს ვაბრალებთ ყველა უბედურებას და საკუთარ თავში არ ვიხედებით. ამას ისიც ემატება, რომ სამწუხაროდ, საქართველოში „განსაზღვრული რაოდენობის“ ხალხს აქვს უფლება ამტკიცოს რა არის შავი და რა თეთრი და თუ არ დაეთანხმები, არც ამაზე მოიკლავენ თავს... ახლახან ძალიან მომეწონა ბორის ნემცოვის მიმართვა პუტინისადმი, როცა თქვა: „ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ, მხოლოდ პიტერში არ ცხოვრობენ ჭკვიანი ადამიანები და ნუ ქმნით პიტერისგან ჭკვიანი კაცების ინკუბატორსო“. არ გაულანძღავს პუტინი, ისე გააგებინა მთელ რუსეთს, რომ ეს კაცი გარშემო იკრებს ხალხს მხოლოდ ერთი ქალაქიდან...

— **„ალბათ“, გარკვეული ანალოგიაა ჩვენს ხელისუფლებაში არსებულ ვითარებასთან, სადაც გურულები ჭარბობენ...**

— დიახ, მაგრამ ამას წინათ ვიყავი გურიაში, სადაც ძალიან ცუდი მდგომარეობაა და დიდი გაჭირვებაა. რუსეთშიც მოსკოვის გარდა თითქმის ყველგან გაჭირვებაა, მაგრამ რუსეთი დიდი და მდიდარი ქვეყანაა. ჩვენ კი, უამრავ პრობლემასთან ერთად აფხაზეთი და სამაჩაბლო გვაქვს დაკარგული და არც კი ვიცით როგორ მოევლება ამ კონფლიქტებს. აგერ ჯავახეთში რუსული რუბლია გაბატონებული და სადამდე გაუძლებს ეს ერთი ბეწო ქვეყანა? აქ კი ძალაუფლებისათვის ბრძოლა მძვინვარებს. ვფიქრობ, ჩვენშივეა რაღაც დიდი მასშტაბის უბედურება ჩაბუდებული, თორემ მაპატიეთ და, სულ ფეხებზე ჰკიდიათ დიდ ქვეყნებს, რუსეთის ჩათვლით, რა მოუვა საქართველოს.

— **როცა თბილისის ომი დამთავრდა, იფიქრებდით, რომ 10 წლის შემდეგ საქართველო ასეთ ყოფაში იქნებოდა?**

— არ მეგონა, რომ აქამდე მივიდოდა საქმე... საერთოდ, იმდენად შემზარავი და ალოგიკური რამ მოხდა მაშინ, დღემდე არ მჯერა, რომ ასეთი უბედურება დავიტეხეთ თავს. ყველაფერი, ომიანად, უმდაბლეს დონეზე იყო გაკეთებული. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ როცა რუსთაველზე ქართველები ერთმანეთს ხოცავდნენ, სანაპიროზე ხალხი ქეიფობდა. დილით კი, პახმელიაზე მიდიოდნენ რუსთაველზე და როგორც სპექტაკლს და სეირს ისე უყურებდნენ სისხლისღვრას. სრულიად გაუგებარი, აბსურდული ამბები ხდებოდა და მე მაგალითად, შემდეგ შემრცხვა საკუთარი თავის. იქითა და აქეთა მხარის ქმედებებისაც შემრცხვა, ზვიადიც ძალიან შემეცოდა და დაღუპულებიც... შემდეგ აფხაზეთის ომი დაიწყო, სადაც ასევე ბევრი ჩემი ნაცნობი და ახლობელი დაიღუპა... ძალიან მიჭირს იმ წლების გახსენება. ჩემზეც ბევრი ჭორი გავრცელდა, რომ თურმე ნიღბიანი, ავტომატით, ხალხს ვხოცავდი დიდუბის მეტროსთან. საქმე იქამდეც



მივიდა, რომ შემდეგ, ერთ-ერთ სუფრაზე, სადაც ჩემი მეგობარიც იყო, ერთ ქალს უთქვამს — კასეტა ვნახე, როგორ ხოცავს ნიღბიანი ბუბა ზვიადისტებსო. როცა შეეკითხნენ, რა იცი, რომ ბუბა იყოო, უპასუხა: იმ მომაკვდავმა თქვა და ხომ იცით, სიკვდილის წინ კაცი სიმართლეს იძახისო(!). აი, ამ უბედურებაშიც კი უმდაბლეს დონეზე ვიდექით... ხუმრობით ვიტყვი, მაგრამ ჩვენს პუბლიკაციას სათაურად უნდა დავარქვათ — თავს ვუშველოთ, ქართველებო!!! არავინ ჩვენ არ გვიშველის და მინდა ყველა პარტიას, ხელისუფალს ვუთხრა — არ არის საჭირო კიდევ 10 წელი ერთმანეთთან შესარიგებლად და ჩასახუტებლად და სამშობლოს გადასარჩენად. დღეიდანვე უნდა დავიწყოთ ეს საქმე, რადგან საქართველო ადვილად დასაკარგი ქვეყანაა კვლავაც! შევეშვათ ერთმანეთის ჭამას. მიკვირს, ისეთი სიხარულით უგონებენ ხოლმე ერთმანეთს ჭორებს, ისე ენერგიულად ლანძღავენ და ძირავენ, თითქოს მათით იწყებოდეს და მთავრდებოდეს ქვეყანა!

**თუ არ დაისჯებიან კორუმპირებულები და დამნაშავეები, არც აფხაზეთს, არც სამაჩაბლოს და არც არაფერს არ ეშველება. თუ მე დასაჭერი ვარ, დამიჭირე. რა ზღაპრებს მიყვები, რომ, იმან ამდენი მოიპარა, ამან ამდენი. ადექი და დაიჭირე, თორემ უკვე ვგრძნობ, რომ ვცხოვრობ გაფუჭებულ ქვეყანაში...**

— **ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ე.წ. ქართული ელიტა, რომელმაც ლამისაა იკისროს ერის „წინამძღოლობა“, ანუ ის, რასაც ადრე ჩვენი ინტელიგენცია აკეთებდა. თქვენი კომენტარი:**

— ელიტა და ინტელიგენცია სხვადასხვა ცნებებია. ვფიქრობ, ჩვენი ინტელიგენციის შემორჩენილი პატარა ნაწილი დღეს იძულებულია შინ იჯდეს და ჩუმად იყოს. ეშინია ამ ხალხს არათუ არსებულ ყოფაში აქტიურობა, არამედ ქუჩაში სიარულისაც კი. მაგრამ, საბოლოო ჯამში გაუნათლებელი, უვიცი ადამიანი სწორედ ინტელიგენციას მიუკაკუნებს და ჰკითხავს: „დანაჩანგალი“ როგორ დავიჭირო, რომელი წიგნიდან დავაწყებინო შვილს განათლება, სამშობლო „როგორი ასოებით“ იწერება და ა.შ. დიახ, როცა დღეს საყვედურობენ ინტელიგენციას, სად იყავით, როცა ეს ე.წ. ელიტა მოდიოდა და ხალხის ფულს იპარავდაო, ინტელიგენცია იმ დროს შიმშილით კვდებოდა და მისი შეცდომაც ის იყო, რომ ხმა არ აიმაღლა! ინტელიგენციის წევრობა უდიდესი პატივია და თუ ვინმეს საქართველოში ბუბა კიკაბიძე ოდნავ მაინც მიაჩნია ინტელიგენტად, მაშინ ჩემი ბრალიც არის, რაც ქვეყანაში ხდება. დიახ, ინტელიგენციამ ხმა არ ამოიღო, გადაუარეს კიდეც, გამოვარდნენ სრულიად უცნობი ვიგინდარები, რომლებიც თავს ბიზნესმენებად, ქვეყნის აღმშენებლებად ასაღებდნენ. ჩვენც გვიხაროდა, ესენი აგვაშენებენო, მაგრამ მერე „აორთქლდნენ“ მოპარული მილიონებიანად. დღეს კი ხალხს, ინტელიგენციას „ასწავლიან“ როგორ იცხოვრონ, რა ჭამონ, რა ჩაიცვან, სად იარონ, რა იყიდონ და რა გაყიდონ, მაგრამ ვერ ასწავლეს როგორ მოიპარონ, რადგან ქურდობა ინტელიგენციისა და პატიოსანი ხალხისთვის თავის ჩამოხრჩობის ტოლფასია! შეიძლება ქუჩაში 5-10 მხატვარი ყიდდეს სურათებს, მაგრამ დაუშვებელია, რომ 200 იდგეს. დანაშაულია ისეთი ყოფა, როცა სათაყვანებელი პოეტი მხვდება ქუჩაში და ყურში ჩამჩურჩულებს: — ბუბა, 100 ლარი მასესხე, საჭმლის ფული არა მაქვსო!

— **საქართველო-რუსეთის გართულებული და არანორმალური ურთიერთობები როგორ მოჩანს საკუთრივ მოსკოვიდან და რუსეთის სხვა რეგიონებიდან, სადაც თქვენ დადიხართ გასტროლებზე?**

— ამ დღეებში ვიყავი ციმბირის გადაკარგულ ქალაქ სურგუტში. იცით, მე რომ რუსეთში არ ვიმღერო, ჩემს ოჯახს და უამრავ ახლობელს საჭმლის ფული არ ექნებათ. სურგუტში ადრე ქართველის ჭაჭანებაც არ იყო, ახლა კი ბევრი ვნახე. მითხრეს: რა ვქნათ, ბატონო ბუბა, ოჯახები გვყავს შესანახი, თორემ აქ რა ჯანდაბა გვინდაო! სხვათა შორის, რიგითი რუსები, ხალხი ძალიან თბილად ღებულობენ ქართველებს. რუსეთის ხელისუფლებამაც თუ მოინდომა, ბრწყინვალე ურთიერთობები გვექნება, მაგრამ დიპლომატიური ჭკუა გვჭირდება. როგორც მოუნდება რუსეთს, ისე იქნება იმიტომ, რომ ძლიერი ქვეყანაა, თანაც უკვე დასავლეთისკენ უჭირავს გეზი. რაზეა ლაპარაკი, როცა ჩემს მეგობარ თბილისელ პროფესორს ხელფასი 27 ლარი აქვს და შიმშილობს? მე რომ ხელისუფალი ვიყო, შემრცხვებოდა მაინც. ამ მდგომარეობამდე მიიყვანა საქმე მთავრობამ და არ შეუძლია მეტი მისცეს, მაგრამ ის ხომ შეუძლია, რომ დამნაშავე დაისაჯოს?! როცა ქართველ გლეხს ქათამი ჰყავს, მაგრამ მარილის საყიდელი ფული არა აქვს, რომ მოხარშულ დედალს მოაყაროს და შეჭამოს, ამ დროს კი ტელევიზორიდან ესმის, რომ ვიღაცამ, ვთქვათ, სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი 10 მილიონი მოიპარა, რა უნდა იფიქროს გლეხმა? ჯერ პროტესტის ნიშნად ალბათ პირს ამოიკერავს, მერე გზებს გადაკეტავს, ბოლოს კი სტუდენტობას მიადგება და მასთან ერთად გამოვა რუსთაველზე... არ არის ასე ადვილი პრეზიდენტობა და ქვეყნის აწყობა და ეს არც შევარდნაძეს უნდა ეწყინოს და არც მთავრობას. რაც ხდება აქ, მწყინს და რატომ ხელისუფლება არ ფიქრობს, მოდი, ბუბას და ხალხს არ ეწყინოს და გამოვასწოროთ ვითარებაო. მეც ხომ მოქალაქე ვარ! რაც შეეხება რუსებს, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოს მტრობა და ქართველი კაცის დაკარგვა არ უნდათ. რუსეთში, მიუხედავად გაჭირვებისა, ლაგდება სიტუაცია. ელცინის დროს თავზე ხელაღებულ რუსთა მცირე ნაწილმა ისეთი დიდი ფული იშოვა, მსოფლიო გაოცდა. შემდეგ მიხვდნენ, რომ თუ ამ ფულს რაღაცაში არ დააბანდებდნენ, გადაჰყვებოდნენ და დაკარგავდნენ ყველაფერს. იმ კრიმინალებმაც, რომლებზეც სისხლის სამართლის საქმეები იყო აღძრული, ბევრი ფაბრიკა-ქარხანა და საწარმო აამუშავეს, ხალხი დაასაქმეს და კონკურენტუნარიან პროდუქციას უშვებენ. მაგალითად, მოსკოვში არის მიქოიანის სახელობის ძეხვის ფაბრიკა და არც რუსი და არც მე ფრანგულ ძეხვს აღარ ვყიდულობთ. აქ რომ ამუშავდა ძეხვის საწარმო, მითხრეს — არ იყიდო, გაწყენსო! დღეს რუსეთის ელიტამ, რომელიც ადრე წითელი და მწვანე პიჯაკებით დადიოდა, ჩაიცვა სადად და ლამაზად და ლეგალურ ბიზნესს მოჰკიდა ხელი. ბევრი გამოცხადდა პროკურატურაში, აღიარა, რომ სახელმწიფოს მოჰპარა ფული და მზად არის დაუბრუნოს, რომ ასევე მზად არის ციხეში ჩაჯდეს, გადაიხადოს ჯარიმა და ა.შ. აი, ამ ელიტას, რომელიც აღარავის ეჩხირება თვალში, პატივს სცემენ, სახელმწიფომაც გამონახა მათთან საერთო ენა... ხოლო როდესაც აქ ქართული ლუდის და ქართული ნაყინის წარმოება დაიწყეს, გამიხარდა, ვიფიქრე, გვეშველა მეთქი. დიდი სიამოვნებით ვსვამ „ყაზბეგს“ და შევექცევი „სამგორს“, მაგრამ ნაყინი და ლუდი ერთად არ შეიძლება, კუჭს აგიშლის. ვიფიქრე, რაღაცას გამოუშვებენ კიდევ-მეთქი კარგს, მაგრამ აღარაფერი გაკეთებულა. ძეხვის წარმოებასაც თოფაძეს ხომ არ დავავალებთ? ამასთან, ვისაც ასეთი საქმეების კეთება შეუძლია, დიდი გადასახადებით არ უნდა მოვახრჩოთ. პუტინმა ყველა კერძო წარმოებას 13%-იანი გადასახადი დაუწესა და ამ 13%-ს ყველა იხდის პატიოსნად. 35% რომ ყოფილიყო, არავინ გადაიხდიდა და „სხვა გზით“ გაასწორებდა ანგარიშს სახელმწიფოსთან. ამისი ჭკუა ხომ უნდა გვეყოს ჩვენც და ადამიანებს შევუწყოთ ხელი საკუთარი ბიზნესის დაწყებაში.

— **დიდი ხმაურია ბადრი პატარკაციშვილის ირგვლივ, რომელმაც სოლიდური კაპიტალი ჩადო ბევრ საქმეში და ალბათ, კვლავაც ჩადებს. მაგრამ მას უკვე პოლიტიკურ ამბიციებსა და ქართულ კლანებთან ალიანსში ადანაშაულებენ, მეტიც, მას კრემლის მიერ შემოგზავნილ კაცს უწოდებენ და ა.შ. თქვენ კარგად იცნობთ მას და ბევრიც იცით მის შესახებ...**

— მეჩვენება, რომ თბილისი დაემსგავსა ცერეუსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროს, რომ „აი რაღაცაში გვატყუებენ და ფხიზლად ვიყოთო“, რომ „ვაიმე, ფქვილი შემოვიდა, რომელიც შემომტანმა იმასთან კი არ იყიდა, ვისაც ცუდი ფქვილი ჰქონდა, არამედ იმასთან, ვისაც საუკეთესო აქვს“. დალოცვილო, კარგი ფქვილია, კარგი პური ცხვება, არ იფშვნება, აიღე და ჭამე რაღა! ბადრი პატარკაციშვილთან ახლო მეგობრობა მაქვს და ჩვენი ურთიერთობა ერთი კარგი ფაქტიდან იწყება. ახალი დამთავრებული იყო საქართველოში „ომობანა“, როცა გუდა-ნაბადი ავიკარი და სამღერად რუსეთში წავედი. 26 მაისი ახლოვდებოდა და ის პერიოდი იყო, როცა რუსეთის მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობა ეკლად ესობოდა თვალში. ბადრი ОРТ-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობდი. არადა, დამებადა იდეა, რომ 26 მაისს ОРТ-თი გასულიყო ჩემი კონცერტი მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობისადმი, რომელიც რუსეთში მაშინდელ ელჩს ვაჟა ლორთქიფანიძეს გავაცანი. დაურეკა პატარკაციშვილს და მანაც მიმიღო. მითხრა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს გადაცემა ეთერში გავიდესო. არადა, ფანტასტიკურად ძვირი იყო საეთერო დროის ყიდვა და პლუს, ტექნიკური მომსახურება კონცერტის გადასაღებად. ამის გარდა, საჭირო გახდა 60 ათასი დოლარი თეატრის შენობის დასაქირავებლად, დეკორაციებისთვის და ა.შ. მოსკოვში მოღვაწე ყველა ქართველს დავურეკე, რომ ეს ფული შეგვეგროვებინა, მაგრამ ჯიბეში ხელი არავის ჩაუყვია. ბოლოს ორი ჩეჩენი მეგობარი მოვიდა, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ამ ბატალიების შესახებ და მითხრეს: „60 ათასს ჩვენ დავდებთ, მაგრამ დანარჩენს ვინ გაიღებსო?!“ ვუთხარი, როგორ, კაცო, დანარჩენს ქართველები იხდიან-მეთქი! აი, ბადრის და ჩეჩნების წყალობით ОРТ-ზე გაკეთდა ეს უპრეცედენტო გადაცემა, რომლის მსგავსი არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას არ გაუკეთებია. ვფიქრობ, ფინანსების მქონე ჭკვიანი კაცები რაც მეტნი ჩამოვლენ, მით ბევრი წაადგება საქართველოს. მადლობა არ უნდა ვუთხრათ, რომ აქ ჩამოაქვს და აქ ხარჯავს? რაც შეეხება მის პოლიტიკურ მისწრაფებებს, როგორ, პატარკაციშვილის ეშინიათ და სხვების არა, რომლებიც 24 საათი გაჰყვირიან?! პატარკაციშვილზე მეტი ჭკუა აქვთ პარლამენტში? რატომ ჰგონია ამ 200 კაცს, რომ მხოლოდ მათ იციან ქვეყნის შენება? რაც „ააშენეს“, ხომ სახეზე გვაქვს! ვერ გამიგია, რატომ გვაქვს ადამიანისთვის ძირის გამოთხრის დაუოკებელი სწრაფვა. თუ იციან, რომ მართლა ბოროტებას უკეთებს საქართველოს, მაშინ მოსთხოვონ მთავრობას — აბა, დაიჭირე და ჩააბარე რუსეთს! რატომ არ აკეთებენ ამას!

— **რუს პოლიტიკოსებთან თუ გქონიათ ბოლო დროს შეხვედრა-საუბრები. რას ამბობენ პირად საუბრებში ჩვენს ურთიერთობებზე...**

— ახლახან, მოსკოვში საქართველოს საელჩოს კაფეში ბათუმელ მეგობრებთან ერთად ვსადილობდი, როდესაც რუსეთის ვიცე-პრემიერი ილია კლებანოვი შემოვიდა ცოლ-შვილთან ერთად ყოველგვარი დაცვის გარეშე. არასოდეს, არსად მენახა ეს კაცი ტელევიზორის გარდა. დამინახა თუ არა, „Ох, какие люди“-ო, თქვა, მოვიდა, გადამკოცნა, ყველას ხელი ჩამოართვა და მითხრა: გავიგე აქ გემრიელ კერძებს ამზადებენ. აგარაკზე მივდივართ და გვინდა ვისადილოთო. ბათუმელ მეგობარს ოჯახის წითელი ღვინო ჰქონდა ჩამოტანილი, რომელსაც იქ ვსვამდით. ავდექი და კლებანოვს ორი ბოთლი დავუდგი მაგიდაზე, თან ვუთხარი — ოჯახის ღვინოა და გასინჯეთ-მეთქი. ძალიან გაუხარდა... დავბრუნდი მეგობრებთან. წასვლისას კლებანოვი მოვიდა ჩემთან და დიდი ყუთით კონიაკი „ნაპოლეონი“ მომართვა. კარგი სიტუაცია იყო და ვუთხარი — როგორ იქნება საქართველოსა და რუსეთის საქმე-თქო? გვიპასუხა, ძალიან კარგი კონიაკია, დალიეთ და მერე ერთად ვიფიქროთო... რუსეთის ვიცე-პრემიერი, ბუნებრივია, მეტს ვერაფერს და არაფერს გვეტყოდა, მაგრამ თავისთავად ეს ურთიერთობებია მრავლისმთქმელი... დასავლეთს თვითონ რუსები ეხუტებიან უკვე და არ უნდათ, რომ საქართველომ კარი მიუჯახუნოს რუსეთს. ამიტომ, ისევ ჩვენს დიპლომატიასა და ჭკუაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ვიცი, სომხები ჭკვიანი ნაციაა, მაგრამ არ მინდა, სომეხზე „დურაქი“ ვიყო, ან ყაზახზე... მახსოვს, რაც თბილისში პირველად გამოჩნდა ამერიკული საღეჭი რეზინი, მაშინდელ ახალგაზრდებს ეგონათ, რომ თუ ამას კარგად დაღეჭავდნენ, უკვე ამერიკელებად გადაიქცეოდნენ. ჰოდა, ღეჭდნენ და ღეჭდნენ ფართოდ გაღებული პირებით, თან ბუშტებს ბერავდნენ, მაგრამ არ გახდნენ ამერიკელები. ისიც მახსოვს, რომ პირველებმა ჩვენ ჩამოვაგდეთ ლენინის ძეგლი და გვეგონა მაგარი ხალხი ვართო. ნაზარბაევმა კი ხელი არ მოჰკიდა ლენინის ძეგლებს, მოვიდნენ და თვითონ რუსებმა ჩამოაგდონო... აი, მართლაც რომ ყველა თავისი ბედის მჭედავია. მარტო ღმერთის იმედად ყოფნა და ამის ძახილი არ არის საქმე. ღმერთი თითოეულ ჩვენგანშია, როგორი „ღმერთიც“ ზის ამა თუ იმ კაცში, ისე ცხოვრობს ისიც. თუ ცუდი კაცი ხარ, „ცუდი ღმერთია“ შენში; თუ კარგი კაცი ხარ „კარგი ღმერთია“ შენში. როგორც წაიყვან შენს ცხოვრებას, ისეთი „ღმერთის“ პატრონი იქნები. ტყუილად არ ამბობენ — შე ულმერთოო! რაც შეეხება ჩვენს განვითარებას, ამას არც 2002 და არც 2004 წელი არ უნდა, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, რადგან რაც უფრო გაიწელება დრო, მით მეტი დამნაშავე იქნება. საქართველოში რომ „беспредел“-ია, ისეთი არსად არ არის. თუ არ დაისჯებიან კორუმპირებულები და დამნაშავეები, არც აფხაზეთს, არც სამაჩაბლოს და არც არაფერს არ ეშველება. თუ მე დასაჭერი ვარ, დამიჭირე. რა ზღაპრებს მიყვები, რომ, იმან ამდენი მოიპარა, ამან ამდენი. ადექი და დაიჭირე, თორემ უკვე ვგრძნობ, რომ ვცხოვრობ გაფუჭებულ ქვეყანაში... ბოლოს და ბოლოს მთავრობამ უნდა იზრუნოს ჩვენზე და თავმოყვარეობა, რომელიც ხალხს დააკარგვინეს, მათვე უნდა აღუდგინონ. მინდა კარგი მთავრობა გვყავდეს, კარგი საზოგადოება და კარგი ქვეყანა! ნათქვამია: თევზი თავიდან ფუჭდებაო და ეს კარგად უნდა გააცნობიეროს მთავრობამ!

***ზურაბ მჭედლიშვილი***

ნაზარეთიდან ბეთლემისკენ ეჭირა გზა მართალ იოსებს და ჯერ თითქოსდა ჩვეულებრივი ფეხმძიმე ქალი მიჰყავდა მამულში, რათა საყოველთაო აღწერისას სწორედ საკუთარ ქალაქში დაფიქსირებულიყო მეფე დავითის ჯიშჯილაგი — იოსები. ამ ჩვეულებრივ მიმავალ დედას კი მუცლად ელო თავად უფალი, რომელიც კაცად უნდა განცხადებულიყო.

იდგა ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელი საუკუნის უკანასკნელი წლის უკანასკნელი ღამე...


სწორედ აქ, იმ „ოცდახუთსა დეკემბერსა“ იშვა ძე ღმრთისა

თენდებოდა ახალი წელთაღრიცხვის პირველი დილა...

დამდგარიყო ჟამი იესოს ქვეყანასა ზედა მოვლინებისა... ინება უფალმა ერთი პატარა თავლის უწმინდეს ადგილად გადაქცევა და ჩვეულებრივ ბაგაზე მიაწვინა ახალშობილი ღმერთკაცი ჩვეულებრივი ქალიდან უკვე დედა ღვთისმშობლად ქცეულმა მარიამმა.

თავდახრილი და მხრებში მოდრეკილი თუ მიეახლები ამ წმინდა ადგილს (იმის წარმოდგენა კი ძალიან ჭირს, რომ სადღაც აქ, ახლო-მახლო ტყვიებს ისვრიან, სახლებს აფეთქებენ, და ერთმანეთს ხოცავენ).

მაშინ კი, როცა იწყებოდა ქრისტეშობიდან პირველი საუკუნე, პირველნი მოგვნი მიეახლნენ განკაცებულ ღმერთს და „შეწირეს მისა ძღუვენი ოქრო, გუნდრუკი და მური“ (მათე). სწორედ აქ და სწორედ იმ „25-სა დეკემბერსა“ გაისმა ზეციდან გალობა ანგელოზთა. „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ამინ...

კაცთა შორის სათნოება და ქვეყანასა ზედა მშვიდობა დაგვეკარგა ოღონდ!

ინებოს უფალმა, მოგვეპოვებინოს.

***„დღეს ბეთლემ ზეცისა მობაძავ იქმნა, ვარსკვლავთა წილ ანგელოზნი მაქებელად ჰქონან, მზისა წილ მზეი იგი სიმართლისაი მიუწვდომელი დაიტია“.***

ისევ მოგვეახლა ქრისტეშობის ნათელი დღესასწაული, ისევ ინათა ვარსკვლავმა ბეთლემის თავზე და დადგა დიდებული დღე მაცხოვრის შობისა. ანგელოზთა გუნდი ცასა და ქვეყანას ისევ მოაფენს ნაცნობ საგალობელს: დიდებაი მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობაი და კაცთა შორის სათნოებაი (ლკ. 2, 14).



იშვა ბეთლემში ის, ვისთანაც ცხორებაი იყო და ცხორებაი იგი იყო ნათელ კაცთა და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია (იოანე, 1, 4-5).

ყველას გილოცავთ სულიერი დაბადებისა და განახლების დღესასწაულს – ქრისტეშობას. დაე, ეს წელი ყველა ჩვენთაგანისთვის, ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი ღვთივდაცული ერისთვის იყოს მშვიდობის, კეთილდღეობისა და ბედნიერების მომტანი.

ვუსურვებ თქვენს გაზეთს, რომ სიტყვა, რომელიც თქვენ ადამიანებამდე მიგაქვთ, ყოფილიყოს ღვთის სიტყვის – იესო ქრისტეს სამსახურში, რადგან სიტყვას უდიდესი ძალა აქვს და ძალიან დიდია მათი პასუხისმგებლობა, ვინც მასმედიას ემსახურება.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

პატივისცემით

***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი***

# მკითხველს სამი ტყუპი ბიჭის ბედი აინტერესებს...

**„მაინც რაღა ჩვენ მოგვცა უფალმა სამი ტყუპი ანგელოზი? რომელიმე მდიდრის ოჯახში რომ გაჩენილიყვნენ, მათ ბედს ხომ ძაღლიც არ დაჰყეფდა?“ — ასე წერდა თქვენს გაზეთში მირიან ქუბრიაშვილი, სამი ტყუპი ბიჭის მამა. იქნებ გვითხრათ, რა ბედი ეწია ქუბრიაშვილების ოჯახს...**

***მკითხველი***

მირიანი თავად გვეწვია რედაქციაში. თვალებში იმედის სხივი ჩასდგომოდა, ხელში მომუჭულ ქუდს ნერვიულად აწვალებდა და სამადლობელ სიტყვებს ვერ პოულობდა. როგორც გვიამბო, თავდაპირველად მას თბილისელი ინჟინერი ზურაბ ფოჩხუა დაჰკავშირებია, დაუსაქმებია კიდევაც, დღეში ხუთი ლარის ანაზღაურებით. მართალია, დიდხანს ვერ ვიმუშავე მასთან, რადგან სოფლიდან მიწევდა სიარული, მაინც მადლობელი ვარ, რაც შეეძლო დამეხმარა, მაგრამ მე თვითონ არ მეწყობოდა ხელიო... შემდეგ მირიანისთვის შეუტყობინებიათ, რომ ლისის ტბასთან ონკოლოგიურ ცენტრში აწგარდაცვლილი რევაზ ვეფხვაძისთვის მიემართა. ბატონმა რევაზმა ექიმები შეკრიბა და გამოუცხადა, ამ კაცს უნდა დავეხმაროთო და... — სამუშაოც გამომიძებნეს. აფთიაქში შემოსულ მედიკამენტებს ვტვირთავ და ლიფტსაც ვამუშავებ. ორივეგან 120 ლარს ვიღებ. ოთახიც მომცეს... წინ და უკან სიარული აღარ მიწევსო...



საუბრის დასასრულს მირიანმა ერთი ამბავიც გაიხსენა: როცა მისი ბიჭუნები 8-8 თვისანი გამხდარან, ინფექციური დაავადებით თემქაზე, ბავშვთა მესამე კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში მოხვედრილან. დახმარებისათვის ბატონი შალვა ნათელაშვილისთვის მიუმართავს. ის მატერიალურადაც დახმარებია, მედიკამენტებით და საკვებითაც მოუმარაგებია პატარები. ბიჭები ამ ქვეყნისკენ შემობრუნებულან...

ასე რომ, ღვთის და კეთილი ადამიანების წყალობით დუშელი სამი ტყუპი ბიჭი თავს მშვენივრად გრძნობს...

***მამუკა ხუციშვილი***




„ ...იყო და არის მხოლოდ ერთი — მუსიკა და ისიც ამ სამყაროსთვის არ არის...“ — წერდა 20 წლის მევიოლინე ლიანა ისაკაძე, ადამიანი, რომელმაც ისაზრდოვა და იცხოვრა მუსიკით. ასე გრძელდება ახლაც...

ჯერ კიდევ სამი წლისამ დამოუკიდებლად დაიწყო დაკვრა ფორტეპიანოზე. 7 წლისას ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს სპეციალობაზე უნდა ჩაებარებინა, მაგრამ გამოცდების დროს ავად გახდა და შემთხვევით (!) ვიოლინოს კლასში ჩარიცხეს. 10 წლის მუსიკოსის გამოსვლა მოსკოვის ფესტივალზე სენსაციად იქცა, ჟიური ყურებს არ უჯერებდა, დავით ოისტრახი კი თვალცრემლიანი უსმენდა მომავალ სტუდენტს. 14 წლისა გამონაკლისის სახით დაუშვეს საკავშირო კონკურსზე, რომელზეც ასაკობრივი ცენზი 17 წელს ზემოთ გახლდათ და... მიენიჭა პრემია. 18 წლისა პირველ პრემიას იღებს მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს კონკურსზე, იმავე კონკურსზე ვლადიმერ სპივაკოვი მხოლოდ ადგილს იკავებს. 1970 წელს ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსზე დაემართა მარჯვენა მხრის მწვავე ართრიტი — სახსრისა და თითების შეშუპებით, ყველაფრის მიუხედავად განაგრძო კონკურსი, ავადმყოფმა დაუკრა და ტური და პრემია მაინც მოიპოვა...

2001 წელს მუსიკოსის ცხოვრების სამი საიუბილეო თარიღი დაემთხვა ერთმანეთს — დაბადების 55, პირველი წარმატებიდან, სოლისტობიდან — 45 და კამერულ ორკესტრში მოღვაწეობის 20 წელი.

ამ თარიღებთან დაკავშირებით ოპერის თეატრში 27 და 28 დეკემბერს გაიმართა ფესტივალი — „ვარსკვლავთ ზეიმი“, ხოლო 29 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა გალა-კონცერტი და ბოლოს, დიდების ხეივანში — ფილარმონიის შესასვლელში გაიხსნა ლიანა ისაკაძის სახელობის ვარსკვლავი.

გალა-კონცერტზე შეკრებილი აუდიტორია, ტრადიციისამებრ, აკადემიურ, კლასიკურ მუსიკას ელოდა, მაგრამ სენ-სანსის „რონდო კაპრიჩიოზის“ გარდა ქალბატონმა ლიანამ კლასიკური მუსიკით არ გვასიამოვნა. სამაგიეროდ, ეს იყო მოულოდნელობებისა და სიურპრიზების საღამო, რომელიც თანაბრად საინტერესო და სასიამოვნო აღმოჩნდა ყველასთვის.

კონცერტი დაიწყო ლიანა ისაკაძის მეუღლის, თამაზ ჩაჩავას ლექსებისა და პიაცოლას ტანგოების მონაცვლეობით. აჟღერდა არგენტინული ტანგოც. უეცრად სცენაზე სამმა დირიჟორმა მოიყარა თავი — თავად ქალბატონმა ლიანამ, ორკესტრის დირიჟორმა — გიორგი ჟორდანიამ და სტუმარმა უვე ბერკემერმა. ვიოლინოებს — ლიანა ისაკაძე „მართავდა“, გიორგი ჟორდანია — ჩელოებს, ხოლო უვე ბერკემერი ჩასაბერებს. მოცარტის სიმფონია დაწყებული არც იყო, რომ უვე ბერკემერის „აღსაზრდელებმა“ „HAPPY BIRTHDAY TO YOU“ — გილოცავ დაბადების დღის“ ცნობილ ჰიტზე გააკეთეს მოდულაცია. დარბაზი გაოგნდა — ჯერ ვიფიქრეთ — ასეთ სოლიდურ კონცერტზე ტექსტის შეშლა გამორიცხულია, ნუთუ ორკესტრანტებმა აურიეს ნოტები? მაგრამ მალე ნათელი გახდა ჩანაფიქრის კომიკური მხარე, ხან ბერკემერის „ხალხი“ „ურევდა“, ხანაც ჟორდანია „ვერ“ თოკავდა ჩელოებს... მოკლედ, მოცარტის სიმფონია სულ სიცილის აკომპონიმენტით ჩამთავრდა.

სიტუაცია ჯერ ბოლომდე გაარკვეული არც გვქონდა, რომ ლიანა ისაკაძემ დარბაზიდან უხმო „საქართველოს საუკეთესო შემსრულებლებს“ მოცარტის სერენადის შესასრულებლად და... სცენაზე „რატომღაც“ აღმოჩნდნენ ელდარ შენგელაია, ირაკლი ბათიაშვილი და ვახტანგ რჩეულიშვილი. ბატონმა ელდარმა საიდანღაც დასარტყამი ინსტრუმენტი გამოაძვრინა, ბატონმა ირაკლიმ მინიატურული სალამური, ხოლო ვახტანგ რჩეულიშვილმა უფრო მინიატურული ჩასაბერი საკრავი, რომელიც ჩიტის ჭიკჭიკის მაგვარ ხმას გამოსცემდა და როცა ყველამ ერთად დაიწყო „სერენადის“ მსგავსი კომპოზიციის „შესრულება“, თავი პაროდისტების კონცერტზე გვეგონა. დასასრულს, ბატონმა ვახტანგმა ისაკაძის „კოლეგობითაც“ მოიწონა თავი და ერთობ ნასიამოვნებმა დატოვა სცენა.



კონცერტის ფინალური აკორდი კი ჰიმნად აჟღერებული რევაზ ლაღიძის „თბილისო“ გახლდათ.

ვარსკვლავის გახსნის რიტუალამდე ქ-ნ ლიანას გავესაუბრე:

**— როგორი რეაქცია გქონდათ, როცა შეიტყვეთ თქვენი სახელობის ვარსკვლავის გახსნის თაობაზე?**

— ჯერ ვიკითხე, კი მაგრამ, ჯერ არ მოვმკვდარვარ და რა საჭიროა, შემდეგ კი... მადლობელი ვარ ყველასი, ვინც იფიქრა ჩაეტარებინა ამ იუბილესადმი მიძღვნილი ფესტივალი. ეს იმდენად სასიამოვნოა და ამაღელვებელი...

**— ხართ ბედნიერი?**

— რასაკვირველია! მე ხომ სულელურად არ მიხარია ეს სიცოცხლე, მე ის სიღრმით მიხარია. სიღრმე და ბედნიერება ის კი არაა, სულ სიცილ-ხარხარით და რაღაც სიამოვნების ძიებაში გაატარო ცხოვრება... ჭეშმარიტების და მართლის წვდომაა ბედნიერება!

**— თქვენ თითქმის ყველაფერს მიაღწიეთ, რასაც კი მუსიკოსი ინატრებდა, ოცნებად თუ დაგრჩათ რაიმე?**

— ოცნებაში ვცხოვრობ, იქ კიდევ ოცნება რაღა უნდა იყოს. ჩემი ოცნებაც მუსიკაა. მე რეალურ სამყაროში საკმაოდ მცირე დროს ვატარებ.

**— თქვენ 3 წლიდან კომპოზიტორობთ, ისიც ცნობილია, ხშირად „ბისზე“ საკუთარ ნაწარმოებს ასრულებთ, ავტორად კი ვინმე სხვას ასახელებთ, რითია ეს გამოწვეული?**

— იცით რა, მე პირველი არ ვარ. ფრიც კრეისლერიც კი თავის დროზე საკუთარ ნაწარმოებებს სხვებს მიაკუთვნებდა ხოლმე. არა მგონია, ჩემი გვარი რომ დავასახელო, ვინმეს მოეწონოს...

**— 2002 წელს რას უსურვებთ საქართველოს?**

— ყველას, კარგსაც და ცუდსაც (ისე, ასეთი დაყოფა მეტ-ნაკლებად პირობითია) ვულოცავ ახალ წელს, ვუსურვებ უყვარდეთ ერთმანეთი და იყვნენ გულღია და თამამნი თავისი გულის საუკეთესო ნაწილის გამოვლინებაში.

*...ვარსკვლავის გახსნაზე იყო უამრავი ემოცია, სიყვარული, ფეიერვერკი და ლიანა ისაკაძის განუმეორებელი ფრაზა — „თბილისელებო, მე თქვენ ფეხქვეშ გეფინებით!“*

*P.S. სტატია მინდა დავასრულო ამ იდეის ავტორისა და ორგანიზატორის — დავით ოქიტაშვილის სიტყვებით: „ხელოვანს სიცოცხლეშივე უნდა აუგო ძეგლი და მიუძღვნა ვარსკვლავიც და არა მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ!!“*

***ალექსანდრე ბერიძე***

# რა დგას გოჩა სისაურის გათავისუფლების უკან?

ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე სავარძელს გამოეთხოვა შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს უფროსი გოჩა სისაური. თუმცა რამდენად ასრულებდა ის თავის მოვალეობას, ამის წარმოსაჩენად პანკისის მაგალითიც იკმარებდა. ანტიკორუფციული საბჭოს წევრი გივი თარგამაძე კი მას ერთ-ერთ მთავარ ნარკობარონადაც კი მოიხსენიებს. ექსპერტების ცნობით, სამწუხაროდ, საქართველო უკვე ნარკოტრანზიტული გზაა და ამ ბიზნესის განვითარებით პირველ რიგში ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები არიან დაინტერესებულნი, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიციაზე.

**გივი თარგამაძე:** — აქამდე ეს თემა ტაბუდადებული იყო. თუმცა ნელ-ნელა იხსნება. ლაპარაკია იმაზე, რომ დერეფანი, რომელიც ხან აბრეშუმის გზა უნდა ყოფილიყო, ხან ნავთობსადენი, საბოლოოდ, ნარკოტიკების გამტარად იქცა. ცხადია, ეს ბიზნესი საქართველოში ფეხს იკიდებს უმაღლესი ხელისუფლების მხარდაჭერითა და მონდომებით. არ იქნება მართებული, ეს მხოლოდ პოლიციას დავაბრალოთ. მასში მონაწილეობენ თუნდაც რუსული სპეცსამსახურები თუ ამ ბიზნესის სხვა ქვეყნის წარმომადგენლები. სამზეოზე ჩანს მხოლოდ მოსკოვური ე.წ. „სოლნცევოს" ტიპის კრიმინალური დაჯგუფებების მოქმედებები, პრაქტიკულად კი სახელისუფლო აპარატი მუშაობს იმაზე, რომ ამ ბინძურმა ბიზნესმა ერთხელ და სამუდამოდ გაიდგას ფესვები ჩვენს ქვეყანაში. მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ საქმის ერთ-ერთი პიონერი (დაბალ დონეს ვგულისხმობ) გოჩა სისაური გახლავთ. ეს ადამიანი იყო იმ სტრუქტურის ხელმძღვანელი, რომელიც, წესით, უნდა ებრძოდეს ნარკომანიასა და ნარკოტიკების გავრცელებას, მაგრამ მან და ხელისუფლების მაღალჩინოსნების მთელმა ჯგუფმა მოახერხეს პირველ რიგში პანკისის ხეობის ტერიტორიაზე გაუკონტროლებელი და მხოლოდ მათ მიერ კონტროლირებადი ხელოვნური ანკლავის შექმნა. შემდეგ ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეების მეშვეობით მოახერხეს ნარკოტიკული ნედლეულის შემოტანის ორგანიზება, მასზე ზედამხედველობა და ჩემი ინფორმაციით, თუ ბოლომდე გამართული არა, ჩანასახოვან სტადიაზე მყოფი ნარკოტიკების გადამამუშავებელი ფაბრიკის შექმნა. საბოლოოდ, ნარკოტიკები მთლიანად თავს იყრის პანკისის ხეობაში, შემდეგ კი პოლიცია მთლიანად აკონტროლებს მის გავრცელებას როგორც საქართველოში, ასევე ტრანზიტს სხვა ქვეყნებისკენ. აქ რაიმე ეჭვზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან შეუძლებელია, სხვა სტრუქტურა აკონტროლებდეს ამას ყველაფერს თეორიულადაც კი! თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ კახეთში ნარკოტიკები უმეტესად პოლიციის განყოფილებებში იყიდება. ხშირ შემთხვევაში ასე ხდება სხვა რაიონებშიც. თბილისში ამ დანაშაულებრივმა ჯგუფმა ბარიგები და გამსაღებლებიც კი ჩამოიცილა გზიდან დაპატიმრებების, დაშინების, ზოგჯერ ფიზიკური ლიკვიდაციის გზით. პრაქტიკულად, ბოლო პერიოდში ერთ-ერთი მთავარი ნარკობარონი გახლდათ ბატონი სისაური.



„რეალურად ნარჩემაშვილი სისაურს ვერასოდეს გააკონტროლებდა"

**მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ საქმის ერთ-ერთი პიონერი (დაბალ დონეს ვგულისხმობ) გოჩა სისაური გახლავთ. ეს ადამიანი იყო იმ სტრუქტურის ხელმძღვანელი, რომელიც, წესით, უნდა ებრძოდეს ნარკომანიასა და ნარკოტიკების გავრცელებას, მაგრამ მან და ხელისუფლების მაღალჩინოსნების მთელმა ჯგუფმა მოახერხეს პირველ რიგში პანკისის ხეობის ტერიტორიაზე გაუკონტროლებელი და მხოლოდ მათ მიერ კონტროლირებადი ხელოვნური ანკლავის შექმნა.**

— **თქვენ უმაღლესი ხელისუფლების დანაშაულებრივი ჯგუფი ახსენეთ. სისაურის გარდა ვისი დასახელება შეგიძლიათ?**

— ამ ეტაპზე კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ მხოლოდ ერთადერთი მოსაზრებით: მინდა, რომ პოლიციის მაღალჩინოსნებს მოსვენება დაეკარგოთ, არ დავასახელებ იმიტომ, რომ თითოეულმა თავის თავზე მიიღოს.

— **როგორ ფიქრობთ, რატომ მოხსნეს გოჩა სისაური მაინცდამაინც ახალი წლის წინა დღეებში?**

— ვფიქრობ, ახალ მინისტრს თუ მართლა უნდა, რომ არა მხოლოდ რეფორმატორული იმიჯი ჰქონდეს, არამედ ნამდვილად რაღაც შეცვალოს პოლიციაში, მაშინ, უთუოდ სწორად მოიქცა. ეს საკადრო გადაადგილებები მთლიანობაში ამინდს ვერ შეცვლის, მაგრამ მაინც დადებით როლს ითამაშებს იმ თვალსაზრისით, რომ ვიღაცებს აღარ ეგონოთ, ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე მაღლა ვდგავართო. ეს საკადრო ცვლილებები მან უნდა გააგრძელოს და ამ სიაში სერიოზული გვარები უნდა მოხვდნენ. მეორე მხრივ, მაინც მგონია, რომ საკადრო ცვლილებებს თუ არ მოჰყვება რეალური დიდი რეფორმა, რომელზეც ამდენი წელია ლაპარაკობენ, მაშინ ამას აზრი არ ექნება და ნარჩემაშვილის იმიჯი ისევე დაეცემა, როგორც ჩემს „სახელოვან" მოგვარეს დაემართა.

— **თავად ნარჩემაშვილი სისაურის გათავისუფლების მოტივად სტრუქტრულ რეორგანიზაციას ასახელებს...**

— საქართველოში ხომ ყოველთვის ასე ხდება: მოტივი არ სახელდება. ინჯია თავის დროზე მოხსნეს მარტვილში სკამების დალეწვისთვის და არა იმისთვის, რომ მილიონები დაიტაცა, შემდეგ ამ მილიონებით მთელი ევროპა მოიარა. ანუ ეს ქართული ტრადიციაა. ეს ტრადიციები იმდენად მყარია, რომ მაგალითად, ბატონმა ანდრიაძემ ანტიკორუფციულ საბჭოს სრულიად სერიოზულად მისწერა შავით თეთრზე დაწერილი წერილი — ქართული ტრადიციების გათვალისწინებით, ხელისუფლების წარმომადგენლებს პრივილეგიები უნდა დავუტოვოთო. აი, ასე.

— **პანკისის ნარკოტიკების გადამამუშავებელი ქარხანა ახსენეთ. რა ინფორმაციებს ფლობთ მასზე?**

— ამ შემთხვევაში ვეყრდნობი ჩემს წყაროებს. რა თქმა უნდა, მათ ვერ დაგისახელებთ, რადგან მაშინ ეს ხალხი ვეფხია მარგოშვილის გზას გაუდგება. ისე, ერთმა ჟურნალისტმა მთხოვა, ამ ქარხნის სურათი ხომ არა გაქვსო... რა თქმა უნდა, არ მაქვს.

— **ითქვა ისიც, რომ გახმაურებულ ვიდეოკასეტაზე, სადაც მაღალჩინოსნები იმხილებოდნენ ნარკობიზნესში, ერთ-ერთი სისაურიც იყო...**

— ამბობენ. თუმცა ამ კასეტის არსებობაზე თავს ვერ დავდებ. იცით, რატომ? კასეტა, რომელიც არსებობს და არ არის გახმაურებული, მომაკვდინებელია, ხომ? ჯიბეში თუ გიდევს, პოტენციური გვამი ხარ. მაშინ რატომ არ უნდა გადასცე ტელევიზიას?! არ მესმის. ეს კასეტა ჯერჯერობით არ ჩანს. თუმცა, მას შემდეგ, რაც „რუსთავი-2"-ზე ამ კასეტაზე ჩხაიძემ ერთი ამბავი ატეხა, ვფიქრობ, რომ ეს კასეტა მართლა არსებობს.

— **სისაურის მოხსნით წერტილი დაესმება მაღალჩინოსნების კავშირს ნარკობიზნესთან?**

— სისაურებისა და მისნაირების პოვნა არის უადვილესი საქმე.

— **ფიქრობთ, რომ ნარჩემაშვილმა ნარკობიზნესს რეალურად გამოუცხადა ბრძოლა?**

— ჯერ ერთი, სისაური თარგამაძის გუნდის წევრია. მეორე ის, რომ ნარჩემაშვილი იმიჯზეც მუშაობს. მესამე, რეალურად ნარჩემაშვილი სისაურს ვერასდროს ვერ გააკონტროლებდა.

— **დაბეჯითებით შეგიძლიათ თქვათ, რომ საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანაა?**

— კი, უკვე შეგვიძლია ვთქვათ. გარდა ამისა, რამდენიმე თვეში ეს ტრანზიტი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მთლიანად გადმოინაცვლებს საქართველოში. ამისათვის კი პოლიცია და უშიშროება არათუ არაფერს აკეთებს, არამედ რეალურად მონაწილეობს ამ პროცესში.

„კვირის პალიტრა" შეეცადა, თავად გოჩა სისაურს დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. მან ინტერვიუზე უარი განაცხადა, თავისი სკამის დაკარგვა მხოლოდ და მხოლოდ პირადი განცხადებით ახსნა. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ შს ახალი მინისტრიც რაღაცას მალავს სისაურის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. თუმცა ამ საკითხზე კომენტარისგან სისაურისგან განსხვავებით, **კობა ნარჩემაშვილს** თავი არ შეუკავებია.

— **ბატონო კობა, 2001 წელი საკადრო ცვლილებებით დაასრულეთ, მაგრამ გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ მათ შორის საზოგადოებისთვის ყველაზე საყურადღებო იყო შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს უფროსის გოჩა სისაურის გათავისუფლება. რა იყო ამის მიზეზი?**

— შსს-ში მიმდინარეობს სტრუქტურული რეორგანიზაცია. საკადრო გადაადგილებებიც ამის საფუძველზე მოხდა. სისაურს ვესაუბრეთ. მან გაიზიარა ჩვენი მოსაზრებები და გამოთქვა თანამდებობის დატოვების სურვილი. მიგვაჩნია, რომ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო უნდა იქცეს სტრუქტურულად სხვაგვარად მოწყობილ დანაყოფად, რომელიც რეალურად შეებრძოლება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას. ეს საკადრო ცვლილებაც ამ მოტივაციით იყო განპირობებული.

— **ანუ მას პირადად კი არ დაუწერია განცხადება, არამედ თქვენი ინიციატივა იყო?**

— ჩვენგანაც გაცხადდა და მისი სურვილიც იყო. მოხდა დამთხვევა.

— **არაერთხელ ითქვა, რომ სისაური თავად იყო ჩართული ნარკობიზნესში. ამის თაობაზე რას იტყვით?**

— ასეთი ფაქტი ჩვენ არ მოგვეპოვება და მისი გათავისუფლება არ ყოფილა ამ მოტივით განპირობებული.

— **მას სხვა თანამდებობაზე უპირებთ გადაყვანას?**

— შეიძლება სისტემაში მოიძებნოს მისთვის შესაფერისი ადგილი.



— **სისაურის ნარკობიზნესთან კავშირზე რაიმე კონკრეტული ფაქტი არ მოგვეპოვებაო, ბრძანეთ. მაგრამ იმაზე მეტი ფაქტი რა გინდათ, რაც ხდება პანკისის ხეობაში? ალბათ თქვენც ვერ უარყოფთ იმას, რომ პანკისი დღესდღეობით ნარკობიზნესის კერაა...**

— გეთანხმებით... გეთანხმებით. მე არ უარვყოფ ამას, არც იმის მტკიცებას ვაპირებ, რომ ნარკობიზნესის სქემებში არ მონაწილეობს შსს-ს ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი თანამშრომელი და ეს არის სწორედ უბედურება. გულახდილად გითხრათ, ჩემთვის მიუღებელიცაა დეტალებზე საუბარი.

— **სამწუხაროდ, ჩვენში ტრადიცია დამკვიდრდა — როდესაც გარკვეულ პიროვნებას ათავისუფლებენ, მიზეზად ასახელებენ პირად განცხადებას, ნამდვილი მიზეზი ხშირად იფარება.**

— სისაურის გათავისუფლება მის დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული არ ყოფილა. მინდა გითხრათ, რომ ის მაღალი დონის პროფესიონალია.

— **და მიიჩნიეთ, რომ ეს მაღალი პროფესიონალი, რეორგანიზაციის შემდეგ ნარკომანიასთან ბრძოლას ვეღარ შეძლებდა?**

— მივიჩნიეთ, რომ მისი სხვა სფეროში გამოყენებაც შეიძლება.

— **რას იტყვით გახმაურებულ ვიდეოკასეტასთან დაკავშირებით, არაერთხელ ითქვა, რომ ამ კასეტაზე მაღალჩინოსნები იმხილებიან ნარკობიზნესში და მათ შორის სისაურის გვარიც დასახელდა. თუ მოგეპოვებათ ეს ვიდეოკასეტა?**

— ამ კასეტაზე საუბარს ბოლო უნდა მოეღოს. ვიცი, რამდენიმე პიროვნება აცხადებს, — ხელთ გვაქვსო. თუკი მართლა აქვთ, პროკურატურა დიდი ხანია ელოდება მის წარდგენას. მე, პირადად მართლა ვარ დაინტერესებული, რომ ეს კასეტა გამოჩნდეს. პროკურატურაც ელოდება, რომ ჩატარდეს ამ ვიდეოკასეტის ექსპერტიზა და ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს.

— **გარდა ამისა, არაერთხელ თქმულა, პანკისში ნარკოტიკების გადამამუშავებელი ქარხანააო...**

— არ არის მართალი. არანაირი გადასამუშავებელი ქარხანა პანკისში არ არსებობს.

— **ეს გადამოწმებული გაქვთ და სრული პასუხისმგებლობით აცხადებთ?**

— დიახ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ნარკოტიკის გადამუშავებას სჭირდება ტექნოლოგიური ციკლი, რაც პანკისში ვერ მოხერხდება. თუ დაფასოების ადგილს ეძახიან ქარხანას, ეს უკვე სხვაა...

ამ პრობლემის მოგვარებაზე ქვეყანამ უნდა იზრუნოს, რაც, დამერწმუნეთ, მართლა ძალიან ძნელია იმიტომ, რომ საგარეო პოლიტიკას უკავშირდება. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა იქ კიდევ ერთი ცხელი წერტილი არ მივიღოთ. დასახლება საკმაოდ კომპაქტურია, რაც შეიარაღებული ოპერაციის ჩატარებას ართულებს. ფაქტია, ეს პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ და სხვა ალტერნატივა არ გვაქვს.

— **თემიდან გადავუხვევ და გეტყვით, რატომ ხდება, რომ მძევლის გათავისუფლების შემდეგ არც ერთი გამტაცებელი არ ისჯება?**

— გეთანხმებით. ესეც ძალიან ძნელი თემაა. თუმცა გაგიმხელთ, რომ ასეთი გამტაცებლების ვინაობა 90%-ით ცნობილია. იყო მკვდარი პერიოდი, როცა არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა. ახლა უკვე საქმე დაიძრა. ჩვენ უსათუოდ უნდა ვამცნოთ საზოგადოებას მათი ვინაობა. ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა ეს რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს.

— **ის მაინც მითხარით, რამდენი მსხვილი ნარკობარიგაა პანკისში?**

— არც ისე ცოტა... ათეულზე მეტი.

— **თქვენ მეუბნებით, ინტენსიური ბრძოლა მიმდინარეობსო. სხვათა შორის, კახა თარგამაძეც ამას ამბობდა. თუ ინტენსიური ბრძოლა მიმდინარეობს, შედეგი რატომ არ ჩანს?**

— გულახდილად ვიტყვი, რომ დღეს საქართველოში უკვე იკლო ჰეროინმა, რაც სწორედ მუშაობის შედეგია. შეგიძლიათ გაიკითხოთ კიდეც და დარწმუნდებით, რომ სიმართლეს გეუბნებით. ისე, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ამის თქმა, საქართველოში ყოველთვის დარჩება ნარკოტიკი მოხმარებისთვის.

*მარინა მამისაშვილი*




ჟურნალი თქვენთვის!

# „ჩვენი ელექტორატი არასოდეს გადავა შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილის მხარეზე..."

## „არგენტინაში ცარიელი ქვაბებით და ტაფებით გამოსულმა ხალხმა წალეკა მთელი პოლიტიკური ელიტა..."

*როგორც ჩანს, ახალი წელი ბევრ პოლიტიკურ სიახლესა და სიურპრიზსაც გვპირდება, რადგან პოლიტიკური ვნებები ვერც წინასაახალწლო განწყობამ ჩაახშო. პოლიტიკური სპექტრი რაღაც ახლის და გრანდიოზულის მოლოდინშია, განსაკუთრებით საინტერესო ვითარებაა ოპოზიციურ ფრონტზე, რომლის რიგებშიც გადანაცვლებული მიხეილ სააკაშვილი ძველი ოპოზიციონერებისთვის სერიოზულ კონკურენტად იქცა, რამაც, როგორც ამბობენ, ძალიან*



**პატარკაციშვილს აუცილებლად გაუჩნდება პოლიტიკური ინტერესები. ან თავად გამოჩნდება, ან კიდევ თავის მიერ შერჩეულ პოლიტიკურ ძალას გაქაჩავს წინ.**

*გაანაწყენა რეიტინგების ძველი ლიდერი —* ***შალვა ნათელაშვილი****. ჭორის აყოლას მთავარ ლეიბორისტთან გასაუბრება ვარჩიეთ.*

**— ბ-ნო შალვა, ახალ წელს როგორ შეხვდით?**

— ტრადიციულად, მამა-პაპის ადგილზე, ბაზალეთში. სანთლები დავანთეთ, პირჯვარი გადავიწერეთ, ბაზალეთის წმინდა გიორგი ვახსენეთ. სასიამოვნო ის იყო, რომ ბავშვებმა გამართეს საახალწლო თეატრალური წარმოდგენა. მთლიანად ქვეყნის მასშტაბით კი ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ხალხი ცარიელ სუფრაზე შეხვედროდა ახალ წელს. სამაგიეროდ, თავად ხვავიან-ბარაქიან სუფრებზე და 5 ვარსკვლავიან სასტუმროებში ზეიმობდნენ, ბიუჯეტიდან წაღებული ფულებით.

**— საბავშვო წარმოდგენა პოლიტიკური შინაარსის ხომ არ ყოფილა?**

— წარმოდგენა ბაყბაყდევსაც ეხებოდა, რომლის კლასიკური განსახიერება გახლავთ ჩვენი ხელისუფლება.

**— დევის როლში ვინ იყო?**

— პერსონაჟი არ ჰყოლიათ, ლექსები თქვეს ბაყბაყდევზე. ჩემი ბავშვები, ჩემი არ იყოს, ძალიან გამხდრები არიან და დევებად არ გამოდგებიან.

**— ბ-ნო შალვა, შეგიძლიათ, წინასაახალწლოდ გამოქვეყნებულ რეიტინგებს გაუნაწყენებიხართ.**

— ჩვენი რეიტინგი მაღალია. ლეიბორისტებს ქვეყნის გადარჩენის იდეა აწუხებთ და არ არიან ერთმანეთთან მატერიალური ინტერესით დაკავშირებულნი. ამიტომ სად ჩაგვწერენ ე.წ. რეიტინგებში, ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ უბრალოდ განვაცხადეთ, რომ არჩევნების გაყალბების პროცესი უკვე იწყება. ეს დაქირავებული ე.წ. სოციოლოგიური სამსახურები წერენ რაღაც სისულელეებს და მერე, როცა წინასწარი სქემით გაყალბდება არჩევნები, იტყვიან, — სოციოლოგიური გამოკითხვა ამ შედეგებზე 2 წლის წინ მიუთითებდაო. ჩვენ ამაზე ამოვიღეთ ხმა. ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს და არა ოჯახურ-კლანურ-კრიმინალურ გაერთიანებებს, რომლებიც სისხლს წოვენ თავის ხალხს (თუმც ხალხს არც თვლიან თავისად).

**— ექსპერტები კი აცხადებენ, ლეიბორისტების ელექტორატი სააკაშვილმა წაიყვანაო.**

— ჩვენი ელექტორატი არასოდეს გადავა შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილის მხარეს. ამ სამეულმა დააქცია ქვეყანა, ახლა კი როლები გაინაწილეს და თქვეს — შევარდნაძემ იპრეზიდენტოს, ჟვანია ზომიერი ოპოზიციონერი იყოს, სააკაშვილმა ქუჩა-ქუჩა ირბინოს და მომავალ არჩევნებში ისევ გადავინაწილოთ ხელისუფლებაო. მათ გათვლებს 3 კლასის განათლების მქონე ქართველიც მიხვდება. ასე რომ, ჩვენი ელექტორატი არავის წაუყვანია.

**— ე.ი. თვლით, რომ შევარდნაძე, სააკაშვილი და ჟვანია ისევ ერთად არიან?**

— მათ ერთად აკიდეს ქვეყანას 2,5 მილიარდი დოლარი ვალი, ერთად ხომ დაანგრიეს სოციალური ინფრასტრუქტურები, განათლების სისტემა, მეცნიერება, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა და საგადასახადო სივრცე. ერთად ხომ გაყიდეს თელასი, მთელი ენერგეტიკა. ხომ მათმა ნათესავებმა ჩაიგდეს ხელში ყველა სფერო, სადაც ფული კეთდება... და შეიძლება იმ პოლიტიკურმა ჯგუფმა, იმ ადამიანებმა, რომელთაც საერთო პასუხისმგებლობა და ფინანსურ-ქონებრივი ინტერესები ამოძრავებთ, გულით იჩხუბონ?

**— მაგრამ პრეზიდენტმა საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა.**

— ეს არის შევარდნაძის სტილი, რომელიც მთელმა მსოფლიომ იცის. ვისაც უცინის, ის დაღუპულია, ხოლო ვისაც აკრიტიკებს და ეჩხუბება, სწორედ ის არის მისი ორგანული ნაწილი.

**— ბ-ნო შალვა, თქვენ და მიშა სააკაშვილს ბოლო დროს ძალიან გამსგავსებენ, იდეები დაახლოებით ერთნაირი აქვთო.**

— არ ვიცი. ეს ან გადაჭარბებული კრიტიკაა ან კომპლიმენტი. მაგ პიროვნებას რომ ვმგვანებოდი, ქვეყნის ნგრევის წლებში შევარდნაძის გვერდით უნდა ვმდგარიყავი, უნდა ვყოფილიყავი მმართველი ფრაქციის ლიდერი და გამეტარებინა პოლიტიკა, რომელმაც ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა. შეურაცხყოფად აღვიქვამ შევარდნაძის გამოზრდილ წიწილებთან ჩემს მსგავსებას. თუ ვინმეს სურს ამით კომპლიმენტი გამიკეთოს, არ მინდა, თავისთვის დაიტოვოს.

რაც შეეხება იდეების მსგავსებას... მათი უცხოელი იმიჯმეიკერები, რომლებიც მილიონებს დებენ მათ გაზრდა-დაფრთიანებაში, მეტს რას აკეთებენ? სწავლობენ პრობლემებს, რა აინტერესებს, რა აწუხებს ხალხს, რა თქვა ლეიბორისტულმა პარტიამ და ეუბნებიან, — ხალხს ამ ენით ელაპარაკეთო. ეს ელემენტარული პოლიტიკური ტექნოლოგიაა, რომელიც მოზამბიკსა და ბანგლადეშშიც კარგად შეისწავლეს და ესენი ვერ ისწავლიდნენ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში სხედან?

**— ჩვენმა მკითხველმა წლის ადამიანად ბადრი პატარკაციშვილი დაასახელა. რა უნდა იყოს მისი პოპულარობის მიზეზი?**

— ყველა ოლიგარქი, რომელმაც დიდი ფული სოციალიზმის ნგრევისა და ე.წ. ველური კაპიტალიზმის პირობებში იშოვა, ჩემთვის ერთნაირად მიუღებელია, მაგრამ იმის გამო, რომ ამ კაცმა ფული საქართველოს გარეთ იშოვა და არა საქართველოს ბიუჯეტიდან, აქ მიღებული კრედიტებიდან და გრანტებიდან და ამ ფულს აქ აბანდებს, ვერ გავლანძღავ. პატარკაციშვილი ჩემთვის უფრო მისაღებია, ვიდრე ის ადგილობრივი ოლიგარქები, რომლებიც ოჯახებში შემოგვიცვივდნენ.

პატარკაციშვილს აუცილებლად გაუჩნდება პოლიტიკური ინტერესები. ან თავად გამოჩნდება, ან კიდევ თავის მიერ შერჩეულ პოლიტიკურ ძალას გაქაჩავს წინ. ხალხს ერთს ვეტყვი, — სანამ ხელისუფლებაში მდიდრები არიან, მოსახლეობას არაფერი ეშველება. მდიდარი საკუთარ ქონებას გაუწევს ლობირებას და მე-10 ადგილზე გაახსენდება გაჭირვებული ადამიანები. ამ 10 წლის მანძილზე მემარჯვენე პარტიებმა და მილიონერებმა გვმართეს. კიდევ კარგი, მონათვაჭრობა აკრძალულია, თორემ დუბაის, სტამბოლისა და ისპაჰანის ბაზრებში წაასხამდნენ ხალხს. ამიტომ უნდა დამთავრდეს მათი ბატონობა. ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს ხალხის ინტერესების დამცველი პოლიტიკური ძალა, რომელიც გააკონტროლებს ამ მდიდრებს, ქონების მფლობელებს და ისეთ გადასახადს დაუკანონებს, რომელიც ბიუჯეტს შეავსებს და არა მხოლოდ მათ ოჯახებს.

პრეზიდენტს, პარლამენტს და მთავრობას ვურჩევდი ახლავე, იანვარ-თებერვალში მიიღონ საკონსტიტუციო ცვლილება, შეზღუდონ პრეზიდენტის უფლებები, შემოიღონ მინისტრთა კაბინეტი, ორპალატიანი 50-50-დეპუტატიანი პარლამენტი, დაუყოვნებლივ ჩაატარონ ადგილობრივი, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, წინააღმდეგ შემთხვევაში... ხომ ხედავთ არგენტინაში 2 კვირაში 5 პრეზიდენტი შეიცვალა. გამოვიდა ხალხი ცარიელი ქვაბებით, ტაფებით და მთელი პოლიტიკური ელიტა წალეკა. უარესი მდგომარეობაა საქართველოში, აქ მოსახლეობის 80% შიმშილობს, არავითარი 3 და 2 წელი აღარ არის ლიმიტში.

**— მაგრამ, როდესაც ამ საკითხზე პარლამენტის თავმჯდომარესთან მქონდა საუბარი, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, მეეჭვება პარლამენტში მოგროვდეს 157 დეპუტატი, რომელიც უფლებამოსილებას ნებაყოფლობით შეიწყვეტსო.**

— თუ ეს ხმები პარლამენტში ვერ მოგროვდება, ხალხი მოგროვდება პარლამენტთან, როგორც შარშან, ოქტომბერ-ნოემბერში. ამ პირობებში ხალხს აღარ გააჩნია არანაირი მატერიალური და ფსიქოლოგიური დათმენის საშუალება.

**— ბ-ნო შალვა, საშობაოდ რას გვეტყოდით?**

— სუსტი თამადა ვარ, მაგრამ იმას ვიტყვი, რაც წინაპრებისაგან გამიგონია — დაილოცოს ქალი და კაცი, დაილოცოს მთა და ბარი, დაილოცოს ცხვარი და ძროხა, დაილოცოს ქვეყანა, გამრავლდით...

***იზო რკაძე***

# ნათელაშვილი პროკურატურის ყოფილი პარტკომია



*თუ დავუშვებთ, რომ პოლიტიკოსის პოპულარობა საქართველოს პრეზიდენტის კრიტიკის ადეკვატურია, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს* ***მიხეილ სააკაშვილის*** *ლიდერობა სხვადასხვა სოციოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში. შევარდნაძემ რამდენჯერმე ირონიულად გაკენწლა სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა, ისიც განაცხადა — მიშა პრეზიდენტი ვერ გახდებაო, მაგრამ პრეზიდენტის კრიტიკა ახალი ოპოზიციონერისთვის ანტირეკლამად ვერ იქცა. „კვირის პალიტრის" მკითხველმაც რეიტინგში „წლის ადამიანი" მიხეილ სააკაშვილს ერთ-ერთი საპრიზო ადგილი არგუნა. გთავაზობთ ინტერვიუს ნაციონალური მოძრაობის ლიდერთან:*

**— ბატონო მიშა, ახალი წელი სანტა-კლაუსმა მოგილოცათ, დედ მოროზმა თუ ქართველმა თოვლის ბაბუამ?**

— არც ერთი ამ სუბიექტთაგანი ჩემი სახლის ზღურბლზე არ გამოჩენილა. ტრადიციად გვაქვს ოჯახში — ყველა თაობა ერთად ვხვდებით ახალ წელს. შარშან ჩემი შვილი დიდ ბებიასთან ერთად შეხვდა ახალ წელს. ბებიაჩემის დედა — თამარ აბაშიძე, სამწუხაროდ, წელს გარდაიცვალა და ვეღარ მოხერხდა 5 თაობის შეხვედრა. თან ჩემი შვილიც არ იყო აქ, ჰოლანდიაში წავიდა საშობაოდ. ასე რომ, დედაჩემთან ერთად აღმოვჩნდი საახალწლო სუფრასთან.

**— წლეულს, ცხენის წელს, რას გიწინასწარმეტყველებთ ჰოროსკოპი?**

— ჰოროსკოპებისა დიდად არ მჯერა.

**— რამდენადაც ვიცი, ამერიკელი პოლიტიკოსები და პრეზიდენტებიც კი თურმე ჰოროსკოპებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ...**

— *(იცინის)* ჯერ ერთი, ამერიკელი არ ვარ და მეორე — არც პრეზიდენტი გახლავართ. ჰოროსკოპს მნიშვნელობა არა აქვს, უფრო საკუთარი ძალების მჯერა.

**— რას ელით ამ წლისგან?**

— წლევანდელი წელი გადამწყვეტი იქნება — გაიმართება გადამწყვეტი ბრძოლა წარსულის ძალებსა და მათ შორის, რომელთაც უნდათ საქართველო თანამედროვე რელსებზე გადაიყვანონ. ორი მენტალიტეტი, ორი კონცეფცია არსებობს: პირველი განხორციელდა უკრაინაში, მოლდოვასა და რუსეთში. ამ სახელმწიფოებში შეიქმნა ოლიგარქიული სტრუქტურები, დაჯგუფებები, რომლებმაც პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების, მასმედიისა და ადამიანთა გონების მონოპოლიზაცია მოახდინეს და მოპარული ფული გაძარცულივე ხალხის გასაბრიყვებლად გამოიყენეს. მეორე კონცეფცია ისეთ განვითარებას გულისხმობს, როგორიც აირჩიეს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა და, საერთოდ, ყველა ნორმალურმა ქვეყანამ, სადაც არის კონკურენცია, თავისუფლება ეკონომიკაში, პრესაში, პოლიტიკაში და ამით ხდება ეროვნული ენერგიის საუკეთესო ნაწილის რეალიზაცია.

როგორც ჩანს, პრეზიდენტი შევარდნაძე მხარს პირველ კონცეფციას დაუჭერს, რადგან ეს საშუალებას მისცემს ფორმალურად შეინარჩუნოს პრეზიდენტობა. საქართველოს, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ არ ჰყავს ხელისუფლება. იგი ვერ აკონტროლებს არა მარტო თავისი ქვეყნის მთლიან ტერიტორიას, არამედ სიღრმისეულ პროცესებსაც. აქედან გამომდინარე, წელს საზოგადოების როლიც გამოსაკვეთი იქნება — უნდა დაიწყოს საზოგადოების გააქტიურება ყველა დონეზე.

**— პრეზიდენტმა პრესასთან შეხვედრისას განაცხადა, ნაციონალური მოძრაობა 80-იან წლებში იყო და ზოგიერთ პოლიტიკოსს ვერ გაუგია, მისი არსიო.**

— სხვათა შორის, 1989 წელსა და დღევანდელობას შორის ბევრი პარალელი არსებობს. მაშინ კომუნისტურ ნომენკლატურას ვებრძოდით და ის, რაც შევარდნაძემ საქართველოში აღადგინა, სწორედ კომუნისტური ნომენკლატურის ოდნავ სახეშეცვლილი ფორმაა. 1991 წლის შემდეგ, ქვეყანაში კომუნისტური ნომენკლატურამ რევანში აიღო. ნახეთ, ვინ ზის სახელმწიფო კანცელარიაში? დღეს ბევრი იმავე კაბინეტშია, სადაც ცკ-ის დროს იჯდა. განსხვავებულ აზრს დღესაც ისევე ებრძვიან, როგორც 80-იან წლებში. მეთოდები არ გამოცვლილა.

ჩვენმა თანამოაზრეებმა სტუდენტებმა მიამბეს, როდესაც პრეზიდენტი უნივერსიტეტში მისულა, ეზო სტუდენტებისგან გაუწმენდიათ და იქ გადაცმული პოლიციელები ჩაუყენებიათ. ერთ-ერთი პოლიციელი გურჯაანის პოლიციის უფროსის მოადგილე, დაახლოებით 55 წლის კაცი გაიძახოდა, სტუდენტი ვარ და არ დავუშვებ, რომ სააკაშვილი უნივერსიტეტში მოვიდესო. ეს ყველაფერი ვიდეოფირზეა აღბეჭდილი. თუკი რაიმე პარალელია გასავლები 80-იან წლებთან, ისევ ხელისუფლების მოქმედებებს უნდა გადავავლოთ თვალი. კვლავინდებურად დგას საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკითხი. დღეს საქართველოს საზღვრები მორღვეულია და, ფაქტობრივად, არც გვაქვს სახელმწიფო. იმის ნაცვლად, რომ ეთნიკურად არაქართველები გაგვექართველებინა, მოხდა ისე, რომ ეთნიკური ქართველების დიდმა ნაწილმა თავისი ქვეყანა დატოვა.

ნაქურდალი რომ უნდა დაბრუნდეს, ეს ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის მთავარი პრინციპია, ისევე როგორც პრინციპი, რომ ხელისუფლება ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. დღეს საქართველოში კლასიკური ტიპის პარტიებზე ლაპარაკი ზედმეტია. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ქართულ მოძრაობაზე, რომელიც ყველა სხვადასხვა მიმდინარეობის სახეს გააერთიანებს.

ეროვნულ მოძრაობაზე არ უნდა ლაპარაკობდეს კაცი, რომელიც 30 წელია მართავს სახელმწიფოს და მართავდა მას უმძიმესი რეპრესიების წლებშიც. გამოიკვეთა ისეთი ტენდენციაც, თითქოს საქართველოს არ მოუპოვებია დამოუკიდებლობა და ის პოლიტბიუროს რამდენიმე წევრმა გვაჩუქა. ასე არ ყოფილა, საქართველომ ბრძოლით მოიპოვა დამოუკიდებლობა. საბჭოთა იმპერიის დაშლას ბოლომდე უწევდა წინააღმდეგობას ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობა, მათ შორის — საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტიც. მოპოვებული დამოუკიდებლობა ქართველმა ხალხმა დაიმსახურა ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად. ამ მხრივ გამოვირჩევით შუა აზიის ხალხისაგან, რომლებმაც დღემდე ვერ გაიგეს, რატომ არიან დამოუკიდებლები. აი, სწორედ ამიტომაც არ უნდა იყოს ეროვნული მოძრაობა ცეკას ყოფილი პირველი მდივნის განსასჯელი. ისე, მართლაც უცნაურია პრეზიდენტის ასეთი გადამეტებული ყურადღება ჩვენი მოძრაობისადმი. საკვირველია, ზოგიერთი ე. წ. ოპოზიციონერი ბოლო ხუთი წლის მანძილზე არ გამოსულა იმდენჯერ ტელევიზიით, რამდენჯერაც ბოლო ორი-სამი თვის განმავლობაში. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ველანძღეთ.

**— რომელ ოპოზიციონერებს გულისხმობთ?**

— ყველას: პატიაშვილის შემადგენლობა, ნათელაშვილს, სხვადასხვა ზვიადისტურ დაჯგუფებას. ლამის ქუჩიდან მოიყვანონ ხალხი ჩვენ საღანძღავად.

**— სხვათა შორის, პრეზიდენტმა ის პოპულისტებს მოიხსენია, რომლებიც ქულებს მისი ლანძღვით იწერენ.**

— პრეზიდენტს არავინ ლანძღავს. ის, რასაც ესეი პოპულიზმს უწოდებენ, არის ხალხის სურვილი. პრეზიდენტი აცხადებს, დიდი სახლების აშენება ქართული კულტურის ნაწილიაო. რატომღაც ქართული კულტურის უმაღლეს გამოხატულებად საირმის გორა მიაჩნიათ. ყოველივე ამის წინააღმდეგ ხმის ამოღებაა პოპულიზმი? ეს არის ელემენტარულ ეროვნულ ღირსებაზე ზრუნვა და თავმოყვარეობის გამოხატულება.

პრეზიდენტი ძალიან დაშორდა ხალხს, ინტელიგენციას. არ ვგულისხმობ ორ-სამ ე.წ. კარის ინტელიგენტს. იმ ხალხზე მოგახსენებთ, რომლებიც ჩვენს ინტელექტუალურ ელიტას შეადგენენ. ჩვენი მთავრობა იმდენად გაიხრწნა, რომ ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ერთ მინისტრს უთხრა — მე და შენ სხვადასხვა წონის ვართო და წონაში ფულის წონა იგულისხმა. იქ, სადაც ადამიანის წონა ფულით იზომება, კულტურას და განათლებას ადგილი არ აქვს.

რატომღაც ქართული კულტურის უმაღლეს გამოხატულებად, საირმის გორა მიაჩნიათ. ყოველივე ამის წინაღმდეგ ხმის ამოღებაა პოპულიზმი?

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ნათელაშვილიც დაგპირისპირებიათ?**

— არ მინდა შალვა ნათელაშვილს ვეკამათო. ის პროკურატურის ყოფილი პარტკომია. პოლიტიკაში შევარდნაძემ მოიყვანა. ასე რომ, ცოტა უხერხულია მან ჩემზე თქვას რამე. სხვათა შორის, შევთავაზე, ერთად დავდგეთ და ერთი საქმე გავაკეთოთ-მეთქი. ოპოზიცია მაშინ არის ფასეული, როცა ერთიანია. არ შეიძლება ერთმანეთის გაუთავებელი ლანძღვა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე არის არსებული ხელისუფლება, პრეზიდენტი და მინისტრები. ნაციონალური მოძრაობა არ არის მხოლოდ სააკაშვილის მოძრაობა, აქ ყველასთვის არის ადგილი. ჩვენი აქტიური წევრები არიან — ლევან ბერძენიშვილი, რეზო შავიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, გია ბარამიძე და სხვები. ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობს ზვიად ძიძიგური.

**(გაგრძელება იხ. გვ.14)**

# „როგორც კი სამინისტროს მორიგემ გაიგო, რომ ავტოინსპექციის უფროსი გაკოჭილი მივიყვანეთ, მაშინვე აცნობა ხელმძღვანელობას“

## „კაცისკვლით მიღებული ოფიცრობა სულაც არ მინდოდა...“

ის იყო სერჟანტმა ჯემალ გელაშვილმა ხაშურის ტრანსპორტის პოლიციის უფროსის, ბადრი ტაბატაძის კაბინეტის კარი შეაღო, რომ მოულოდნელად თავს რამდენიმე ჯანმაგარი თანამშრომელი დაესხა. სანამ გაოგნებული პოლიციელი გონს მოვიდოდა, კოლეგებმა იგი გათოკეს და იატაკზე დააგდეს. ერთ-ერთმა ზემოდან ფეხიც დააჭირა და უფროსს თავმომწონედ შეხედა შექების მოლოდინში.
პოლიციის უფროსმა სასწრაფოდ შეკრიბა ოპერატიული ჯგუფი და ისინი თავისი ყოფილი ხელქვეითის სახლის გასაჩხრეკად გაუშვა. ოპერატიულმა ჯგუფმა რამდენიმესაათიანი „გულმოდგინე ჩხრეკის“ შედეგად, ტახტში ერთი გრამი ე.წ. „ჩეკი“, ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმი“ აღმოაჩინა. ნარკოტიკის ეს რაოდენობა საკმარისი შეიქნა, რომ ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი პოლიციელის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო. მოგვიანებით კი ხაშურის საქალაქო სასამართლომ მას ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ეს ამბავი ერთმა „კარენოი“ ხაშურელმა (ასე უწოდებს თავის თავს) გვიამბო და როგორც ამბობს, მთელმა თუ არა, ნახევარმა ქალაქმა მაინც იცისო.



ჯემალ გელაშვილმა ტრაგიკული შემთხვევის ადგილზე ფოტოკორესპონდენტის თხოვნით საბრძოლო პოზიცია მიიღო

თითქოს ყველაფერი კანონიერად მოხდა. მხოლოდ ის თუ გაგიკვირდება კაცს, როგორ გასწირა უფროსობამ ნარკოტიკების რეალიზატორი პოლიციელი. დღეს საქართველოში ხომ თვითონ პოლიცია მოიაზრება ნარკობიზნესის მფარველად და ხელშემწყობად?! მაგრამ თუ ყოფილი პოლიციელის, ჯემალ გელაშვილის საქმეს კაცი კარგად შეისწავლის, ცოტა სხვა სურათი დაიხატება.

ეს ისტორია 1993 წლის დეკემბერში დაიწყო. იმ სუსხიანი ზამთრის დღეს ხაშურის რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში მთვრალი მამაკაცი მიბარბაცდა ცნობათა ბიუროს ჯიხურთან. თანამშრომელ ახალგაზრდა ქალს მუქარით გაალებინა კარი და მის გაუპატიურებას შეეცადა. ქალის და მგზავრების კივილზე რკინიგზის სადგურის მორიგე პოლიციელები მოცვივდნენ და მთვრალი მამაკაცის დაშოშმინებას შეეცადნენ. ყველასათვის მოულოდნელად უცნობმა ჯიბიდან იარაღი ამოიღო და პოლიციის თანამშრომელი, უმცროსი ინსპექტორი ულუმბეგაშვილი ადგილზევე მოკლა, მეორე პოლიციელი გოგალაძე იარაღის მუქარით მოსაცდელი დარბაზის იატაკზე დააგდო და წიხლებით შედგა. შეშინებული ხალხი წივილ-კივილით გარბოდა მოსაცდელი დარბაზიდან. სწორედ ამ დროს სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მორიგეობდა რკინიგზის პოლიციის სერჟანტი ჯემალ გელაშვილი, რომელიც იარაღმომართული შევარდა რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში...

**ჯემალ გელაშვილი:** „დავინახე, რომ ჩემთვის უცნობ პიროვნებას პოლიციელი გოგალაძე წაექცია, რევოლვერი „მაკაროვი“ კეფაზე მიებჯინა და სროლას აპირებდა. შორიახლო მეორე პოლიციელი ეგდო, რომელიც სისხლში ცურავდა. სასწრაფოდ ამოვეფარე მოსაცდელი დარბაზის ერთ-ერთ სვეტს და უცნობს დავუმიზნე იმ ხელში, რომელშიც რევოლვერი ჰქონდა და გაუფრთხილებლად ვესროლე. ტყვიამ ხელის მტევანი გაუხვრიტა, მაგრამ უცნობმა რევოლვერი მეორე ხელში გადაიტანა და მესროლა. ტყვიამ სვეტის კუთხე ჩამოანგრია და რიკოშეტით კედელს მოხვდა. შემდეგ ისევ მე ვესროლე ზედიზედ ორჯერ — პირველი ტყვია გულმკერდის არეში, ხოლო მეორე — ფერდში მოხვდა. უცნობი მამაკაცი მიღებული ჭრილობებისგან ადგილზევე გარდაიცვალა...“

შემთხვევის ადგილზე ხაშურის სამართალდამცავი სტრუქტურების სრულმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც იქვე ადგენს, რომ მოკლული უცნობი ქალაქ ხაშურის რაიონული პოლიციის კაპიტანია. საგამოძიებო ჯგუფმა ისიც დაადგინა, რომ ჯემალ გელაშვილის გატარებული ღონისძიება მართლზომიერი იყო და იგი კანონიერად მოქმედებდა. ამის გამო ტრანსპორტის მილიციის მთავარი სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა აწ გარდაცვლილმა გენერალმა გია გულუამ სერჟანტი გელაშვილი ოფიცრის ჩინზე წარადგინა და სოლიდური ფულადი პრემიითაც დააჯილდოვა.

„კაცისკვლით მიღებული ოფიცრობა სულაც არ მინდოდა. იმასაც ვფიქრობდი, მე რომ ოფიცრის სამხრეები დავიკერო, ამით მოკლული კაპიტნის ოჯახს კიდევ უფრო გავაღიზიანებ-მეთქი. რაც შეეხება ფულად ჯილდოს, ის ფული კაპიტნის მიერ მოკლული უმცროსი ინსპექტორის, ულუმბეგაშვილის ობლებს გავუგზავნე“.

ამასობაში მოკლული პოლიციელის ახლობლები ვერ ისვენებდნენ და თურმე შურისძიებასაც ცდილობდნენ. პროკურორი **ვახტანგ ბეჟუაშვილი:** „მოკლულის სიმამრს ვუთხარი, მე რომ ჯემალ გელაშვილი გავაგდო პოლიციიდან, ხვალ მე დამითხოვენ პროკურატურის რიგებიდან, რადგან ეს კაცი ცამდე მართალია, თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა და სჯობია თავი გაანებოთ-მეთქი“.

**ჯემალ გელაშვილი:** „ვის არ შესთავაზა მოკლულის სიმამრმა ხუთი ათასი დოლარი: პროკურორს, მოსამართლეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, არადა ძალიან უნდოდა, რომ პოლიციის რიგები დამეტოვებინა, — ასეთ შემთხვევაში ხომ უბრალო მოქალაქის მოკვლა უფრო გაუადვილდებოდათ, ვიდრე ორგანოს თანამშრომლის“.

> „როცა სოსო დურგლიშვილის ხელმძღვანელობით ჯემალ გელაშვილის სახლში მივედით გასაჩხრეკად, ღამის ორი საათი იყო. შუქი არ იყო და ამიტომაც ფარნის შუქზე აპირებდნენ ჩხრეკის დაწყებას. ჯემალ გელაშვილის მეუღლე მამალი ქალია და პოლიციელებს უთხრა, მე თქვენ არ გენდობით, სანამ ჩხრეკას დაიწყებდეთ, მე გაგჩხრეკთ, იქნებ თქვენ გაქვთ ჯიბეში ნარკოტიკი, რომელსაც თქვენ თვითონ დადებთ სადმეო.“

რადგან მოკლული კაპიტნის ახლობლები ჯემალ გელაშვილზე შურისძიებით იმუქრებოდნენ, გენერალმა გულუამ გელაშვილს თურმე ტაბელური იარაღის მუდმივად ტარების უფლება მისცა და შესაბამისი ბრძანებაც გამოსცა ამის შესახებ...

გავიდა ხანი. თითქოს ყველაფერი დავიწყებას მიეცა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1995 წელს ხაშურის ტრანსპორტის პოლიციის უფროსად ბადრი ტაბატაძე დაინიშნა, ყველაფერი შეიცვალა. ახალმა უფროსმა რატომღაც ცუდად დაადგა თვალი ჯემალ გელაშვილს. ამასთან, ხაშურში ხმა გავარდა, გელაშვილი ნარკოტიკებით ვაჭრობსო.

ხაშურის რაიონის უშიშროების მაშინდელი უფროსის მოადგილე, ამჟამად გადამდგარი პოლკოვნიკი **ირაკლი ღონღაძე** იხსენებს: „ერთ დღეს ჩემთან აღელვებული გელაშვილი მოვიდა და მითხრა, ახალ უფროსთან, ბადრი ტაბატაძესთან, რომელსაც ოპერატიული მუშაობის არაფერი გაეგება და მთელი სიცოცხლე თბილისის რკინიგზის სამმართველოში საწყობში მუშაობდა, უთანხმოება მაქვს. ჩემზე რაღაც ცუდი ხმები დადის ქალაქში. მგონი ამას ტაბატაძე აკეთებს... ეჭვი მაქვს, მოკლული კაპიტნის ჭირისუფლებთან უნდა იყოს შეკრულიო“.

**ჯემალ გელაშვილი:** „აშკარა იყო, ტაბატაძე მავიწროებდა. ჯერ იმაზე ამიხირდა, ტაბელურ იარაღს პოლიციაში რატომ არ ტოვებო. მე გენერალ გულუას ბრძანება შევახსენე, ახლა იმაზე ამიშარდა, ტყვიები რატომ აკლია მჭიდშიო. თითქოს არ იცოდა, რომ ტყვიებს პოლიციელები ჩვენივე ფულით ვყიდულობდით... როცა საწყობში მუშაობდა, თვითონ არ ყიდდა ტყვიებს?! ერთი სიტყვით, სრულიად უმიზეზოდ ხაშურში მუშაობიდან მომხსნა და სამორიგეოდ გომის და აგარის მონაკვეთზე გამიშვა. იმ დროს რკინიგზის ეს მონაკვეთი ძალიან ცუდ მონაკვეთად ითვლებოდა, აქ ხშირი იყო სატვირთო ვაგონების ძარცვა და მილიონობით დოლარის ღირებულების საქონლის დატაცება. იმიტომაც გამამწესეს იქ, რომ ქურდობა დაებრალებინათ. კარგად ვიცოდით იმ ქურდების ვინაობა, ვინც ამ საქმით იყვნენ დაკავებულნი — რკინიგზის პოლიციის განყოფილებაში რამდენჯერმე „გავპარსეთ“, ანუ ფულს ვართმევდით. შევკრიბე ყველანი და ვუთხარი, თუ ვაგონებს გაეკარებით, არც ერთს არ დაგინდობთ-მეთქი. თუ დამიჯერებ, გომი-აგარის რკინიგზის მონაკვეთზე მას შემდეგ ერთი ვაგონიც არ გაძარცულა. ერთი თვე რომ გავიდა, დამიბარა ტაბატაძემ და მომახალა, ქურდებთან ხარ შეკრული, თუ აქამდე ყოველდღე ძარცვავდნენ ვაგონებს, ახლა ვის ერიდებიანო. ერთი სიტყვით, ძალიან უნდოდა ჩემი პოლიციიდან გაგდება, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა...“

**ხაშურის რაიონის ტრანსპორტის პოლიციის ერთ-ერთი მოადგილე:** „გელაშვილი მართლაც კარგი პოლიციელი და ვაჟკაცი კაცია. ერთი ნაკლი აქვს: სიმართლის თქმა უყვარს, სიმართლის მთქმელს კი ცხენი რომ შეკაზმული უნდა ჰყავდეს, ეს სიბრძნე ავიწყდება. ჯერ კიდევ 1996 წელს, ჩვენი მოთხოვნით ტრანსპორტის პოლიციის მთავარი სამმართველოდან ხაშურში თბილისიდან ჩამოვიდა კომისია პოლკოვნიკ მჭედლიძის მეთაურობით. მათ უნდა შეესწავლათ ტაბატაძის მიერ პოლიციიდან ძველი თანამშრომლების გაყრა და მათი ახლებით შეცვლის მართლზომიერება.

ყველამ იცოდა, რომ ტაბატაძე ახალი პოლიციელებისგან თანამდებობაზე დანიშვნისთვის 2-3 ათას დოლარს იღებდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვერავინ ვერაფერი თქვა. ერთი გელაშვილი იყო, რომ კომისიის წინაშე სახალხოდ გააკრიტიკა თავისი უფროსი. ამის შემდეგ გელაშვილსა და ტაბატაძეს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. ამას ისიც მოჰყვა, რომ ქალაქში ხმა დაირხა, გელაშვილი ნარკოტიკებს ყიდისო. ვიცოდი, ეს ჭორი იყო, ამიტომ ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ გელაშვილი ნერვიულობდა: ერთი გამაგებინა, ვინ მიყრის ამ ხმასო.“

**ჯემალ გელაშვილი:** „1996 წლის ერთ დღეს მივდივარ სამსახურში. გზად ჩემი კლასელის ნარკომანი ძმა ვალოდია ხვედელიძე მხვდება და მეუბნება: გავიგე ჯემალ, წამალს ყიდი თურმე და იქნებ მეც მომყიდოო. ვთხოვე, გამიგე ვინ ავრცელებს ამ ხმას-მეთქი. დამპირდა, აუცილებლად გავიგებო. მართლაც, მესამე დღეს მირეკავს და მეუბნება, ერთი სურამელი ნარკომანი შენგან მოკლული პოლიციის კაპიტნის ძმისშვილს ალეკო რამიშვილს დაუჭერია (იგი ხაშურის რაიონულ პოლიციაში მუშაობდა ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან მებრძოლ განყოფილებაში უფროს ინსპექტორად) და უთქვამს, გაგიშვებ, ოღონდ ხაშურში ხმა დაყარე, ვითომ ჯემალ გელაშვილისაგან ყიდულობ წამალსო“.

> „უცნობმა რევოლვერი მეორე ხელში გადაიტანა და მესროლა. ტყვიამ სვეტის კუთხე ჩამოანგრია და რიკოშეტით კედელს მოხვდა. შემდეგ ისევ მე ვესროლე ზედიზედ ორჯერ — პირველი ტყვია გულმკერდის არეში, ხოლო მეორე — ფერდში მოხვდა. უცნობი მამაკაცი მიღებული ჭრილობებისგან ადგილზევე გარდაიცვალა...“

უშიშროების პოლკოვნიკი **ირაკლი ღონღაძე:** „მართლაც იყო ასეთი შემთხვევა. ერთ დღეს ჯემალ გელაშვილმა მე, ხაშურის უშიშროების მაშინდელი უფროსი გივი ნოზაძე, ხაშურის შსს-ს სატრანსპორტო პოლიციის მაშინდელი უფროსი ბადრი ტაბატაძე და სატრანსპორტო პოლიციის ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან მებრძოლი განყოფილების ხელმძღვანელი გოჩა ძულიაშვილი შეგვკრიბა და ყველას გვთხოვა დახმარება — ჩემზე ჭორები დადის როგორც ნარკოტიკების გამყიდველზე და მიშველეთ რამეო. შემოგვთავაზა, ამ საქმეზე ვიმუშავებ, დავადგენ სად არის ნარკომანების ბუდე და როცა მათ დავაკავებთ, ისინი იტყვიან, თუ ვისი დავალებით ავრცელებენ ჩემზე ჭორებსო“.

მართლაც, გელაშვილმა დაადგინა, სად იყო ნარკომანების ბუდე და მოახსენა კიდეც თავის უშუალო უფროსს ბადრი ტაბატაძეს — რკინიგზის გაღმა, ტყუპი ძმები, მეტსახელად „თავები“ ყიდიან ნარკოტიკებს და თან ამბობენ, პოლიციელი გელაშვილია ჩვენი „კრიშაო“. ბუნებრივია, ბადრი ტაბატაძეს თავისი ხელქვეითის ინფორმაცია არ გადაუმოწმებია, პირიქით — იმ ღამესვე გელაშვილი უფროსის კაბინეტში დააპატიმრეს, როგორც ნარკოტიკების რეალიზატორი. ოპერაციაში მონაწილეობდნენ გორის რეგიონალური სამმართველოს ნარკომანია-ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის უფროსი სოსო დურგლიშვილი, რომელიც როგორც ირკვევა, ალეკო რამიშვილის მამიდაშვილია, ალეკო კი, როგორც მოგახსენეთ, ხაშურის პოლიციაში ნარკომანია-ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის უფროსია, ორივენი ერთად კი მოკლული კაპიტნის ნათესავები არიან.

სოსო დურგლიშვილის ხელმძღვანელობით ოპერატიული ჯგუფი ღამის ორ საათზე გელაშვილის ოჯახს სახლის გასაჩხრეკად დაადგა თავს.

ჯემალ გელაშვილის მეუღლე **ნინო გელაშვილი** იხსენებს: „ვკითხე როგორც სოსო დურგლიშვილს, ასევე ჩემი დაჟინებული თხოვნით მოსულ ბადრი ტაბატაძეს, თუ შეიძლება-მეთქი საბუთის გარეშე ბინის გაჩხრეკა. მიპასუხეს, ახლა კაცი დაპატიმრებულია და სახლის გაჩხრეკაც შეგვიძლიაო. როცა ვიკითხე, რის საფუძველზე იყო ჩემი მეუღლე დაკავებული, მიპასუხეს, სამი ნარკომანი გვყავს დაკავებული, ისინი ჩივიან, ადრე გელაშვილისგან ათ ლარად ვყიდულობდით ერთ „ჩეკ“ ოპიუმს, ახლა კი წამალი ოცდახუთ ლარამდე გააძვირაო. როგორც გავიგე, ნარკომანები დაკავებულები მართლაც ჰყოლიათ, რომლებმაც პირველივე ჩვენებაში დაასახელეს ნარკოტიკების ბარიგა, ვინმე ბესო მარგველაშვილი, მაგრამ მერე ტაბატაძის მოთხოვნით ჩვენება შეცვალეს და თითი ჩემს მეუღლეს დაადეს. სანაცვლოდ, ტაბატაძემ და მისმა დამქაშებმა დაკავებული ნარკომანები სამი დღის შემდეგ გაათავისუფლეს.“

პოლიციის ყოფილი ინსპექტორი, ლეიტენანტი **აჩიკო ლაცაბიძე:** „როცა სოსო დურგლიშვილის ხელმძღვანელობით ჯემალ გელაშვილის სახლში მივედით გასაჩხრეკად, ღამის ორი საათი იყო. შუქი არ იყო და ამიტომაც ფარნის შუქზე აპირებდნენ ჩხრეკის დაწყებას. ჯემალ გელაშვილის მეუღლე მამალი ქალია და პოლიციელებს უთხრა, მე თქვენ არ გენდობით, სანამ ჩხრეკას დაიწყებდეთ, მე გაგჩხრეკთ, იქნებ თქვენ გაქვთ ჯიბეში ნარკოტიკი, რომელსაც თქვენ თვითონ დადებთ სადმეო. დურგლიშვილმა ყვირილი დაუწყო, რას ჰქვია შენ უნდა გამჩხრიკო, იცი, ვინა ვარ?! თბილისიდან გამომგზავნეს შენი ქმრის დასაჭერადო და ყვირილით გარეთ გავარდა. ხუთიოდე წუთში დაბრუნდა და ჯემალის მეუღლეს ჯიბეები ამოუბრუნა. ა, ბატონო, თუ გინდა გამჩხრიკეო. დურგლიშვილის გარეთ გასვლამ და მერე უკან დაბრუნებამ და ჯიბეების ამოტრიალებამ, მართალი გითხრათ, დამაეჭვა. ასე იყო თუ ისე, ჩხრეკა დაიწყო. დურგლიშვილს ფეხდაფეხ დასდევდა გელაშვილის მეუღლე და ხელში მისჩერებოდა. ერთი სიტყვით, სახლში არავითარი ნარკოტიკები არ აღმოჩნდა. გამოვედით ეზოში. დურგლიშვილმა გეზი პირდაპირ ღია აივნის ქვეშ მდგომი ტახტისკენ აიღო, ასწია ტახტზე გადაფარებული თხელი ქსოვილის ფარდა და მის ხელში იელვა პატარა ვერცხლისფერ ქაღალდში შეხვეულმა „ოპიუმმა“.

პოლკოვნიკი **ირაკლი ღონღაძე:** „ჯემალ გელაშვილს საქმე მისმა უფროსობამ შეუთითხნა და გაასამართლეს კიდეც. გელაშვილს შეიძლება ყველაფერი დააბრალო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ნარკოტიკების რეალიზატორობა. მიკვირს, როგორ შეიძლება კაცის ასე გაწირვა“.

ჯემალ გელაშვილის 9 წელიწადი მიუსაჯეს.

კოლონიაში გელაშვილი მძიმედ დაავადდა და სამი წლის შემდეგ „აქტიროვკით“ გათავისუფლდა. „კვირის პალიტრა“ საქართველოს შსს-ს ტრანსპორტის პოლიციის მთავარ სამმართველოს ეწვია, სადაც ერთ-ერთი პოლიციელისაგან, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, შემდეგი ინფორმაცია მიიღო: „როცა ჯემალ გელაშვილის „ბარიგობის“ ამბავი გავიგეთ, არ დავიჯერეთ... დღესაც მიმაჩნია, რომ საქმე მოკლულის ჭირისუფლებმა შეუთითხნეს. ამის დასტურად ერთ ამბავს გიამბობთ. სამმართველოს უფროსმა ბატონმა დავით გულუამ რომ გაიგო გელაშვილის ამბავი, თავისთან დაიბარა ხაშურის რკინიგზის პოლიციის უფროსი ტაბატაძე და პოლიციის ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან მებრძოლი განყოფილების უფროსი ძულიაშვილი. გენერალმა ძულიაშვილს უბრძანა, ყველაფერს ისე მოჰყევი, როგორც იყოო. ძულიაშვილმა გენერალთან ტყუილის თქმა ვერ გაბედა და უამბო, თუ როგორ გასწირეს ჯემალ გელაშვილი.

(გაგრძელება იხ. გვ. 8)

# „როგორც კი სამინისტროს მორიგემ გაიგო, რომ ავტოინსპექციის უფროსი გაკოჭილი მივიყვანეთ, მაშინვე აცნობა ხელმძღვანელობას“

## „კაცისკვლით მიღებული ოფიცრობა სულაც არ მინდოდა“...

*დასაწყისი იხ. გვ. 7*

გენერალმა ბადრი ტაბატაძეს ჰკითხა, მართალია, რასაც ეს ოფიცერი ამბობსო. მართალიაო, — დაეთანხმა ტაბატაძე. მე, ბატონო გენერალო, მომატყუეს მოკლული კაპიტნის ჭირისუფლებმა. მეუბნებოდნენ, ჯემალ გელაშვილის განადგურება თარგამაძის ბრძანებააო. როგორ, თარგამაძეს თუ ჩემი თანამშრომლის დაჭერა სურდა, მე არ მეტყოდაო, უთქვამს გულუას და იმ დღესვე გაათავისუფლა ბადრი ტაბატაძე მილიციის უფროსობიდან და კადრების განყოფილებაში დატოვა. ბადრი ტაბატაძე შსს-ს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ შაქრო წინწკალაძის პროტეჟეა, ამიტომ გადაურჩა სამხრეების აგლეჯას გულუას კაბინეტში...“

ბადრი ტაბატაძე მართლაც გენერალ შაქრო წინწკალაძის სიმამრის ძმის შვილიშვილი ყოფილა. სწორედ ბატონი შაქროს დამსახურებაა ის, რომ ბადრი ტაბატაძე კადრების განყოფილების განკარგულებაში დიდხანს არ დარჩენილა და 1998 წელს დაინიშნა ხაშურის ავტოინსპექციის უფროსად. თუმცა ვერც ამ თანამდებობაზე „გაძლო“ დიდხანს — ერთხელ სამსახურში მთვრალი მივიდა და ავტოინსპექტორ დავით კორკოტაძეს, რბილად რომ ვთქვათ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. კორკოტაძე ორი თვის დანიშნულ ახალ უფროსს არ აჰყვა და გაეცალა.

**დავით კორკოტაძის ნათესავი** იხსენებს: „ტაბატაძე დათოს მანქანით სახლში მოუვარდა, გინებით აგვიკლო და ავტომატით სახლის კედლებზე რამდენიმე ჯერი მიუშვა. როცა დაცალა ავტომატის მჭიდი, გამოვუცვივდით ბიძაშვილები და მეზობლები, წავართვით ტაბატაძეს ავტომატი, გავკოჭეთ თოკით, ავტომატი ჩავუდეთ ზურგში, გასროლილი ვაზნები ჯიბეში და წამოვიყვანეთ თბილისში შს სამინისტროში. როცა მორიგემ გაიგო, რომ იგი ავტოინსპექციის უფროსი იყო, აცნობა ხელმძღვანელობას და ტაბატაძე დროებითი დაკავების საკანში მოათავსეს. შემდეგ კი ვითომ გული აწუხებდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს დაცვის თანხლებით“.

როგორც შევიტყვეთ, ამ დანაშაულისათვის ტაბატაძე მეორედ დაუთხოვიათ სისტემიდან, მაგრამ სამ თვეში ისევ დაინიშნა ჯერ ახალციხეში იურისტ-ინსპექტორის თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ ადიგენის რაიონის პოლიციის უფროსის თანამდებობასაც გამოჰკრა ხელი.

**შაქრო წინწკალაძე:** „მართალი ბრძანდებით, ჩემი მეუღლე ტაბატაძის ახლობელია. კარგი კაცი მეგონა და წინსვლაში ყოველთვის ვეხმარებოდი, მაგრამ როგორც ჩანს, შევცდი. მასთან შევწყვიტეთ ურთიერთობა. სხვათა შორის, რაღაც ამბავში ამას წინათაც გაება, მისმა მშობლებმა მთხოვეს დახმარება, მაგრამ კატეგორიული უარი ვუთხარი...“

„რაღაც ამბავში“ ადიგენის პოლიციის უფროსი შარშან ზაფხულში გაბმულა. კერძოდ, ადიგენის მოსახლეობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა ინსპექციას პოლიციის უფროსის უკანონობის შესახებ საჩივრით მიმართა.

შსს-ს ინსპექციის პოლკოვნიკი **ქუჩუკი სოხაძე:** „არ ვიცი, საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია, მაგრამ გეტყვით, რომ ადიგენის რაიონის მოსახლეობის და ადგილობრივი ბიზნესმენების გარკვეულმა ჯგუფმა ჩვენს ინსპექციას მართლა მიმართა საჩივრით, რომ პოლიციის უფროსი აწერდა მათ უკანონოდ თანხებს, რომ ადიგენის ერთ-ერთ სოფელთან უკანონოდ ჰქონდა გაკეთებული პოლიციის პოსტი, სადაც გამვლელი მანქანების მძღოლებს ფულს ართმევდნენ. როცა ადგილზე ჩავედით, განცხადების დამწერები დაიმალნენ და განცხადების დაწერა უარყვეს. ინსპექციამ მაინც მოიძია რაღაც მასალები, რომელიც პროკურატურას გადაუგზავნა“.

ჩვენ ადიგენში მობილური ტელეფონით რამდენჯერმე დავუკავშირდით პოლიციის უფროსს, ბადრი ტაბატაძეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომენტარი ვთხოვეთ. მან მხოლოდ ის გვითხრა, რომ ხაშურის სასამართლომ მტყუან-მართალი დიდი ხანია გაარკვია, და რომ ამ თემაზე საუბარი საერთოდ არ სურს და ტელეფონი გათიშა.

*რატი ახალაძე*

# ახალი ტიპის ტერაქტის მცდელობა ვენახში

## მიხას თოხი პრეზიდენტის „წინააღმდეგ“

ეს ამბავი ნამდვილად მოხდა. ჩვენ უბრალოდ არ დავაკონკრეტებთ მონაწილეებს და ერთ-ერთ მათგანს პირობითად მიხას ვუწოდებთ...

კახეთში კარგ მოსავალს ელოდნენ. ვისაც რა ჰქონდა, იმით ამაყობდა. სხვებს, რა თქმა უნდა, არც საგარეჯოელები ჩამორჩნენ და მათთან სტუმრად მყოფი პრეზიდენტი იქვე ახლოს, საჩვენებელი ვენახის სანახავად და თავის მოსაწონებლად მიიპატიჟეს.

ეს, რაც შეეხება რაიონის თუ მთლიანად კახეთის მხარის ფუნქციონერებს, თორემ ჩვეულებრივ მშრომელ გლეხს, რომელიც ვენახში ათენებს და აღამებს, რა ესაქმება ქვეყნის პირველ პირთან...

ამიტომ ჩვენი გმირიც, პირობითად მიხა, თავის ვენახში ნება-ნება ფუსფუსებდა და არა უწყოდა, რომ მისი ვენახისაკენ მძლავრი „არმადა“ დაიძრა — მაღალი პოლიტიკოსებისა და თუ მათი მრავალრიცხოვანი დაცვის სახით.

თოხნაში გართული მიხას ყურადღება აბეზარმა ზუილმა მიიპყრო. ცალი ხელით შუბლი მოიჩრდილა და თოხი იღლიაში ამოიდო.

თვალის დახამხამებაში მიხას ვენახს უზარმაზარი ჩრდილი გადაეფარა — მიწიდან ათიოდე მეტრში ჩამოკიდებული შვეულმფრენიდან გაშეშებულ მიხას ათამდე ავტომატისა და ტყვიამფრქვევის ლულა მტრულად მისჩერებოდა...

გაფითრებულმა მიხამ ისღა მოიფიქრა, რომ ორივე ხელი მაღლა შემართა — გნებდებით, არ მესროლოთო! „პლენად“ ჩაბარების სურვილის გამოხატვისთანავე იღლიაში ამოჩრილი თოხი მიწაზე დაუვარდა, თუმცა თავად ამისათვის ყურადღება არ მოუქცევია — რა დროს თოხი იყო, როდესაც ჰაერიდან მთელი არსენალი უმიზნებდა!

თვალები მას შემდეგღა გაახილა, როცა შვეულმფრენის ხმა მიწყდა.

როგორც შემდეგ გაირკვა, პრეზიდენტის კორტეჟს მის ვენახთან ახლოს უნდა ჩაევლო. შვეულმფრენით მოდარაჯე სპეცდანიშნულების რაზმს მიხას იღლიაში ამოჩრილი მოგრძო საგანი შორიდან თავდაპირველად საზენიტო „სტინგერი“ თუ ტანკსაწინააღმდეგო „მუხა“ ჰგონებია...

ასე გადაურჩა მიხა საკუთარი თოხის კონფისკაციას, ხოლო პრეზიდენტი — მორიგ ტერაქტს...





# ფოტოჩანახატი მეათე წელია, პარლამენტის წინ თავს „იწონებს“ ისტორიული რაკეტა

გამოჩენილი პიროვნებებისა არ იყოს, კვარცხლბეკზე საბრძოლო იარაღის ნიმუშებსაც დგამენ. ასეა მთელ მსოფლიოში. საქართველო ამ საქმეშიც გამორჩეულია — ათი წელი შეუსრულდა საოცარ „მაღალმხატვრულ კომპოზიციას“, რომელიც პარლამენტის წინ, ჩიტაძის ქუჩის დასაწყისში იწონებს თავს.

ჭადრის ხის ტანში თითქმის მთლიანად არის შერჭობილი უმართავი საავიაციო რაკეტის კორპუსი, გარეთ მხოლოდ მისი უკანა ნაწილია დარჩენილი. ცხადია, რომ ეს უცხო სხეული ხეს სწორედ ათი წლის წინ, თბილისის ომის დროს „შეერწყა“, მაშინ, როდესაც მაშინდელი უმაღლესი საბჭოს შენობას დაუნანებლად უგზავნიდნენ სხვადასხვაგვარ სიკვდილის „ნობათს“. ეტყობა, ამ რაკეტის „გამგზავნს“ ადრესატი შეეშალა და უზარმაზარი შენობის ნაცვლად რაკეტა ხეს მოახვედრა.

ათი წელი იწურება, მაგრამ რაკეტის ხიდან გამოღებაზე და მით უმეტეს მის გაუვნებელყოფაზე ჯერ არავის უფიქრია, მით უმეტეს, რომ ამ ხეს ყოველდღიურად გვერდს ჩაუვლიან ხოლმე სახელმწიფოს „მამათა“ ავტომობილები.

P.S. ისე, შეიძლება სჯობდეს ეს ხე, მასში ჩარჭობილი რაკეტიანად შემოილობოს მომავალი თაობებისთვის ჭკუის სასწავლებლად.

# ღირსეული მშვიდობა გერჩიოს რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ მიერ დამყარებულს

ახალი წლის დადგომისთანავე საქართველოსათვის ძალზე აქტუალური ხდება აფხაზეთში მდგარი დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების ბედი. მიუხედავად იმისა, რომ მას კოლექტიური ჰქვია, სინამდვილეში მხოლოდ რუსული სამხედრო დანაყოფებით არის დაკომპლექტებული და კონფლიქტის ზონაში ყოფნის მორიგი მანდატის ვადა შარშან, დეკემბრის ბოლოს გაუვიდა.

რას იზამს ქართული მხარე, გაუგრძელებს თუ არა კვლავ მანდატს რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“? თქვენ წარმოიდგინეთ, ეს მხოლოდ ოფიციალურ თბილისზეა დამოკიდებული. მოგეხსენებათ, სეპარატისტული სოხუმი დიდი სიხარულით ხვდება რუსების მანდატის მორიგ გაგრძელებას.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან მერვე წელია რუსი ე.წ. „სამშვიდობო ძალები“ მდ. ენგურზე ერთგვარ სასაზღვრო ჯარების ფუნქციას ასრულებენ და საქართველოსა და მის შემადგენელ აფხაზეთს შორის საზღვარს აფიქსირებენ.

მაინც რას წარმოადგენს დღეისათვის რუსეთის „სამშვიდობო“ ძალები აფხაზეთში?

**ჩვენი დოსიე: ქართული მასმედიის ზოგიერთი საშუალების აზრით, რომ აფხაზეთში 1.700 რუსი „ცისფერჩაფხუტიანია“, მართალი არ არის. თავად სარდლის, გენერალ-მაიორ სიდორიჩევის ამასწინანდელი მონაცემებით მას ექვემდებარება 2.025 კაცი, სულ ცოტა ხნის წინ კი 1.993-ზე მეტი არ ყოფილა. როგორც ჩანს, ის ოცდათორმეტი სამხედრო მოსამსახურე იმ ათი მედესანტეთა საბრძოლო მანქანის ეკიპაჟი უნდა იყოს, რომელიც რუსებმა ბოლო მოვლენების დროს დამატებით გადაისროლეს კოდორის ხეობაში თავიანთი №106 და №107 პოსტების გასაძლიერებლად.**

**წინა როტაციის შემდეგ რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ რიგებში მაიკოპის პოლკის წარმომადგენლები მსახურობენ. მათი მესამე ბატალიონი მთლიანად მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, ე.წ. სამხრეთ ზონაშია განთავსებული, სადაც მათ 13 საგუშაგო აქვთ მოწყობილი. გალის რაიონის ტერიტორიაზე, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, მეორე ცალკეული ბატალიონის ათი საგუშაგოა, ხოლო თავად გალის შიგნით — ოჩამჩირის მიმართულებით — რუსების სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის 6 საგუშაგო (რუსი მედესანტეების კიდევ ორი საგუშაგო, როგორც აღვნიშნეთ, კოდორის ხეობაშია).**

**მათ გარდა „ცისფერჩაფხუტიანების“ შემადგენლობაში არიან ცალკეული სარემონტო და ნაღმსატყორცნი ასეულები (მზიურსა და მეორე აკვაგაში), აგრეთვე არანაკლებ ოთხი შვეულმფრენი (ორი Ми-8МТ და ორიც საბრძოლო Ми-24), რომელთაც ბაზა სოხუმში აქვთ.**

**თავად რუსი „სამშვიდობო“ ძალების სარდალი სოხუმში ზის. ბატალიონების შტაბები არის ურთაში, ჭუბურხინჯსა და გალში.**

**მდ. ენგურის ორივე მხარეს 12 კმ-იანი უსაფრთხოების ზონაა მოწყობილი, ხოლო 24 კმ-ში — შეიარაღების შეზღუდვის ზონებია განთავსებული.**

„კვირის პალიტრას“ არაერთხელ აღუნიშნავს — სანამ რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო“ ძალები კონფლიქტის ზონაში იდგება, მანამდე აფხაზეთის ძალისმიერი დაბრუნება (მშვიდობიანი გზით ამის მიღწევის უტოპიურობა განვლილმა წლებმა მშვენივრად დაგვანახვა) შეუძლებელი იქნება.

რატომ ხდება ასე?

უბრალო მიზეზით — ქართულ მხარეს თავად აქვს მოწერილი ხელი ყველა იმ დოკუმენტზე, რომელიც არათუ კრძალავს ქართული სამხედრო შენაერთების მიახლოებას უსაფრთხოების 12 კმ-იან ზონამდე, არამედ ყველა პირს დამნაშავედ გამოაცხადებს, ვინც კი გულში გაივლებს აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობის ძალის გამოყენებით აღდგენას.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გალის ტრაგიკული მოვლენებისა არ იყოს, შარშან კოდორის ხეობაში მიმდინარე ქმედებებიც ერთგვარ ავანტიურას ემსგავსება, რადგან ძალით დაკარგული აფხაზეთის დაბრუნებას მარტო რამდენიმე ასეული ქართველი პარტიზანი და ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი ვერ შეძლებს, ამისთვის მთელი ქვეყნის მობილიზაციაა საჭირო.



ეს გამოჩნდა კოდორის ხეობის ბოლო მოვლენების დროსაც, თუმცა სამიოდე წლის წინ სტატიის ავტორი თავად შეესწრო ამგვარ ამბავს: როდესაც 1998 წლის მაისის მიწურულს თბილისიდან ზუგდიდისაკენ შინაგანი ჯარების არც ისე მცირე სამხედრო კოლონა დაიძრა, იძულებული გახდა, ზუგდიდამდე შორი გზებით ჩაეღწია, რათა თავი აერიდებინა სოფ. ცაცხვთან (ცაიშის მახლობელი ტერიტორია) რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ პოსტისთვის. შორმა და თანაც ძალზე ცუდმა გზამ სამხედრო კოლონას ასე საჭირო დრო დააკარგვინა, თუმცა მიუხედავად თავის არიდებისა, რუსმა ე.წ. „სამშვიდობო“ ძალების დაზვერვამ დროულად მიაწოდა ზუსტი ინფორმაცია სოხუმს ქართული მსხვილი სამხედრო შენაერთის მდ. ენგურთან მიახლოების შესახებ.

თუკი პრეზიდენტმა შევარდნაძემ კვლავ გაუგრძელა მანდატი აფხაზეთში რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“ (მიუხედავად პარლამენტის წინააღმდეგობისა), მაშინ ყველაფერი წრეში იტრიალებს ყოველგვარი, ჩვენთვის სასიკეთო შედეგის გარეშე.

რაც შეეხება რუსების ჩანაცვლებას სხვა ქვეყნების სამშვიდობო შენაერთებით, ეს ძალზე არაპერსპექტიულია — ჯერ ერთი, გაეროს მუდმივი წევრი რუსეთი ყოველთვის ვეტოს დაადებს იმ გადაწყვეტილებას, რის მიღებასაც უიმისოდ ეცდება საერთაშორისო ორგანიზაცია და მეორე — იგივე უკრაინა მანამდე არ გამოგზავნის აფხაზეთში თავის „ცისფერჩაფხუტიანებს“, სანამ გაერო მათ შესაბამისად არ დააფინანსებს. თავის მხრივ, გაეროს ურჩევნია რუსებმა თავად არჩინონ სამშვიდობო ძალები აფხაზეთში.

# თავდაცვა ისევ ფულს იხვეწება, ხელისუფლება კი თავის დაცვას აძლიერებს

მალე ძველით ახალი წელიც მოვა, მაგრამ ქვეყნის ბიუჯეტი ჯერ კიდევ არ არის მიღებული. ბუნებრივია, არც საქართველოს სამხედრო ძალებმა იციან ხეირიანად, 2002 საფინანსო წელს რა ფონდებს გამოუყოფენ. ყოველივე ეს კი საკმაოდ დიდ გაურკვევლობას ქმნის...

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტში განსახილველად ბიუჯეტის უკვე მეორე, სეკვესტრირებული ვარიანტი შედის. თანხების შემცირება ასევე შეეხო სამხედრო ძალების ყველა კომპონენტს.

სამხედრო ძალების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი — თავდაცვის სამინისტრო — მიმდინარე წელს დასაფინანსებლად თავდაპირველად 71 მლნ ლარს ითხოვდა, თუმცა მინისტრ თევზაძის სურვილს უმაღლესმა მთავარსარდალმა ანგარიში არ გაუწია და ჯერ 56 მლნ 500 ათას ლარამდე შეუმცირა, ხოლო საბოლოოდ, თითქმის გაუნახევრა — 37.169.000 ლარილა არგუნა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხა შარშანდელზე მეტია, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა არ მალავს უკმაყოფილებას ფინანსების სიმცირის გამო. 2001 საფინანსო წელს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 33.055.900 ლარით იყო განსაზღვრული. იმის მიუხედავად, რომ ჯერჯერობით ბოლომდე არ არის შეჯამებული შარშანდელი ფინანსური პარამეტრები, სპეციალისტები არ მალავენ, რომ თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება თითქმის არ დაჰკლებია, რაზეც მეტყველებს თორმეტივე თვის გაცემული ხელფასი და კვების კომპენსაცია. შედარებისათვის: 1998, 1999 და 2000 წლების რამდენიმე თვის ხელფასი ჯერ კიდევ არ აქვთ მიღებული ქართველ სამხედროებს.

სხვა საქმეა, რომ არც 37 მილიონიანი დაფინანსება ეყოფა 20-ათასიან (წელს იგი ათასი კაცით უნდა შემცირდეს) თავდაცვის სამინისტროს და არც 71-მილიონიანი, თუ გვინდა მართლაც ბრძოლისუნარიანი არმია გვყავდეს. თუმცა აქ სხვა ნიუანსიცაა — იხარჯება კი მიზნობრივად ის მცირე თანხები, რასაც სამხედრო უწყებები იღებენ? ზოგიერთ სამხედრო ეკონომისტს ეს ძალიან ეეჭვება, მით უმეტეს, რომ იმავე თავდაცვის სამინისტროში დღემდე ვერ მოწესრიგდა აღრიცხვიანობა, რაც ნათელს მოჰფენდა ბიუჯეტიდან მიღებული თანხებისა და მათი მიზნობრივად ხარჯვის მექანიზმს.

საშტატო რაოდენობის მხრივ, თავდაცვის სამინისტროს შემდეგ, მოდის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი თავისი 8.708 კაცით. მესაზღვრეებისათვის გასულ საფინანსო წელს 9.027.500 ლარი იყო გამოყოფილი. წლეულს ეს ციფრი თავდაპირველად 9.827.500 ლარით განისაზღვრა, ანუ გენერალ ჩხეიძეს ეგონა, მისადმი დაქვემდებარებულ უწყებას სახელმწიფო 800 ათას ლარს დაუმატებდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა — პარლამენტისათვის დასამტკიცებლად გადაცემული ახალი კანონპროექტი „მწვანებერეტიანებისათვის“ მხოლოდ 8.745.100 ლარის გაღებას ითვალისწინებს. თავდაპირველი მონაცემებიდან გამომდინარე, შარშანდელთან შედარებით მათ დაფინანსება 800 ათასით უნდა გაზრდოდათ და საბოლოოდ უნდა მიეღოთ 9.872.500 ლარი. მაგრამ, როგორც ხედავთ, საზღვრების დამცველებისათვის 2002 საფინანსო წლისათვის პირიქით — 302 ათასის „მოჭრას“ გეგმავენ. ეს ცოტა უცნაურად ჟღერს იმის ფონზე, რომ ხელისუფლება ყოველთვის ხაზს უსვამს — საქართველოს საზღვრების გაძლიერება ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებააო. ეტყობა, ოფიციალურ თბილისს იმედი აქვს, რომ ქართველ მესაზღვრეებს კვლავინდებურად არ დააკლებენ დახმარებას ამერიკელი და თურქი კოლეგები (თუმცა არა ცოცხალი ფულით, არამედ სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდების სახით).

6.400-კაციანი შინაგანი ჯარებისათვის შარშან 3.614.600 ლარი იქნა გამოყოფილი, რომელიც ძირითადად სამი დაცული მუხლის — ხელფასების, ანარიცხებისა და მიმდინარე ტრანსფერების — დასაკმაყოფილებლად იყო განკუთვნილი. ამას გარდა, შინაგანი ჯარები ცენტრალიზებულად შსს-დანაც იღებდა დაფინანსებას. წლეულს გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათი 4.293.400 ლარით დაფინანსება. შინაგან ჯარებს გასასტუმრებელი რჩება ტყიბულის ბრიგადის სამხედროებიც, რომლებიც კონტრაქტით მსახურობდნენ, საბრძოლო მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდნენ და ახლა იძულებულნი არიან, კუთვნილი ხელფასების მოთხოვნით საპროტესტო მიტინგები მოაწყონ შინაგანი ჯარების შტაბთან.

უშიშროების სამინისტრო, რომელსაც მხოლოდ 5.193 საშტატო ერთეული ჰყავს, 2001 საფინანსო წელს 8.800.000 ლარის მიღებას ვარაუდობდა. წლეულს ეს ციფრი თავდაპირველად 9.300.000 ლარამდე უნდა გაზრდილიყო, მაგრამ ბიუჯეტის წინასწარი შემცირების შემდეგ თანხა 8.521.100 გახდა.

უკეთეს მდგომარეობაში არც დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტია. მის, სულ რაღაც 636-კაციან კოლექტივს შარშან 1.160.000 ლარი გამოუყვეს. წელს ეს პარამეტრები ჯერ 300.000 ლარით გაიზარდა, მაგრამ მორიგი შეკვეცის შემდეგ 1.126.000 ლარამდე დავიდა. არა გვგონია, ქართველი „შტირლიცები“ თუ „ჯეიმს ბონდები“ დიდად გახარებულნი დარჩნენ შარშანდელთან შედარებით დაფინანსების 34.000 ლარით შემცირებით, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი საიდუმლო ოპერაციების განსახორციელებლად გასაიდუმლოებული „შავი ბიუჯეტიცაა“ განსაზღვრული, ხოლო თუ ეს ასე არ არის, მით უარესი ქვეყნისათვის.

ყველაზე შესამჩნევად სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტი გაიზარდა. გასულ წელს იგი 6.886.000 ლარს შეადგენდა, 2002 წლის ბიუჯეტში თავდაპირველად 11.091.000 ლარი გამოჩნდა, ხოლო შემდეგ 10.883.300 ლარის სახით დაფიქსირდა. 3.306-კაციანი კოლექტივისათვის ეს არც ისე მცირე თანხა უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ამ უწყებას აქვს საკუთარი არასაბიუჯეტო შემოსავლები სპეცსახსრების სახით — თითოეული ლურჯფორმიანი დაცვის სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლის დაქირავება საზღვარგარეთის საელჩოსა თუ რომელიმე ფირმას თვეში დაახლოებით 280 აშშ დოლარამდე უჯდება. თუმცა, თავად ეს თანამშრომლები ხელზე ფიქსირებულ 80-120 ლარს იღებენ.

ასე აისახა 2002 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობა. პარამეტრების დაზუსტება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და საეჭვოა, მათ რაიმე დაემატოს. ეტყობა, ძირითადად ჩვენ მიერ შემოთავაზებული მონაცემები დარჩება, შეიძლება კიდეც დაიკლოს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა პარლამენტში 10 იანვრამდე არ შედგება.

ჩვენ მხოლოდ ერთს დავუმატებთ — ბიუჯეტი, რა თქმა უნდა, გამოხატავს ქვეყნის დამოკიდებულებას თავისი სამხედრო ძალების მიმართ, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ გაჭირვებულმა სახელმწიფომ მხოლოდ სამხედროებზე იზრუნოს — ეს საზოგადოების კიდევ უფრო დაუცველი ფენების კატასტროფას გამოიწვევს.

აუცილებელია რეალობის გათვალისწინება — შემცირდეს ძალოვან უწყებათა რაოდენობა, ანუ პარალელური ფუნქციების მქონე სამხედრო დანაყოფები გაერთიანდნენ, მათი პირადი შემადგენლობის რიცხობრიობა მოვიდეს შესაბამისობაში რეალობასთან. რაც მთავარია, უმკაცრესად გაკონტროლდეს გამოყოფილი ფინანსების მიზნობრივად ხარჯვა.

ყოველივე ამას კი ძირფესვიანი საკადრო ცვლილებები სჭირდება როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე მის სამხედრო ძალებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2002 წლის სამხედრო ბიუჯეტიც მხოლოდ ხელფასებს, კვებასა თუ ჩაცმას მოხმარდება, ხოლო სამხედრო წვრთნები, იარაღის რემონტი და ახალი სახეობების შეძენა, საბრძოლო საჭურვლის მარაგის შექმნა კვლავ დაუფინანსებელი დარჩება.

# დნესტრისპირელი სეპარატისტები „კოლეგებს“ აფხაზეთში „გრადებს“ უგზავნიან

## ბოლო დროს სწორედ ამას ამტკიცებენ მოლდოველი სპეცსამსახურები

ის, რომ ტირასპოლის სეპარატისტულ რეჟიმს იარაღი არასოდეს დაჰკლებია, მოლდაველებზე უკეთ არავის მოეხსენება. ათი წლის წინ, მდ. დნესტრის პირას, შეიარაღებული დაპირისპირების დროს, სეპარატისტებს როგორც იარაღით, ისე პირადი შემადგენლობით, აქტიურად ეხმარებოდა იქ დისლოცირებული მე-14 რუსული არმია და პირადად მისი მეთაური გენერალი ლებედი.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს ლაპარაკობდნენ — დნესტრისპირელები დაეხმარნენ აფხაზებს — ამარაგებდნენ საბრძოლო საჭურვლით და სოხუმშიც იბრძოდნენო. იმ დროს გავრცელდა ინფორმაცია — შეტაკებისას მოკლეს მაღალი ჩინის რუსი ოფიცერი, გვარად ლებედიო. ის ყველას ცნობილი ლებედი ეგონა (მას 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებშიც აქვს მონაწილეობა მიღებული), მაგრამ მისი მოგვარე გამოდგა — პოლკოვნიკი ლებედი.

როგორ აღმოჩნდა დნესტრისპირელი სეპარატისტების ხელში იმ რაოდენობის იარაღი და საბრძოლო საჭურველი, რომ სხვასაც უზიარებდნენ? ამაში გარკვეულწილად „დამნაშავე“ ისევ



საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი ანუ მაშინდელი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე გამოდის.

**ჩვენი დოსიე: სწორედ მინისტრი შევარდნაძე იყო აქტიური მომხრე, რომ საბჭოთა არმიას, რაც შეიძლება მალე დაეტოვებინა აღმოსავლეთ ევროპა, რასაც რუსი გენერლები დღესაც ვერ აპატიებენ პირადად მას და მისი სახით — მთლიანად საქართველოს. ამის გამო უნგრეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან გამოყვანილი საბჭოთა დივიზიების საბრძოლო საჭურველი იქვე, საზღვართან, ტირასპოლთან შეინახეს. ასე მოიყარა თავი დნესტრისპირეთში 50 ათასამდე ცეცხლსასროლმა იარაღმა, 100 ათასი კაცის აღჭურვილობამ, 40.000 ტონა ტყვია-წამალმა და საბრძოლო მასალამ, ათასობით სატვირთო ავტომობილმა, ასეულობით მძიმე საბრძოლო ტექნიკამ და 5 დივიზიის სამყოფმა საველე სასადილოებმა.**

დნესტრისპირელი სეპარატისტები თავგამოდებით ცდილობენ, რომ მთელი ეს საბრძოლო პოტენციალი მათ დარჩეთ. თუმცა რად უნდა სჭირდებოდეს 4,5-5-ათასიან სეპარატისტების არმიას 10-20-ჯერ მეტი რაოდენობის იარაღი?

პასუხი მარტივია: გასაყიდად. ყიდვის მსურველი კი, პირველ რიგში მათნაირი სეპარატისტული სოხუმი, ცხინვალი თუ სტეფანაკერტი არიან.

დასავლეთს, ბუნებრივია, არ სურს ყოფილი საბჭოთა იარაღით სხვადასხვა სეპარატისტის მარაგი შეივსოს, რადგან ამ უკანასკნელთაგან იგი ადვილად ხვდება საერთაშორისო ტერორისტების ხელში. ამიტომაც სამი წლის წინ სტამბოლის სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება, მოლდოვის დნესტრისპირეთის რეგიონიდან რუსეთის ჯარების ოპერატიული დაჯგუფების გაყვანის შესახებ. ეუთომ განიზრახა, საკუთარი 40-50 ათასი დოლარი გადაიხადოს ყოველ სარკინიგზო ეშელონში, რომლითაც საბრძოლო საჭურველს დნესტრისპირეთიდან რუსეთში გაიტანენ.

**ჩვენი დოსიე: ცოტა სამარცხვინოდ ჟღერს ჩვენთვის, მაგრამ დღეს დნესტრისპირელი სეპარატისტები უფრო დიდი რაოდენობის და მრავალი სახეობის იარაღს უშვებენ, ვიდრე სუვერენული საქართველო. ბენდერში 1995 წლიდან ათვისებულია ზალპური ცეცხლის „გრადების“ სერიული წარმოება, ხოლო ტირასპოლის ქარხნებში ამზადებენ ყუმბარსატყორცნებს, ნაღმსატყორცნებს, პისტოლეტებსა და ავტომატებს.**

მოლდოვის სპესამსახურების ცნობით, სწორედ ქ. ბენდერის ქარხანა „პრიბორში“ აიწყო 60-მდე ერთეული „გრადი“, რომელთაგან 27 ერთეული ოდესიდან გადაიტანეს სოხუმში.

თუ ეს ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს, მაშინ აფხაზი სეპარატისტების გათვლა ნათელია — ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 „Град“-ის სროლის მაქსიმალური სიშორე 21 კმ-მდე აღწევს, რაც სეპარატისტებს საშუალებას მისცემს, კრიტიკულ მომენტში გალის რაიონიდან მიზანში ამოიღონ სამეგრელოს გარკვეული ნაწილი, მათ შორის მსხვილი დასახლებული პუნქტებიც.

ქართულ სპეცსამსახურებს, ეტყობა, არ აწყენდათ მათი მოლდოველი კოლეგების ინფორმაციის გადამოწმება. მათ ჩვენ მხოლოდ ერთ რამეს მივანიშნებთ — ბენდერული „გრადი“ ძირითადად ЗИЛ-ის ტიპის სატვირთო ავტომობილზეა დამონტაჟებული (40 გასაშვები ლულის ნაცვლად მხოლოდ 20 აქვს) და მისი ამოცნობა არც ისე ძნელია.

არსენალი

# გამოჩნდება კი „კროტალი“ ფშავ-ხევსურეთში?

**„რამდენად მიზანშეწონილია საშიში საჰაერო მიმართულებების (კოდორის ხეობა, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთ-ინგუშეთის მონაკვეთი) დასაცავად ფრანგული წარმოების CROTAL-NG-ის შეიარაღებაში მიღება?**

***პატივისცემით დ. სელეპანიშვილი***

ფრანგული „კროტალი“ გახლავთ მცირე მანძილზე მოქმედი თვითმავალი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი. მისი მთავარი დანიშნულებაა ნებისმიერ ამინდსა და დღე-ღამის ყველა მონაკვეთში უზრუნველყოს სატანკო კოლონების, კონკრეტული ობიექტებისა და მცირე ტერიტორიის საჰაერო თავდაცვა მოწინააღმდეგის გამანადგურებელ-ბომბდამშენების, საბრძოლო შვეულმფრენების, ფრთოსანი და ტაქტიკური რაკეტების თავდასხმისაგან.

„კროტალის“ კომპლექსი ცნობილმა ფრანგულმა ფირმამ „ტომსონმა“ შეიმუშავა და 1990 წლიდან დაიწყო მისი სერიული წარმოება. ამიტომაც „კროტალი“ თავის კლასში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე იარაღის სახეობად არის მიჩნეული. 20 „კროტალი“ უკვე შეიძინა ფინეთმა, ხოლო 12 სტაციონარული დანადგარი კი თავად საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებს აქვთ შეიარაღებაში. 11 ცალი კომპლექსის შეძენის სურვილი ორი წლის წინ საბერძნეთმაც გამოთქვა.

„კროტალის“ უპირატესობა გახლავთ მთლიანად ავტომატიზებული სისტემა, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა დროის უმცირეს მონაკვეთში აღმოაჩინოს და ჩამოაგდოს მოწინააღმდეგის თავდამსხმელი საჰაერო ობიექტი. უსწრაფეს რეაგირებას მაშინ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება, როდესაც საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები უშუალოდ საზღვრის სიახლოვეს არის განთავსებული, ანუ დაახლოებით ის, რაც გვჭირდება ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრისპირა რაიონების საჰაერო თავდაცვისათვის.

„კროტალი“ ორი რადიოლოკაციური სადგურითაა აღჭურვილი. მათგან პირველი ფართოზოლიან იმპულსურ-დოპლერული ტიპისაა და 20 კმ რადიუსში 5 კმ სიმაღლემდე შეუძლია როგორც საჰაერო ობიექტის აღმოჩენა, ისე მისი სახელმწიფოებრივი კუთვნილების გარკვევა.

მეორე, ერთიმპულსიანი დოპლერული რადიოლოკატორის დანიშნულებაა უკვე დაფიქსირებული საჰაერო სამიზნეების გაცილება, რისი განხორციელება 30 კმ რადიუსში შეუძლია.

სითბური კამერა ღამით 19 კმ რადიუსში აღმოაჩენს საჰაერო ობიექტის ძრავის სიმხურვალეს, ხოლო დღის ტელეკამერა 15 კმ სიშორეზე აფიქსირებს მათ.

ყველა ეს ოპერაცია ავტომატური რეჟიმით ხორციელდება, რაც რეაქციის დროს მინიმუმამდე ამცირებს — „კროტალი“ როგორც კი აღმოაჩენს საჰაერო ობიექტს, სულ რაღაც ექვსიოდე წამში გზავნის მისკენ საზენიტო რაკეტას.

თავად საზენიტო რაკეტის სიჩქარე თითქმის 3900 კმ/სთ-ს აღწევს და ყოველგვარ საშუალებას უსპობს თვით ზებგერითი საბრძოლო თვითმფრინავის პილოტს, თავი დააღწიოს „კროტალის“ „კლანჭებს“. ამასთან რაკეტას გააჩნია მართლაც ფანტასტიკური მანევრირების უნარი, რომელიც 35 g-ს უტოლდება (ისე, რაკეტის კორპუსი განსაზღვრულია 50 g გადატვირთვაზე). ეს მაშინ, როდესაც ყველაზე მანევრირებადი თანამედროვე გამანადგურებლები (იგივე ამერიკული F-22, რუსული Су-37 თუ ფრანგული „Rafal“) 11-12 g-ს თუ უძლებენ; ანუ რაც არ უნდა მკვეთრი მანევრი გააკეთოს პილოტმა რაკეტისგან თავდასაღწევად, ეს უკანასკნელი მაინც კუდში მიჰყვება.

საზენიტო რაკეტის დამიზნების სისტემა დუბლირებულია და მოიცავს როგორც რადიოლოკატორულ არხს, ისე ელექტროოპტიკურსაც. ამიტომაც „კროტალის“ რაკეტის დაბნევა რადიოელექტრონული დიპოლების გამოყრით (რასაც ხშირად აკეთებენ პილოტები საზენიტო რაკეტის მათ თვითმფრინავთან თუ შვეულმფრენთან მიახლოებისას) თითქმის შეუძლებელია. რაკეტა საჰაერო მიზანთან მიახლოებისას მხოლოდ



მას შემდეგ ფეთქდება, როდესაც უკონტაქტო რადიოლოკაციური ამფეთქის ბრძანებას მიიღებს. აფეთქების შედეგად წარმოიქმნება 8 მ რადიუსის მქონე სფერო, რომელიც წვრილი დამაზიანებელი ელემენტებითაა „გაჯერებული“. ისინი თვითმფრინავის ფიუზელაჟს საცერს ამსგავსებენ. მიჩნეულია, რომ 8 კმ-ით დაშორებული საჰაერო სამიზნის ჩამოსაგდებად საზენიტო რაკეტას სულ ათიოდე წამი სჭირდება.

როგორც წესი, „კროტალებს“ ოთხ-ოთხად იყენებენ. საჰაერო თავდასხმისთვის საშიში მიმართულებით ათავსებენ „კროტალის“ ოთხ დანადგარს, რომლებიც ავტომატურად უცვლიან ერთმანეთის კომპიუტერებს ინფორმაციას საჰაერო მდგომარეობის შესახებ. საჰაერო სამიზნეს ესვრის ის „კროტალი“, რომელსაც უკეთესი ტაქტიკური პოზიცია უკავია. ის გარემოება, რომ „კროტალები“ შეიძლება ჩართულ იქნენ ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ერთიან სისტემაში, ბევრ რამეზე მეტყველებს — იგივე ჩვენისთანა, მთაგორიანი რელიეფის მქონე ქვეყნისთვის, როდესაც სტაციონარულ რადიოლოკატორებს (რომლებსაც უჭირთ მთების პირიქითა კალთების გაკონტროლება) ინფორმაციას მიაწვდიან ხეობებში გასული „კროტალები“.

რამდენად რეალურია „კროტალების“ ფშავ-ხევსურეთში თუ დალის ხეობაში გამოჩენა?

ყველაფერი შეიძლება ინატროს ადამიანმა, მაგრამ სამწუხაროდ, მისი ხორცშესხმაა ძნელი. „კვირის პალიტრამ“ შარშან, ლე ბურჟეს საერთაშორისო აეროკოსმოსურ გამოფენაზე „კროტალზე“ უფრო თანამედროვე მობილური საზენიტო-სარაკეტო დანადგარებიც ნახა, მაგრამ მათი შეძენა ძალზე დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული. ფრანგებმა საეჭვოა, ასეთი საჩუქარი გაიღონ.

შეიძლება მცირე იმედი გვქონდეს უფრო მოძველებული საზენიტო სისტემების გადმოცემისა, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნების არმიები თავისი შეიარაღებიდან ხსნიან.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# მოგზაურობა ქოქოხეთში, ანუ იქ, სადაც ჩიტი ორასი ათასი დოლარი ღირს და ქალი — ოცი ათასი

თბილისიდან აფრენილმა ტუ-154-მა, რომელიც აქამდე სპარსეთის ყურის ერთფეროვან სილურჯეს მიუყვებოდა, ერთბაშად ომანის მთების მასივში შერგო თავი, მერე მშრალ ხეობაში შეყუჟულ ფიჯეირას აეროდრომს შემოუარა და როგორც კი ნებართვა მიიღო, ისე ნარნარად დაეშვა ასაფრენ ზოლზე, მგზავრებს არც კი უგრძნიათ.

— უზარმაზარ თვითმფრინავში დიდი-დიდი 18-20 მგზავრი თუ იქნებოდა. ფაქტობრივად, სალონი ცარიელი იყო, დასაჯდომი სკამებიც კი მოეხსნათ. ქალბატონმა და სხვა მგზავრებმა კი იცოდნენ მიზეზი, მაგრამ გურამმა, რომელიც ამ რეისით პირველად მგზავრობდა, ვერაფრით გაარკვია, რას ნიშნავდა ეს სიცარიელე. ერთი-ორჯერ დააპირა კიდეც თანამგზავრისათვის ეკითხა ამის შესახებ, მაგრამ იმან ისე აუგდო სიტყვა, იფიქრა, აქ ამგვარი კითხვის დასმა ალბათ უხერხულიაო და მეტი აღარ უცდია. მით უმეტეს უადგილობის, უფრო სწორად, დასაჯდომი ადგილების სიმცირის გამო, თვითმფრინავის ფიუზელაჟიდან გადმოკიდებულ ჩვეულებრივ ტაბურეტზე ოდნავ განიერ ჩამოსაჯდომზე ისეთი ტანკენარი ქალიშვილის გვერდით მოუწია დაჯდომა, მიუხედავად იმისა, რომ გოგონა შვილად უფრო შეეფერებოდა, მაინცდამაინც არ უნაღვლია დისკომფორტის გამო. პირიქით, იმას ნატრობდა, ნეტავ დიდხანს გაგრძელდებოდესო ფრენა, მაგრამ სამი საათის შემდეგ მოგზაურობა ისე დასრულდა, ისიც ვერ გაარკვია ვინ იყო ეს გოგო, სად მიდიოდა და რისთვის. მასაც თითქოს ენა გადაეყლაპა, არც ერთ კითხვაზე არ უპასუხია და აღარც კაცი მისძალებია. ეგ უკვირდა მხოლოდ, ამ გოგონასა და გურამის გარდა, დანარჩენი მგზავრები ერთი ოჯახის წევრებივით რომ იქცეოდნენ.

გურამმა შემდეგ სასტუმროში შეიტყო, რომ ეს ხალხი დუბაიდან სამრეწველო საქონელს ეზიდებოდა თბილისში და ამიტომაც გადაეკეთებინათ სამგზავრო თვითმფრინავი სატვირთოდ. ახლა ერთის გარდა, ყველაფერი გასაგები იყო. ის გოგონა ნამდვილად არ იყო მათი ამქრიდან. აშკარა იყო, არც ამათებურად სამხიარულოდ ჰქონდა საქმე. მის დიდრონ, თაფლისფერ თვალებში რაღაც ამოუცნობი ნაღველი ამოიკითხა გურამმა, მაგრამ ახლა აქ ამის გარკვევის დრო არ იყო. ისე კი ძალიან გაოცებული დარჩა, როცა აეროპორტში გოგოს თეთრ კაბასა და სანდლებში არაბად გადაცმული, წვერგაუპარსავი, ჩოლოხა ქართველი დახვდა, რომელმაც სიხარულით იმხელა ხმით იღრიალა, — მალადეც, თიკო, რომ ჩამოხვედიო, — ადგილობრივმა არაბებმა იქვე დაასკვნეს, ჩაცმულობის მიუხედავად, ეს კაცი ჩვენი ჯიშის არ უნდა იყოსო.

— არა, ეს იმდენად განსხვავებული წყვილია, გამორიცხულია მათ შორის რაიმე იყოს, — დაასკვნა გურამმაც.

— სხვები, დანარჩენები სად არიან, გოგო, სამი თვეა ამ სიცხეში გელოდებით. ძალიან კი გამახარე შენი ხილვით, მაგრამ მარტო თუ ჩამოხვიდოდი, ნამდვილად არ მეგონა, — აწრიალდა დამხვდური. გოგოს აშკარად ეტყობოდა, არ სიამოვნებდა ასეთი ხმამაღალი საუბარი და მოკლედ მოუჭრა, — არ არის ახლა აქ მაგის გასარჩევი ადგილი, ვანო. ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

გურამი იმ დღეებში აბუ-დაბიდან ადის-აბებაში უნდა გაფრენილიყო და ის ქალიშვილიც ალბათ დავიწყებას მიეცემოდა, მაგრამ კომპანიონმა დააგვიანა და ერთი კვირა თვითმფრინავის მგზავრ ქართველებთან ერთად სასტუმროში მოუწია ცხოვრება, მერე კი ადგილობრივი კომპანიონის მოწვევა მიიღო და მასთან ბინაში გადასახლდა. მასპინძელი წარმოშობით საუდელი არაბი გახლდათ, რომელსაც თავის დროზე ლენინგრადის არქიტექტურის ინსტიტუტი დაემთავრებინა და ახლა აბუ-დაბის მუნიციპალიტეტში, ჩვენებურად თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა. შესანიშნავად ლაპარაკობდა რუსულად. ყველაფერი აინტერესებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის შესახებ, რომელიც იმხანად სულ რაღაც ერთი-ორი წლის დაშლილი იყო. რამადანის დამთავრებამდე ორ კვირაზე მეტი რჩებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ ხნის განმავლობაში გურამს დღეში სამჯერ აჭმევდა მუსტაფა ალ-კაირ ალ-ფადი ალ-მინტარის შრილანკელი მოსამსახურე (ასე ერქვა გურამის მასპინძელს), თვითონ მუსტაფა კი მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ სადილობდა, ფეხზე მდგომარე, დღეში ერთხელ. ერთ საღამოს მუსტაფამ ღიმილით, მაგრამ ძალზე სერიოზულად, ვითომ სხვათა შორის, გადაულაპარაკა, — მას შემდეგ, რაც აქ ყოფილი სსრკ-დან ტურისტებმა იწყეს დენა, ჩემი რუსული ენის ცოდნა იმდენად დაფასდა, კვირა არ გავა, ერთ-ორ სასამართლო პროცესზე თარჯიმნად რომ არ მიმიწვიონ. დღესაც მთხოვეს ერთ საქმესთან დაკავშირებით მონაწილეობა მიმეღო სასამართლო სხდომაში, მაგრამ ბრალდებულები ამორალურ საქმეებში იმხილებიან, მე კი არ მინდა რამადანის დღეებში ამგვარ საქმეებში გავერიო. თუ დამთანხმდები, რწმუნებას მოგცემ და ჩემ მაგივრად შენ იტვირთე თარჯიმნობა. სამაგიეროდ, საათში ას ოც დოლარს გადაგიხდიან. ვიდრე ადის-აბებადან პასუხს მივიღებთ, ამით ცოტას გაერთობი კიდეც. ზეგ კი დასვენებაა და ყურეში ერთ-ერთ კუნძულზე გავისეირნოთ, მარგალიტების მოპოვების პროცესს გაჩვენებ თუ გაინტერესებს, რა თქმა უნდა. რას იტყვი?

— რას ვიტყვი და იმას, ჩემო ძვირფასო მუსტაფა, რომ თუ სტუმართმოყვარეობით ვინმე გამაკვირვებდა, არ მეგონა. მხოლოდ შენ მოახერხე ეს.

მეორე დღეს სასამართლოს მდივანმა მოკლედ აუხსნა გურამს საქმის ვითარება. თურმე ვილაც რუსი გოგონა მისივე ეროვნების ვილაც სუტენიორი მამაკაცის დახმარებით სასტუმროებში იღებდა არაბ მამაკაცებს და გარკვეულ გასამრჯელოს საფასურად სთავაზობდა სექსუალურ მომსახურებას. სასამართლოში გურამს სპეციალურ ბარათზე მოაწერინეს ხელი. ამით ის გააფრთხილეს, რომ ყველა სიტყვას მაქსიმალური სიზუსტით თარგმნიდა. დარბაზში სულ რამდენიმე კაცი, მათ შორის ერთადერთი ქალი იჯდა. ღმერთო ჩემო, ეს ხომ ის თბილისელი გოგონაა? რა ჰქვია? თიკო ხომ? კი, ის არის! გაეხარდა კიდეც ქალიშვილის კიდევ ერთხელ დანახვა. მაგრამ ეს სიტუაცია აფუჭებდა ყველაფერს... სასამართლო. აქ ნამდვილად ვერ გამოელაპარაკებოდა, არადა? კი, მაგრამ აქ რა უნდა? თუმცა ახლა ბადრაგი იმ რუს კახპას შემოიყვანს თავის „მამობილთან“ ერთად და ყველაფერი გაირკვევა.



სასამართლო დათქმულ დროს დაიწყო. არც ბადრაგი შემოსულა და არც ხელბორკილი შეუნიშნავს ვინმეს ხელზე. მოსამართლემ სხდომის მონაწილეებს იგივე აუწყა, რაც გურამს უკვე მოსმენილი ჰქონდა. ახალი მხოლოდ ის იყო, რომ საქმე ეხებოდა რუსეთის მოქალაქე ვალენტინა აქსიონოვასა და მის თანამემამულე ვლადიმირ მოროზოვს.

გურამის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ გვარ-სახელების გაგონებისთანავე ფეხზე წამოდგნენ... მისი ნაცნობი თიკო და ჩოლოხა ვანო, რომელიც კვლავაც არაბული თეთრი კაბით იჯდა აქამდე დარბაზში. მოსამართლის პირველი კითხვა ორივეს ეხებოდა — როდის ჩამოვიდნენ საამიროშიო.

გურამს თითქოს ვილაცამ ჩასძახაო, ენაზე მომდგარი ქართული შეიკავა და რუსულად უთარგმნა განსასჯელებს მოსამართლის შეკითხვა. თიკომ, რომელიც აქამდე ქანდაკებასავით იჯდა და აშკარა იყო, ვერავის ამჩნევდა, აქცენტით იგრძნო, რომ ამ რუსულ სიტყვებს ქართველი ახმოვანებდა და შემკრთალმა შეხედა გურამს.
— დავილუპეო, ამოიკვნესა, თუმცა უმალვე თავს მოერია და თვალებით უსიტყვოდ შეევედრა გურამს, — არ გამთქვა, რომ ქართველი ვარო.

სასამართლომ გაარკვია, რომ ვანო, ანუ ვლადიმირ მოროზოვი პროფესიონალი სუტენიორი ყოფილა. რუსეთიდან ჩამოჰყავდა თურმე ახალგაზრდა გოგონები და შემოსავლის წილში უჯდებოდა. საამიროში კი მალულად, ე.ი. უვიზოდ ცხოვრობდა.

მოსამართლე ახლა თიკოს, ანუ ვალენტინა აქსიონოვას დაკითხვას შეუდგა:

— როდის ჩამოხვედით?

— სამი კვირის წინ.

— რა საბაბით?

— ტურისტული მოგზაურობის.

— ნამდვილი მიზანი?

— ფულის შოვნა.

— რა საშუალებით?

— სხეულის გაყიდვით.

გურამს თითქოს ხელის ერთი დაკვრით გაუცამტვერდა თიკოსადმი ჯერ კიდევ თვითმფრინავში აღძრული სიმპათია. მისდა გასაოცრად, ქალიშვილი ისე იოლად პასუხობდა ყველა შეკითხვას, გურამს უკვირდა კიდეც, სად ამის ხელობის პატრონი და სად ასეთი გულახდილობაო, მაგრამ მოგვიანებით გაარკვია, ამით მან ციხიდან დაიხსნა თავი. ჩვენგან განსხვავებით აქ თურმე დიდად აფასებენ გულახდილობას, ჩვენთან კი დანაშაულის აღიარება უმოკლესი გზაა ციხისაკენ. თიკოს კი მხოლოდ ქვეყნიდან გასახლება და ხუთი ათასი დოლარი ჯარიმა აკმარეს. თუმცა, მანამდე დაკითხვა გრძელდებოდა.

— რა საერთო გაქვთ ვლადიმირ მოროზოვთან?

— ბიზნესი...

— დააკონკრეტეთ.

— ეს სექსუალური სფეროა. იგი კლიენტებს შოულობდა, მე მათ ვემსახურებოდი, ფულს კი თანაბრად ვიყოფდით — ნახევარს ნახევარზე.

— საშუალოდ, რამდენ კლიენტს ემსახურებოდით ღამის განმავლობაში?

— ყოფილა შემთხვევა, 17 კაციც მიმიღია.

— ფასები?

— სეანსი, ანუ ნახევარი საათი ოთხმოცი დოლარი.

— ხომ არ ჰქონია ადგილი მოროზოვის მხრივ თქვენი გაყიდვის მცდელობას?

— მგონი ასეთი რამ იყო. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჩამოსვლისთანავე ერთ მდიდარ შეიხთან მიმიყვანა, დიდხანს ლაპარაკობდნენ. საუბრის ტონი თანდათან იცვლებოდა და მერე და მერე უფრო ხმამაღლა მიმართავდნენ ერთმანეთს. დასასრულს, ჩემი ინგლისურით მხოლოდ ის გავიგე, რომ ვალოდია გაწიწმატებული ეკითხებოდა შეიხს — როგორ? ერთ სამასგრამიან შევარდენში ას სამოც ათას დოლარს იხდი, ქალი ოცდაათიათასად გინდა იყიდოო?

მაშინ მეგონა, რომ ეს ერთი ღამის, ან ვთქვათ, ერთი კვირის საფასური იყო, ახლა კი ვხვდები, რომ საქმე ჩემს გაყიდვას ეხებოდა.

ვანო-ვლადიმირმა იქვე უარყო ეს განცხადება და ქალს იქით შეუტია „უმადურობის“ გამო. მისი ნაამბობით, უპატრონო და მიუსაფარი, მშიერ-მწყურვალი თავისი სახსრებით ჩამოიყვანა საამიროში, გათხოვებას უპირებდა, უნდოდა კარგი პატრონი ეშოვა მისთვის, მაგრამ გოგო ისეთი წუნია აღმოჩნდა, მისი მოსაწონი კაცი არ მოიძებნა. ამიტომაც იყო, ხან ერთს აკითხავდა და ხან მეორეს. ქალიშვილზე მზრუნველი ვალოდია მას ნებას არ აძლევდა გაცნობის მიზნით სიძეობის შესაძლო კანდიდატთან ცოტა ხანს მაინც მარტო დარჩენილიყო, ეს კი თურმე ამ დროს სექსით ერთობოდა. ეს რომ გამეგო, იმავე დღეს უკან გავაბრუნებდიო, — იქაჩებოდა, მაგრამ არავინ უჯერებდა. სასამართლოს წევრებს მის სიტყვებზე ცინიკურად ეღიმებოდათ.

გურამს ვერ გაერკვია, შებრალებოდა თუ არა ეს გოგო. სასამართლოზე ის როსკიპ დედაკაცს უსმენდა, ახლა კი ბედის უკუღმართობით განწირულ ადამიანს, რომელსაც შველა სჭირდებოდა. მაგრამ რა შეეძლო, რით უნდა ეშველა ამ გოგონასათვის. სასამართლოში აღებულ ჰონორარზე გაიკრა ხელი.

სასამართლომ ვანოს ოთხი წლით პატიმრობა და ოცდახუთი ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. მანამდე გურამს, ემანდ არაფერი გამომრჩესო, ვანოსკენ არც კი გაუხედავს, მაგრამ როცა თარჯიმნის მოვალეობის აღსასრულებლად მისკენ შებრუნდა, ვანო უკვე ბადრაგის ტყვეობაში იხილა, ხელბორკილიც იქვე დაადეს. თიკო ხუთი ათასი დოლარით დააჯარიმეს და ვენერიულ დაავადებაზე შესაბამისი ტესტის გავლის შემდეგ ქვეყნის დატოვება უბრძანეს...

გურამს სასამართლოში აუცილებელი ფორმალობის დაცვით რაღაც ქაღალდებზე ხელი მოაწერინეს, ჰონორარიც იქვე გადაუხადეს და ზრდილობიანად დაემშვიდობნენ. ქუჩაში გამოსულს უკან თიკო აედევნა. კაცს მისი სახის დანახვაც აღარ უნდოდა, მაგრამ როცა გოგომ ვედრებასავით ამოთქვა, — მიშველეთო, — მიხვდა, მისგან თავს ველარ დაიხსნიდა.

— ვიცი, რა წარმოდგენაც გაქვთ ჩემზე. ისიც ვიცი, რომ გეზიზღებით. მეც მირჩევნია, ვინმე სხვას მივეკედლო, მაგრამ ადამიანების, უპირველესად, ქართველების მეშინია. თქვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემ შესახებ თითქმის ყველაფერი იცით, მაინც გენდობით. გევედრებით მიხსენით, თბილისამდე მიმაღწევინეთ.

როგორ არ უნდოდა ამ ტვირთის აკიდება, მაგრამ ბუნებით გულჩვილ გურამს არც უარის თქმა შეეძლო. მით უმეტეს, გოგო მისი ქალიშვილის ასაკისა თუ იქნებოდა. მამობრივმა გრძნობამ აჯობა ზიზღს და წყნარად ამოთქვა:

— ვინა ხარ, ბიძიკო, სახე ანგელოზს მიგიგავს, მაგრამ ეს ამხელა ეშმაკი ვინ ჩაგისახლა სულში, რა გინდა, გოგო, აქ? — ფეხით მიდიოდნენ უმისამართოდ. კაცს თავში ათასი შემზარავი ფიქრი მოსდიოდა. თვითონ სად დაეხეტება, ოჯახს ლუკმა რომ არ მოაკლდეს და ვაითუ, ამ დროს მისი გოგონაც?.. ამაზე სხვა დროს არ უფიქრია, არც ჰქონდა ამის საბაბი. ქალიშვილი წესიერებით გამორჩეულ გარემოცვაში ტრიალებდა, მაგრამ ახლა ამ გოგოს ნაამბობმა მთლად დააბნია კაცი. თიკოს თუ დაუჯერებდა, ღირსეული ოჯახის შვილი უნდა ყოფილიყო. საუბარსა და მანერებზე ეტყობოდა, რომ მისი ასაკისათვის შესაფერისი არც განათლება აკლდა. გურამმა თვითმფრინავშივე ჩაცმულობაზე შეატყო, არც მთლად ღარიბი ოჯახიდან უნდა ყოფილიყო გოგო... მაშ, რა მოხდა?

— საქართველოში ცხოვრება აირია თუ არა, ჩემი მშობლების მიერ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ნაგროვები ქონება ერთ ღამეში გაზიდეს ბანდიტებმა. მამას იმღამესვე დაემართა ინფარქტი და რამდენიმე დღეში გარდამეცვალა. ძმამ ნარკოტიკებს „შეაფარა“ თავი და დედის ხელფასის ანაბარა დავრჩით, მალე მისი ინსტიტუტიც დაიხურა და ვანოც გამოჩნდა. ერთი ჩემი თანაკლასელის შორეული ნათესავია, რამდენიმე გოგოს შემოგვთავაზა: არაბეთში წაგიყვანთ, ისეთ სამსახურს გიშოვით, ორიოდ თვეში ოჯახს ფეხზე დააყენებთ, მაგრამ ამის შესახებ სჯობს მშობლებს ნურაფერს ეტყვითო. ინსტიტუტშიც აირია საქმე, აღარც ლექციები ტარდებოდა, აღარც სემინარები და, ფაქტობრივად, ქუჩაში დავრჩით. გოგონებმა გადავწყვიტეთ კენჭი გვეყარა და ერთ-ერთი წამოვსულიყავით ვანოსთან, რომელიც იმ დროისათვის უკვე აქ იყო. მე მომიწია წამოსვლა. გოგონების შეგროვილი ფულით ჩამოვაღწიე აქამდე. ახლა ყველა ჩემს იმედზეა. მე მელოდებიან, როდის მოვეწყობი და ისინიც ჩამოვლენ. მე კი, როგორც მოვეწყვე, თქვენ უკვე ნახეთ. რამდენიმე დღის შემდეგ მივხვდი, რომ ჩამოსვლისთანავე გაყიდვა დამიპირა. სასამართლოზე აკი ვთქვი კიდეც... ამას მანამდე როგორ წარმოვიდგენდი, მაგრამ აქ თურმე ესეც შეიძლება. წარმოიდგინეთ, ერთ ჩიტში, შევარდენია თუ რაღაც, ორას ათას დოლარამდე იხდიან, ქალი კი, მგონი ოცი-ოცდაათი ათასი დოლარი ღირს, მეტი არა. რაკი დიდ ფასად ვერ გამყიდა, დაიწყო ერთჯერადი კლიენტების შეგროვება. მე კი გამომიცხადა, თუ ამას არ გააკეთებ, აქ მონად გაყიდვა არ აგცდებაო და იძულებულს მხდიდა, ღამეში თხუთმეტი-ოცი კაცი მიმეღო. ბუნებრივია, ყველა მათგანი მეზიზღებოდა, მაგრამ ზოგი ისეთი გამოერეოდა მათ შორის, ენა ვერ აღწერს, ოფლის სუნად ყარდა. მათი ხელები ტანზე მეწებებოდა და საკუთარი თავიც მეზიზღებოდა. საუბედუროდ, ალბათ ასე იქნება მთელი ცხოვრება, მე და ჩემი სხეული ერთმანეთს დავშორდით და ალბათ ველარასოდეს გავმთლიანდებით. სხეულს მე ვძულვარ, მე კი სხეული და ვფიქრობ, შერიგება გამორიცხულია...

გურამს ვერ გაერკვია, შებრალებოდა თუ არა ეს გოგო. სასამართლოზე ის როსკიპ დედაკაცს უსმენდა, ახლა კი ბედის უკუღმართობით განწირულ ადამიანს, რომელსაც შველა სჭირდებოდა. მაგრამ რა შეეძლო, რით უნდა ეშველა ამ გოგონასათვის. სასამართლოში აღებულ ჰონორარზე გაიკრა ხელი.

— რამდენი გეყოფა?

— არა, არა, გზის ფული მაქვს. ჯარიმა რომ გადავიხადე, კიდევ დამრჩა ათას დოლარამდე. გემუდარებით, მარტო ნუ დამტოვებთ, ასე მგონია აქ ყველა მიცნობს ვინცა ვარ და არ მომასვენებენ. ოღონდ თქვენს სიახლოვეს ყოფნის უფლება მომეცით და ხუთშაბათამდე მშიერიც გავძლებ, მერე კი თვითმფრინავი იქნება ალბათ და თბილისში გავფრინდები, — სულს ძლივს ითქვამდა გოგო, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

გურამს მაცხოვარი გაახსენდა — ქუჩის როსკიპს ქვა იმან ესროლოს, ვინც უცოდველად იცხოვრაო ამქვეყნად. მიხვდა, ის ვერ იქნებოდა თიკოს მსაჯული და მშობელივით მოეხვია გოგოს.

მუსტაფა კი, ეს კეთილი და ბრძენი არაბი სულაც არ გაოცებულა, „სასამართლოს თარჯიმანმა“ ბრალდებული რომ მიჰგვარა შინ და მოდიშებით შეჰბედა, ორი-სამი დღე ჩვენთან დარჩებაო.

ეს დღე სამშაბათი იყო. ხუთშაბათს ფიჯეირას აეროდრომამდე მიაცილა გურამმა თიკო. იქაურობას არ მოშორებია, ვიდრე თვითმფრინავის ტრაპზე არ ჰკიდა თვალი. ხელი დაუქნია გამოთხოვების ნიშნად, ეგონა, საბოლოოდ ეთხოვებოდა ამ გაუბედურებულ გოგოს. კაცმა რომ თქვას, მისი შეხვედრის სურვილიც არ ჰქონდა. არც გვარი უკითხავს და არც მისამართი, უნდოდა მალევე დაევიწყებინა ეს შემზარავი ისტორია. მაგრამ...

ამ ამბებიდან მესამე წელი იწურებოდა. საღამოს შინ დაბრუნებულ გურამს დედისერთა ვაჟმა მუდარით სთხოვა, ჩემი ინსტიტუტის მეგობარი ცოლს ირთავს, ქორწილს რაიონში უხდიან და შენ უნდა წამიყვანოო. კარგი მამა იყო გურამი. ვაჟიშვილს როგორ აწყენინებდა, კიდევ სამი სტუდენტი ჩაისვა მანქანაში, თან მოუბოდიშა, სულ მივლინებაში ვარ და მაპატიეთ, დღემდე რომ არ გიცნობდითო...

დათქმულ დროს რაიონში იმ ეზოს ჭიშკარს მიადგნენ, სადაც მექორწილენი სუფრაზე მხოლოდ ნეფე-დედოფალსღა ელოდებოდნენ. უეცრად გურამი მასპინძლის ხმამ გამოაფხიზლა:

— გურამ, შენა ხარ, კაცო, აი, მეორე ბედნიერებაც მეწვია, დედაკაცო, — ცოლს ხელი დაუქნია, აქ მოდიო, — აგე, ესეც გურამია, რო გეუბნებოდი, არ უნდა დამეკარგა-მეთქი, ვიპოვე, ქალო, ოცდახუთი წლის შემდეგ ვიპოვე განა... მოდი, გენაცვალე, მოდი. ჩემო ოქროს კაცო, შენ გენაცვალოს ბეჟუა. გაიგეთ, ხალხო, ესა ჩემი სტუდენტობის ძმაკაცია. აგე, ჩემი ყვავილებიც მოგრიალდნენ... გურამ, გაიცანი ბიჭიც ჩემია და გოგოცა, ენაცვალოთ მამა...

მასპინძელზე ნაკლებად არც თვითონ იყო აღელვებული. ჯერ ნეფეს გადაეხვია, ახოვანი ვაჟკაცი გამოდგა ბეჟუას ვაჟი, ხარის ქედითა და განიერი მხრებით. თუმცა, არც პატარძალი ჩანდა ნაკლები, ციცინათელასავით უნათებდა თვალები მამამთილს, შველივით ტანზე საქორწინო კაბა ისე ლამაზად ადგა, თვალს ვერ მოსწყვეტდა კაცი — გილოცავთ, შვილებოო, ერთხელ კიდევ გაიმეორა წუთის წინ ნათქვამი და გოგოს უფრო ახლოს ჩახედა თვალებში... მის წინ თიკო იდგა. გურამი უმალ მოეგო გონს. მაცხოვარი გაახსენდა ისევ და მიხვდა, არ ჰქონდა ქვის სროლის უფლება.

მამაშვილურად მოეხვია მასზე უფრო დაბნეულ პატარძალს და წყნარად ჩასჩურჩულა — ყველაფერი დაივიწყე, შვილო, მე უკვე დიდი ხანია შენი სახის მეტი აღარაფერი მახსოვს.

P.S. ეს ამბავი გურამმა არც ისე დიდი ხნის წინ მიამბო. მაშინ ასე არ მძლავრობდა ტრეფიკინგი, ახლა რომ შავი ჭირივით მოედო ქართველ გოგონებს.

*ვაჟა გავაშელი*

# ცხოვრებისეული კურიოზები

## საახალწლო ზარი... სამარიდან



საახალწლოდ ბიძაჩემმა, ოზურგეთში, თავის ახლობლებში „პოსლეზე“ 15 ტონა მანდარინი აიღო და რუსეთში (ქალაქ სამარაში) წაიღო. თუმცა გამოცდილება არ აკლდა, მაგრამ გადაეყარა ვიღაც „აფერისტებს“, ჩააბარა ეს სიმწრით ჩატანილი ციტრუსი და... ამაოდ ელოდა საფასურს.

ერთ დღესაც რეკავს განერვიულებული თბილისში, სიძესთან. ყურმილს მძახალი იღებს, ქალბატონი მარო, რომელიც საქმის კურსში არ არის.

— თქვენ ხართ, ბატონო გრიშა, როგორ ბრძანდებით? — ეკითხება მძახალს.

— ისე გეყოლოს მტერი, მე რომ ვბრძანდები!

— რაშია საქმე, საიდან რეკავ?

— სამარიდან ვრეკავ, სამარიდან... — პასუხობს გრიშა.

ქალბატონ მაროს განცვიფრებისაგან ყურმილი ხელიდან გაუვარდა...

***ა. კვასტიანი, ოზურგეთი***

## აქ მუშაობდა, აქვსენტიჩი!..



ქუთაისელ დავით გ-ს, რომელსაც ყველა აქვსენტიჩს ეძახდა, ძალიან ეამაყებოდა, რომ ერთ-ერთ პრესტიჟულ დაწესებულებაში მუშაობდა, თანაც წამყვანი განყოფილების გამგედ. აქვსენტიჩს იმ ჯარისკაცის სენი სჭირდა, გენერლობაზე რომ ოცნებობს და დღენიადაგ საკუთარი დაწინაურების გეგმებს აწყობდა. პირველ რიგში კი ავტორიტეტის მოპოვებაზე ზრუნავდა. ერთ მშვენიერ დღეს, განყოფილებაში შესული თავის ქვეშევრდომებს ეტრაბახება, მე რომ უფრო დიდი შეფი გავხდები, ჩემი წასვლის შემდეგ ყველა იტყვის, აქ მუშაობდა აქვსენტიჩიო!

ამ დროს კი სად იყო და სად არა, ნამდვილი შეფის მკაცრი ხმა გაისმა:

— აქვსენტიჩ! ტრაბახს თუ არ შეეშვები, შენი თანამშრომლები ხვალვე იტყვიან, აქვსენტიჩი აქ მუშაობდაო!..

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## ზოგი ჭირი მარგებელია



ერთი ხობელი მოქალაქე კომუნისტების დროს მოსკოვში ავეჯის საყიდლად წავიდა. ყველაზე დიდ მაღაზიას ესტუმრა და სასურველი ავეჯის დათვალიერებისას „შემთხვევით“ შეხვდა ერთ ქართველს, რომელმაც თავი დირექტორად გააცნო და როგორც „ზემლიაკს“, დახმარებაც აღუთქვა. ჩვენმა ნაცნობმა მოქალაქემაც სიხარულით ამოირჩია ავეჯი, გადაიხადა ფული, „ჩააბარა“ პასპორტი დირექტორს, რომელმაც ერთ-ერთ სადგურში 5 საათზე შეხვედრა დაუთქვა, საიდანაც ავეჯი უნდა ჩაეტვირთათ მატარებელში.

არც იმ 5 საათზე და არც შემდეგ დღეებში არავინაც არ გამოჩნდა. მთელი თვე-ნახევარი ეძებდა ხობელი მოქალაქე „მაღაზიის დირექტორს“, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მისი ასავალ-დასავალი თვით ავეჯის მაღაზიაშიც არ იცოდა არავინ. ბოლოს ცარიელ-ტარიელი და გამწარებული შინ დაბრუნდა.

აქაც კიდევ ერთი „სიურპრიზი“ ელოდა. მისი სახლის აივანზე მისივე გადიდებული სურათი და შავ სატინაზე ოქროსფერი ასოებით გამოყვანილი წარწერა იყო გაკრული — „გემშვიდობები საყვარელო ოჯახო“...

თურმე ნუ იტყვით და, ავეჯის მაღაზიის „გადამგდები“ დირექტორი ხობელი მოქალაქის მოტყუებიდან ერთი თვის შემდეგ ავტოკატასტროფაში დაღუპულა. ჯიბეში ჩვენი ხობელის პასპორტი ედო თურმე და ბლომად ფულიც... ცინკის კუბოში ჩაუსვენებიათ, ხობში გამოუგზავნიათ და ფულიც გამოუყოლებიათ. ჭირისუფალს კუბო არ გაუხსნია და მიცვალებული სოფლის სასაფლაოზე დაუკრძალავთ.

ჭირისუფლებს დაღუპულის ჯიბეში „აღმოჩენილი“ თანხის გარდა, ნათესავები და მეზობლებიც დახმარებიან და რაც მოსკოვში დაკარგა, სამი იმდენი ფულიც შეგროვებულა...

ამას ჰქვია — ზოგი ჭირი მარგებელიაო...

***ვაჟა წურწუმია, ხობი***

## ანეკდოტური ამბავი კახეთიდან



კოლმეურნეობის ბრიგადირი მეზობლებს აფრთხილებს. მიადგა მიხას სახლს და ეძახის:

— მიხავ, მიხავ, არ დაიგვიანო, დროზე წამოდი სამუშაოზე.

ჩამიჩუმი არ ისმის. გადაყო ხელი, გააღო ჭიშკარი და ეზოში შევიდა. ვერ გააგებინა. ახლოს მივიდა და დაუგდო ყური,

სახლიდან ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა:

— მარო, ერთი ფეხი ასწი!

— ავწიე, მიხავ!

— მეორე ფეხიც ასწიე!

— ავწიე, მიხავ, მეტი რაღა გინდა.

— მარო, მესამე ფეხიც ასწიე!..

ბრიგადირს თვალები გაუფართოვდა და სმენად იქცა, ხომ არ მომეყურაო...

— ხო, ხო, კარგია, კარგი, მიდი მარო!.. — მოესმა მიხოს ხმა. ველარ მოითმინა, შეაღო კარი და რას ხედავს: კარებში გაჭედვიათ დიდი მაგიდა, რომელიც ერთი ოთახიდან მეორე ოთახში უნდა გადაეტანათ...

***ა.ს., გორი***

## მეგრელაძის მარცხი



ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა მერაბ მეგრელაძე. ერთ სეზონზე ცუდად წაუვიდა საქმე — ბურთი ვერა და ვერ გაიტანა და ამის გამო მაყურებელიც განაწყენებული ჰყავდა. ერთხელაც მეგრელაძე მანქანით მიდიოდა და დიდ ორმოში ჩაუვარდა წინა ბორბალი. ბევრი ეწვალა, მაგრამ დამოუკიდებლად ვერ შეძლო მანქანის ამოთრევა, დადგა და ლოდინი დაიწყო, ვინმე გამოივლის და დამეხმარებაო.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. გამოიარა ერთ-ერთმა ქუთაისელმა, „ტორპედოს“ დიდმა გულშემატკივარმა და იცნო თავდამსხმელი — შენ, ბიჭო, მერაბი არ ხარ, მეგრელაძე? — ჰკითხა.

— მერაბი ვარ, მერაბი! — გაეხარდა მეგრელაძეს, იფიქრა, ახლა კი მეშველაო.

— შე კაი კაცო, შვიდმეტრიან კარებს რომ აცილებ ერთი ბეწო ბურთს, ნახევარმეტრიან ორმოს ამხელა მანქანა როგორ ვერ ააცილე!.. — დახმარების ნაცვლად ნიშნი მოუგო გულშემატკივარმა, მანქანა დაქოქა და კმაყოფილი წავიდა....

***ლევან ხოსრუაშვილი, თბილისი***

## მკითხველის — საყვარელი ანეკდოტი



სეროჟა თოვლის პაპაა და საბავშვო ბაღში შევიდა მისალოცად.

ბავშვები შემოეხვივნენ ჟრიამულით და ეკითხებიან:

— თოვლის პაპა, თოვლის პაპა, საიდან მოხვედი?

— ტყეშიდან, ტყეშიდან!.. — იყო პასუხი.

***ქოროზა, თბილისიდან***



სვანები ავსებენ კროსვორდს.

— დასარტყამი ინსტრუმენტი, ოთხი ასო... — ხმამაღლა კითხულობს ერთი.

— რად უნდა მაგას ბევრი ფიქრი, დაწერე მანდ დანა! — ამბობს მეორე.

***ანა მაზიაშვილი, ახმეტა***



გამოცანა:

მოხუცი ავტობუსში ავიდა და სვანმა ადგილი დაუთმო. მოულოდნელად ავტობუსი ხეს შეეჯახა და მგზავრები სასწაულებრივად გადარჩნენ.

პასუხი:

[illegible]

***ვახტანგ ჯანეზაშვილი, თბილისი***

## რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი



ვარაბეი — ქურდს შემოსცხე (ისე, საშარო საქმე კია)
ვინოგრად — სეტყვასავით ღვინო
ვინოვატ — ბამბასავით ღვინო
კარენოი ტბილისეც — ვახ, რა თბილისელია კარენა
კონსილიუმი — ცხენის ძალა ჭკუასთან ერთად
კონტუზია — ცხენს რომ ათიანზე ტუზი დაეცემა
ლექსიკონი — ლექსი ცხენებზე
პადვალი — ვალიას ქვეშ (სასურველი მოვლენა)
პადნოჟკა — დანის ქვეშ (არასასურველი მოვლენა)
პლანტაცია — პლანის (ანაშის) გამტაცებელი
პოლუოსტროვ — ნახევრად ცხარე
პოლუსი — ნახევარი ულვაში
პროვოლკა — მგლის შესახებ
რობსონი — რობერტას სიზმარი

P.S. ვიფიქრე, ახალწლის დღეებში ცოტას წავეშველები ჯანო ონიანს-მეთქი, თორემ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას არ ვაპირებ...

***რევაზ ნიჟარაძე, თბილისი***



რაჭაში მჭედელმა სერიოზული დანაშაული ჩაიდინა და სოფლიდან გასახლება მიუსაჯეს, რასაც ერთხმად დაეთანხმნენ. ამ დროს ხალხს უხუცესი გამოეყო და განაცხადა:

— მჭედელი, ქვე შენი ჭირიმე, სოფელში ერთი გვყავს, დურგალი კი ბევრი. ჩვენც ერთი დურგალი გავასახლოთ, მჭედელი კი დავიტოვოთ. ჩვენი საქმეც არ გაფუჭდება...

ამ გონივრულ წინადადებას ტაშით შეხვდნენ.

***ლ. მალაშხია, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

# MTV-ზე „შატილის ასულოს“ ატრიალებენ და ჭკუაზე არ არიან...

*..სიმღერა ცხოვრებაა, შვილო. აგე, აი იმ მთაზე გაწოლილი ნისლია სიმღერა, გაზაფხულის კრიალა დილას, მინდვრის ყვავილზე ცვართან მოთამაშე ჭიამაიაა და კიდევ ზათქით მოვარდნილი ზვავი და მეწყერია...*

— რამდენიმე წლის წინ, ალალი გლეხის მიერ სუფრასთან ნათქვამი ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გამახსენდა, როდესაც „შატილის ასულოს“ მელოდიაზე გადაღებული მუსიკალური კლიპი ვნახე. მისი მნახველი გულგრილი რომ არავინ დარჩენილა, ფაქტია. ორიოდე დღის წინ, ქუჩაში გამოსული უცნაურ სცენას გადავაწყდი: ბავშვები აღარც „ბრიუს ლის“ სახელზე ედავებიან ერთმანეთს და აღარც „შვარცენეგერისა“ — ერთი ფშავლობას იჩემებს და მეორე ხევსურობას. აღარც ავტომატის სროლის იმიტაციით და „ია-იას“ ძახილით იჭაჭებოდნენ — წარბების ვაჟკაცურად შეჭმუხნას და ფარიკაობას ამჯობინებდნენ...

ყოველივეში „დამნაშავე“ ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და ქართული-ხალხური შემოქმედების ამაგდარი, **ჯემალ ჭკუასელი** აღმოჩნდა. მას საცეკვაო დარბაზში, რეპეტიციაზე მივაკვლიეთ. ზეგ პარიზში მივემგზავრებით გასტროლებზე, ძალიან მოუცლელი ვარო, მომიბოდიშა და სასაუბროდ კაბინეტში მიმიწვია.

— კლიპი, რომელიც ჩვენი ანსამბლის მომღერალთა და მოცეკვავეთა მონაწილეობით გადაიღეს, მხოლოდ ერთ-ერთი მცირე დეტალია იმ საერთო პროგრამისა, რომელიც „ერისიონისთვის“ ჩვენმა უცხოელმა ინვესტორებმა და პროდიუსერმა შექმნეს.

**(რედაქცია ანსამბლის სახელწოდების წარმოშობით დაინტერესდა — როგორც ბატონმა ჯემალმა გვითხრა, შესაფერისი სახელის ძებნაში მთელი სულხან-საბას განმარტებითი ლექსიკონი გადაუჩხრეკია და „ერისიონისთვის“ მიუგნია — მთის წვერს ზეითი (მთის წვერს მომდგარი მზის კონტურები) — ასე განმარტება სახელწოდება ლექსიკონში; ერისიონი გვხვდება ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებშიც: „ღრუბელი ადგა ერისიონსა ზედა“, „ერისიონით ამაღლდნენ წმინდანები ზედა“.**

პროგრამა ძალიან ფართოა — მთელ პლანეტას და შეიძლება, ვარსკვლავებსაც მოიცავს — მოკლედ, მთელ მსოფლიოში ჩავალთ — ყველგან, სადაც კი ჩასვლა და კონცერტის გამართვა იქნება შესაძლებელი.

**— დღევანდელი შოუბიზნესის პირობებში ამას საკმაოდ დიდი ხარჯები დასჭირდება...**

— მთავარი დამფინანსებელი ჯიმ ლო გახლავთ, ამერიკელი ბიზნესმენი სიეტლიდან. მან სწორედ შოუბიზნესში იშოვა მილიარდები და ამ სფეროში დიდი გავლენის კაცია. ჩვენი კონცერტების ნახვის შემდეგ დაგვიკავშირდა და გვითხრა — ქართული ხელოვნება ულამაზესი მარგალიტია, რომელიც ლამაზად და მყარად უნდა შევფუთო და მთელი მსოფლიო შემოვატაროო — ქართულ ცეკვას და ქართულ სიმღერას გულისხმობდა. საერთოდ, თვითონ მიაჩნია, რომ ზოგადად, მსოფლიოს ახალგაზრდობაში ძალიან მდარე ხარისხის მუსიკა იკიდებს ფეხს და ჩვენი კონცერტები ერთგვარი „საგანმანათლებლო მარშიც“ იქნება, ოღონდ გრანდიოზული მასშტაბებით.

ბატონმა ჯემალმა გამონაკლისის სახით, პარიზში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე გენერალურ რეპეტიციაზე დასწრების უფლება მომცა. ქართული ცეკვაც მინახავს და სიმღერაც მომისმენია, მაგრამ მსგავსი რამ... რამდენიმე საათის განმავლობაში „გამოლენჩებული“ ვიდექი. ფანდურს დუდუკი ენაცვლებოდა, დუდუკს გუდა-სტვირი. სცენაზე „ხანჯლურის“ დანთებულ ცეცხლს უნაზესი სამაია აქრობდა და ანელებდა... რამდენიმე საათი საქართველოში ვიყავი. ნაღდ, ჯიშიან საქართველოში...

**— თუმცა, ალბათ ამერიკელი და წარმატებული ბიზნესმენი ფულს მხოლოდ მსოფლიოს განათლებაზე არ დახარჯავს...**

— რაღა თქმა უნდა, არა. ჯიმ ლო პირველ რიგში კომერსანტი გახლავთ, რომელმაც, როგორც გითხარით, შოუბიზნესით უდიდესი ქონება დააგროვა. როდესაც საქართველოში ჩამოვიდა და აქაურობას მეტ-ნაკლებად გაეცნო, პირველ რიგში ის იკითხა — რომელი ბიზნესია თქვენში ყველაზე განვითარებულიო. მიხვდებით, რასაც ვუპასუხებდით. პირი დააღო, კი მაგრამ, ქართული ხელოვნების სახით გამზადებული, აწყობილი ბიზნესი გიდევთ და როგორ დავიჯერო, არავის მოაფიქრდა მასში ფულის ჩადებაო. იგი ქართულ ხელოვნებას აღმერთებს და იმაშიც მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ დღეს და ხვალ არა, მაგრამ ხუთი და ათი წლის შემდეგ ეს ბიზნესი მას უზარმაზარ მოგებას მოუტანს. ეს პროგრამა მხოლოდ ერთი ადამიანის აღტაცების შედეგი კი არ გახლავთ, სერიოზული კომერციული გათვლაა, სადაც ყველაფერია გათვალისწინებული — საკონცერტო არეალში მცხოვრები ხალხის განწყობა და ფსიქოლოგია, მათი გემოვნება და ა. შ. ეს ყველაფერი ჩვენი გასვლითი კონცერტების დაწყებამდე აქტიურად მუშავდება საკმაოდ სოლიდური სარეკლამო კამპანიით. თავად განსაჯეთ — ჩვენი პირველი კონცერტი საფრანგეთში, სადაც 14 კაცი ვმონაწილეობდით, 1 მილიონი დოლარი დაჯდა, ხოლო ახლანდელი ათდღიანი ტურნე საფრანგეთში კი სამი მილიონ ხუთასი ათასი დოლარი ჯდება — აქ გათვალისწინებულია ყველაფერი, სარეკლამო კლიპით დაწყებული და აფიშებით დამთავრებული. გურულებმა იციან ხუმრობა — სულ არაფერს, ცხრა ულელი ხარ-კამეჩი სჯობიაო. ზუსტად ასეა ჩვენი საქმეც — ქართულ კულტურას მთელი ცივილიზებული მსოფლიო გაეცნობა და ამ კამპანიას მსოფლიოში აღიარებული შოუმენები და რეჟისორები წარმართავენ — უცხოელებისავე მილიონებით, „ემთივიზე“ „შატილის ასულოს“ ატრიალებენ და ჭკუაზე არ არიან... ამაზე პირადად მე, რამდენიმე წლის წინ ჩეროში წამოწოლილიც კი ვერ ვიოცნებებდი, შე კაი კაცო...

**— ამ ყველაფერს ერთი კაცი, ჯიმ ლო აკეთებს?**

— დასავლეთში, რაც არ უნდა ბევრი ფული ჰქონდეს, საქმეს მარტო ერთი ბიზნესმენი არასოდეს არ წამოიწყებს — სხვებსაც შესთავაზებს კომპანიონობას. ჯერ ერთი, ასე რწმუნდება, რომ საქმის წარმატებით გათვლაში არ ცდება და მეორეც, იმ სხვებმა წარმატების შემთხვევაში ხელი რომ არ შეუშალონ... ჯიმ ლო ჩვენი ანსამბლის მთავარი პროდიუსერია, ხოლო ინვესტორებად ისეთი სერიოზული კომპანიები გაერთიანდნენ, როგორიც, „ბოინგი“, „უნივერსალი“, და „გრემ პროდაქშენ“-ია. აქტიურად გვეხმარება საფრანგეთის ტელე-რადიოკორპორაციაც. ამ ინვესტორებმა, ჯიმ ლოს თაოსნობით, ჩვენი ანსამბლისთვის ცალკე საერთაშორისო კომპანია — „ერისიონი პროდაქშენ“ შექმნეს, რომელმაც „ერისიონის“ საკონცერტო გასვლებზე უნდა იზრუნოს.

**— ქართული ბიზნესი ამაში არ მონაწილეობს?**

— არანაირად. ეგ არის, თავიდან ერთი-ორი კაცი დამეხმარა, როდესაც უცხოელებთან კონტაქტებს ვამყარებდით. თუმცა, ის 7-8 ათასი დოლარი არაფერია იმ ხარჯებთან დაკავშირებით, რასაც ახლა ჩვენი ფრანგი და ამერიკელი ინვესტორები სწევენ. ახლა, ძალიანაც რომ მოინდომონ, ხელშეკრულების პირობები ისეთია, ვერც ერთი ქართველი ბიზნესმენი ვერ ჩაერთვება...

**— თქვენ ერთი ხუთწუთიანი კლიპით დაამტკიცეთ, რომ ქართული ცეკვა-სიმღერა არ მოძველებულა და მისი კონკურენცია ჩვენში ესოდენ მომრავლებულ, გაურკვეველი წყობა-ხასიათის მუსიკასთან არამცთუ ღირსეული, უთანასწოროც კია...**

— აბა, რა გითხრა... იმდენი გარყვნილება და გათახსირება, თანამედროვე ქართულ სიმღერებში რომ მესმის, ძნელად თუ სადმე გამიგია. ქართველების არშიყი და ეშხი გვაკლდა სიმღერებში, კაბის აწევაზე რომ არ გადაგველო კლიპი? რა ვიცი, შეიძლება „ქაჯი და გოიმი“ ვარ და ვერ ვხვდები, მაგრამ, შე დალოცვილო, იმ ხალხმა, ვისაც ჩვენი ახალგაზრდა მომღერლები ბაძავენ, ძველ ქართულ ცეკვა-სიმღერაზე და ჯიშლაზათზე გადაღებულ კლიპში 400 ათასი დოლარი დახარჯეს და ბევრად უფრო მეტსაც დახარჯავენ — გაცვეთილი ფრაზა კი ჰქვია მარა, სახლში ლამისაა თურაშაული დაგილპეს და პანტაზე გარბიხარ ტყეში?

პირადად მე ჩემს შვიდ შვილიშვილს „ჩაკრულოზე“ ვზრდი, ყოველ საღამოს „მეგრულ ნანაზე“ ვაძინებ, „ლილეთი“ ვუთენებ დილას. დარწმუნებულიც ვარ, რომ დამეზრდებიან, ზოგიერთივით სატირალი არ გამიხდება, ჩვენში რომ იციან ხოლმე — დამილუპეს შვილიო... შვილი შენ თუ არ დაღუპე და გაატუტუცე, სხვა არ „დაგიღუპავს“...

აგერ, ჩემი ბიჭი გვერდით მყავს და დღე და ღამე ვამუშავებ, რეპეტიციებზე თუ ჩავხედავ ხოლმე ხანდახან...

> „შვილი თუ შენ არ დაღუპე და გაატუტუცე, სხვა არ დაგიღუპავს“...

ჩემი წინაპრების დიდი მადლობელი ვარ, ქართული ხელოვნება, როგორც ანთებული ჩირაღდანი საუკუნეების მანძილზე რუდუნებით შემოინახეს და ანთებული გადმომცეს — სიბნელე არსად შეგხვდებაო. მინდა, ჩემი შთამომავლებიც ასეთივე გრძნობით მიხსენებდნენ...

**— ზემოთ ნახსენები კლიპის შესახებ უფრო ვრცლად ხომ არ მოგვიყვებით?**

— კლიპის გადაღების იდეა თვითონ ჩვენს ფრანგ და ამერიკელ ინვესტორებს გაუჩნდათ. რეჟისორიც თვითონვე მონახეს — ტიერი ვერგნესი. სხვათა შორის, ევროპაში ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი რეჟისორია. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს კლიპი ისე გადაიღო, რომ საქართველოში არ ყოფილა — უბრალოდ, ცოტა ხნით ადრე გვთხოვა, მისთვის ფილმებისა და მუსიკალური ჩანაწერების სახით საქართველოს ამსახველი მასალა მიგვეწოდებინა.

საუბარში კლიპის ერთ-ერთი მონაწილე, **ვანო ჩხაიძეც** შემოგვესწრო:

— გადაღებები საფრანგეთის ალპებში მიმდინარეობდა. იმდენად მაღალ დონეზე იყო ყველაფერი ორგანიზებული, რომ ხუთ დღეში მოვრჩით — ზღვის დონიდან 3800 მეტრის სიმაღლეზე ვიყავით, ჯერ საბაგირო გზით ვიმგზავრეთ, ორი ზღვარი, შემდეგ თოვლმავლებით, მწვერვალის ძირში კი ვერტმფრენები გვიცდიდნენ...

ეკლესია და ტბა საქართველოში გადაიღეს და შემდეგ ვიდეოგრაფიკის მეშვეობით დაამონტაჟეს. სიმღერას და ცეკვას კი „ერისიონის“ წევრები ასრულებენ.

კლიპი დღესდღეობით, პარიზის ყველა კინოთეატრში გადის, სეანსის დაწყებამდე (იქ სულ 90 კინოთეატრია). გარდა ამისა, საფრანგეთის, შვეიცარიის და ბელგიის წამყვანი ტელეკომპანიებიც უშვებენ.

**ჯემალ ჭკუასელი:** „შატილის ასულო“ კონკრეტულად, ევროპისთვის იყო გათვლილი, მის გარდა კი სხვადასხვა კონტინენტისთვის სხვა კლიპებს გადაიღებენ. შემდეგი, ალბათ ამერიკა იქნება... უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი ძირითადი პირობა იყო, მუსიკა ზედმეტი ელექტრონიკით და ეფექტებით არ დაემახინჯებინათ. სხვათა შორის, ეს მუსიკა თავის დროზე ჩვენმა მუსიკალურმა ხელმძღვანელმა, იური გოგოლაურმა აღადგინა და გადაარჩინა. ცეკვას რაც შეეხება — რეზო ჭოხონელიძის დადგმულია, ისევე, როგორც „ერისიონის“ ქორეოგრაფია.

**— რეპეტიციის დროს დარბაზში, ქართველების გვერდით უცხოელი მუსიკოსებიც შევნიშნე, თუმცა, არანჟირება ისეა გაკეთებული, რომ ქართულ ფანდურს ბასგიტარა ნამდვილად ვერ ჯაბნის...**

— აკი გითხარი, ეს ჩემი ძირითადი პირობა იყო-მეთქი. თუმცა, ევროპულ ტურნეს ვერც მხოლოდ სუფთა ფოლკლორული მუსიკა „გაიტანდა“ — ასე ვთქვათ, „XX საუკუნის ყურიც“ უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ ისეც არა, რომ ქართული იქცეს მის დანამატად და არა პირიქით. ერთ მარტივ შედარებას მოვიყვან — სადმე, ოფიციალურ მიღებაზე ხომ მხოლოდ ფრაკით შეგიძლია მიხვიდე?! მაგრამ მრავალფეროვნებისთვის შეგიძლია, პიჯაკის ჯიბეში ნებისმიერი ფორმისა თუ მოდის ცხვირსახოცი ჩაიდო — ოღონდ იმხელა და იმ ფორმის უნდა იყოს, რომ პიჯაკთან შესაბამისობაში მოდიოდეს. აი, თანამედროვე არანჟირება ჩემთვის ზუსტად ეს „ცხვირსახოცი“ გახლავთ... „ერისიონი“ მეორე დღეს პარიზში მიემგზავრებოდა და ბატონი ჯემალი აღარ მოვაცდინეთ...

*დაჩი გრძელიშვილი*

P.S. ამ ცოტა ხნის წინ პოპულარული ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა ლამის ერთმანეთი დაჭამეს, ვინ ფონოგრამით იმღერებდა და ვინ მის გარეშე. „ერისიონში“ 18 მომღერალი, 35 მოცეკვავე და 10 მუსიკოსია. ანსამბლი ევროპის ყველა გრანდიოზულ დარბაზს შემოივლის და, პროგრამა ყველგან ცოცხლად შესრულდება გნებავთ პირდაპირი, გნებავთ, გადატანითი მნიშვნელობით...



ალპები; კლიპის გადაღების პროცესში



## რას გვეტყვი, მამაო?

**— ორგზის შევცოდე ღვთის წინაშე — ჯერ დავემდურე მეზობელს და მერე დავიფიცე, რომ სიცოცხლის ბოლომდე არ შევურიგდებოდი. მეზობელი მეორე დღეს მოვიდა ჩემთან და ტირილით მთხოვა პატიება. რა ვქნა — ან ფიცს რა ვუყო, ან მოყვასის პატიებას როგორ გადავუხვიო?**

— დაუფიქრებელი ფიცით თქვენ ცოდვა ჩაიდინეთ, მაგრამ ამ ცოდვას ახალიც არ დაუმატოთ. უნდა დაეშუროთ თქვენ მიერ ჩადენილი ცოდვის მონანიებას და პირობაც დადოთ, რომ მომავალში ლაგამს ამოსდებთ ენას და დაიოკებთ გულს. თქვენი მოძღვარი წაგიკითხავთ საგანგებო ლოცვებს, მეზობელთან თანხმობასაც ქრისტესმიერი სიყვარულით აღადგენთ.

**— ერთგან ამოვიკითხე, რომ ყველაზე რთული საქმე ქრისტიანისათვის არის ლოცვა. შეიძლება ლოცვა ძნელი იყოს?**

— შეიძლება, და ეს იმიტომ ხდება, რომ როდესაც ადამიანი ლოცვად განემზადება, მტრები — ბოროტი ძალნი ყოველმხრივ ცდილობენ აცდუნონ და ყურადღება გადაატანინონ სხვა რამეზე, რადგან არაფერი ისე ძლიერ არ მოქმედებს მათზე, როგორც ლოცვა. იმისათვის, რომ განუწყვეტლივ ჰქონდეს ადამიანს ლოცვისკენ სწრაფვა, მუდამჟამს უნდა აფხიზლებდეს თავის სულს გახსენებით — თუ როგორ წარდგება იგი ქრისტეს სამსჯავროზე და რით გაიმართლებს თავს...

**— ცოდვიანი ცხოვრების ეპიზოდები, მიუხედავად ეკლესიურად დაწყებული ცხოვრებისა, ხანდახან მაინც გვახსენებს თავს. რა უნდა ვიღონოთ ამ შემთხვევაში?**

— არამც და არამც არ დაანებოთ გულს წარსულის ტკბობით გახსენება, რათა სულში ვნება და ჟინი არ შემოგეპაროთ და დაგაბრუნოთ ვნებათა ტყვეობაში.

**— ჩვენი რა სულიერი და მატერიალური მდგომარეობანი განაპირობებენ პასუხისგებას უფლის წინაშე?**

— ჩვენ მკაცრად პასუხს იმაზე როდი გვაგებინებენ უფლის წინაშე, მდიდარი ვიყავით თუ ღარიბნი, დიდი ნიჭი გაგვაჩნდა თუ მცირე, არამედ მასზედ — თუ როგორ გამოვიყენოთ ჩვენთვის ბოძებული უნარი და გავფლანგეთ თუ არა ის სიზარმაცითა და დაუდევრობით.

**— გთხოვთ განმიმარტოთ, გარდა სასიამოვნო სურნელისა, რა სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება საკმევლის კმევას?**

— საკმევლის კმევა ძველთაგანვე სიმბოლურად აღიქმებოდა როგორც უფლისადმი აღვლენილი ლოცვები და ჩვენი დაუოკებელი სურვილი, რათა ისინი ღმერთამდე მივიდნენ ისე, როგორც ამაღლდება საკმევლის ბოლი.

**— როდიდან დასცილდა რომის კათოლიკური ეკლესია მართლმადიდებელ ეკლესიას?**

— რომის კათოლიკური ეკლესია მართლმადიდებელ ეკლესიას დასცილდა მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ. ქრისტეს დაბადებიდან X საუკუნეში პაპებმა თავიანთი ეკლესიით დაიწყეს ჩამოშორება დედა ეკლესიისაგან, ხოლო X საუკუნიდან თითქმის მთლიანად ჩამოსცილდნენ ერთიან მსოფლიო ეკლესიას.

**— რატომ გვეკრძალება ჩვენ ჩვენი მომავალი ბედის ამოცნობა?**

— ადამიანისათვის სარგო რომ იყოს მარადიულობის სიღრმეთა ხილვა, ღმერთი მიანიჭებდა მათ ამგვარ უნარს. ღმერთი ბევრს რასმე მალავს ჩვენგან ჩვენივე სიკეთისათვის, ჭკვიანი მშობლების მსგავსად, რომლებიც შვილებს უმალავენ იმას, რისი ახსნაც მათთვისავე სასარგებლოდ შეიძლება მოხდეს ზრდასრულ ასაკში. ღმერთს სურს, რომ ჩვენ ბოლომდე აღვასრულოთ ჩვენი მიწიერი დანიშნულება და ამ ასპარეზს არ გავეცალოთ იმაზე ადრე, ვიდრე იგი არ აგვისრულებია.

**— ბაბუამ დაგვიტოვა ანდერძი, მაგრამ ჩვენი მშობლები ცდილობენ გარკვეული კორექტივები შეიტანონ ჩვენი წინაპრის დანაბარებში. მართებულია თუ არა მათი საქციელი?**

— თუ გარდაცვლილებმა წერილობით ან სიტყვიერად დაგვიბარეს რაიმე, რაც უნდა აღსრულდეს მათი სიკვდილის შემდეგ, ჩვენ ყოველივე უნდა შევასრულოთ სრული სიზუსტით, თუ მათი შინაარსი არ ეწინააღმდეგება სახარებისა და მოქალაქეობრივ კანონმდებლობას და არ წარმოადგენს წარმართი კაცის არასჯულისმიერ ახირებებს. პავლე მოციქულის ეპისტოლეში ნათქვამია: „ძმანო, კაცთა განსჯისამებრ გეტყვით: თვით კაცის მიერ დამტკიცებულ შეთანხმებას არვინ აუქმებს და არც რასმე უმეტებს მას“ (გალ. 3,15)

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 32***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები***



# 10 წლის წინ „ბუნკერიდან“ დანახული შობის ღამე...

*აგერ, გავიდა 10 წელი და 2002 წლის 7 იანვარი ბევრი ქართველისთვის მხოლოდ იმითაა 1992 წლის 7 იანვარზე უკეთესი, რომ წინა დღით ბრძოლა არ ყოფილა ქალაქის ცენტრში.*

*იმ ომში არ ყოფილა გამარჯვებულიო — ვამბობთ, მაგრამ ეგ ხომ ომის დაწყებამდეც ვიცოდით. ვიცოდით, მაგრამ მაინც დავიწყეთ. ვინ დაიწყო, რა მნიშვნელობა აქვს. ქმედება ყოველთვის იწვევს უკუქმედებას...*

*მე მინდა ერთი ადამიანის მონათხრობი გადმოგცეთ. იგი უშუალო მონაწილეა იმ ორკვირიანი ბატალიებისა და მის თვალწინ გადაიშალა ის დიდი ტრაგედია, რომელსაც დღეს „დემოკრატიულ რევოლუციას“ ვუწოდებთ.*

— ჩემი სამსახურის შენობა „ოპოზიციურ ძალებს“ ჰქონდათ დაკავებული და ამიტომ ტელევიზიის მობილური ჯგუფი უზენაესი საბჭოს შენობაში ვმუშაობდით.

21 დეკემბრის საღამოს, უზენაესი საბჭოს შენობიდან გამოსულს ე.წ. მიტინგიდან, რომელიც კავშირგაბმულობის სახლთან იმართებოდა, მომესმა: „სიტყვა ეძლევა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერს, ირაკლი ბათიაშვილს,“ — „სასწრაფოდ და უპირობოდ დღესვე გადადგეს პრეზიდენტი, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება, ხვალ ტყვიამფრქვევები აკაკანდებიანო“, — ისმოდა მეგაფონის ხრინწიანი ხმა. უზენაესი საბჭოს შენობის წინ პროსპექტს უკვე „ასუფთავებდნენ“ კიტოვანის შეიარაღებული ბიჭები.

22 დეკემბერს, უთენია შინაურებმა გამაღვიძეს, ტელეფონთან გთხოვენო. — „დაიწყო! დაიწყო! ახლა კი დედა გეტირებათ“ — მიყვიროდა ვიღაც ქალი, ამოვიცანი, ჩემი თანამშრომელი იყო, „ვაჟკაცურად“ შემაგინა და ყურმილი დამიგდო.

რვის ნახევარზე უკვე ჩაცმული ვიყავი, იმას ვფიქრობდი, საკუთარი მანქანით წავსულიყავი თუ ტაქსით. ტაქსი ვამჯობინე. მძღოლმა რუსთაველზე გასვლა საშიშიაო და კოლმეურნეობის მოედანზე მიმიყვანა, იქიდან ფეხით ავუყევი ქუჩას. ქაშუეთის ეზოდან პირდაპირი დამიზნებით ესროდნენ ჭურვებს უზენაესი საბჭოს შენობას. პროსპექტზე ხალხი შენობებს ეფარებოდა. დროდადრო „აკს“-ის სროლა ისმოდა. კეცხოველის ქუჩით თავისუფლების მოედნისკენ წავედი. მეტრო „თავისუფლების მოედნის“ ამოსასვლელში უამრავი ხალხი იდგა, ქალები ჭარბობდნენ. უცებ ავტომატის სროლის ხმა გაისმა. წივილ-კივილი ატყდა, ხალხი მეტროს ჩასასვლელს მიაწყდა და რამდენიმე დაჭრილი თუ მოკლული ადგილზე დარჩა. საიდან ისროდნენ, ვერ დავინახე. ისევ კეცხოველის ქუჩაზე დავბრუნდი და პუშკინის სკვერთან მიწისქვეშა გასასვლელში ჩავედი. შემდეგ სულხან-საბას და ინგოროყვას ქუჩების გავლით ჩიტაძეზე მივედი. უზენაესი საბჭოს შენობაში დაუბრკოლებლად შევედი.

ამბობდნენ, იარაღი არ ჰქონდა გამსახურდიასო... იარაღი იქ საჭიროზე მეტი იყო. თავიდან შინაგანი ჯარის 18-19 წლის მებრძოლები იყვნენ ავტომატებით შეიარაღებულნი, რომლებიც მეთაურმა 21-22 დეკემბრის ღამეს მიატოვა ბედის ანაბარად. სროლები დაიწყო თუ არა, მოდიოდნენ ჯარისკაცების მშობლები და მიჰყავდათ შვილები შინ. წინააღმდეგობას არავინ უწევდა, შემდეგ თქვეს, პრეზიდენტს გადაუწყვეტია ასეო. ბიჭები აბარებდნენ მათზე გაპიროვნებულ იარაღს და მიჰყვებოდნენ ახლობლებს. მათ ნაქონ იარაღს მოხალისეებს აძლევდნენ. ბათუმიდან ჩამოვიდნენ მილიციელები. ერთმა მათგანმა გვითხრა, ასლან აბაშიძემ გამოგვაგზავნა 120 კაცი, მაგრამ 18 თუ 20 კაცი მოვედით ადგილზე, დანარჩენები გზაში გაიფანტნენო.

„ბუნკერში“ თავიდანვე ვიცოდით, რომ კიტოვანს ქვემეხის 18 საბრძოლო ჭურვი ჰქონდა. გაისროდა თვრამეტივეს და მერე რაღას იზამდა, ან უნდა გაქცეულიყო, ანდა ჩაგვბარებოდა. ასეთი გულუბრყვილო აზრები არა მარტო მე და იმ ხალხს გვქონდა, რომლებიც შორს ვიყავით სამხედრო ოპერაციებისა და პოლიტიკისაგან, ამასვე ფიქრობდნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მგონი, თვით პრეზიდენტიც... მოგვიანებით კი, როცა მეცხრამეტედ, მეოცედ და ორმოცდამეათედ გავარდა კიტოვანის ქვემეხი, ეჭვი შეგვეპარა, რომ მას რუსეთის არმია ამარაგებდა.

ერთ დღეს ხმები გავრცელდა, ტყვია-წამალი გვითავდება და დანებება მოგვიწევსო. თავიდან პროვოკაცია გვეგონა, მაგრამ შემდეგ ბესიკ ქუთათელაძემაც იგივე განაცხადა. ჯიბეებიდან ამოიღო რამდენიმე კოლოფი, მაგიდაზე დააგდო და თქვა — რაც არის, ეს არის და როგორც გინდათ, ისე გამოიყენეთო. არ გასულა ნახევარი საათი, რომ უზენაეს საბჭოში მყოფ ხალხს სიხარულის ტალღამ გადაუარა. ჩვენმა მებრძოლებმა რუსების მიერ კიტოვანისთვის გაგზავნილი ტყვია-წამლით სავსე ორი „იკარუსი“ დააპატიმრეს და უზენაესი საბჭოს შენობის ეზოში შემოიყვანესო. მაშინვე ცუდად მენიშნა ეს ფაქტი. მივხვდი, სიტუაციას ჩვენი საერთო მტერი აკონტროლებდა, — რუსები ტყვია-წამალს არც ერთ მხარეს არ გამოგვილევდა, რათა ქართველებს რაც შეიძლება დიდხანს გვეჟლიტა ერთმანეთი. როცა ამის შესახებ განვაცხადე, ცოტა არ იყოს, ალმაცერად შემომხედეს, რა უნდა მექნა, გავჩუმდი.

საშინელი პანიკა ატყდა შენობაში, როცა უზენაეს საბჭოზე ჰაერიდან თავდასხმა განხორციელდა. ამ დროისთვის პირველი სკოლა უკვე დამწვარი იყო, კიტოვანის ზარბაზნებიც ქაშვეთის ეზოდან სასტუმრო „თბილისთან“ იყო გადატანილი. წინასწარ ვიცოდით საჰაერო შეტევის შესახებ, იმ უზარმაზარი ბომბის შესახებ, რომელიც ცოცხლად ამოგვბუგავდა. ასე იყო თუ ისე, ვიცოდით და ვემზადებოდით დასახვედრად. ვერტმფრენი, რომელსაც ის ავადსახსენებელი ბომბი ჰქონდა ჩამოკიდებული, გმირთა მოედანზე გამოჩნდა და პროსპექტს გამოუყვა. ატყდა უთავბოლო სროლა. ისროდნენ ფანჯრებიდან, სახურავიდან, ეზოდან. ისროდა ყველა... დაილეწა ყველაფერი, თუკი რამე მთელი იყო დარჩენილი შენობაში. გვეგონა, ბომბი შენობას მოხვდა, არადა თურმე ვერტმფრენს ჩვენამდე ვერც მოუღწევია, სროლისგან დაზიანებულა და ტვირთი პირველი სკოლის თავზე ჩამოეგდო. ნახანძრალს ხელახლა წაეკიდა ცეცხლი. აფეთქებამ ფერფლი და ნაცარი ჰაერში აისროლა, ნიავმა კი ეს ნაცარტუტა უზენაესი საბჭოს შენობაში ჩამსხვრეული ფანჯრიდან პირდაპირ ოთახებში შემოიტანა. ქიმიური ბომბი ჩამოაგდესო, იყვირა ვიღაცამ და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. როცა გონს მოვედი, მეც ყველასთან ერთად გავრბოდი კიბისაკენ. საპირფარეშოში შევედი, ცხვირსახოცი წყლით დავასველე და ცხვირპირზე ავიფარე. ამასობაში პანიკა ჩამცხრალიყო. ხალხი ნელ-ნელა ბრუნდებოდა უკან. ხანდახან ჩვენც გვწყალობდა ბედი, „ჩვენ“-მეთქი სიტყვაზე ვამბობ, თორემ მეორე მხარეს ჩემი ნაცნობებიცა და მეზობლებიც იბრძოდნენ. ზოგიერთთან არც მანამდე და არც შემდეგ გასაყოფი არაფერი მქონია, ზოგი კი თურმე, დასაჭერად გამზადებული ხალხის სიაშიც მწერდა ჩემი ოჯახიანად.

...ბოლოსწინა დღეს ხმები დაირხა, კიდევ ერთი შეტევაა დაგეგმილიო. 6 იანვრის ღამეს ე.წ. „ბუნკერში“ მოულოდნელად ჩაქრა შუქი, მანამდე ასეთი რამ არ მომხდარა. დენის გათიშვას პანიკა არ გამოუწვევია, მით უმეტეს, რომ თხუთმეტი წუთის შემდეგ სინათლე აინთო. ღამის 3 საათი იყო, როცა ვიღაცამ თქვა, დარბაზში შეიკრიბეთ, პრეზიდენტს სურს სიტყვით გამოსვლაო. ხალხი დარბაზს მიაწყდა. გამოვიდა პრეზიდენტი და თქვა — ჩვენ დასავლეთში მივდივართ, ვისაც გსურთ, გამომყევით, ვისაც არა, სახლებში დაბრუნდითო.

პრეზიდენტს ამ სიტყვების მეტი, დასამახსოვრებელი სხვა არაფერი უთქვამს, ეტყობოდა, წინასწარ იყო ყველაფერი მომზადებული. ამ სიტყვების გაჟღერებიდან 10-15 წუთში პრეზიდენტის კოლონა შენობის ეზოდან გავიდა. ყოველივე პანიკის გარეშე, მშვიდ ატმოსფეროში ხდებოდა, ჩანს, ყველა ჩვენგანი წინასწარ იყო შეგუებული მდგომარეობას. — გალი! — გალი! ზუგდიდი! ზესტაფონი! — აგროვებდნენ მეთაურები თავიანთ მებრძოლებს. ჩვენმა ჯგუფმაც მშვიდად აიკრა გუდა-ნაბადი. ჩემს ხალხს ვურჩიე — იარაღი, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ეყარა, არ წამოეღოთ. 7 კაცი ვიყავით, უმეტესობა რუსის ჯარგამოვლილი. ჩიტაძისა და ინგოროყვას ქუჩის გადაკვეთაზე ნახევარი საათი შევყოვნდით. ქუჩის ბოლოს ფარებანთებული „იკარუსები“ იდგა, დეპუტატები სხდებოდნენ. სიბნელესა და სიცივეს რომ შევეჩვიეთ, ნელა გავუყევით გზას. მეტეხის ხიდთან ჩავედით, ხიდის ცალი მხარე ჩაბნელებული იყო და შეუმჩნევლად გავიარეთ. უკვე ღვინის აღმართზე ვიყავით, როდესაც მეიდნიდან სროლა შემოგვესმა. ზემოდან „იკარუსები“ გამოჩნდა, უცნაურად გადახრილიყვნენ, გარშემო რამდენიმე კაცი დარბოდა და ხან ჰაერში ისროდა, ხანაც ავტობუსის შუშებს უშენდა. გამოჩნდა ბეტეერიც... მერე გავიგე ეს სწორედ დეპუტატების „იკარუსები“ იყო...

***გიორგი ჟორჟოლიანი***

# „შევარდნაძესთან შუამავლად სარიშვილი რაში მჭირდება...“

ახალი 2002 წელი სახალხო პარტიისათვის, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს. შინაპარტიული განხეთქილება, რომელიც უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია გრძელდება, ფინალს უახლოვდება. სახალხო პარტიის რიგით მე-2 ყრილობა, რომელიც დაახლოებით ერთ თვეში გაიმართება, პარტიის ყოფნა-არყოფნისა და მისი შემდგომი სამოქმედო სტრატეგიის საკითხებს გადაწყვეტს. გეგმავენ ახალი თავმჯდომარის არჩევნებსაც. მამუკა გიორგაძეს თანაგუნდელები პოლიტიკურ სვლებს უწუნებენ და პარტიის ჩაძირვაში ადანაშაულებენ. ერთ-ერთ ბრალდებად მის მიერ პარტიის ფინანსების ერთპიროვნული განკარგვა და მითვისება სახელდება. ასე რომ, გამორიცხული არ არის, გიორგაძეს თანაპარტიელებმა ვერდიქტი გამოუტანონ და თავმჯდომარის სავარძელში გედის უკანასკნელი სიმღერა ამღერონ. მის მთავარ კონკურენტად „სახალხოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი კობახიძე მოიაზრება. პარტია ჯერჯერობით ორ ბანაკად არის გაყოფილი — მამუკა გიორგაძის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ამ უკანასკნელთა „ბელადი“ ***გიორგი კობახიძე*** „კვირის პალიტრასთან“ საუბარში აცხადებს, რომ პარტიას არა მხოლოდ ახალი თავმჯდომარე, არამედ მთლიანად ახალი ხელმძღვანელობა ესაჭიროება.

— **ბატონო გიორგი, რატომ გადაემტერეთ ერთმანეთს თქვენ და მამუკა გიორგაძე?**

— არა, გადამტერება რა შუაშია? ფაქტია, რომ პარტია ველარ დგას თავის სიმაღლეზე. საპარლამენტო არჩევნებში დავმარცხდით. არადა



შეიძლებოდა, რომ სწორი პოლიტიკური გათვლები გაკეთებულიყო და ასეთი შედეგები თავიდან აგვეცილებინა. ყველაფერზე კი პასუხი, პირველ რიგში, ბუნებრივია, პარტიის თავმჯდომარეს მოეთხოვება და მერე, ცხადია, სხვებსაც.

— **თუმცა, როგორც ამბობენ, დაპირისპირება გამოიწვია იმან, რომ თქვენ თავმჯდომარეობის ამბიცია გაგიჩნდათ.**

— რა შუაშია ვინმეს პირადი ამბიცია? პარტიაში მიმდინარე პროცესების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ჩვენი რაიონული ორგანიზაციების ნახევარზე მეტმა. ყველას თავმჯდომარეობა უნდა? ის, რაც დღეს პარტიაში ხდება, ნებისმიერ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანში პროტესტს გამოიწვევდა.

— **ძირითადად რაში ედავებით მამუკა გიორგაძეს?**

— ყველაზე მთავარი აქ პოლიტიკური გადაწყვეტილებებია. ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, საპარლამენტო არჩევნების დროს „აღორძინების“ ბლოკში რომ არ შევედით და მონაწილეობა დამოუკიდებლად მივიღეთ. ამან ფაქტობრივად პარტიის ჩაძირვა გამოიწვია.

— **თქვენ არ მონაწილეობდით ამ გადაწყვეტილების მიღებაში?**

— მთავარმა კომიტეტმა მაშინ უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ ჩვენ „აღორძინების“ ბლოკში უნდა შევსულიყავით, მაგრამ შემდგომ მამუკა გიორგაძემ ეს გადაწყვეტილება საკუთარი ინიციატივით შეცვალა.

— **როგორც ვიცი, გიორგაძეს პარტიის ფინანსების მითვისებაშიც ადანაშაულებთ...**

— იცით რა, ეს გახლავთ წმინდა შინაპარტიული სამზარეულოს თემა და ახლა ამაზე ლაპარაკი არ მინდა. ბოდიშს გიხდით, მაგრამ, რაც ჯერ ჩემი თანაპარტიელებისთვის არ მითქვამს, გაზეთის ფურცლებზე ვერ გამოვაცხადებ. ამის ირგვლივ ყრილობაზე ვისაუბრებ.

— **მამუკა გიორგაძის გარდა ალბათ თქვენი კანდიდატურაც იქნება თავმჯდომარის პოსტზე.**

— დიახ, აუცილებლად იქნება.

— **სხვებსაც ხომ არ მოუნდებათ „პირველობა“?**

— ჯერჯერობით, მესამეზე საუბარი არ არის.

— **ვის უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს — თქვენ თუ გიორგაძეს?**

— ეს ყრილობაზე გამოჩნდება.

„კვირის პალიტრა“ სახალხო პარტიის თავმჯდომარეს (ჯერჯერობით!) ***მამუკა გიორგაძესაც*** ესაუბრა:

— **ბატონო მამუკა, რა ხდება სახალხო პარტიაში? ამბობენ, დიდი გადატრიალება მზადდებაო.**

— არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ცოტა არ იყოს, გაკვირვებულიც კი ვარ, მოვლენების ასეთი დრამატიზებით. ეს არის იმ ხალხის მიერ ატეხილი ზედმეტი აჟიოტაჟი, რომლებსაც სახალხო პარტიაში სიმშვიდე ხელს არ აძლევთ. ჯერ იყო, პარლამენტში არ შეგვიშვეს, ახლა პარტია ინგრევა და იშლებაო. ბევრს უნდა, რომ დაიშალოს, მაგრამ არ იშლება და რა ვქნა?!

— **პარტიის შიდაგანხეთქილებაზე თავად პარტიის წევრები საუბრობენ.**

— თუ იმას გულისხმობთ, რომ გარკვეულ პიროვნებებს სურვილი აქვთ, რაღაც თანამდებობებზე კენჭი იყარონ, ვერც ამაში ვხედავ ტრაგედიას. პირიქით, ლიდერების თვალსაზრისით, იმდენად ძლიერები ვართ, რომ სხვა პარტიებში ლიდერთა ექსპორტიც კი შეგვიძლია განვახორციელოთ.

— **წელან ახსენეთ, პარლამენტში არ შეგვიშვესო. არადა, საზოგადოებას ახსოვს, რომ ამაზე თავადვე თქვით უარი.**

— ჩვენ უარი ვთქვით „აღორძინების“ ბლოკში შესვლაზე.

— **მაგრამ ეს პრაქტიკულად თქვენი ერთადერთი შანსი იყო.**

— იყო თუ არა, ახლა გვიანია ამაზე საუბარი. ჩვენ არასოდეს არამი ლუკმა არ მიგვიღია.

— **აბა, მერე რისთვისღა დაბრძანდებოდით ასლან აბაშიძის კარზე?**

— თუკი „აღორძინება“ არსებულ ხელისუფლებას დაუპირისპირდება, გამორიცხული არ არის, ჩვენ ერთად დავდგეთ. ხოლო თუ ისევ ისეთი თამაშები წავა, როგორიც ამჟამად მიდის, ბუნებრივია, მსგავს გარიგებებს ვერ დავეთანხმებით. თავის დროზეც ამიტომ ვთქვით უარი. საერთოდ, როცა ვიღაც გაგიყვანს, მისი შეკვეთების შემსრულებელიც უნდა იყო. ჩემთვის კი ყველაზე მთავარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაა.

— **მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ძალიან ძვირი დაგიჯდათ...**

— მართალია, ძვირი დაგვიჯდა იმ თვალსაზრისით, რომ არა გვაქვს ტრიბუნა, შეზღუდული გვაქვს მოქმედების არეალი, მაგრამ ისიც საკითხავია, რას მივიღებდით „აღორძინების“ ბლოკში შესვლით?

— **რას მიიღებდით და პარლამენტში მოხვდებოდით — ტრიბუნაც რეალურად გექნებოდათ და მოქმედების არეალიც.**

— იცით რა, ასეთი ტრიბუნა რომ მნდომოდა, 20 წლის წინ დისიდენტობას კი არ დავიწყებდი, კომუნისტურ პარტიაში შევიდოდი. ერთი გაძვალტყავებული რაიონის რაიკომის მდივნად აღარ გამოვდგებოდი? „აღორძინების“ ბლოკში შესვლით ჩვენს მეობას თუ ვერ შევინარჩუნებდით, ამისთანა დეპუტატობას რა თავში ვიხლიდით?

— **არადა ეს ფაქტი პარტიაში დაპირისპირების მთავარ მიზეზად იქცა. იმასაც ამბობენ, რომ ედპ-სთან შერიგებას ხელი თქვენ შეუშალეთ.**



— არა, არა, აქ სუბიექტური და პიროვნული ფაქტორები არაფერ შუაშია. საერთოდ, ნებისმიერი ადამიანი ცდილობს, ურთიერთობა მასზე უკეთესთან რომ ჰქონდეს. მე რაღა მინდა ჩემზე უარესთან?

— **ფიქრობთ, რომ ედპ თქვენზე უარეს დღეშია?**

— დიახ, არჩევნებში გამოჩნდა. ცალკე შევარდნაძე უჭერდა მხარს, ცალკე თარგამაძე, ცალკე აბაშიძე და 2600 ხმაზე მეტი ვერ მოაგროვა. ედპ დღემდე ხელისუფლების მოსამსახურეობაში ხარჯავს თავის ძალას და ენერგიას. შევარდნაძესთან მისვლა თუ მინდა, შუამავლად სარიშვილი რაში მჭირდება? ხოლო თუ ძალაზე მიდგება საქმე, საქართველოში ედპ-ზე გაცილებით სერიოზული ძალები მოიპოვება.

— **მაგრამ, როგორც ეტყობა, თქვენი პოლიტიკური სვლები არ ამართლებს — თანაპარტიელები პარტიის ჩაძირვაში გადანაშაულებენ.**

— თუ თქვენ კობახიძის განცხადებებს გულისხმობთ, ეს სერიოზული პრობლემა არ არის. კაცს თავისი მოსაზრება აქვს და ეს მისი უფლებაა. ამაში ცუდს რას ხედავთ?

— **პოლიტიკური შეცდომების გარდა, თქვენ პარტიის ფინანსების მითვისებასაც გედავებიან.**

— ეს, ელემენტარულად, სასაცილოა იმიტომ, რომ პარტიას არავითარი ფინანსები არ გააჩნია. შეგიძლიათ, ნახოთ ჩვენი საბანკო ანგარიში, ჩვენ მიერ დახარჯული თანხები... ამ ხნის მანძილზე საერთოდ საფინანსო ოპერაცია არ გვიწარმოებია.

— **როგორ გგონიათ, დღეს პარტიაში გყავთ იმდენი მხარდამჭერი, რამდენიც მაშინ გყავდათ, როცა აგირჩიეს?**

— ამას სულ რაღაც ერთ თვეში შეიტყობთ.

— **რომ აღარ აგირჩიონ, როგორ შეეგუება მამუკა გიორგაძე „რიგითის“ სტატუსს?**

— მერა რა? რა პრობლემაა, არც ახლა და არც არასდროს პირველობის მანიით შეპყრობილი არ ვყოფილვარ.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# თბილისს ხელი უკევია

## ბადრი პატარკაციშვილი „ნეზავისიმაია გაზეტას“ მთელ განყოფილებას აუქმებს

კარგა ხანია, რაც რუსეთის სახელმწიფო მეთაურებსა და ოლიგარქებს შორის ხელჩართული ბრძოლაა გაჩაღებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გადასანაწილებლად. უმეტეს შემთხვევაში კრემლი იმარჯვებს.

ამჯერად ამ ბრძოლას შეეწირა „ნეზავისიმაია გაზეტას“ რედაქტორი და დსთ-ის განყოფილების გამგე თავისი კოლექტივით. ახალი რედაქტორი მართვადი რომ იქნებოდა, ამას არავინ დაუეჭვებია და წმენდაც დაიწყო.

ყოველივე ეს კი რუსეთის გენპროკურატურის მიერ ძებნილი „ნეზავისიმაია გაზეტას“ აქციონერის, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის და ამავე გაზეთის მფლობელის, ასევე ძებნილი ბორის ბერეზოვსკის მიერ იყო ინსპირირებული — ისინი დაინტერესებული იყვნენ გაზეთში საქართველოს ახლანდელი ხელმძღვანელობის პოზიტიური იმიჯის შექმნით და ამით საქართველოში თავისი ინტერესების დაცვით. „ნეზავისიმაია გაზეტას“ ახალი პოლიტიკიდან გამომდინარე, განზრახულია დსთ-ის ქვეყნების შესახებ მხოლოდ ნეგატიური მასალის გამოქვეყნება, ხოლო პოზიტიურ და ობიექტურ ინფორმაციებში მსურველმა ფული უნდა გადაიხადოს. აშკარაა, საქართველოს მეგობრობაც ფინანსებითაა განპირობებული, მაგრამ ამჯერად ლაპარაკია არა პუბლიკაციაში გადასახდელ ფულზე, არამედ პოსტსაბჭოური საკუთრების გადანაწილებაზე, რომელზეც ბერეზოვსკის დიდი ხანია თვალი უჭირავს.



გაზეთის კორესპონდენტებს არ ახსოვთ, ბერეზოვსკის ოდესმე მათთვის საქართველოს მთავრობის სასიკეთოდ რაიმე ინფორმაციის დაბეჭდვა ებრძანებინა, მაგრამ ბოლო ხანს გაზეთში ნამდვილად იგრძნობოდა, რომ ჟურნალისტები აშკარა დაუტკბნენ ოფიციალურ თბილისს.

ყველაფერი კი დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი წერილით. მასში ნათქვამი იყო, რომ საქართველო ამ იუბილეს უამრავი პრობლემით დახუნძლული შეხვდა — დაწყებული ეთნიკური, დამთავრებული ეკონომიკური საკითხებით. გაზეთის ნომრის დაბეჭდვამდე რამდენიმე წუთით ადრე ეს აბზაცი ამოიღეს. ამას ისიც დაემთხვა, რომ „ნეზავისიმაიას“ მოწინავე გვერდზე დაიბეჭდა გაზეთის მფლობელის, ბორის ბერეზოვსკის ღია წერილი რუსეთის მთავრობის მიმართ. საპასუხოდ „ნეზავისიმაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე და დსთ-ის განყოფილების გამგე ალან კასაევი თანამდებობიდან გადადგა, გაზეთის პოლიტიკური ხაზის შეცვლის გამო პროტესტის ნიშნად. მერე კი აღმოჩნდა, რომ ამ ინციდენტის წინა დღეს მთელი განყოფილება მისი გამგიანად ისედაც შეუმცირებიათ.

ერთ-ერთი ვერსიით, ასეთი მკვეთრი გადაწყვეტილების საბაბი ბერეზოვსკის მარჯვენა ხელისა და გაზეთის აქციების მფლობელის, ბადრი პატარკაციშვილის ბრძანება ყოფილა, რომელიც ახლა მშობლიურ თბილისში ემალება რუსეთის სამართალდამცველებს — მან მოითხოვა საქართველოსთან დაკავშირებული მძაფრი პუბლიკაციის ერთგვარად შერბილება. პატარკაციშვილი, ედუარდ შევარდნაძის სახელით, კულისებს მიღმა მოქმედებს და რუსეთის ერთ-ერთ ცნობილ ყოველდღიურ გაზეთზე ზეწოლას ახდენს საქართველოს სასარგებლოდ.

ინფორმაციული ომი, ეტყობა, ახალ ფაზაში შედის.

***რუსული პრესის მიხედვით***

# შევარდნაძის ანტირუსული შეთქმულება

საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ცნობა ანკარასა და თბილისს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მარნეულში (აზერბაიჯანელებით დასახლებული საქართველოს რაიონი) თურქეთის სამხედრო ბაზების დისლოკაციას, კიდევ ერთხელ ამტკიცებს შევარდნაძის ანტირუსულ პოზიციას. ანკარა შეშფოთებულია რუსეთის გავლენის გაზრდით ამიერკავკასიაში. როგორც პოლიტოლოგთა უმრავლესობა თვლის, სწორედ ამიტომ, თბილისს ამიერკავკასიაში ერთადერთი ანტირუსული ელემენტის სახელის დამკვიდრება უნდა და მზადაა რეგიონში დესტაბილიზაციის საშიში სიტუაციის შექმნაზეც წავიდეს. დამკვირვებელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ანკარის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის და თურქეთის საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორის სეიფი ტაშანის მოლაპარაკებების მთავარი თემა იყო „საქართველო-თურქეთის ურთიერთქმედების განმტკიცება სომხეთის წინააღმდეგ“.

თუ გავითვალისწინებთ ერევანსა და მოსკოვს შორის სამხედრო ურთიერთქმედების ფაქტორს და საქართველოში მცხოვრები სომხების პრორუსულ განწყობას, არ არის რთული იმის განჭვრეტა, რომ მსგავსმა განცხადებებმა შეიძლება ამიერკავკასიაში სიტუაციის გამწვავება გამოიწვიოს და პროვოცირება გაუკეთოს ქართულ-სომხურ კონფლიქტს, თანაც ამაში რუსეთიც და აზერბაიჯანიც ჩართოს. თურქეთის მასმედიას ჯერ ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია. ამავე დროს საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ედუარდ შევარდნაძემ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელისგან წერილი მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები მზადაა ხელი შეუწყოს საქართველოს ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში“, რაც პაუელის აზრით „იმოქმედებს საქართველოს განვითარებასა და იქ სიტუაციის სტაბილიზებაზე“, როგორც საქართველოს პრეზიდენტის პრესცენტრი დასძენს, წერილში ხაზგასმულია ის, რომ „აშშ-ის სახელმწიფო მდივანი დარწმუნებულია — ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარებას და მოსალოდნელი კონფლიქტების თავიდან აცილებას“. კერძოდ, რომელ კონფლიქტებზეა ლაპარაკი, არც ამერიკული და არც ქართული მხარე არ აკონკრეტებს.

***ბი-ბი-სი — ნოვოსტი***

# ნათელაშვილი პროკურატურის ყოფილი პარტკომია

(დასაწყისი იხ. გვ.6)

**— მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ განხეთქილება თქვენსა და პრეზიდენტს შორის არც ყოფილა და არც არის.**

— ყველა კარგად ხედავს, ვის დევნიან საქართველოში. ყველა, ვინც კი დაკავშირებული იყო ჩემთან, ან ჩემთან მეგობრობდა, სამსახურიდან დაითხოვეს. მაგალითად, იუსტიციის საბჭოს მდივანი გია ქავთარაძე ჩემი გადადგომის შემდეგ იძულებული გახდა სამსახურიდან წასულიყო და ამაზე თავად პრეზიდენტმა იზრუნა. შევარდნაძესთან დაპირისპირება ჩემთვის თვითმიზანი არ არის. არც ვნანობ, რომ ერთ დროს მის გვერდით ვიდექი. ბევრი კარგი რამ გავაკეთე მასთან თანამშრომლობისას.

**— წლის ადამიანთა ნუსხაში პატარკაციშვილის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეთ. ამაზე რას იტყვით?**

— კომენტარი მიჭირს. ვფიქრობ, რეიტინგები იმაზეა დამოკიდებული, ვინ რამდენი გაზეთი იყიდა და რამდენი ბარათი გააგზავნა ფოსტით. რაც შეეხება პატარკაციშვილს, თუ იგი ბიზნესის გარდა, სხვა სფეროშიც არ მოისურვებს მოღვაწეობას, მაშინ არაფერი ემუქრება. მაგრამ იმ ხალხის გადამკიდეს, ვინც მასთან არიან და მისი სახელითაც სპეკულირებენ — ჩხარტიშვილი, თარგამაძე და ა. შ. შესაძლოა გარკვეული პრობლემები შეექმნას.

**— სხვათა შორის, პრეზიდენტიც წინააღმდეგია პატარკაციშვილის პოლიტიკაში მოსვლისა.**

— თუ პატარკაციშვილი პრეზიდენტისთვის სასურველ პოლიტიკოსებს დაუკავშირდება, არ მგონია პრობლემა შეექმნას. ვფიქრობ, პრეზიდენტს ფულიანი კაცის ფაქტორი თავისი ხელისუფლების განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია. მან თავის დროზე თავი მოუყარა კიდეც ფულიან ადამიანებს „ალდაგში“, „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ და ისინი დღეს მისი მთავარი საყრდენია. მაგრამ ნებისმიერი ბიზნესმენი, რომელიც სხვა ძალისკენ ოდნავ მაინც გადაიხრება, მაშინვე იგრძნობს „მაგარ ხელს“. არჩევნების დროს ერთიორი ბიზნესმენი შემხვდა და ჩვენი კამპანიის დაფინანსების სურვილი გამოთქვეს. მეორე დღესვე პოლიცია და საგადასახადო დაადგათ თავს — ფირმები დაულუქეს. იმავე ბედს გაიზიარებს ყველა ის ბიზნესმენი, რომელიც ეცდება სხვა თამაშში ჩართვას. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ იმ სახლებში, რომლებიც მინისტრებმა წამოჭიმეს, ბიზნესმენები ცხოვრობდნენ. იმიტომ, რომ ბიზნესმენი იმ სამსართულიან სახლის აშენების პერიოდში ასობით ადამიანს დაასაქმებენ. მინისტრები კი ფულს, უპირველეს ყოვლისა, ბინებსა და მანქანებში აბანდებენ.

**— პრეზიდენტმა მდგომარეობის გამოსწორებისთვის კიდევ სამი წელი ითხოვა.**

— პრეზიდენტი არაადეკვატურია. ამას თავადაც ამჩნევს და ჩვენც. ხომ გახსოვთ, იყო პერიოდი, როცა საერთოდ არ ჩნდებოდა. შევარდნაძეს ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ქვეყნისთვის, მაგრამ ეტყობა გარემოცვამ გადაძალა. ამასთან, არც ისე იოლია მმართველობის ჩვეული სტილის ძირეული შეცვლა მაშინ, როცა 30 წელზე მეტია, ფაქტობრივად, ხელისუფლების სათავეში ხარ. მოსახლეობაც დაიღალა. უჭირს ერთი და იმავე მმართველის დიდხანს ატანა. ვადამდელი არჩევნების მექანიზმი უნდა შევიმუშაოთ, რაც უკიდურესად გამწვავებული ვითარების ფონზე შექმნის ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობას.

**— საშობაოდ რას ისურვებდით?**

— ამბობენ, ცხენის წელი იღბლიანი წელიწადიაო. ღმერთმა ქნას, ეს წელიწადი უკეთესობისკენ გარდატეხის წელი იყოს.

***იზო რიკაძე***

# საქართველოს ჩეჩნების შენახვა აღარ შეუძლია



ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში მორიდებით დაიწყს ლაპარაკი ჩეჩნეთიდან ჩამოსული ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ლტოლვილებისა და განსახლების საქმეთა მინისტრმა ვალერი ვაშაკიძემ განაცხადა, რომ ჩეჩნეთიდან დევნილებს უკვე შეუძლიათ ჩეჩნეთის იმ რაიონებში დაბრუნება, სადაც ბრძოლები არ მიმდინარეობს, მაგალითად, ურუს-მარტანის რაიონში. თანაც დასძინა — „რუსეთი თავად უნდა გაერკვეს, არიან თუ არა დაბრუნებულთა შორის ბოევიკები“. დაბრუნების პროცედურა კი უნდა გაკონტროლდეს გაეროს წარმომადგენელთა მიერ. საქმე იმაშია, რომ გადმოსახლებულთაგან ბევრი ფინანსურ დახმარებას საქართველოს მთავრობისგან იღებდა, მაგრამ თბილისმა უარი თქვა უცხოელ მოქალაქეთა დაფინანსებაზე 2002 წლიდან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ჩეჩენთა დაბრუნების ვადები დამოკიდებულია უშუალოდ ჩეჩნეთში მდგომარეობაზე. პანკისის ხეობაში ჩარჩენილი ჩეჩენი ლტოლვილების კიდევ ერთი პრობლემაა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის შემდეგ. მათი ზუსტი რაოდენობა არ იციან არც მოსკოვში და არც გროზნოში. თბილისში ამბობენ, 6 ათასიაო. დევნილები სამშობლოში დაბრუნების სურვილს არ გამოთქვამენ, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის დიდ მონაკვეთზე შეწყვეტილია საბრძოლო მოქმედებები. იჩქერიის წარმომადგენელი საქართველოში, კრიმინალური ელემენტი ხიზრი ალდამოვი თვლის, რომ ჯერ ადრეა ჩეჩნების გამგზავრებაზე ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ ზოგიერთმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო, უძრავი ქონებაც შეიძინა და ბიზნესიც წამოიწყო. ფულის შოვნისთვის კი დიასპორა არაფერს ერიდება — ნარკოტიკებით, იარაღითა და მძევლებით ვაჭრობასაც კი. დღემდე ვერ გარკვეულა, ვინ მოიტაცა ესპანელი ბიზნესმენები, რომელთაც მთელი წელი პანკისის ხეობაში, ორმოში გაატარეს. თბილისის მთავრობა ვერაფერს ახერხებს უცხოელი დაქირავებული ბოევიკების შესაჩერებლად, რომლებსაც საქართველოს ბაზებში ამზადებენ. მაგალითად, 26 დეკემბერს, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დააკავეს უკრაინის მოქალაქე, რომელსაც ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა სამხედრო ფორმა და ასაფეთქებელი ნივთიერების დასამზადებელი ინსტრუქცია. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ადამიანი გელაევის ბანდაში ირიცხებოდა და მონაწილეობდა აფხაზეთის ბრძოლებში.

***გაზეტა რუ***

## კავკასია

# რადუევმა ჩივილი გადაწყვიტა

სამუდამო პატიმრობამისჯილი სალმან რადუევი, ჯერჯერობით, მაჰაჩყალის საძიებო იზოლატორში იმყოფება. განაჩენი ძალაში ჯერ არ შესულა. ეს მას შემდეგ მოხდება, რაც რუსეთის უზენაესი სასამართლო განიხილავს რადუევის ადვოკატების სააპელაციო საჩივარს. ალბათ დიდი შორსმჭვრეტელობა არ სჭირდება იმის განსაზღვრას, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ გასაჩივრებას. რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრის მოადგილე ი. კალინინი არ გამორიცხავს, რომ ტერორისტი, შესაძლოა, ვოლოგდის ოლქში, კუნძულ ოგნენის ციხეში მოათავსონ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობამისჯილი დამნაშავენი სხედან. „რადუევი იმავე პირობებში იქნება, როგორშიც სხვები და მისთვის არანაირ გამონაკლისს არ დაუშვებენ“, — განაცხადა კალინინმა.

# ჩრდილოეთ ოსეთში არჩევნების შესახებ წერა საშიშია



საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, თავს დაესხნენ ჩრდილო-ოსეთის ცნობილ ჟურნალისტს, ორი დამოუკიდებელი გამოცემის —„კავკასიის ცხოვრებისა“ და „ვლადიკავკაზის ეკრანის“ — მთავარ რედაქტორს სერგეი ბურნაცევს. ჟურნალისტზე თავდასხმაში პრეზიდენტობის კანდიდატის სერგეი ხეთაგუროვის გარემოცვიდან ორი ადამიანი მონაწილეობდა. მძიმედ დაშავებული სერგეი ბურნაცევი საავადმყოფოში იმყოფება. ეს ამბავი კიდევ ერთ დრამატულ მოვლენად იქცა, რითაც ესოდენ მდიდარია ოსური საპრეზიდენტო არჩევნები. მართალია, მისი ფინალი მხოლოდ თვის დამლევს შედგება, მაგრამ ზოგიერთ კანდიდატს უკვე აშკარად ღალატობს ნერვები.

პრეზიდენტობის კანდიდატის ხეთაგუროვის ბიოგრაფია სავსეა არცთუ სანაქებო დეტალებით. ბურნაცევს მისი მაკომპრომატირებელი მასალები არ დაუბეჭდავს, მაგრამ რესპუბლიკის მოქალაქეებს გადაკვრით მიანიშნა იმაზე, რის მიჩქმალვასაც პრეზიდენტობის კანდიდატი ხეთაგუროვი ლამობდა.

ვინ დაიცავს ჩრდილოეთ ოსეთში პატიოსან ჟურნალისტებს, რომლებიც ცდილობენ მკითხველს სიმართლე უთხრან?!

***კომსომოლსკაია პრავდა №1***




CMYK

# ბავშვებო, გილოცავთ ქრისტეშობას!



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

**2 წლის სოფიკო კვასტიანი** ზღვის პირველად ნახვისას ამბობს:

— ნაქეთ, ნაქეთ, რამქელა აბანოებია.

* * *

**5 წლის ტატო კილასონია** კატას ეფერება. დედა ეუბნება:

— ხელს ნუ ადებ, მიკრობები აქვს ბეწვზე.

— დედა, მიკრობი იმიტომ ჰქვია, რომ ხელზე მიმეკრობა? — კითხულობს პატარა.

* * *

დედა აძინებს **2 წლის იკა (ბუბუ) გაბინაშვილს**. ბიჭი კითხულობს:

— დედი, რატო მაძინებ?

— იმიტომ, რომ ძილის დრო მოვიდა, — მიუგო დედამ.

იკა ჭირვეულობს, — გარეთ გამახედეო, ითხოვს. დედა ეკითხება:

— რა გინდა გარეთ?!

— ძილის დრო უნდა ვნახო.

* * *

**პატარა თამთა თუჯიშვილი** სკოლიდან შინ დაბრუნდა თუ არა, დედას მიახარა:

— დღეს ჩემმა კლასელმა ბიჭმა მითხრა, მიყვარხარო!

— მერე, შენ რა უპასუხე? — ჩაეკითხა დედა.

— ასე ვუთხარი: ბიჭო, შენ ალავად ხარ თუ ილავად-მეთქი?

(თურმე უფროსმა ძმამ დაარიგა, თუ ვინმემ გაგაბრაზოს, ასე უთხარი, ალაოდ ხომ არა ხარო?!).

* * *

**4 წლის თიკუნა იაკობაშვილს** ეკლესიაში მამამ უთხრა:

— პირჯვარი გადაიწერე და გულში ღმერთს შესთხოვე, რაც გინდაო.

წამოსვლისას მამამ ჰკითხა:

— რა ქენი, შვილო, შესთხოვე?

— კი, კანფეტი, — ჩაიჩურჩულა თიკუნამ.

II

შეიტანეთ კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შვიდი ჯუჯას მეგობარი გოგონას სახელს.



## იპოვეთ 13 განსხვავება





მოძებნე ქვემოთ მოცემული დეტალები ნახატში



ქვედა ღრუბლის უჯრებში ჩახატე ფიფქები ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ რიგებში სხვადასხვა ფორმის ფიფქები მოხვდეს

იპოვე ორი ერთნაირი თოვლის პაპა





მიიყვანე ციყვი ნაძვის ხესთან

## I რებუსი





## III გამოცანა

წევს, როდესაც ცოცხალია,
მაგრამ მიდის, როცა კვდება,
იმის მოსვლას ყველა ბავშვი
ხალისით და ლხენით ხვდება.

## ჭიაკოხლი

| სამკურნალო „კრემი“ | თანხმობის ნიშანი | სამკურნალო მცენარე | მავნებელი მხტუნავი მწერი | მშობლის ძმა | პოეტი ... ასათიანი |
|---|---|---|---|---|---|

| ხერხემლის შემადგ. ძვალი | „... ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა?“ | მოხვედი წელო ..., ნეტავ რა უნდა გვახარო? | ვარდის „ნემსი“ | წამლის ბურთულა | ... აღმართს ხნავსო (ანდ.) | პირველი ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 32-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# „უშენოდ მზე არ მზეობს“



***„ჩემი სახელი ხშირად უცხოური ჰგონიათ. იგი სვანური წარმოშობისაა. ბიძაჩემს სვანეთში ყოფნისას ამოუკითხავს ქვაზე მკრთალი, ძლივს გასარჩევი წარწერა, შესაძლოა დინოლა, ირინოლა ან მარინოლა — გარკვევით მხოლოდ ინოლა იკითხებოდა... და დამარქვეს ეს სახელი...“***

*ასე რომ, მასთან ერთად დაიბადა სახელი ინოლაც. ულამაზესი და უსათნოესი ხმა საოცრად დიდ სითბოსა და სინათლეს ღვრიდა... როცა ინოლას უსმენ, არ შეიძლება ნათლად არ დაინახო როგორ ამოდის შორს, ჰორიზონტზე, უზარმაზარი ხალისის და სიცოცხლის მფენი მზე... ამას, მგონი, თვითონაც გრძნობდა — შეიძლება, ამიტომაც დაწერა:*

*)სუქშ აუკშვ ნშშიუდშ აუკშზ*
*აუკშ ქჭშთვ ვვ სჩუდშ ღმშOშთვყ*
*აუკშ თშიუკშთბ პუვშთ თშქპუკშთბ*
*ვვ ქწქვმვდშ ლმვწქშთ OშOშთვყ*
*სუქშ აუკშვ თშთვმთუ ლღვკმშთბ*
*თშქთვგნუ ქცშუ OუქწვპწქშთვბI*
*აუკშ იუკქგჩშთ ფვტ იუიუკ ქპმვკშთ*
*ქვკვვ უცშშთ ვვ ფკ Oუქსვწქშთვბ*
*თგკმშდიშვ აფკმშთბ წსტუიშთ ზფკმშთბ*
*ვფვსჩკწქუდშ Oუტშ ტვწქშთვყყყ(*

*სიყვარულად იყო დაღვრილი ყოველი დღე, ყოველი წუთი... უამრავი მეგობრითა და თაყვანისმცემლით გარშემორტყმულს მარტოობის განცდა სდევდა თან და მაინც, ირგვლივ ლამაზ ჰანგებსა და ღიმილს ტოვებდა. დღიურში წერდა: „ღმერთო მაღალო, ძნელია სიმარტოვე, შენ ალბათ არ განგიცდია, მაგრამ იცი რა ძნელია, და მაინც ყოველი ადამიანი მარტოა მწუხარებასა და უბედურებაში, ყოველი ადამიანი მარტო ხვდება სიკვდილს, თუმცა შეიძლება მრავალი თვალი და გული იყოს მომსწრე ამ დროის. დიდ მწუხარებას ვერავინ გაიზიარებს, თვით უახლოესი მეგობარიც მხოლოდ მოწმე ხდება ამგვარი მწუხარების, უძლური მის გაქარწყლებაში, მაგრამ მოთმინებით მომლოდინე იმ დღისა, როცა ეს სენი ან შენელდება, ან განიკურნება. ნუ, ნუ იქნებიან ჩემი მეგობრები მომსწრე ჩემი უბედურებისა, მოწმე ჩემი ცრემლთაღვრისა... ო, ეს იქნებოდა ძალიან დიდი ტკივილი მათთვის, არ მინდა. მათი ბედნიერება და სიხარული მინდა მხოლოდ. ნურც შვილებს ეტკინებათ ჩემი უბედურება და საერთოდ, ნურასოდეს ეტკინებათ მწარედ. ღმერთო ძლიერო, გამაძლებინე, მომეც ძალი ღირსეულად, დუმილით შემეძლოს გლოვა დაკარგულისა...“*

**ია შუღლიაშვილი:** — დედას დროს უფრო მშვიდი და სიყვარულით სავსე ცხოვრება იყო. ამას ჩემი მშობლებისგანაც ვგრძნობდი და მათი მეგობრებისგანაც. ამიტომ, ასე მგონია, უფრო ნათელი დილა თენდებოდა მაშინ. შეიძლება, ეს ბავშვური განცდაა, მაგრამ კარგად მახსოვს. ინოლაზე ყოველთვის როგორც სხვა ადამიანზე, ისე ვლაპარაკობ — როგორც კერპზე, როგორც ქალღმერთზე... ბევრი რამ ვისწავლეთ მისგან — ადამიანობა, სიკეთე, სილამაზის აღქმა, მიტევება... და, რაც მთავარია, სიმღერა. რომ ლაპარაკობ, სუნთქავ, წყალს სვამ, ასეთსავე აუცილებლობას წარმოადგენს სიმღერა ჩვენს ოჯახში — სულის გამოძახილია. ყოველთვის, როცა რაღაც მიხარია ან მტკივა, რომელიმე მელოდია ამეკვიატება ხოლმე და მშველის... მახსოვს, ჩვეულებრივი დღე დედას დროს — დილით ჩვენ მივდიოდით სკოლაში, დედას ლექციები ჰქონდა უცხო ენების ინსტიტუტში, ორზე ბრუნდებოდა შინ, შედიოდა კაბინეტში — ამეცადინებდა აბიტურიენტებს. ეს გრძელდებოდა რვა საათამდე. ათზე ჩვენ ვიძინებდით. რვიდან ათამდე დროს ჩვენთან ატარებდა... მერე კონცერტზე ან რამე თავყრილობაზე მიდიოდნენ დედა და მამა. მახსოვს, როგორ წერდა სიმღერას — შეიძლებოდა სამზარეულოში ყოფილიყო და უცებ წასულიყო ინსტრუმენტისკენ — აიღებდა აკორდებს, ტექსტიც თავისით მოდიოდა, იქვე იწერებოდა. საბავშვო სიმღერებს ჩემზე და ჩემს ძმებზე ამოწმებდა, ჩვენ გვამღერებდა... სულ ღიღინებდა, ყველას ამღერებდა გარშემო და ბედნიერი იყო...

**გიული დარახველიძე:** — გამოსაშვები საღამო გვქონდა. ჩემმა თანაკლასელმა მითხრა — ერთი უნიჭიერესი მეზობელი მყავს, დავუძახებ, იქნებ, ერთად სიმღერა გამოგივიდეთო. ცოტა ხანში კარი გაიღო და ოთახში ინოლა შემოვიდა. მთელი საღამო ერთად გავატარეთ, დილამდე ვმღეროდით. იმ დღესვე გამიჩნდა გრძნობა — თითქოს ინოლას უფრო დიდხანს ვიცნობდი, ვიდრე ჩემს თანაკლასელებს... ამ დღიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა. მე რომ უცხო ენების ინსტიტუტში ჩავაბარე, ინოლა მაშინ მესამე კურსზე გადავიდა. სწორედ ამ ინსტიტუტის კედლებში შეიქმნა ჩვენი ტრიო. ჩვენთან ერთად მღეროდა ინოლას თანაკურსელი მედეა სიხარულიძე. მოგეხსენებათ, ქართული სიმღერა სამხმიანია — პირველი, მეორე და ბანი. რადგან ჩვენ სამიდან დაბალი ხმა არც ერთს არ გვქონდა, ასე გავნაწილდით — მედეა მღეროდა პირველს, მე მეორეს და ინოლა ბანს, ოღონდ ჩვენს ხმებს შორის. მის ხმას ჩადგმული დავარქვით. სწორედ ჩვენგან წამოვიდა ეს წყობა.. ბევრმა თავიდან საყვედურებით აგვავსო, ვერ მიიღეს, არ მოსწონდათ ახალი ფორმა... მახსოვს ლილი იაშვილმა, როცა მისი „იაია“ ვიმღერეთ, დაგვირეკა და გვითხრა — რატომ გამიფუჭეთ სიმღერაო... ოთარ თაქთაქიშვილი, მიეცემოდა თუ არა საშუალება, სულ ჩვენს ლანძღვაში იყო — გინდათ პრესის ფურცლებზე, გინდათ, ჩვენს საერთო ნაცნობებთან. ერთხელ, ჩვენს მეგობარს დევი სტურუას უცხოელი სტუმრები ჰყავდა და ჩვენც მიგვიპატიჟა. ოთარ თაქთაქიშვილი ზუსტად ჩვენ წინ იჯდა მაგიდასთან. მედიკოს ხასიათი გაუფუჭდა. მალე დევიმ სიმღერა გვთხოვა. ინოლამ ჩაილაპარაკა, არავის ყურადღება არ მივაქციოთ, ჩვენთვის ვიმღეროთო... დავიწყეთ... ცოტა ხანში შევნიშნეთ, როგორ გადმოუგორდა ბატონ ოთარს თვალიდან ცრემლი. მერე წამოდგა და თქვა — ახლა მივხვდი, როგორ ვცოდავდი თქვენ წინაშე, თურმე თქვენ კაცმა ყური კარგად უნდა დაგიგდოთო.



ტრიო: მედეა, გიული და ინოლა

მახსოვს, ბატონი ანდრია ბალანჩივაძეც აღფრთოვანდა ჩვენით. ბატონი ანდრია ინოლას მეუღლის, უნიჭიერესი მუსიკოსის, მიშა შუღლიაშვილის პედაგოგი გახლდათ. ერთხელ მიშამ თავის დაბადების დღეზე დაპატიჟა. რა თქმა უნდა, სუფრას ჩვენც, ინოლას მეგობრებიც ვესწრებოდით. მიუხედავად იმისა, რომ ანდრია ბალანჩივაძეს სუფთა ქართული სულის მატარებელი ნაწარმოებები აქვს შექმნილი, ქართულად მეტყველება ცოტა უჭირდა... სუფრა ეშხში რომ შევიდა, წამოვიწყეთ რუსული სიმღერები, შემდეგ ჯორჯ ბალანჩინის პატივსაცემად რამდენიმე ინგლისური სიმღერაც შევასრულეთ. ვხედავთ, სტუმარი უკმაყოფილოა. ბოლოს წამოდგა ბატონი ანდრია და თქვა — გული მწყდება ქართულ სუფრაზე ქართველები მხოლოდ რუსულად და ინგლისურად რომ მღერიანო. მე, ინოლამ, მედიკომ, დათული დადიანმა, გიზო ბერაძემ და გურამ კალანდაძემ გადავხედეთ ერთმანეთს და... საქართველოს ყველა კუთხის სიმღერა ვიმღერეთ... ძალიან კმაყოფილმა და ბედნიერმა დატოვა სუფრა ბატონმა ანდრიამ... ინოლამ არაჩვეულებრივად იცოდა ინგლისური ენა — საუცხოოდ მეტყველებდა, თარგმნიდა. არასდროს დამავიწყდება დევი სტურუას ოჯახში — ერთ-ერთ წვეულებაზე, რომელსაც ინგლისელი სტუმრები ესწრებოდნენ, როგორ წაიყვანა სუფრა და როგორ ითამადა ინგლისურად...

**ია შუღლიაშვილი:** — მახსოვს და ვიცი კიდეც — სადაც დედა გამოჩნდებოდა, იქ უკვე ყველას, და განსაკუთრებით მამაკაცების ყურადღება მთლიანად მისკენ იყო მიმართული — შინაგანი სილამაზით გამოირჩეოდა. გარშემო ნიჭიერი ადამიანები ეხვია, არაჩვეულებრივი მეგობრები ჰყავდა და ამიტომ თითოეული სუფრა იყო ულამაზესი შემოქმედებითი საღამო.

**გიული დარახველიძე:** — მართლაც შესაშური მეგობრობა ვიცოდით. ძალიან გვიყვარდა მოგზაურობა. შევიკრიბებოდით 15-20 კაცი და ხან სად მივდიოდით და ხან სად. დროს სულ სიმღერაში ვატარებდით. უკვირდათ, — ნუთუ ან ერთმანეთი, ან სიმღერა არ გბეზრდებათ ხოლმეო. არ გვბეზრდებოდა. საოცრად ვაჟკაცური ბუნება ჰქონდა ინოლას — რომ გენახათ, როგორ შეერკინებოდა ხოლმე ღელვის დროს ზღვას, გაოგნდებოდით. თან უნაზესიც იყო, მოსაფერებელი, მოსაფრთხილებელი. არაჩვეულებრივი თვალები ჰქონდა — უძირო, ყოვლის მთქმელი და თითქოს, ამავე დროს, იდუმალიც, ვერავინ უძლებდა მის თვალებს, მის მზერას. დაუჯერებლად ზუსტი ინტუიცია ჰქონდა. უყვარდა ზღვა, მზე და ყვითელი ფერი. ინოლა ყველას ყველაფერს მიუტევებდა — ხშირად ამბობდა — ის ადამიანი ცუდი კი არ არის, როცა რაღაცას აშავებს, უბრალოდ ეშლებაო.

საოცრად უყვარდა სტუმრები. ღამის სამ საათზე რომ მისულიყავი, ღიმილითა და ხალისით გაგიშლიდა სუფრას, გიმღერებდა. ერთხელ ჯანსულ ჩარკვიანი ესტუმრა. მაშინ ახალი დაწერილი ჰქონდა სიმღერა „მთაში“. მოისმინა ჯანსულმა და გაგიჟდა. ათჯერ გაგვამეორებინა. მედიკო შეწუხდა და მეთერთმეტედ სიმღერაზე უარი განაცხადა. ჯანსული კართან იატაკზე გაწვა და თქვა — თუ არ მიმღერებთ, არც თქვენ გაგიშვებთ და არც მე ავდგები აქედანო... ყოველდღე ერთად ვიყავით და მაინც წერილებს ვწერდით ერთმანეთს. ჩემი ყოველი წერილი ასე მთავრდებოდა — „უშენოდ მზე არ მზეობს“...

ინოლამ კი ჩემს სურათს ერთხელ ასეთი წარწერა გაუკეთა — „გიული — ჩემი საკუთრება“ — საშინლად ბედნიერი ვიყავი ამ დროს. ერთხელ დავწერე და მერე სულ ვიმეორებ: „ქალი — სიმღერა, ქალი — ლექსი, ქალი — ლეგენდა...“ ჩემთვის ეს ყველაფერი იყო ინოლა...

*და მაინც, ამ ხმაურიან სიმარტოვეში იყო ადამიანი, რომელიც არასოდეს ტოვებდა მარტო — ჩუმად, ლამაზად, საკუთარი არსებობით აძლევდა იმედს — იქნებ მას უფრო სტკიოდა, მაგრამ ვერ შველოდა... ინოლა კი მიშა შუღლიაშვილს თავის ანდერძში სწერდა: „დამილოცნია შენთვის დღეგრძელი გზა, მზიანი, გამარჯვებული, დიდებული, ერთი წლის შემდეგ თავისუფალი ხარ ჩემი უღლისგან. შენ უმეგობროდ ვერ ივარგებ, შვილების დაზრდაც გაგიჭირდება მარტოს. შეირთე ვინმე სათნო ადამიანი, გამიხარდება. დამილოცნიხართ“.*

**ია შუღლიაშვილი:** — გადმოცემით ვიცი, ასეთი შეყვარებული წყვილი იშვიათად თუ უნახავთ, ჩვენთან, ბავშვებთან, ეს იმდენად გამოხატული არ იყო, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა. დედას ერთ-ერთ პანაშვიდზე უჩვეულო რამ დავინახე — მამა კუთხეში იდგა და იღიმებოდა. მაშინ გამიკვირდა, მერე მივხვდი, რომ რაღაც სასიამოვნოს იხსენებდა ინოლასთან დაკავშირებით. ასე მეგონა, რომ იმწუთს მამა და დედა ერთად იყვნენ და ასე იქნებოდნენ მუდამ — ერთ სულ და ერთ ხორც...

**გიული დარახველიძე:** — ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ინოლას დაბადების დღეზე საფლავზე პირველად რომ გავედით, მერე ჩვეულებისამებრ მასთან სახლში შევიკრიბეთ. მიშამ ჩართო მაგნიტოფონი — ინოლას ხმა მოედო ოთახს — მე ჩემი ხმით ავყევი, მედიკო თავისი ხმით, ბიჭებმა ბანი გვითხრეს. მიშამ ფანჯარა გამოაღო და თქვა — ყველამ მინდა გაიგოს, რომ ინოლა ცოცხალია და ჩვენთან არისო... თვითონ ინოლა იყო საოცრად ძლიერი. ავად რომ იყო, მიშამ ფსიქოლოგი მიუყვანა. ბევრი ისაუბრეს. გაოგნებული გამოვიდა ინოლას ოთახიდან — საშინლად ვღელავდი და აქეთ დამაწყნარა და დამამშვიდაო... გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე მივედი და ვთხოვე, იქნებ შენი სიმღერის „იას“ მელოდია წამიმღერო-თქო. სიმღერის სიყვარულმა იმხელა ძალა მისცა, წამოდგა ლოგინიდან, მივიდა ინსტრუმენტთან, დამიკრა მელოდია, წაიღიღინა. ნოტები მიშამ ჩაიწერა. ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო... ინოლას გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ წავიდა ამ ქვეყნიდან მიშა შუღლიაშვილი — იმავე დღეს, რა დღესაც ინოლა...

*...რამდენიმე წლის წინ მე, ამ წერილის ავტორი ერთ ძალიან მხიარულ დაბადების დღეზე ვიყავი. მამუკა სალუქვაძეც მოვიდა (მამუკას ლექსებს გთავაზობთ გვ. 17 — რედ.) — ინოლას უფროსი ვაჟი. მისი ავადმყოფობის ამბავი ყველამ იცოდა... საოცრად მოილხინა თვითონ... შემდეგ ერთ მანქანაში აღმოვჩნდით. გზაში რაღაცებს ვყვებოდით, ვიცინოდით... პირველად მამუკა მივიყვანეთ სახლში. მანქანიდან გადავიდა თუ არა, ყველანი ჩვენდა უნებურად გავჩუმდით... ამდენი საათის შემდეგ მძაფრად შევიგრძენით სიჩუმე. მამუკა კარგა ხანს წყნარად იდგა, შემდეგ კი მანქანაში შემოიხედა და ყველას მოგვმართა — არ გინდათ, ამოდით ჩემთან, ჩაიზე და სიმშვიდეზე დაგპატიჟებთო... შემდეგ მიტრიალდა და წავიდა. ამ ამბის მერე ძალიან მალე გავიგეთ მისი გარდაცვალება.*

**ია შუღლიაშვილი:** — მე ვთვლი, რომ მამუკა ყველაზე მეტად იყო ინოლას შვილი, ძალიან ჰგავდა დედას, უფრო ღრმა იყო, სხვანაირად აღიქვამდა ყველაფერს... ჩემზე 12 წლით უფროსი იყო, დათოზე — ცხრით. მტკიცე საყრდენი გამოგვაცალა ღმერთმა. ძალიან მიყვარს მისი ლექსები — მათში ინოლაც არის, ანზორიც (ანზორ სალუქვაძე — ინოლას პირველი მეუღლე — მამუკას მამა გახლდათ. — ე.მ.) არის, ჩვენც ვართ. ყველაფერი ერთადაა და ბევრის მომცემია... უბრალო ფრაზას გეტყოდა, მაგრამ მიხვდებოდი, რამდენი რამ იყო ამ ფრაზის მიღმა... ინოლა რომ გარდაიცვალა, მაშინ სულ რაღაც ათი წლის ვიყავი, როცა წამოვიზარდე, მერე დედის უამრავი თვისება მამუკაში დავინახე...



სიმღერა — სულის გამოძახილი

მიშას და ინოლას ოჯახი

**გიული დარახველიძე:** — მამუკაც, დათოც და იაც ჩვენი მეგობრობის დროს დაიბადნენ. მამუკა ძალიან ჰგავდა დედას ხასიათით. პატარა იყო, ლექსების წერა რომ დაიწყო. მასაც ინოლასავით მაჯამები უყვარდა. მახსოვს მისი ერთ-ერთი პირველი ლექსი, ექვსი წლისამ რომ დაწერა:

*)თვვპთვს ლღკტჭკდ თშტფვჭუბ*
*უკპ ზფვფკფ თშტფვჭუ*
*შნწ ვშვშ თშტფვჭუყყყ(*

დათო უნიჭიერესი მუსიკოსია, ჩემი ნათლულია და დიდად ვამაყობ ამით. რაც შეეხება იას, ძალიან დაემსგავსა დედას სიმღერის მანერით, ხმით და მიხარია. ასე მგონია, ინოლას ვუსმენ, ინოლას ვუყურებ. როცა მღერის, უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. საოცარი მსგავსებაა მათ შორის...

„იმღერეთ ჩემი სიმღერები, რომ მუდამ ცოცხალი ვიყო. თქვენშია ჩემი სიცოცხლე, არ შემარცხვინოთ, არ მიდარდოთ. გახსოვდეთ, ქართველები ხართ და ჩემი შვილები, გენაცვალოთ დედა...“ — სწერდა შვილებს ანდერძში და მშვიდად მიდიოდა მარადიულობაში. ალბათ, სიცოცხლეშივე იცოდა, რომ ამქვეყნად ყველასთვის საყვარელ ლეგენდას ტოვებდა. ლეგენდას ფაქიზ სულზე, სხვების გასამხნევებლად და თანაგრძნობისათვის რომ არსებობდა მხოლოდ და კიდევ ენით აუწერელ ვაჟკაცურ სიმშვიდეზე, რომელმაც ბოლო დღეებში დააწერინა სიმღერა „ადამიანი“ და ათქმევინა:

*)Oუქწვპწქფვბ*
*სუქთ თფკლქუდOშ კწქ შჩუვუიფყყყ*
*ქჭშთ ფდქფსუკშბ ტფჭშ თჩშშშ Oგიდჭუ ქუვუიფბ*
*ქუსგკსგდუიფბ ქუაუკუიფბ ქუჩფმუკვუიფყ*
*ქგჩფ იუკვუიფყყყ ვფ აწპდუიშ აუკფვ-აუკფვშბ*
*ფპუკბ ფჩდფჩფტთბ ჭდშუკ ღფკპფტ ქპუკფვ-ქპუკფვშბ*
*ჭშკთ უაშტუიფ თფპშპფწვყყყ*
*სგქშ ლმვწქფვყყყყ*
*Oუქწვპწქფვბ ქფპფდ თუკჭუ Oუქწვპწქფვყყყ(*

**ინოლა მიშა შუღლიაშვილს თავის ანდერძში სწერდა: „დამილოცნია შენთვის დღეგრძელი გზა, მზიანი, გამარჯვებული, დიდებული, ერთი წლის შემდეგ თავისუფალი ხარ ჩემი უღლისგან. შენ უმეგობროდ ვერ ივარგებ, შვილების დაზრდაც გაგიჭირდება მარტოს. შეირთე ვინმე სათნო ადამიანი, გამიხარდება. დამილოცნიხართ“.**

**ინოლას გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ წავიდა ამ ქვეყნიდან მიშა შუღლიაშვილი — იმავე დღეს, რა დღესაც ინოლა...**

**ეკა მახარაშვილი**

გოდერძი ჩოხელი

# ყანწი, ანუ თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელო

## (საიდუმლო ინფორმაცია გუდამაყრის მუზეუმში დაცულ ყანწზე)

***ნაწყვეტი ახალი წიგნიდან „სულეთის კიდობანი“***

გორდაგორ შემოდიოდა წელშიმოღუნული მონადირე. მოეფარებოდა კლდის ქიმს, გახედავდა გაღმა მთის კალთაზე შეფენილ ჯიხვების არვეს და ისევ პარვა-პარვით აუყვებოდა აღმართს.

ჯიხვების არვე საშიშროებას ვერ გრძნობდა. იმათ თავზე ამაყად გადმომდგარიყო ხარლაღი და ჰყარაულობდა არვეს, რომ მონადირე არსაიდან წამოჰპარვოდათ. ჯიხვებიც მის იმედად იყვნენ, მადიანად შეექცეოდნენ ახლადამოღინღლებულ ბალახს. ყური კი ჰქონდათ მიყურადებული; თუ რაიმე სახიფათოს მოჰკრავდა ყარაული თვალს, სტვენით ამცნობდა არვეს.

მთის ნიავი გულმკერდს უგრილებდა ხარლაღს, რომელიც ერთ ადგილას ვერ ისვენებდა და ადგილზე წრიალებდა. ერთი სული ჰქონდა კლდიდან-კლდეზე გადამხტარიყო და არვეს შერეოდა. იმათ შორის ეგულებოდა გულისსწორი და იმის ცქერაში გართულს სულ გადაავიწყდა ქვემოდან ზემოთ ამოსასვლელი ბილიკების თვალთვალი.

ზემოთიდან წამოეპარა ჯიხვებს მონადირე და ისეთ ადგილას ჩაუსაფრდა, საიდანაც, როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანდა არვე.

სატრფოს თვალთვალით გართულმა ყარაულმა ვერ შეამჩნია მონადირე, რომელმაც სროლა აუტეხა ჯიხვებს.

დამფრთხალი არვე კლდეებს აწყდებოდა და თავშესაფარს ეძებდნენ. რამდენიმე მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა მონადირის ნასროლმა ტყვიამ.

კლდეზეგადმომდგარმა ხარლაღმა თვალი შეასწრო როგორ დაგორდა მისი გულისსწორი ფერდობზე.

მაღალი კლდის ქიმიდან გადმოხტა ხარლაღი.

გადმოხტა ანგარიშმიუცემლად.

გადმოხტა სატრფოს საშველად, მაგრამ ისე ჩაეხეთქა ბასრ კლდეებს, ძირსდაცემულს სული აღარ შერჩა.

გაოგნებული იყო ამ ამბის მხილველი მონადირე.

დიდხანს დაჰყურებდა მკვდარ ხარლაღს და გულში მძიმე დარდი აწვებოდა. საკუთარ თავზე ბრაზობდა, რომ დახოცა ეს მთის თავისუფალი შვილები — „რას ვერჩოდი, რაზე მოვუხტი და ამოვხოცე“ — ფიქრობდა იგი.

მონადირეს ჯარჯი ერქვა.

რამდენჯერ უნადირნია ჯარჯის და რამდენჯერ მოუკლავს ნადირი, მაგრამ ამ ხარლაღის უცნაურმა სიკვდილმა სევდა აუშალა გულში. იმნაირი სევდა აუშალა, როგორც მთის ნისლი, ჯერ რომ ბამბის ფთილასავით გამოიკვეთება, მერე თანდათან გაიშლება, გაიშლება და მძიმედ ჩაწვება ხეობაში.

სევდით და დარდით გაჯერდა ჯარჯის გული: იმან დახოცილ ჯიხვებს ხელი აღარ ახლო, მარტო ხარლაღს ააჭრა რქები და ხევისპირს ჩამოჰყვა ქვემოთ.

იმ დღის მერე აღარავის უნახავს ჯარჯი სანადიროდ წასული, გულჩათხრობილი გახდა, ლხინის სუფრებს ერიდებოდა.

თავისუფლებაზე ფიქრმა გაიტაცა ჯარჯი. იმხანად საქართველო ოცი წლის დაპყრობილი ჰყავდათ რუსებს და საშინლად ავიწროებდნენ ქართველებს. მიუხტებოდნენ ხოლმე სტრაჟნიკები ზამთარში ხევის სოფლებს, თოფებით წინ გამოიყრიდნენ დიდსა თუ პატარას და ნიჩფებით გზაზე ჩამოწოლილ ზვავებს ახვეტინებდნენ.

თავისუფლებასმიჩვეული მთის ხალხი საშინლად განიცდიდა რუსების ძალადობას. „მეც ხომ იმათსავით ვექცეოდი ჯიხვებს“ — ფიქრობდა ჯარჯი და სხვებთან ერთად ისიც თოვლს ხვეტავდა „სარუსე“ გზაზე (რატომღაც ასე შეარქვეს აქაურებმა ძველთაძველ გზას, რომელსაც შუღლიათ სება „გორგასლის ნაგზევს“ ეძახის და რომლის ნარჩენებიც მკრთალად ჩანს გუდამაყრის მუზეუმში დატანებული ერდოებიდანაც).



იმ ხარლაღის რქებიდან ყანწები გამოთალა ჯარჯიმ და სახლის გულთაბოძზე ჩამოჰკიდა. „სანამ საქართველო რუსების უღელს თავს არ დააღწევს და თავისუფალი არ გახდება, მანამდე წვეთ სასმელს არ დავლევ. როცა საქართველოს გათავისუფლების ამბავს გავიგებ, ამ ყანწებით შევსვამ თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელოს და ამის მომტანს ვაჩუქებ ყანწებს“ — ჩაიფიქრა ჯარჯიმ და თავისი ფიქრი მთელ ხევს გაუმჟღავნა.

დრო მიდიოდა.

ჯარჯის სიბერე ეძალებოდა. იმისი სახლის გულთაბოძზე უქმად ეკიდა ჯიხვის ყანწები.

ძალადობდნენ დამპყრობლები.

მახარობელი კი არ ჩანდა.

არა და არ იფანტებოდა ჯარჯის გულში ჩაგუბებული სევდის ღრუბელი. უფრო და უფრო იქუფრებოდა, შავდებოდა. თანდათან მძიმდებოდა.

ერთხელაც გათენდა ის დღე, რომლის გათენებასაც ამდენი ხანია ელოდა ჯარჯი. მახარობელი მოადგა იმის სახლს და დაიძახა:

— ჯარჯი, ჰაი, ჯარჯი!

— რომელი ხარ? — სახლის ბანზე გადმოდგა ჯარჯი.

— მახარობლები ვართ, მახარობლები! — შემოსძახეს ქვემოდან ახალგაზრდებმა.

— მერე და მანდ რას უდგეხართ, მოდით, ჩქარა! — სახლში მიიპატიჟა ჯარჯიმ, რომლის გულსაც ბაგა-ბუგი გაჰქონდა სიხარულისაგან.

— საით შაიტყვეთ, რა მოხდა? — იკითხა ჯარჯიმ.

— ქალაქით მოვიტანე ამბავი, გარბის სახლში რუსის ჯარი — თქვა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ.

— თქვენ გენაცვალეთ, ჯეელებო, თქვენა, რო საქართველოს თავისუფლება მახარეთ. თქვენ დაგლოცათ დიდმა სამებამ, ლომისის მადლმა, ღალანგურის წმინდა გივარგიმ!

სალხინო სუფრა გაიშალა ჯარჯის ოჯახში.

ძველისძველი, ამ ამბისათვის გადანახული ღვინო აელვარდა ჯიხვის ყანწებში.

ჯარჯიმ ერთი ყანწი მახარობელს გადასცა, მეორეთი თვითონ დაილოცა:

— დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა!

გაუმარჯოს გამარჯვებულსა, ცისა და ქვეყნის დამბადებელსა, კაცთათვის სიცოცხლის მომნიჭებელსა, ზეცის თავანზე ვარსკვლავთა გადამშლელსა, ხმელეთზე ბალახის აღმომცენებელსა, ბალახზე ცვარ-ნამის გამჩენსა. დღისა და ღამის დამწესებელსა, უხილავის ხილულად გარდამქმნელსა, მაღალსა ტახტზე მჯდომარესა, ხილულთა შორის უხილავსა, გონიერთა მიერ ყოველთვის ხილულსა.

დიდება სამართალს ხვთისასა.

დიდება შენდა, ღმერთო, რომ გადმოხედე ჩვენთ ქვეყანას და დაიხსენი ავი ხელისაგან.

აი ამ სასმისით გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ამინ! — დაამთავრა ჯარჯიმ ლოცვა და მოიყუდა ჯიხვის ყანწი.

სიხარულისაგან ხელები უკანკალებდა მოხუცს და გულისპირზე ეღვრებოდა ალისფერი ღვინო.

— ამინ! ამინ! — დასტურს იძახდნენ ახალგაზრდები და ხელიდან ხელში გადადიოდა ჯიხვის ყანწები.

მალე მოეკიდა ჯარჯის ღვინო.

— თქვენ გენაცვალეთ, შვილებო, თქვენა, რო ესეთი სასიხარულო ამბავი მომიტანეთ! — წარა-მარა გაიძახოდა მოხუცი.

უცებ კარებზე ბრახუნი გაისმა და რამდენიმე რუსი ჯარისკაცი სახლში შემოიჭრა.

— მოდით, მოდით, თქვენც დალიეთ თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელო — სუფრასთან მიიპატიჟა ჯარჯიმ, თუმცა იმათ მიპატიჟება არ სჭირდებოდათ, ხელდახელ გამოცალეს რამდენიმე ყანწი და იქ მყოფებს შეუძახეს:

— ნუ ხვატიტ, იდიტე, აჩიშჩიმ დაროგუ!

— რაო?! — იკითხა ჯარჯიმ.

— ნუ პაშლი, პაშლი! — გაუმეორეს იმათ და თოფის კონდახი წაჰკრეს.

— აკი, გაიქცნენ და თავისუფლები ვართო?! — ახალგაზრდებს გადახედა მოხუცმა.

— გვაპატიე ძია ჯარჯი, დალევა გვინდოდა და მოგატყუეთ — დარცხვენით თქვა მახარობელმა.

— ვაი ჩემს მოსწრებასა! — ამოიგმინა ჯარჯიმ.

— პაშლი, პაშლი! — წაუთაქეს თოფის კონდახები რუსებმა ქართველებს და წინ გაიყარეს.

ფეხი უსხლტებოდა შემთვრალ მოხუცს, წარა-მარა თოვლში ეცემოდა და გმინავდა:

— ვაი, ჩემს მოსწრებასა!

— იდი, კაცო, იდი, იდი პრიოდ! — უბიძგებდა თოფის კონდახს შინელიანი ჯარისკაცი.

ერთხელაც წაიფორხილა ჯარჯიმ და რო წაიქცა, როგორღაც განწირულად დაიგმინა:

— ვაი, ჩემს მოსწრებასა!

ამოიგმინა და გული გაუსკდა.

ამაოდ ურტყამდა რუსი კონდახს.

ჯარჯი მეტად აღარ წამომდგარა ფეხზე. თოვდა...

# ადრე წასული ბიჭები

## მამუკა სალუქვაძე



• • •

ნისლმორიდებული მაღალი მწვერვალი,
როგორც მოგონება ისე ფერმკრთალია.
ნუშად გარდაცვლილა ბაღში თებერვალი,
თოვლი არ გეგონოთ, ნუშის ფერთალია.

და ეს შადრევანი — მოხუცი ტირიფი,
ზამთარს თუ მისტირის, ცრემლებად იღვრება;
ჩნდება ცისარტყელა — ბილიკი ირიბი
და სიკვდილ-სიცოცხლის გზებიც აქ იყრება.

• • •

საკმაოდ ბნელოდა.
მზე ჩასულიყო,
ეტყობა, მთვარეს არ დაელოდა...
და მეეზოვე ვერც კი ხედავდა,
როგორ ხვეტავდა
გამვლელთა ჩრდილებს,
ქვაფენილზე აღბეჭდილებს...
და ბოლოს, ქუჩის ბოლოს,
მკვდარ ფოთლებთან ერთად
იწვოდნენ
ბავშვები, ქალები, კაცები...
და არ იცოდნენ,
სად მოხვდებოდა მათი კვამლი,
ნიავქარით განატაცები.

• • •

აუხდენელი ოცნების ფასად,
გაცრუებული იმედის ფასად,
სიყვარულის და სიკეთის ფასად,
სიმართლის ფასად

პატიოსანი ცხოვრების ფასად
და რწმენის ფასად,
სული იქცევა უჭკნობ მცენარედ,
სხეული — ვაზად.

• • •

მახსოვს ცის დასავალზე, ფერთა გაალუბლება,
მთებზე შემოჯარება ლიმნისფერი ღრუბლების;
ახლაც მოვიგონებ და სევდა დამეუფლება,
სევდა სიმარტოვის და წარსულ თავისუფლების.
ახლაც შემოდგომაა, ფოთოლცვენა გვიანი
და ვალსი შეწყვეტილი სიმარტოვის ტრიალით;
კვლავ ქუჩებს შემოვივლი, საოცრად ნაღვლიანი,
დაღლილი, დაქანცული, უაზრო ხეტიალით.

• • •

ფერისცვალება ღამეა, ცაზე მთვარეა ნაკლული,
მიცვალებულთა სახელზე შავი ხარია დაკლული,
ტაბლას უსხედან ბებრები, წარსულის ამბებს ჰყვებიან,
დაჰვიწყებიათ სიკვდილი, სიკვდილსაც დაჰვიწყებიან.

### ვაჟის დაბადება კალანდა ღამეს

— გამიღეთ კარები, მოვედი კალანდა;
მგზავრი ვარ დაღლილი შორიდან მოვდივარ.
გასული წელივით დაცლილი როდი ვარ,
ყოლიფერ სიკეთით სავსე მაქვს კალათა, —
და უცებ, კარები იღება პატიჟით...
აი, ვინ ყოფილა, მომავალ კალანდას
გზას რომ უკვალავდა.
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ოჯახში პირველი შევიდა ბადიში.

## ზაზა მუჯირიშვილი



• • •

ღამემ მომასხა ფიქრის სამოსი,
მთვარემ შემბორკა ვერცხლის ხუნდებით
და ფუნჯი დალის თუ პიკასოსი
მოგხატავს თეთრი იაგუნდებით.
გადაატარებს ცა გულზე ცხენებს,
ფლოქვი ნაპერწკალს
ვარსკვლავად ტოვებს,
ლტოლვით გავიწვდი მე შენსკენ ხელებს
და გავექცევი მე სიმარტოვეს.
თმები, ქარშოტი და გულის ფეთქვა,
ვნებას უსაზღვროს ცრემლები ერთვის,
ო, რა ხანია მინდოდა მეთქვა,
ხარ ჩემი ტანჯვა და ლოცვა ჩემთვის.

• • •

როცა შევხედავ უცნობ
ფერის თმებს,
გამახსენდება ვერაზე ბაღი,
გამახსენდება ქალი, ალვის ხე,
ცას გაფრენილი ოცნება ლაღი,
გამახსენდება ის ბროლის კოშკი
და მომინდება სხივთან თამაში.
ფერია ჩუმად შემოვა სულში
და დაიძინებს ფერთა ჰამაკში,
ჩამეძინება იქ, ვერის ბაღში,
თვალთ მეფინება ცრემლის სუდარა
და როგორც ხმელი ფოთლების
გროვა,
შენთან ეყრება ჩემი მუდარა.

• • •

ჩამოიმსხვრევა პირამიდები,
ვერვინ გაუძლებს დროთა ცვალებას
ჩვენ დაბადება თუ არ გვიკითხავს
ნუღარც ვიკითხავთ გარდაცვალებას.

• • •

საყდარში სანთელი ანთია ობლად
ჩემი ოცნება და გაფიქრება...
შემდეგ ჩადნება, დაიღვრება და
გუმბათს შეასკდება...
კვამლად ქცეული ჩემი ვედრება
— შემიბრალე.

# ცუცა თხოვდება?!



ცუცა თხოვდებაო, რომ თქვენ, ვიფიქრე „პასიანსის" ახალ სერიაზე ლაპარაკობენ და „მერვეკლასელის" „წარსულს ჩაბარებული" პარტნიორის ალეკო თეთრაშვილის შემცვლელი უპოვეს ციცო კაპანაძეს-მეთქი. არა, რა „პასიანსის", რას ამბობ, ცუცა-ციცო შეყვარებული ყოფილა და ცხ-ენის წელში თხოვდებაო. მაისვე ვეახ-ელი ახალი ამბის ადრესატს და თავად ვკითხე შესაძლო გაბედნიერების შესახებ. ცუცამ თუ ციცომ კარგა გულიანად იცინა და მერე მითხრა:

— რაო, რაშზე ამხედრებული პრინცი გამოჩნდაო? ვინ გითხრათ ეს ამბავი? გაყოლა თუ გათხოვება არ გადამიწყვეტია, რადგან წინადადების შემომთავაზებელი არ გამოჩენილა ჯერ, მაგრამ ვაპირებ, თუ არ გამოჩნდება, ძალით გამოვაჩინო.

**— ანუ...**

— გადავწყვიტე, ამ წელში იმ კაცს მე თვითონ ავუხსნა სიყვარული, ბოლოს და ბოლოს, შევარცხვენ. რამდენიმე დღის წინ უცნობმა თაყვანისმცემელმა მაჩუქა ფრთოსანი მერანი და მის მერე იმედი გამიჩნდა, რომ თეთრტაიჭოსანი უფლისწული მოფრინდება და მეტყვის: „ცუცაა..." რა საჭიროა დაკონკრეტება, ეშმაკს არ სძინავს.

**— დღემდე თუ გადაგიდგამთ რჩეულისკენ პირველად ნაბიჯი?**

— არა, არა, მაგ მხრივ ძალიან კომპლექსიანი ვარ. არაფრით არ შემიძლია, რომ კაცს სიყვარული ავუხსნა. ჯერც კი ვაგრძნობინებ, მაგრამ ამ ბოლო დროს თავს გააქტიურებას ვატყობ. ცოტა ძნელი კი არის კაცის შებმა, რადგან მამაკაცების სიმცირის გამო ყველაფერი დასწრებაზეა. ქალები კაცებს ასწრებენ, რა დრო დადგა, გესმით და როგორც ნოშრევან კუჭუხიძე იტყოდა „შერეკილებში", რადგან ქალაქში ყველაფერი დასწრებაზეა, მეც უნდა დავასწრო სხვებს, რომ არ მომასწრონ ჩემს რჩეულზე ანკესის მოდება.

**— როდის აპირებთ მოქმედების დაწყებას, გაზაფხულზე, სიყვარულის სეზონზე?**

— არავითარი გაზაფხული, მაგ საქმისთვის ამ დღეებში არ მცალია, მაგრამ, როგორც კი ახალი წელი ჩაივლის, გაჩვენებთ ჩემს შესაძლებლობებს. ნახავთ, ვინ არის ცუცა!

**— მგონი საკუთარი სახელი თვითონაც გავიწყდებათ, სულ ცუცას გიძახით, არადა ციცო ხართ.**

— ეჰ, ვერავინ ველარ მცნობს ციცოდ. ტელეფონზე თუ დავრეკე სადმე და ვთქვი, გამარჯობათ, ციცო ვარ-მეთქი, ვერ მცნობენ. ცუცას რომ ვახსენებ, იმ წუთში ისმის კივილი — „პასიანსს გაუმარჯოსო".

**— თქვენი სამსახურებრივი „მეუღლე", „შეყვარებული" და კიდევ რა ვიცი, ვინ, ალეკო თეთრაშვილი დაგცილდათ და „პასიანსიდანაც" საერთოდ წავიდა. რა მოხდა, თქვენი ზეწოლის გამო თავს გაქცევით ხომ არ უშველა?**

— დიახ. მე მაგისთვის მძიმე არტილერია ვიყავი. ახლა ჯაბა მყავს და ის მიძლებს. მაგრამ მალე ვერ გამიძლებს, რადგან კარატეში ვმეცადინეობ და ჩემთან ურთიერთობა ხუმრობა არაფის ეგონოს.

**— ასეთი გადაწყვეტილება რამ მიგაღებინათ, თავდასხმას ხომ არ გიპირებთ ვინმე?**

— რა ვიცი, გენაცვალე. ყველაფერი მოსალოდნელია. სხვათა შორის, ალეკოს თემას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ მას მართლა ვურტყამდი. ცემა იმპროვიზაციით არ გამომდის. მაგის ბედად, მაშინ არ დავდიოდი კარატეზე და ძალიან მწარე მუშტი და წიხლი არ მქონდა. მამუკა ღლონტს ეხვეწებოდა ალეკო, ერთხელ მაინც დამარტყმევინე სცენარით ცუცასთვისო. მაგისი დარტყმული მტერს. გაუღიმა ბედმა, მართლა მცემა და ნოკაუტში ჩამაგდო.

**— სიახლეს ხომ არ უნდა ველოდოთ თქვენს შემოქმედებით საქმიანობაში?**

— სულ ორი თვეა, იუმორისტმა ბიძინა მახარაძემ შექმნა მინიატურების თეატრი. თებერვლის ბოლოდან დავიწყებთ სპექტაკლებს „პასიანსის" შემოქმედებითი ჯგუფი და ბატონი ბიძინა. 1.45 საათიანი სპექტაკლი გვაქვს და ამ ხნის განმავლობაში შეგიძლიათ კუჭი ამოიღოთ, დაიჭიროთ ხელში სიცილით და იხოხიალოთ სკამის ქვეშ.

*ეკა ლომიძე*









კვირა 13 იანვარი

შაბათი 12 იანვარი

პარასკევი 11 იანვარი

ხუთშაბათი 10 იანვარი

ოთხშაბათი 9 იანვარი

სამშაბათი 8 იანვარი

ორშაბათი 7 იანვარი



# რევაზ ჩელებაძეზე ვლაპარაკობდი და რამაზ შენგელიას ვგულისხმობდი...



მასზე ამბობენ, კატასავით ცხრა სიცოცხლე აქვსო. უამრავ კატასტროფასა და ხიფათს გადარჩენილ ცნობილ სპორტულ კომენტატორსა და მიმომხილველს, კალათბურთის ეროვნული ნაკრების უფროსს და კიდევ სხვა მრავალი სპორტული ჩინის პატრონს **ჯამლეთ ხუხაშვილს** ყველაზე მეტად მაშინ გაუმართლა, როცა თვითმფრინავის კატასტროფას საღ-სალამათი გადაურჩა — 1970 წელს ზაპოროჟიესკენ მიმავალი „ილ-14" აეროპორტამდე 40 კმ-ში ჩამოვარდა. 43 კაციდან 10 გადარჩა, მათ შორის, ბატონი ჯამლეთიც.

— თბილისში დავურეკე ოჯახს. დედაჩემმა მერეღა დაიჯერა ცოცხალი რომ ვიყავი, როცა ფეხბურთის რეპორტაჟი გადავეცი. როგორც ჩანს, ღმერთს ჩემი განირვა არ უნდოდა, ვინც ეს ამბავი იცის და ჩემთან ერთად თვითმფრინავით მგზავრობს, თავს არხეინად გრძნობს ხოლმე.

**— ახლახან თქვენ და კოტე მახარაძე მოსკოვში ბრძანდებოდით. ბატონ კოტესაც თილისმასავით ხომ არ ახლდით ფრენის დროს?**

— *(იცინის)* მე მისი უმცროსი მეგობარი და მოწაფე ვარ. მოსკოვში ვმონაწილეობდი დიდ ზეიმში — რუსეთში უთუოდ უმაგალითო ფაქტი მოხდა — ბატონ კოტეს, ქართველ კაცს ფედერაციაში საუკეთესო სპორტული ჟურნალისტის ტიტული მიენიჭა. ამის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ მისი ახლახან გამოცემული წიგნი „რეპორტაჟი უმიკროფონოდ", რომელიც „ბესტსელერად" იქცა რუსეთში.

**— იმედია, მოსკოვში სტუმრობისას კიევური თავგადასავლები არ განმეორებულა. იქნებ გვიამბოთ, როგორ „გამოიტირეთ ბატონი კოტე"?**

— ბატონი კოტე კიევში უკრაინის პრეზიდენტმა კუჩმამ მიიწვია ევროპის ჩემპიონთა თასზე კიევის „დინამოსა" და მადრიდის „რეალის" შეხვედრის რეპორტაჟის წასაყვანად. იმ დღეს ორმა ქართველმაც გაიტანა მეტოქის კარში ბურთი და გუნდმა გაიმარჯვა კიდეც. თანაც ტოტალიზატორში ვითამაშეთ და მოვიგეთ. კოტეს პირველად გაუმართლა — ადრე სულ ვაგებდით. მოკლედ, ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა. საღამოს რესტორანში კარგად მოვეულხინეთ. კოტემ რომ დალია, დავფრთხით მე და ლერმან ლეკიშვილი. სოფიკოს მკაცრად ვყავდით გაფრთხილებული, — ჯანმრთელობის გამო წვეთი არ დაალევინოთო. გვიანი იყო, საძინებლამდე რომ მივაცილეთ.

დილით ჟურნალისტებს უნდა შევხვედროდით. დავურეკე — არ მიპასუხა. ავედით მე და ლერმანი. კარზე ვუკაკუნებთ — ჩამიჩუმი არ ისმის, არადა ნასვამმა კოტემ ისეთი ხვრინვა იცის, ქალაქის ბოლოს გაიგონებს კაცი. შევშფოთდით, დავსტირით კოტეს და თან ვფიქრობთ, რა ვუთხრათ სოფიკოს. ერთი საათის ლოდინის შემდეგ სასტუმროს თანამშრომელს გავაღებინეთ კარი. ვერ შევბედეთ პირველებმა შესვლა. მორიგე შევუშვით... გაღიმებული გამო[...]იდა და გვითხრა, — Как он красиво и сладко спит-ო. მე და ლერმანი სიხარულით გავგიჟდით. სოფიკოს გადავურჩით, მაგრამ კოტე გადაგვერია — ძილს რატომ არ მაცლითო.

**— თქვენ წილად გხვდათ ბედნიერება ეროსი მანჯგალაძის გვერდით გემუშავათ, ალბათ უამრავი გაქვთ გასახსენებელი.**

— ეროსის გვერდით გატარებული წლები ჩემი სიმდიდრეა. 50 წელი რომ შემისრულდება, კომენტატორობას თავს ვანებებ და ტელევიზიას საერთოდ არ გავეკარებიო, ამბობდა. გაზეთები ეხვეწებოდნენ — „ნუ წახვალ, ეროსი"... მეც ვემუდარებოდი, მაგრამ მაინც თავისას ადგა. გადამწყვეტ წამში შევთავაზე, — მოდი, მატჩის პირველ ნაწილს მე გავუძღვები და მეორის დასაწყისში ვიტყვი, — ბოლო საიუბილეო რეპორტაჟს ეროსი წაიყვანს-მეთქი. დაფიქრდა და მეუბნება, — როგორ ებრაულად მომიარე, კაცო, შენ!.. მასე რომ მოვიქცე და მერე უკან მობრუნება მომინდეს, ველარაფერს ვიზამო. ასე შევაჩერე.

**— მისი თაობის სპორტული გულშემატკივრები აღტაცებულნი არიან ეროსის ლაღი იუმორით.**

— ერევანში „არარატს" ეთამაშებოდა ცსკ. ჩვენთანაც თამაში იყო. ადგილობრივმა კომენტატორმა გამოაცხადა — ცსკ 1:3-ს აგებსო. ის დრო იყო, არმიაზე ცუდის თქმისთვის კი არა, საჭოჭმანო ინტონაციისათვის დაგიჭერდნენ. ეროსი კი, არც აცია, არც აცხელა და აცხადებს: საბჭოთა არმიას უჭირს „არარატთანო". გული გამისკდა, ვუთხარი, თქვენ შეიძლება არაფერი გითხრან, მაგრამ რას მერჩით მე, ებრაელ კაცს. გინდათ, გამასახლონ ოჯახიანად-მეთქი?

**— ამბობენ, უინტერესო თამაშით გულგატეხილ გულშემატკივრებს ეროსი ამხიარულებდაო.**

— შესანიშნავად იყენებდა უმნიშვნელო მოვლენასაც კი. სტადიონს შემოეჩვია ძაღლი, რომელიც მაინცდამაინც შუა თამაშში შემოდიოდა და მოედანს გადაკვეთდა ხოლმე. ერთი უღიმღამო თამაშის დროსაც შემოცუნცულდა მურია და ეროსიმაც იქუხა, — და აპა, გამოჩნდა ჩვენი ნაცნობი ძაღლი. იგი მთელი სისწრაფით მიემართება მეტოქის საჯარიმო მოედნისაკენო. ხალხი კინაღამ სიცილით დაწყდა. მერე ჩვენებმა მოწინააღმდეგის ჯარიმის დარტყმისას ცოცხალი კედელი რომ აღმართეს, ეროსიმ შენიშნა, — დახეთ ამ მკვდრებს, რა ცოცხალი კედელი აღუმართავთო. ერთხელაც „ფახთაქორთან" თამაშის დაწყებამდე 3 წუთით ადრე მოვიდა. გუნდის შემადგენლობის გაცნობა ვერ მოასწრო, არადა ტაშკენტელებს შავწითრიანი წითელი ფორმები ეცვათ. წვიმდა და ფერებიც ერთმანეთში ისე ირეოდა, რომ ვერაფერს გაარჩევდით. ეროსი მეუბნება, — კრასნიცკი თუ თამაშობს, ყველაფერი კარგად იქნებაო. ის ერთადერთი ქერათმიანი ფეხბურთელი იყო, რომლის გარჩევაც შეიძლებოდა. ბოლო ტაიმი მხოლოდ კრასნიცკი „ათამაშა" ეროსიმ. ბოლოს, მეკარეზე რომ მიდგა საქმე, ისევ კრასნიცკი ახსენა — აი, ნახეთ, თავურით როგორ მოიგერია მეტოქის ბურთიო. თამაში ვილას ახსოვდა, გაოცებული შევყურებდი ეროსის.

**— 40 წელია, ტელევიზიაში ხართ, პირდაპირ ეთერში რომ შეცდომას დაუშვებ, ალბათ გამოსწორება ძალიან ძნელია. უფრო მეტიც, შეუძლებელიც კია. თქვენც ხომ არ გქონიათ მსგავსი შემთხვევები?**

— ჩვენ, სპორტული ტელეკომენტატორები და მიმომხილველები თავს გადამხდარ კურიოზებს დიდებულ კოლეგას, ნუგზარ ჯულელს მივაწერთ ხოლმე, ისიც სიამოვნებით „იწერს", თუმცა ერთხელ რაც დამემართა, იმდენად გახმაურდა, რომ ვერაფრით მოვახერხე ნუგზარისთვის გადამებრალებინა. მოედანზე გამოვიდა რამაზ შენგელია. მეც მის შესახებ დავიწყე ლაპარაკი. ხალხიც ხვდება, რომ რამაზზე ვსაუბრობ, არადა თურმე თავგამოდებით ვამტკიცებ, რომ მოედანზე გამოვიდა რევაზ ჩელებაძე. ოპერატორი მანიშნებს, — სისულელეს ამბობო, მაგრამ ჩემსაზე ვდგავარ. ეს კურიოზი კი საღამოს სპორტული ამბების მიმოხილვისას გაიმეორა თემურ ჯაფარიძემ და უჩვენა სწორედ ის კადრი, რომელზეც რამაზ შენგელია ჩანს, მე კი მაყურებელს ვეუბნები — გინდა თუ არა, ჩელებაძეა-მეთქი.

**— ამდენი ხმალი რად გინდათ, კოლექციას აგროვებთ?**

— ყველა ნაჩუქარია. აი, ეს ყველაზე ძველი და ძვირფასი ქართული ხმალი გია გულუამ 50 წლის იუბილეზე მაჩუქა. ჩემი დაბადების დღეზე მოილხინა და მეორე დღეს ესროლეს... ის წლები უკვე წარსულს ჩაბარდა. ახალი წელი დადგა და იმედი მაქვს, რომ სამტროდ ტყვია აღარ გავარდება.

*ეკა ლომიძე*

2002 წლის თებერვლიდან გამოდის გაზეთი „მწუხრი" — მხოლოდ სამგლოვიარო განცხადებებისათვის.
მის: კოსტავას 14 ოთახი 3

*არიზის გალერეა „კლოდ ბერნარში“ გაიხსნა გამოჩენილი ხელოვანის გუჯი ამაშუკელის ნაკეთობათა გამოფენა. ქართველ შემოქმედს ფრანგი ხელოვნებათმცოდნეები დიდ იტალიელს — ბენვენუტო ჩელინის (1500-1571) ადარებენ.*

*„მე პარიზში ხელახლა დავიბადე — 33 წლისა, რადგან მხოლოდ აქ შევძელი ჩემი სულიერი განცდების გამოხატვა, გარდასულ ცივილიზაციათა ასახვა ხელოვნებაში“.*

*გუჯი ამაშუკელი ბათუმში დაიბადა. თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტზე სამი წელი ისწავლა და მერე მოსკოვში გადავიდა, სადაც 11 წელი ცხოვრობდა. 1969 წელს ბედი დაუკავშირა ფრანგ კატრინ ბარსაკს, ცნობილი თეატრალური რეჟისორის ანდრე ბარსაკის ქალიშვილს და დიდი ვაივაგლახის შემდეგ, როგორც იქნა, საფრანგეთში გააღწია. სხვათა შორის, ცოლ-ქმრის საბჭოთა ქვეყნიდან გასვლაში დიდი მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჟორჟ პომპიდუმ.*



**— საფრანგეთში ჩასვლამდე თქვენ უკვე ჩამოყალიბებული ხელოვანი იყავით?**

— ვერ ვიტყვი... მოსკოვში საერთოდ აკრძალული იყო ძვირფას ლითონზე მუშაობა. ერთი ხანობა მრეწველობის დიზაინერობას ვეწეოდი. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, ჩემი მაშინდელი ნახატის მიხედვით შესრულებული საფერფლე შვეიცარიაში ვნახე.

**— რით დაიწყეთ პარიზის დაპყრობა?**

— ჩამოსვლისთანავე დიდი შოკი განვიცადე. არ მეგონა, თუ აქაც მომხმარებლური საზოგადოების პრობლემებს წავაწყდებოდი. ერთადერთი კითხვა მიტრიალებდა — „რა ვქნა?“ დეპრესიამაც კი დამრია ხელი — არსაიდან არანაირი შემოსავალი... ჩემს ცოლს მამამისის იმედი ჰქონდა, მაგრამ იგი ჩვენს ჩამოსვლამდე გარდაიცვალა. სიდედრმა ბინა დაგვითმო, მე კი სამუშაოს ძებნა დავიწყე — ჯერ თეატრისთვის რაღაც რეკვიზიტი გავაკეთე, მერე კერძო პირთა ავეჯის რესტავრირებას მივყავი ხელი. ამან საშუალება მომცა, მეყიდა საჭირო მასალა, ინსტრუმენტები და პატარა, 12 კვმ სახელოსნოც, რომელიც შემდეგ გავაფართოვე და დიდ ატელიედ ვაქციე. პირველ რიგში გადავწყვიტე, შემექმნა ორიგინალური საიუველირო ნაწარმი, თანაც მხოლოდ ერთადერთი! უცებ ვიპოვე მყიდველებიც, რომელთა წრე ნელ-ნელა გაფართოვდა.

**— ამბობენ, უარი გითქვამთ მოდელიერ იუბერ დე ჟევანშისათვის მისი მარკით ბიჟუტერიის შექმნაზე?**

— ჩემი ნახელავი იუბერ დე ჟევანშის და ივ სენ-ლორანის სალონებში გამოიფინა. მათ ძალიან მოეწონათ და შემომთავაზეს სამკაულების შექმნა, საარაკო გასამრჯელოს დამპირდნენ, მაგრამ ამ ნივთებს მათი სახლების სახელით გაიცნობდა საზოგადოება, ავტორის ვინაობა კი არავის ეცოდინებოდა. ეგონათ, ეს წინადადება მომხიბლავდა, მაგრამ უარი ვთქვი.

ორი წლის მერე მწერალი ფელისიენ მარსო საფრანგეთის აკადემიაში აირჩიეს, აკადემიის წევრებს კი საკუთარი, სახელობითი ხმლები აქვთ. მარსო ჩემს მეუღლეს იცნობდა და ხმალი დამიკვეთა, სწორედ ამ ხმალმა მომიხვეჭა სახელი.

**— მას შემდეგ თქვენ ბევრი „უკვდავისთვის“ შეგიქმნიათ ხმალი, მათ შორის რუსეთის ისტორიის სპეციალისტის, აკადემიკოს ელენ კარერ დანკოსისთვის, რომლის ძარღვებშიც ქართული სისხლი ჩქეფს.**

ფრანგი ხელოვნებათმცოდნეები გუჯი ამაშუკელს საუკეთესო ოქრომჭედლად აღიარებენ, მას უცხოეთში იცნობენ სახელით „გუჯი“.

— ელენს ქართველი მამა ჰყავდა — ზურაბიშვილი, დედით კი ორლოვა იყო. მის ხმალზე ანდრია პირველწოდებულის დროშა გამოვსახე.

**— თქვენ თავს იუველირად მიიჩნევთ თუ სკულპტორად?**

— იუველირები მხოლოდ სამშვენისებს ქმნიან, მე კი ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებზე ვმუშაობ. ეს არის მცირე სკულპტურა. ამიტომ ჩემს თავს ძვირფას ლითონზე მომუშავე სკულპტორს ვუწოდებ.

**— ყველაზე დიდი გავლენა რამ იქონია თქვენზე?**

— საფრანგეთში ყველაზე მეტად გამაოგნა ქრისტიანობამდელმა და რომანულმა არქიტექტურამ და ცხადია, გოთურმა ხელოვნებამ.

**— თქვენს ხელოვნებაში ქართული ფესვები იგრძნობა...**

— ალბათ... საქართველო ქვეყანაა, სადაც ოდითგან უამრავი ცივილიზაცია იყრიდა თავს, რამაც გარკვეული კვალი დატოვა... მე ყოველთვის უნივერსალურობისკენ მივილტვოდი.

**— თქვენი შემოქმედება გარკვეულწილად კათოლიკურ ეკლესიასთანაა დაკავშირებული...**

— დიახ, მე ბევრი ტაძრისათვის მიმუშავია, მათ შორის ღვთისმშობლის, შარტრის, ლუსონის, რომლის ეპისკოპოსი ერთ დროს კარდინალი რიშელიე იყო... პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისთვის ლიტურგიული სივრცის შექმნაზე ვმუშაობდი. გავაკეთე საკურთხეველი, სამეუფეო სავარძელი, სახარების ყდა. შარტრის საყდარში ჩემი შექმნილი 25 საკულტო ნივთია.

**— მართლმადიდებლური საქართველოს შვილი კათოლიკური ეკლესიისთვის იღვწით...**

— კათოლიკური ეკლესია ძალიან ლიბერალურია, მისთვის მთავარია ჩემი ნაწარმის მხატვრული და სულიერი ღირებულება და არა აღმსარებლობა.

**— რამდენიმე წლის წინ, როდესაც იოანე-პავლე II-მ იხილა თქვენი შემოქმედება, ვატიკანშიც მიგიწვიეს...**

— ვატიკანის სამკვეთლოში, სადაც ინახება ლიტურგიისათვის საჭირო საეკლესიო ჭურჭელი, ჩემი 6 ნივთია, მათ შორის დიდი ლიტურგიული ჯვარი, რომელსაც პაპის ჯვარს უწოდებენ. ასევე ჩემი დამზადებულია სარიტუალო ჩაქუჩი. ამ ჩაქუჩის შემოკვრით გახსნა პაპმა საიუბილეო 2000 წელი.

**— რატომ არ გაქვთ კავშირი მართლმადიდებლურ ეკლესიასთან?**

— ჯერჯერობით ჩემთვის არაფერი დაუკვეთიათ. ისე, ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ამას მოისურვებენ.

**— ყველა გზა ტაძრისკენ მიდის — ეს ცნობილი ფრაზაა თენგიზ აბულაძის „მონანიებიდან“...**

— ეს ფილმი პარიზში ვნახე. ამ სიტყვებში დიდი სიმართლეა. ტაძრამდე მხოლოდ ჭეშმარიტების გზა მიგვიყვანს და მისი არჩევაა საჭირო. უმაღლესი ხელოვნება კი სულიერებასთანაა დაკავშირებული.

**— თქვენს სახელოსნოში ფრანსუა მიტერანიც ყოფილა. ამბობენ, არასოდეს არაფერს ყიდულობდა, რადგან რასაც მოიწონებდა, ყველაფერს ჩუქნიდითო.**

— არ არის მართალი. მიტერანმა ჩემს გალერეაში რამდენიმე ნივთი შეიძინა. თავისთვისაც ყიდულობდა და სხვა სახელმწიფოთა მეთაურებისთვის მისართმევადაც.

**— ახლანდელი პრეზიდენტი თუ გწვევიათ?**

— არა, მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ერთი თვის წინ რაინდის ეროვნული ორდენით დამაჯილდოეს, რომელსაც პრეზიდენტი ანიჭებს. ხელოვნების მეტრის საპატიო წოდებაც მაქვს მონიჭებული.

**— 1974 წლის შემდეგ თქვენი ისტორიული სამშობლო, საქართველო, აღარ გინახავთ. ხომ არ დაავიწყდით საქართველოში?**

— საქართველოდან ძალიან უსიამოვნო ამბები მომდის, ამიტომ იქ წასვლის სურვილიც აღარა მაქვს. ძალიან დაკავებული ვარ. ახლობელიც აღა-



რავინ შემრჩა, მშობლები ცოცხლები არ არიან. რასაკვირველია, მინდა ერთხელ მაინც მოვინახულო მათი საფლავები. იმედი მაქვს, ოდესმე მოვახერხებ.

**— მოსკოვში ან თბილისში ხომ არ აპირებთ გამოფენის მოწყობას?**

— თუ გამომივა, ძალიან მოხარული ვიქნები.

***ნოვიე იზვესტია №1***

# „მე ვარ თამადა ამ სუფრაზე, თანაც რჩეული...“



**იური კობალაძესთან** მეგობრობას მოსკოვში დიდ პატივად მიიჩნევენ. აბა, როგორ არ იამაყებს კაცი ასეთი საოცარი ადამიანის ნაცნობობითაც კი. პროფესიონალი მზვერავი, გენერალ-მაიორი, საგარეო დაზვერვის უფროსი, ჟურნალისტი, მრავალი სატელევიზიო გადაცემის გმირი, ახლა კი წამყვანი საინვესტიციო კომპანია „რენესანს კაპიტალის“ თოფ-მენეჯერი... მოსკოვში კიდევ ერთი პატივსაცემი „თანამდებობით“ იცნობენ ბატონ იურის — იგი ქალაქის საუკეთესო თამადაა.

**— ბატონო იური, საიდან გაქვთ ეს ნიჭი, ყველაფრის სწავლა შეიძლება, მაგრამ თამადობის?!.**

— ოჯახიდან, თბილისიდან... ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც თბილისში ტელეფონი იშვიათობა იყო, ხალხი ერთმანეთთან სტუმრად დაუპატიჟებლად დადიოდა — როდის მოგადგებოდა კარს მეგობარი თუ ნათესავი, არავინ იცოდა. მასპინძლის სიხარულს კი საზღვარი არ ჰქონდა, უმალ სუფრა იშლებოდა და იწყებოდა ქეიფი. ჩვენს ოჯახში თამადა ბებიაჩემის ბიძაშვილის ქმარი, ქობულეთელი ისაკ გოგავა იყო (საქართველოში ეს ძალიან ახლობელ ნათესავად ითვლება). მას ხანდახან საგანგებოდაც იწვევდნენ ხოლმე სათამადოდ. ჰოდა, სწორედ მისგან და მამაჩემისგან ვისწავლე თამადობა.

**— სამწუხაროდ, მოსკოვური ლხინი, თავისი სადღეგრძელოებით, უფრო პარტიულ კრებას ჰგავს...**

— საქართველოში თამადა სუფრის ხელმძღვანელია და არა სადღეგრძელოების გამანაწილებელი, როგორც მოსკოვში. თამადობა შემოქმედებაა და გონების ვარჯიში. კარგი თამადა წვეულების წარმატებით ჩატარების საწინდარია. თამადას მასპინძელი წარუდგენს სტუმრებს.

**— როგორი თვისებები უნდა ახასიათებდეს თამადას?**

— განსაკუთრებული. კარგი, მკვეთრი ხმა უნდა ჰქონდეს. როგორია უმიკროფონოდ 200-300 კაცის გაძღოლა, თანაც გარეთ, ეზოში! აქედან წამოვიდა „ალავერდი“ — სადღეგრძელოს გადაცემა. ქეიფი იწყება თამადის დღეგრძელობით. ამის შემდეგ მთელი ძალაუფლება მის ხელში გადადის. თამადა ხდება ლხინის უფალი. სადღეგრძელოების წარმოთქმის რიგიც დადგენილია: შეკრების მიზეზის, ოჯახის, მშობლების და ა.შ. ყველა კუთხეს თავისი ტრადიციული სადღეგრძელო აქვს. მაგალითად, გურიასა და კახეთში პირველი სადღეგრძელო მშვიდობისა ისმება. ისე, საერთოდ, ყველაფერი თამადაზეა დამოკიდებული.

**— საქართველოს ისტორიაში თუ არის თამადობით სახელმოხვეჭილი ადამიანი?**

— ძველ დროში ასეთები თავადური წარმოშობის განათლებული ადამიანები იყვნენ. მაგალითად, კახელი თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე გრიბოედოვის სიმამრი, განთქმული თამადა ყოფილა. ალექსანდრე დიუმასთვისაც უჯობნია სმაში. სხვათა შორის, სმასაც ცოდნა უნდა. თამადამ ისე უნდა დალიოს, რომ ნასვამობა არ ეტყობოდეს, მაგრამ სუფრის წევრები დაათროს. მეც არასოდეს დავმთვრალვარ, რადგან თამადისთვის ამაზე სამარცხვინო არაფერია. იცით, რაშია ქართული სუფრის ძალა? რატომ არის ლხინი ქართული ყოფიერების განუყოფელი ნაწილი? რატომ არის, რომ შრომით დაღლილი, საქმიანი ადამიანები სუფრაზე იკრიბებიან? იმიტომ, რომ ერთმანეთს მოესიყვარულონ, უთხრან ის, რასაც ყოველდღიურობაში ვერ ამბობენ. თან მღერიან... სიმღერა აუცილებელია ქართულ სუფრაზე, „მრავალჟამიერი“ სუფრის კლასიკური საგალობელი გახლავთ.

**— ყველაზე მეტად რომელი სადღესასწაულო სუფრა გიყვართ?**

— რასაკვირველია, საახალწლო. თბილისში განსაკუთრებულად აღინიშნებოდა ეს დღესასწაული. იგი ყოველთვის ჩემს ბავშვობას მაგონებს. მაშინ ცოცხლები იყვნენ ჩემი მშობლები. ნათლად მახსოვს: ახალი წლის დილას ალებ აივანზე კარს და იქ სიცივეში, ერთ ქვაბში საცივია, მეორეში — სალათი ოლივიე, მესამეში — „ხოლოდეცი“... მწნილი და რა ვიცი, კიდევ რამდენი ნუგბარი. მერე იშლებოდა სუფრა, რომელზეც თავს იწონებდა დედაჩემის ნახელავი ნამცხვარი, ხაჭაპური და რაც მთავარია, გოზინაყი...

**— ყველა სუფრას დასასრული აქვს. როგორ ამთავრებთ თამადობას?**

— აქ ქეიფის დასასრულს თამადა არავის ახსენდება. ამიტომ თავად ვთავაზობ საზოგადოებას ჩემს სადღეგრძელოს.

**— მკითხველს სადღეგრძელოს ხომ არ შესთავაზებთ?**

— ცნობილ დანიელ კარიკატურისტს ბიდსტრუპს ერთი ნახატი აქვს: ბიჭი ჟურნალიდან ლამაზი გოგონას პორტრეტს ამოჭრის. გადის დრო. იზრდება, დავაჟკაცდება... ხანდაზმულიც კი ბავშვობის რომანტიკულ იდეალს არ იშორებს. უკვე მოხუცი, პარკში, მზეს მიფიცხებული, სანუკვარ სურათს ამოიღებს და ნეტარებით დაჰყურებს. გვერდით მჯდომ სანდომიან მანდილოსანს გაოცებით აღმოხდება: „ეს ხომ მე ვარ ნახევარი საუკუნის წინ!“ — მოდით, შევსვათ სადღეგრძელო, რომ შეგვსრულებოდეთ ყველა ოცნება, თანაც დროულად!

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №52***

# ორი უძველესი ქრისტიანული ერის სიყვარული გრძელდება

***ბერძნულ და ქართულ ეკლესიებს საუკუნოვანი ისტორიული მეგობრობა აკავშირებთ. საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში განფენილი იყო ქართველთა ეკლესია-მონასტრები, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად აღესრულებოდა. სულ რამდენიმე ხნის წინ წერდა ჩვენი გაზეთი კუნძულ კვიპროსზე მდებარე ცნობილი კიკუს მონასტრის შესახებ, რომელიც ოდესღაც ქართველებს ეკუთვნოდათ. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ლაშა-გიორგის აქ დაუკრძალავს მეფეთმეფე თამარი.***



ილია თვაური. ხმალი და სამაჯური

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო-კულტურული ცენტრის თაოსნობით კვიპროსზე, ქალაქ ნიქოზიაში, „პილი ამოხოსტუს“ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ქართული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა.



ციალა ცალქალამანიძე
წიქარა

გამოფენაზე წარმოდგენილმა ხელოვნების უზადო ნიმუშებმა აღაფრთოვანა დამთვალიერებელი, რომელთა შორის იყვნენ კიკოს მონასტრის იღუმენი, მაღალღირსი ნიკიფორისი, განათლების და კულტურის მინისტრი ქალბატონი ურანიას იოანიდისი და სხვა საპატიო სტუმარი. გამოფენაზე მოსულ სტუმრებს მიესალმა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი კვიპროსსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში დეკანოზი ზაქარია ფერაძე.

„ეს გამოფენა — მხოლოდ ქართული ხელოვნების ნიმუშთა უბრწყინვალესი გამოფენა კი არაა, არამედ ქართველი და კვიპროსელი ხალხის ერთობის დემონსტრირებაცაა, იგი დასტურია იმისა, რომ ორი უძველესი ქრისტიანული ერის ისტორიული სიყვარული და თანადგომა კვლავ გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო ახალი ეპოქა ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთობისა“, — წერდა ადგილობრივი პრესა და მადლიერებით აღნიშნავდა ბატონების — „აუდიტ-კომპანის“ დირექტორის გიორგი გაგნიძისა და საქართველოში ინტერპოლის ხელმძღვანელის კონსტანტინე როგავას დიდ წვლილს ამ მშვენიერი ექსპონატების კვიპროსზე ჩატანაში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თამაზ გოზალიშვილის ჭედურობა, მიხეილ ცალქალამანიძის ტიხრული მინანქარი, ილია თვაურის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ნუგზარ ბეროშვილის სამკაულები, ციალა ცალქალამანიძის ტიხრული მინანქარი, დოდო ბარამიძის ნაქარგობა და მიხეილ ებანოიძის თექა.

***ნიქოზია***

# მაკვირვებს ახლანდელი გოგონების საქციელი

არა მგონია, დედაშვილობაზე ძლიერი გრძნობა არსებობდეს ამქვეყნად. როცა დედა-შვილის ცხოვრებაში „ვიღაც“ მესამე შემოიჭრება, ხშირად „ვნებათა ღელვაც“ იმატებს ხოლმე. ვინ არის მართალი: დედა, შვილი თუ ის „ვიღაც“?..

დღევანდელი რუბრიკის სტუმარი მარტოხელა დედაა, რომელმაც ვაჟიშვილი 5 წლის ასაკიდან მარტომ გაზარდა. ახლა ბიჭი უნივერსიტეტის პირველკურსელია, — შეყვარებული და გრძნობამოჭარბებული ჭაბუკი ბევრ ისეთ ბარიერს აწყდება, რომელსაც დედა ვერაფრით ვერ ეგუება.

თუმცა აჯობებს, ამბავი დედის ცხოვრებიდან დავიწყოთ...

გათხოვდა სიყვარულით. ბიჭის დაბადებას ოჯახი დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა. ქმარმა ხშირად იცოდა თურმე თქმა: ჩემს ცოლ-შვილს რომ რამე გაუჭირდეს, გავგიჟდებიო. გავიდა დრო, მაგრამ როცა ცოლ-შვილს გაუჭირდა, არც „გაგიჟდა“ და არც პრობლემებით შეწუხებულა, ერთ მდიდარ ქვრივს დაადგა თვალი და საცხოვრებლად მასთან გადავიდა. მერე ბავშვიც გაუჩნდათ და პირველი ცოლი სულ დაივიწყა. სამწუხაროდ, ხშირად ასეც ხდება — როცა კაცი ცოლს ტოვებს, შვილის მიმართაც გულგრილი ხდება. ასე იყო მათთანაც. ქალი შურისძიების გრძნობას არ შეუპყრია და გაჭირვების მიუხედავად, არც სათხოვნელად მისულა ოდესმე ქმარყოფილთან. ინგლისური ენის სპეციალისტი იყო და ბავშვების მომზადება დაიწყო. ახალგაზრდა, ლამაზ და უქმრო ქალს მთხოვნელებიც გამოუჩნდა, მაგრამ გათხოვებაზე აღარ უფიქრია. მიზნად შვილის ღირსეულ კაცად აღზრდა დაისახა. თავისთვის ბევრი რამ დაუკლია, შვილს კი არაფერს აკლებდა. 16 წლისას დედამ შეატყო, რომ ხასიათი შეეცვალა. აღარ იყო ისეთი დამყოლი და დამთმობი, როგორიც უწინ. მიხვდა დედა, რომ ამ რთულ ასაკში მამის ხელი აუცილებელი შეიქნა. აქამდე არასოდეს შეხმიანებია, ახლა კი შვილის გამო თავმოყვარეობასაც და წყენასაც გადააბიჯა, დაურეკა ქმარყოფილს და დახმარება სთხოვა. კაცმა, რა თქმა უნდა, ამ ერთადერთ თხოვნაზე უარი არ უთხრა და დაჰპირდა, შვილს დაველაპარაკებიო. მამის ცდა — შემდგარიყო მათ შორის „კაცური ლაპარაკი“, უშედეგოდ დამთავრდა. აქამდე უშენოდ ვიცხოვრე, ახლაც იოლად გავალო, — ცოტა არ იყოს, უკმეხად მიუგო შვილმა. მიხვდა მამა, რომ შვილი მისი უყურადღებობით განაწყენებული იყო და მისგან არც სიტყვიერი, არც ფიზიკური და აღარც ფინანსური დახმარება არ სურდა. ისევ დედამ იძალა და ასე თუ ისე, ზეგავლენა მოახდინა ბიჭზე.

„მივხვდი, რომ ვიღაც უყვარდა და უფლება მივეცი, შინ მოეყვანა, ჩემთვის გაეცნო, — მიამბობს ქალბატონი ნანა, — თუმცა ვერ გეტყვით, რომ მისი არჩევანით კმაყოფილი დავრჩი. გოგონა ჩემს შვილზე ერთი წლით უმცროსი, ე.ი. 15 წლისა იყო. გამაკვირვა მისმა სითამამემ. პედაგოგიური მუშაობის 20 წლის სტაჟი მაქვს, მოსწავლეებთანაც ყოველთვის თავისუფალი, მეგობრული ურთიერთობების მომხრე ვიყავი. კომპლექსებს ვებრძოდი და ვცდილობდი, ჩემს მოსწავლეებს არ ჰქონოდათ ზედმეტი სიმორცხვე და შებოჭილობა. რაც მე ამ პატარა გოგონაში აღმოვაჩინე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს არ იყო არც უკომპლექსობა ან თავისუფალი აღზრდის შედეგი. ამას ჩვენში, უბრალოდ, თავხედობას ეძახიან. გთხოვთ, ნუ განმსჯით ისე, თითქოს მხოლოდ დედის ეგოისტური გრძნობა მალაპარაკებდეს. საინტერესოა, რას დაარქმევდით მის ხმამაღლა დასმულ შეკითხვას: როცა შენი ცოლი გავხდები, რომელი ოთახი იქნება ჩვენიო? ჩემმა შვილმა საძინებელი აჩვენა, წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, მან ცხვირი აიბზუა და ვითომ ხმადაბლა ჩაულაპარაკა ნიკას: კი მაგრამ, დედაშენმა უფრო დიდ ოთახში რატომ უნდა იცხოვროს? თუ გული არ გამისკდებოდა, არ მეგონა. მერე ყველაფერი ისე გათამაშდა, როგორც ლაშა თაბუკაშვილის პიესაში „ძველი ვალსი“. მე არ დავუმალე და სიმართლე ვუთხარი ჩემს შვილს: ეგ გოგო არ გამოგადგება, ცხოვრებას გაგიმწარებს-მეთქი. გაბრაზდა, მაგრამ რა გაბრაზდა. ხმამაღალი სიტყვა რომ არასდროს უთქვამს, მაშინ მეჩხუბა და კარიც გაიჯახუნა. ორი დღე ჩემს ბიძაშვილთან იყო, მესამე დღეს დაბრუნდა შინ. მთხოვა, ეგ გოგო მიყვარს და მასზე ცუდი არაფერი მითხრაო. გავჩუმდი, სხვა გზა არ მქონდა და იმიტომ. ვიფიქრე, დრო მოვა და თვითონვე მიხვდება, რომ მართალი ვარ-მეთქი. ვატყობდი, ცუდ ზეგავლენას ახდენდა ის გოგო ნიკაზე. შარშან თურმე სეირნობისას წაუქეზებია: აბა, თუ მაგარი ხარ, ხიდიდან მტკვარში გადახტიო. ჩემი შტერიც გადამხტარა, კიდევ კარგი, ცურვა იცოდა. ეს ამბავი შემთხვევით გავიგე და ლამის ჭკუიდან შევიშალე. ვერ მოვითმინე და შვილს სულელური ნაბიჯის გამო ვუსაყვედურე. შინიდან აღარ გაქცეულა, მაგრამ კვლავ უსიამოვნო წალაპარაკება მოგვიხდა. შემდეგ ექსკურსიაზე წავიდნენ ჩემი ბიჭის მეგობრები. რა თქმა უნდა, შეყვარებულიც თან იახლა. ახლა, კლდის ერთ ფერდობზე ყვავილი მოეწონა გოგოს, აცოცებულა ჩემი შვილი, ყვავილი კი მოუწყვეტია, მაგრამ ჩამოსვლისას ფეხი დასცურებია და ექსკურსიიდან დაჩეჩქვილი და ფეხმოტეხილი ჩამომიყვანეს. მაშინ კი „ავუშვი აფრები“. ეგ გოგო ვითომ „საგმირო საქმეებს“ ითხოვს შენგან, არადა გაცუნდრუკებს და ვერ გრძნობ, ისე ხარ დაბრმავებული-მეთქი. შენ რომ მაგას უყვარდე, სახიფათო ნაბიჯს კი არ უნდა გადგმევინებდეს, უნდა გიფრთხილდებოდეს-მეთქი. სადაცაა სკოლას დაამთავრებ, მის დევნას, სწავლას გული დაუდო და შენი გზა მოძებნო, ის გიჯობს. მამაშენთან რომ არ გამიმართლა, როგორღაც „გადავხარშე“ ჩემი ქალური ღირსების შელახვა, მაგრამ შვილისგან ავყიობას და ცუდ საქციელს ვეღარ გადავიტან, თავი არ მომაკვლევინო-მეთქი. ამჯერად, ჩუმად მომისმინა და ცოტა ხანში პატიებაც მთხოვა. სკოლა კარგად დაამთავრა, იმ წელსვე ჩააბარა უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. ისე ხშირად აღარ ხვდებოდა შეყვარებულს, მაგრამ დედა ვარ და ჩემზე უკეთ ვინ იცნობს ჩემს შვილს? ვატყობდი, რაღაც აწუხებდა, გულს უღრღნიდა, ვერ ისვენებდა. თურმე, ნუ იტყვით და, იმ გოგოს სხვა ბიჭი შეჰყვარებია. ერთხელ ჩემს შვილს უნივერსიტეტთან დახვდნენ ვიღაცები „საქმის გასარჩევად“. ჩემსას უთქვამს: თუკი მას სხვა უყვარს, მე განზე დავდგებიო. ეს პირველი შეხვედრა მშვიდობიანად დამთავრებულა, მაგრამ გოგოს, ალბათ უნდოდა დაქალებში ეტრაბახა: ჩემი გულისთვის ბიჭები ჩხუბობენო. კვლავ გააქეზა სხვები და ისევ მოუგზავნა ჩემს შვილს „საქმის გამრჩევები“. მე არაფერი ვიცოდი. ერთი აბიტურიენტი მყავს, რომელსაც თავის ოჯახში ვამეცადინებ. მისგან საღამოს 9 საათზე დავბრუნდი შინ. სანამ კარს შევაღებდი, ტელეფონი რეკავდა, მაგრამ ვერ მივუსწარი. ბიჭი არ იყო მოსული. თერთმეტი რომ დაიწყო, ავწრიალდი. ადგილს ვერ ვპოულობდი, გული ცუდს მიგრძნობდა. როცა აგვიანდებოდა, შვილმა ყოველთვის იცოდა გაფრთხილება. როგორც იქნა, კარზე ზარის ხმა გაისმა. მივვარდი და ჩემი შვილის მეგობარი შემრჩა ხელში. ძალიან შეწუხებული ჩანდა. ლექციების მერე მე და ნიკა ერთად გამოვედით გარეთ, ვიღაც ბიჭები დაგვხვდნენ, აგვიშარდნენ, ნიკამ ვერ მოითმინა და ერთ-ერთს გაარტყა, იმან კიდევ დანა ამოიღო. საშიში არაფერია, მაგრამ ნიკა დაჭრილია და მეცხრე საავადმყოფოში წაიყვანესო. აღარ მახსოვს, როგორ მივედი საავადმყოფომდე. მთელი გზა იმას ვფიქრობდი, სიმართლეს ხომ არ მიმალავენ და უკვე მკვდარი ხომ არ არის ჩემი შვილი-მეთქი. როცა პალატაში შევედი, ჩემს დასამშვიდებლად ხელი ამიწია და გამიღიმა: ნუ გეშინია, დედა, კარგად ვარო. თვალთ დამიბნელდა და იქვე ჩავიკეცე. ხომ შეიძლებოდა, ყველაფერი ტრაგიკულად დამთავრებულიყო?! განა თბილისში ცოტა მკვლელობა მომხდარა გოგოს წაქეზებით? ერთი რამ გამკვირვებია, არც ისეთი ხანდაზმული ვარ, ჯერ 45 წელი არ შემსრულებია. ჩემი თაობის გოგონები მუდამ დაძაბული სიტუაციის განეიტრალებას ვცდილობდით. ჩვენს დროსაც მომხდარა ჩხუბი გოგოს გულისთვის, მაგრამ იმ გოგოს ჭკუა ჰყოფნიდა და მდგომარეობას კი არ ართულებდა, ყველანაირად ცდილობდა დაეშოშმინებინა ბიჭები და მომრიგებლის ფუნქცია ეკისრა. ახლა კი რა ხდება? დღევანდელი გოგონების უმეტესობა (ყველაზე ვერ ვიტყვი) ცდილობს მის ირგვლივ ხმაური და ალიაქოთი ატეხოს, რომ მერე ამით თავი მოიწონოს! ვფიქრობ, რომ აღზრდაში ისევ დედებმა დააკლეს მათ რაღაც მნიშვნელოვანი.



საავადმყოფოდან შინ მობრუნებული ნიკა გამოიცვალა. დადინჯდა. ადრინდელივით აღარ მეკამათებოდა. ალბათ მიხვდა, რომ მართალი ვიყავი. ახლა ჩვენს ოჯახში სიმშვიდეა, მაგრამ მე მაინც დაფეთებული ვარ. ყოველ მის დაგვიანებაზე გული მიღონდება. არასოდეს მქონია წნევა, ახლა კი, ნერვიულობის ნიადაგზე, ჰიპერტონია დამეწყო. ამას წინათ, ლექციებიდან ცოტა ნასვამი მოვიდა. თურმე მამამისს მიუკითხავს უნივერსიტეტში, მერე კი ბარში შესულან. ულაპარაკიათ. ნიკამ მითხრა: თავისებურად შემეცოდა მამაჩემი, რადგან ვატყობ, ნანობს თავის შეცდომასო. ხომ არ გეწყინება, ხანდახან რომ შევხვდე და ზოგჯერ შინაც ვესტუმროო? — ჩამკითხა ბოლოს. პირიქით, ყოველთვის მოხარული ვიქნები-მეთქი. მართლაც და, თუკი მამამისს ენდომება შვილთან სიახლოვე, რატომ უნდა დავუშალო? ცოლ-ქმრის უთანხმოება შვილზე არ უნდა გადავიდეს.

ეს ამბავი იმისათვის გიამბეთ, რომ მინდა იმ გოგოს ოჯახის ყურამდეც მივიდეს. მაშინ, ნიკამ არ მომცა იმის უფლება, რომ გოგონას ან მის მშობლებს შევხვედროდი. ახლა კი, როცა ამ ისტორიას წაიკითხავენ, მიხვდებიან ვისზეც ვლაპარაკობ. იქნებ, თავის შვილს ურჩიონ, რომ მოიქცეს ისე, როგორც მშვიდობისმოყვარეობით, სათნოებითა და კლდემამოსილებით გამორჩეულ ქართველ ქალს სჩვევია!

***მარინა ბაბუნაშვილი***

# სილამაზე ცქერით როდი გაცვდება...

## მერი შერვაშიძე



„შენ ჯვარს იწერდი, იმ ღამეს მერი!/ მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,/ სანდომიან ცის ელვა და ფერი/ მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!“

ეს საოცარი ლექსი „საქართველოს პოეტების მეფემ“ უძღვნა უმშვენიერეს მერი შერვაშიძეს.

ცოდვაა, იყო ასეთი ლამაზი, — აღფრთოვანება ვერ დაუფარავს ნიკოლოზ მეორეს მისი ხილვისას.

მაგრამ ვინ მეფე კაცთა და ვინ — პოეზიის მეფე! გალაკტიონის პოეზიის გვირგვინია მერის ხატება — „და ერთადერთი ნაზი დარაჯი,/ გადიფრენს თვალწინ აჩრდილი მერის“...

მერი შერვაშიძე რუსეთის დედოფლის სეფექალი იყო. გენერალ-მაიორის, რუსეთის მესამე სათათბიროს საბჭოს წევრის პროკოფი შერვაშიძის ქალიშვილი ამშვენებდა და აცისკროვნებდა პეტერბურგის სალონებს (იგი ნათესავი იყო დედოფალ მარია ფიოდოროვნას მეუღლის, ცნობილი ქველმოქმედის, გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძისა. სხვათა შორის, ამ კეთილშობილმა ადამიანმა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა უანგაროდ გადასცა ახალგახსნილ თბილისის უნივერსიტეტს). მის სილამაზეს თვალს ვერ უსწორებდნენ, შესტრფოდნენ და შეჰხაროდნენ ხელმწიფის კარზე არისტოკრატი ახალგაზრდები. მისი ფოტოები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ თუ უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში.

ამბობენ, 1915 წელს, როცა ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში მერი შერვაშიძე და გიგუშა ერისთავი ჯვარს იწერდნენ, ტაძარი ნათლის სხივით იყო გაბრწყინებულიო.

სამსახურიდან გადამდგარი პროკოფი შერვაშიძე ოჯახითურთ სამშობლოში დაბრუნდა საცხოვრებლად.

მერი და გალაკტიონი ერთ უბანში ცხოვრობდნენ თურმე. ჭაბუკი პოეტი შორით ეტრფოდა მომხიბლავ ქალს: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი“, — წერდა გალაკტიონი და მართლაც, „შორს მყოფმა“ მერი შერვაშიძემ სულაც არ იცოდა, რომ მას ასე ეტრფოდნენ, პოეტი კი ვერ ბედავდა მიახლოებას...

1921 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. მერის ოჯახი საზღვარგარეთ გაემგზავრა. დიდხანს მოუწიათ უცხოეთში გახიზნულ ქართველებს ქვეყნის დაწყნარების იმედად სტამბოლში ყოფნა. ყოფილი ბიზანტიის დედაქალაქი კიდევ ერთხელ გააოგნა ქართველი ქალის მომხიბლაობამ — აქ გამართულ სილამაზის კონკურსში მერი შერვაშიძეს თავს დედოფლის გვირგვინი დაადგეს.

მალე შერვაშიძეთა და ერისთავების ოჯახები საფრანგეთს გაემგზავრნენ და პარიზში დამკვიდრდნენ. მშვენიერების მექა განაცვიფრა ქართველი ქალის სილამაზემ.

განუმეორებელმა კოკო შანელმა მოდელად მიიწვია.

მხატვრები სიამოვნებით ხატავდნენ ამ ღვთაებრივ ქალს.

სამწუხაროდ, მას შვილი არ ჰყოლია. სიცოცხლის ბოლო წლები რესპექტაბელურ მოხუცთა თავშესაფარში გაატარა და აქვე მიიცვალა თითქმის 100 წელს მიტანებული.

პარიზში ყოფნისას, მსახიობი მედეა ჯაფარიძე ეწვია მერი შერვაშიძეს. სწორედ მაშინ უთქვამს ქალბატონ მერის: არ მეგონა, ლექსი „მერი“ თუ მე მომიძღვნა გალაკტიონმა, რადგან მას სამწუხაროდ, არ ვიცნობდიო. ქალბატონ მედეას უპასუხია: აუცილებელი სულაც არ იყო ნაცნობობა, რადგან თქვენი სილამაზით შორიდანაც გახდებოდით პოეტის შთაგონების წყაროო.

ჩვენმა სასიქადულო მოღვაწემ რევაზ თაბუკაშვილმა ერთ თავის დოკუმენტურ სურათში გადაიღო ხანდაზმული მერი შერვაშიძე. ბევრი მშვენიერი ქართველი მანდილოსანი გავიცანი პარიზში, მაგრამ მერის ვერავინ შეედრებოდა. იგი ხორცშესხმული ანგელოზიაო — წერდა ბატონი რეზო.

***მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა***

# ტესტი

## მხოლოდ ქალებისათვის

# ადვილია თქვენი ქმრობა?

***1. არ მოგწონთ ქმრის მეგობრები და...***

ა) თავს იკატუნებთ (0 ქულა);
ბ) გულახდილად ეუბნებით ქმარს (3 ქულა);
გ) ეცდებით, ჩამოაშოროთ (2 ქულა);
დ) თავაზიანად, მაგრამ ცივად ხვდებით მათ (1 ქულა).

***2. წაკინკლავდით და ქმარი გაბრალებთ ჩხუბის დაწყებას. თქვენ...***

ა) საწინააღმდეგოს ფიქრობთ, მაგრამ ოჯახური სიმშვიდის გამო თავს უქნევთ (0 ქულა);
ბ) ბრაზდებით (1 ქულა);
გ) ირონიით ხვდებით ამას (2 ქულა);
დ) შერიგებას სთავაზობთ (3 ქულა).

***3. იგებთ, რომ მეუღლემ თქვენთან შეუთანხმებლად წვეულებაზე წასვლაზე უარი თქვა, თქვენ...***

ა) სამაგიეროს გადახდას განიზრახავთ (0 ქულა);
ბ) განმარტებას ითხოვთ (1 ქულა);
გ) ტირით (2 ქულა);
დ) ერთი კვირა არ ელაპარაკებით (3 ქულა).

***4. კაფეში შედიხართ და ხედავთ, როგორ სვამს ყავას თქვენი ქმარი ლამაზ გოგონასთან ერთად. რას იზამთ?..***

ა) მიუჯდებით მათ მაგიდას და გოგონას ზედაც არ შეხედავთ (3 ქულა);
ბ) ვითომ ვერ ხედავთ და სხვა მაგიდისკენ გასწევთ (1 ქულა);
გ) გაეცლებით იქაურობას, რომ არ დაგინახონ (2 ქულა);
დ) მიუახლოვდებით და საუბარში ერთვებით (6 ქულა).

***5. დაგპირდათ, დაგირეკავ და მოვილაპარაკოთ, საღამოს სად წავიდეთო, მაგრამ პირობა არ შეასრულა. თქვენ...***

ა) თავად რეკავთ (2 ქულა);
ბ) ზარს უცდით და ნერვიულობთ (0 ქულა);
გ) ამოწმებთ, რომ არ გატყუებთ (3 ქულა);
დ) სთხოვთ თანამშრომლებს (ან ოჯახის წევრებს), თუ დარეკავს, უპასუხონ, რომ წახვედით (1 ქულა).

***6. რას აკეთებთ, როდესაც თქვენი პარტნიორი სხვა ქალს ეარშიყება?***

ა) ცხვირს იბზუებთ (1 ქულა);
ბ) თქვენც სხვას დაუწყებთ კეკლუცობას (0 ქულა);
გ) ნაბიჯითაც არ მოსცილდებით (3 ქულა);
დ) არ აქცევთ ყურადღებას (2 ქულა).

***7. კინოში აპირებთ წასვლას და უცებ გეუბნებათ, რომ გადაიფიქრა. თქვენ...***

ა) მიზეზს ეკითხებით (0 ქულა);
ბ) მარტო მიდიხართ (1 ქულა);
გ) სასეირნოდ წასვლას სთავაზობთ (2 ქულა);
დ) ებუტებით (3 ქულა).

***8. შეთანხმდით ქუჩაში შეხვედრაზე, დათქმულ დროზე ერთი საათით გვიან მოდის, თქვენ...***

ა) უკმაყოფილო ხართ, მაგრამ მერე ისე იქცევით, ვითომც არაფერი მომხდარა (0 ქულა);
ბ) რომ გამოჩნდება, ვითომ ვერ ხედავთ (1 ქულა);
გ) სიხარულს ვერ მალავთ, რომ ბოლოს და ბოლოს, მოვიდა (2 ქულა);
დ) მთელ ბოღმას მასზე ანთხევთ (3 ქულა).

***0-45 ქულამდე:*** **კარგი პარტნიორი ხართ, მომთმენი და დიდსულოვანი ქმრის მიმართ. კაცებს ეს მოსწონთ.**

***5-12 ქულამდე:*** **ჭირვეული ხართ და თვითონ არ იცით, რა გინდათ, მაგრამ სწორედ ამიტომ კაცებს იდუმალ და საინტერესო ქალად მიაჩნიხართ. თქვენთან კაცი არ მოიწყენს.**

***13-დან 19 ქულამდე:*** **კეთილი, რბილი ხასიათის და ხანდახან ზედმეტად მიმნდობი ხართ. გაფრთხილდით, თქვენი ხათრიანობა მამაკაცმა სათავისოდ არ გამოიყენოს და თავის ნებაზე არ გატაროთ.**

***20-ზე მეტი ქულა:*** **თუ ქმარი გიძლებთ — ყოჩაღ მას, ნამდვილი ანგელოზია. ხოლო თუ თქვენ ჭირვეულობას და აგრესიულობას მოუკლებთ, ოჯახში ნაკლები პრობლემა გექნებათ.**

## ანეკდოტი

****

**— რას აკეთებს ქალი, თუ კაცი არა ჰყავს?**

**— სხვა ცხოველს ათვინიერებს.**

# ხანდახან ძალიან სვანი ვარ...

კვე მრავალთა გულის მომნადირებელმა **მამუკა ჩარკვიანმა** „პოლკოვნიკ“ მიშა გომიაშვილის გულიც კი სიმღერით მოინადირა. ნახეთ ალბათ ტელე-იმედის ხუთსაათიან საახალწლო ფილმში შეყვარებული ჯარისკაცის დასახმარებლად გაშლილ პურმარილთან ერთად, მანქანის „კაპოტზე“ შემჯდარი უფროსი მეგობარი, რომელიც ყაზარმაში სიმღერით „ადნაჟდი რუსკი გენერალ...“ შეგრიალდა. არ ვაპირებ იმის გამეორებას, რაც ყველამ იხილეთ ეკრანებზე. ჩვენი რესპონდენტი გიამბობთ, თუ როგორ დაზარალდა გადაღებების დროს და გაიგებთ, მართალია თუ არა, ბოლო ხანს მასზე გავრცელებული ერთი ჭორი, რომ ჯანსუღ ჩარკვიანის ვაჟმა ვითომ „მეგაკომი“ იყიდა, სადაც თურმე დიდი ზარ-ზეიმით თავად იღებდა ხალხს...

— გადაღებები მთელი ღამე მიმდინარეობდა სადგურზე და სამხედრო სასწავლებელში. შუშხუნები რომ აანთეს, ეტყობა, ნაპერწკლები მომხვდა და შარვალი დავიწვი. წინასაახალწლო დღეებში საკმაოდ დამქანცველი, მაგრამ სასიამოვნო სამუშაო მქონდა. დილით ძლივს შევდიოდი სახლში. წაძინებას ვერ ვასწრებდი და ისევ საქმეზე გავრბოდი.

**— „მეგაკომში“ რას აკეთებდით ახალი წლის წინა დღეებში? ჭორი გავრცელდა, თითქოს ბიზნესს მოჰკიდეთ ხელი და „მეგაკომის“ შეფი გახდით.**

— ***(იცინის)*** არა, რას ამბობთ. რეკლამაში ვმონაწილეობდი. ახალ წლამდე მე, „კიჭა“ — ლევან ლოლაშვილი, დუტა და სხვები, რიგრიგობით მოვდიოდით „მეგაკომში“. ამის შესახებ ვიტრინაზე გაკრული აფიშაც იუწყებოდა. ჩვენთან შეხვედრის მსურველები შემოდიოდნენ, სურათებს ვიღებდით სამახსოვროდ და ვერთობოდით, რითაც რეკლამაც კეთდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური დაინტერესებაც გვქონდა, ამ აქციას უფრო მეგობრულს დავარქმევდი, ვიდრე საქმიანს, რადგან იქ გადახდილი თანხისთვის სიმღერას ვთანხმდები, მაგრამ მსგავს რეკლამაზე არ წავალ.

**— როგორც ჩანს, მკვეთრად გამოხატული სვანური თვისებები არ გაქვთ, თორემ გვარიდან გამომდინარე, სახასიათო როლსაც გამოჰკრავდით ხელს.**

— სვანური თვისებები? ჩემმა მეუღლემ იცის ხოლმე ხანდახან თქმა, აი, ახლა ნამდვილი სვანი ხარო. ისე, გვარის წარმოშობაა სვანური, თორემ ჩარკვიანები ლეჩხუმში სახლობენ. ბულატ ოკუჯავას ეუბნებოდნენ — შენ ქართველი ხარო. ის კი ამტკიცებდა — რუსი ვარო. მე ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი სოფელი სურმუში სვანეთთან ახლოს არის და მისი სახელი სვანურად დიდ თოვლს ნიშნავს. ასე რომ, მაინც სვანი გამოვდივარ. ჩემი ფესვი იქიდან მოდის, ჰოდა, გენის ყივილი მაწუხებს ხოლმე და ხანდახან ძალიან სვანი ვარ. რთულია ცხოვრება სვანეთში და ამიტომაც არიან სვანები მკაცრი ხალხი. სხვა კუთხეში გაზრდილი სვანი უფრო რბილი ხასიათისაა.



— რაც გამაჩნია, მიყვარს

მეც ვმკაცრდები ხოლმე, მაგრამ წელიწადში ერთხელ — სვანობა, რომ დავამტკიცო...

**— ბატონი ჯანსუღი როგორი სვანია?**

— როგორც ყველა ხელოვანი და სვანი, ჯიუტია. მაგრამ საბოლოოდ, მაინც ითვალისწინებს შენიშვნებს, თუმცა, იმწუთას არ დაგეთანხმება. ისე, პირადი გამოცდილებიდან სვანებზე უყვარს მხიარული ამბების შეთხზვა. ერთხელ მეუბნება — გინდა, სვანებზე მაგარი რამე გითხრაო? დიდი ინტერესით შევხედე. მერე ის ამბავი ანეკდოტად გავრცელდა, ოღონდ ჯანსუღზე კი არა, საერთოდ სვანებზე. უნდა ნახოთ თავის მოგონებულ ანეკდოტებზე რა გულიანად იცინის. „ვრთავ ტელევიზორს და ვერ გადავრთეო“. ალბათ პულტში ელემენტია გამოსაცვლელი-მეთქი, დავამშვიდე, „არა, კაცო, მობილური მიჭირავს თურმე ხელშიო“. მეც მიყვარს ასეთი რაღაცეების მოფიქრება და ერთმანეთს ვეჯიბრებით ხოლმე.

**— პოლიტიკური დებატები თუ იმართება თქვენს ოჯახში?**

— ნაკლებად, რაშიც არასდროს არ ვმონაწილეობ. მამას ოპოზიციაც ჰყავს ოჯახში და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ზოგჯერ თავადაც იმ ოპოზიციაშია. არასდროს მიფიქრია პოლიტიკაში ჩარევა. ასე მგონია, სამუდამოდ დავკარგავ მუზას. მამაჩემი კი წერს ახლაც ლექსებს, მაგრამ მას პოლიტიკოსად არასდროს აღვიქვამდი.

სათქმელს ყოველთვის ამბობდა როგორც პოეტი, იქნებ ზოგჯერ ცდებოდა კიდეც, მაგრამ რაც მას სჯეროდა, იმას ამბობდა. შეცდომისაგან დაზღვეული კი არავინ არის, არც მთავრობა. მთავარია, შეცდომა შეგნებულად არ დაუშვა.

**— დღეს წარამარა უშვებენ ამდაგვარ შეცდომებს.**

— გეთანხმებით. მაგრამ ერთხელ რომ დააშავებენ, მეორედ მაინც შეჩერდნენ... ქრისტიანობა არაჩვეულებრივი სარწმუნოებაა, კაცს მარტო ერთხელ და ორჯერ არ აძლევს მონანიების საშუალებას. ღმერთი გეფერება, ოღონდ მოდი, მოინანიე და მე ვიკისრებ შენს ცოდვებსო, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? თუ კაცი ხარ, ერთი უნებლიე შეცდომა გეპატიება, მეტი თვითონ არ უნდა აპატიო შენს თავს და ღმერთთან ასჯერ პატიების თხოვნით როგორღა უნდა მიხვიდე, სულ აღარ გაქვს ნამუსი?

მუსიკოსი თითქოს რაღაცაზე წყრება. წამით საკუთარ თავში იკეტება და მერე სწრაფად სვამს კონიაკს. რომელიც თურმე სიცივისგან თავის დასაღწევად მოართვეს მეგობრებმა.

**— ბახუსთან არ უნდა იყოთ მწყრალად?**

— ხალხს ფული არ აქვს და კი აღარ ქეიფობენ, იაფფასიანი, ბანგიანი საწამლავით თვრებიან. გალოთდა ქვეყანა. რაც ხდება, ცხოვრების ბრალია. ერთხელ მკითხეს, — სვამთო? ვუპასუხე, ისე მიყვარს სასმელი, რომ ვცდილობ, არ დავლიო-მეთქი. რიტუალის გარეშე ქეიფი მენატრება. არც მე მაქვს იმის საშუალება, რომ სამიოთხი ბოთლი ძვირფასი კონიაკი და ვისკი მქონდეს შინ. ასე რომ, ქეიფის მოლოდინში არ ვთვრები. კაი ქეიფი, ლამაზმანების გარემოცვა და ფლირტი მენატრება. ასეთ სიტუაციაში კეკლუცობ და აღარ თვრები. სახლშიც ნასიამოვნები მიდიხარ, მაგრამ ეს სიამოვნება ძვირი ჯდება, ძვირი.

**— რამდენი მამუკა ჩარკვიანია თქვენში?**

— ყველა ადამიანში ორი კაცი ზის... ვებრძვით ერთმანეთს, ზოგჯერ ნიღაბიც მიკეთია, თავისუფლება მსურს, მაგრამ ეტიკეტი არ მაძლევს სხვაგვარად მოქცევის უფლებას. მეც, როგორც ყველა ადამიანს, მაქვს სისუსტეები, მაგრამ არა ისეთი, მათზე ლაპარაკი რომ ღირდეს.

**— თქვენი ახლობლისგან მსმენია, რომ სევდიანი კაცი ხართ, სიმღერებიც ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ეს ნიღაბია თუ ნამდვილი სახე?**

— მხიარულიც ვარ და სევდიანიც. სვანურად „ჩარკვ“ ფუძე სევდას ნიშნავს, ე.ი. ჩემი გვარიდან გამომდინარე მოწყენილი, სევდიანი ვარ, მაგრამ, მაინც უფრო მხიარულ კაცად მიმაჩნია ჩემი თავი. რაც შეეხება სიმღერაში სევდას, ქართული ფოლკლორიც, თვით მრავალჟამიერიც კი, სევდის მატარებელია. რომ ვუსმენ, ზოგჯერ ხმალზე მინდა გავიკრა ხელი და სხვანაირად მოვიქცე, მინდა, ძველი დრო დაბრუნდეს. ქართულ ესტრადასაც ბლუზი უფრო უხდება, ვიდრე სხვა ჟანრი, რადგან ბლუზი ნაზია და ასევე სევდიანი.

**— სოლო კონცერტის გამართვას აპირებდით, მგონი.**

— ზაფხულში ბათუმში დარჩენილი მუზა დამიბრუნდა და 6 ახალი სიმღერა დავწერე. ოთხიც რომ მივუმატო, 10 ახალი და რამდენიმე ძველი ჰიტით ურიგო სოლო კონცერტი არ უნდა გამოვიდეს, ამასობაში, სპონსორის საკითხიც მოგვარდება და ალბათ აპრილში შევძლებ მსმენელის წინაშე წარდგომას.

**— ქუჩაში უცნობმა რომ გაგაჩეროთ და გკითხოთ, ვინ ხარო? რას უპასუხებთ?**

— ვინ ვარ? ღვთისშვილი, ისე, როგორც ყველა ჩვენგანი.

**— ცხოვრების თავიდან დაწყების შანსი რომ მოგეცეთ, რას წაშლით?**

— არაფერს. ჯერ ერთი, რასაც ვაკეთებდი და ვაკეთებ, მხოლოდ საკუთარი ნება მკარნახობდა. თანაც რამდენიც არ უნდა ვიძახო, ამას შევცვლი, იმას შევცვლი-მეთქი, ვიცი, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩება. რაც გამაჩნია, მიყვარს — ჩემი ოჯახი, მეგობრები, სიმღერა, მუსიკა. ბედნიერი ვარ იმით, რომ რაღაც შევქმენი. ჩემი შვილებით და სიმღერით ვამაყობ და თუ ჩემი ერთი სიმღერა მაინც დარჩება ამქვეყნიურ მარადიულობაში, ბედნიერი კაცი ვიქნები.

***ეკა ლომიძე***

# — რა უბედურებაა ეს ორი სახელი

## ანუ ბედი ყოველთვის მწყალობდა...



ტკბილი და ლამაზი ცხოვრებით ვიცხოვრეთ

*1970-იან წლებში, როცა ტელევიზიით პირველად აჩვენეს ტელესპექტაკლები „მე შენ მიყვარხარ“, „გზაჯვარედინი“, „მე და შენ“, — ბევრი დაინტერესდა ამ დადგმების რეჟისორის ვინაობით. რატომღაც ეგონათ, რომ ესოდენ საინტერესო სპექტაკლების რეჟისორი მხცოვანი და ცნობილი მოღვაწე უნდა ყოფილიყო. არადა, იგი თეატრალური ინსტიტუტის მეოთხეკურსელი, დროებით შტატზე მომუშავე გიორგი (კახა) კახაბრიშვილი გახლდათ. ასეა თუ ისე, ის უმალ პოპულარული გახდა. წარმატებულ სპექტაკლებს მალე სხვაც მოჰყვა: „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „უჩინმაჩინის ქუდი“, „ხიდი“, „გვადი ბიგვა“, „ხორუმი ქართული ცეკვაა“ და სხვა.*

**გიორგი კახაბრიშვილს** ორი სახელით იცნობენ. მას კახა ურჩევნია, რადგან ყველა ახლობელი ასე მიმართავს. ინტერვიუს დროს მეც მომცა უფლება „შინაურული“ სახელით მიმემართა:

**— ბატონო კახა, უთუოდ ბევრი რამ გექნებათ გასახსენებელი. საიდან დავიწყოთ?**

— რადგანაც ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ, მეც ცოტა შორიდან დავიწყებ... ანჩისხატის ეკლესიის ეზოში ვარ გაზრდილი. როგორც ყველა თბილისელ ბიჭს, მეც მტკვარში მაქვს ცურვა ნასწავლი. გაზაფხულობით, როცა მტკვარი ადიდდებოდა, მთელი უბნის ბიჭები ბარათაშვილის ხიდიდან ხტომით ვამტკიცებდით ჩვენს ვაჟკაცობას. არაჩვეულებრივი მეგობრები მყავდა: დათო ტურიაშვილი (კომპოზიტორი), ჯილდა დათუაშვილი, ავთო შარვაძე. სხვათა შორის, სკოლის (71-ე სკოლა) ნაკრებში ვთამაშობდი კალათბურთს და ჩემი მეტოქეები იყვნენ საკანდელიძე და ცხონებული ბიჭიაშვილი. კარგად მახსოვს ავთო შარვაძის ოჯახში გაშლილი სუფრები. ლადო ბიძიამ (ავთოს მამა) მოგვიანებით გვითხრა: ქუჩაში ყოფნას, მერჩივნა ჩემ თვალწინ დაგელიათ და მოგელხინათ. მინდოდა, ქართული სუფრის ლაზათსა და შნოს ჩასწვდომოდით, მერე ლხენა და ღრეობა ერთმანეთში რომ არ აგრეოდათო.

**— რეჟისურის მიმართ როდის გაჩნდა ინტერესი?**

— ბოლო კლასში კინომოყვარულთა კლუბში დავდიოდი. საწყალმა დედაჩემმა, როგორც კი დაინახა ჩემი გატაცება, განვადებით გამოტანილი, ჯერ კიდევ ჩაუცმელი „კარაკულის“ ქურქი გაყიდა და კამერა მიყიდა. როცა ინსტიტუტში ჩავაბარე, მე უკვე ყველაფრით აღჭურვილი კინოლაბორატორია მქონდა შინ. მესამე კურსიდან სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტების სტუდენტები გაერთიანდნენ, რეჟისურას გვასწავლიდა ბატონი მიშა.

ბატონი მიშას სტუდენტობა ბევრ რამეს ნიშნავდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ, ბედი მიღიმოდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე სესილია თაყაიშვილი მადლობას მეტყოდა ან ეროსი მანჯგალაძე მომესალმებოდა. არადა, ერთიც იყო და მეორეც ჩემს ცხოვრებაში, რითიც ვამაყობ.

როცა „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ გადავიღეთ, ჩემს კაბინეტში გაისმა სატელეფონო ზარი. ჩემთვის ნაცნობმა ხმამ ჯერ თავისებურად გამთათხა; რა უბედურებაა ეს ორი სახელი, ან გიორგი უნდა იყო ან კახაო, მერე კი მითხრა: გმადლობთ, რომ ეს დიდებული მსახიობი (ვასოს გულისხმობდა) კიდევ ერთხელ აჩვენეთ საქართველოსო. ეს გახლდათ ქალბატონი სესილია თაყაიშვილი.

რაც შეეხება ეროსი მანჯგალაძეს — მიუხედავად იმისა, რომ ყველასთვის ცნობილი იყო ეროსის კეთილშობილება, მას მაინც არ შეეძლო ყველასთან მეგობრობა. „უჩინმაჩინის ქუდის“ გადაღების ბოლოს (4 დღეში გადავიღეთ „უჩინმაჩინის ქუდიც“ და „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“) თავისთან მიხმო და ბუბუნა ხმით მითხრა: ოქრო, მინდა იცოდე, რომ ჩემი სახლის კარი მეგობრებისთვის საღამოს შვიდი საათიდან მუდამ ღიაა, ოღონდ პაროლი უნდა იცოდე — ერთი მოკლე და ორი გრძელი ზარი დარეკეო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ ეროსი მეგობრობას მთავაზობდა. რა თქმა უნდა, თავპატიჟი არ დამიწყია, მეორე დღესვე ვიყიდე შამპანურები, ტკბილეული და ეროსის სახლის კართან, ელექტროღილაკზე ნასწავლი პაროლით დავრეკე. გაღებისთანავე მკითხა: ნეტავ ვინ დაგიძახაო? შემატყო, რომ შევცბი, გაეცინა, ხელი გადამხვია და ოთახში შემიძღვა. იქ მუდმივი სტუმრები, მისი უახლოესი მეგობრები, ვიქტორ ნინიძე და რეზო ტაბიძე დამხვდნენ. დომინოს თამაშობდნენ. მან ჩემი თავი წარუდგინა: აბა, შევუდგეთ სუფრის გაშლას, კახუნას ამჯერად არაფერი გააკეთებინოთ, ის ჩემს ოჯახში პირველად არისო. ეროსის უსაყვარლესი საჭმელი იყო ღომ-მჭადი, მოხარშული ტარანი და კატლეტი. როცა არ უნდა მივსულიყავი, ეს სამი რამ მუდამ ჰქონდა.

**— ცნობილ პიროვნებებზე მოგონებები შორს წაგვიყვანს, თქვენს არანაკლებ ცნობილ მეუღლეზე (თუმცა კი — ყოფილ) თამრიკო გვერდწითელზე, რომელიც ახლა რუსეთში მოღვაწეობს, რომ არ ვთქვათ რამე, არ ვიქნებით მართლები. სად გაიცანით?**

— თამრიკოს პატარაობიდანვე ვიცნობდი. იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა ტელევიზიაში ვნახე. მერე, გავიდა დრო და ერთხელაც, ეს პატარა ბავშვი მშვენიერ ქალად მომევლინა. ჩვენი ქორწინება არანაირ ანგარებაზე არ ყოფილა დამყარებული. ასაკობრივი სხვაობა ჩემსა და თამრიკოს შორის 15 წელი იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენი ურთიერთობისთვის. ერთხელაც, ტელევიზიის ბარში შევიპატიჟე და იქ ისე დაგვაღამდა, რომ ვერც ერთმა ვერ ვიგრძენით. მეორე დღესაც დავურეკე და ვუსაყვედურე: რატომ არ მოხვედი პაემანზე-მეთქი. გაუკვირდა, როდის დამიბარეო? ახლა გიბარებ და გელოდები-მეთქი. მართლაც, მალე მოვიდა. შეხვედრები რამდენიმე თვეს გაგრძელდა. ჩვენ 1984 წლის 27 ოქტომბერს, რიტუალების სახლის გახსნისას მოვაწერეთ ხელი. პირველი წყვილი ჩვენ ვიყავით. ჩემი მეჯვარე გივი ბერიკაშვილი ბრძანდება. როცა სანდრო გაგვიჩნდა, უბედნიერეს კაცად მიმაჩნდა თავი. ტკბილი და ლამაზი ცხოვრებით ვიცხოვრეთ. როგორც თამრიკო მღერის: „Я не о чем не жалею“ — მეც არაფერს არ ვნანობ. რაც იყო, კარგი იყო, მერე ღმერთმა ასე ინება, რომ ცალ-ცალკე ვყოფილიყავით. მან რუსეთი აირჩია სამოღვაწეო ასპარეზად, მე კი ჩემი საყვარელი საქმის გაკეთება საქართველოს გარეშე ვერ წარმომედგინა. ერთი პერიოდი ჩემი სამუშაოც დავთმე და მის გვერდით რუსეთში ვიცხოვრე. ჩემი ერთადერთი უზარმაზარი სურვილი იყო 2-3 შვილი გვყოლოდა. არც ეს ისურვა. მივხვდი, რომ იქ ველარ გავძლებდი. თამრიკო აქ არ ჩამოვიდა. ასე, ნელ-ნელა დავშორდით ერთმანეთს, ოფიციალურად კი ამ ორი წლის წინ განვქორწინდით. სანდრო მალე 16 წლის გახდება. მიხარია, რომ მასში ქართულ სულს ვხედავ და საქართველოში ყოფნა ყოველთვის სიამოვნებს. ამ ზაფხულს აჭარაში ვისვენებდით. იქ დაბაა ასეთი — „კახაბერი“, საიდანაც ჩვენი გვარი მოდის. გადავიღეთ კიდეც ამ დაბის ტრაფარეტის ქვეშ სურათი. ამას წინათ დამირეკა და მითხრა: მე მგონი შენს გზას ავირჩევ, რადგან კამერა მეც მაინტერესებსო.




**— მეორე ოჯახზე არ ფიქრობთ?**

— სანდრო ახლა ისეთ ასაკშია, რომ ჩემ გვერდით უცხო ქალის დანახვა გაუჭირდება. ამიტომაც, მინდა ჩემი თავი მთლიანად მივუძღვნა შვილს და როცა ფეხზე დავაყენებ, მერე შეიძლება ამაზეც ვიფიქრო.

**— ბატონო კახა, შოუპროგრამა „ფურტუნას“ იდეის ავტორი თქვენ ბრძანდებით. სამომავლოდ რას გვპირდებით?**

— ამ ზაფხულს ზაზა დარასელის მოთხრობის „უჩინარის“ მიხედვით გადავიღე ფილმი. ნოველებს მეც ვწერ. მინდა მათზე ფილმები შევქმნა. რაც შეეხება საახალწლო პროგრამას, ის უკვე გადაღებულია და 2 იანვარს, ბედობის დღეს გავიდა ეთერში. პროგრამის სახელწოდება „ბერიკას წისქვილი“ კი, თქვენმა „კვირის პალიტრამ“ შთამაგონა. შარშან, როცა მკითხველებს შორის რეიტინგი-გამოკითხვა ჩაატარეთ, თუ ვის ისურვებდა ხალხი მეკვლედ, უმრავლესობამ სასურველ მეკვლედ გივი ბერიკაშვილი დაასახელა.

მეც გადავწყვიტე გივი ყოფილიყო ყველა ოჯახის მეკვლე ბედობა დღეს. თუმცა მერე იდეაში უფრო კარგი რამ დაიბადა... საქართველოს მეკვლეები არიან პატარები — გივი ბერიკაშვილი, ანა კალანდაძე, ცოტნე დადიანი, აკაკი ხორავა, ნოდარ დუმბაძე და თვით ილია ჭავჭავაძეც, რომელიც ქარელიდან ჩამოვიყვანეთ. დიდი გენიოსების პატარა მოსახელეებისა და მოგვარეების გამოჩენა არსულებს საზეიმო პროგრამას... მუხრანისა არ იყოს: „იარონ, იარონ, იარონ, ამინ!“

***მარინა ბაბუნაშვილი***

## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია



**_ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი._**

**_მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ._**

**_ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ..._**

## გამოსავალი მოიძებნა...

ეს ნათქვამი ალბათ იმ პიროვნებაზეა, რომელზედაც უნდა მოგითხროთ.

მსგავსი რამ შეიძლება თითოეულ ჩვენგანს დამართოდა. ხანდახან მგონია, — მეც ისე მოვიქცეოდი, როგორც ამ ამბის პერსონაჟი...

ჩემი გმირი თბილისელია, მე-20 ს-ის დასასრულს დამთავრა ერთ-ერთი სასწავლებელი. საუბედუროდ, მამა ლოგინად ჩაუვარდა. მას მკურნალობა, სიმშვიდე და ნორმალური კვება სჭირდებოდა. დედა ავადმყოფ მამას ვერ ტოვებდა. პირველ ხანებში ნათესავები და მეგობრები ეხმარებოდნენ, მაგრამ დღეს ყველას უჭირს და ეს დახმარება როდემდე გაგრძელდებოდა?..

მამა კი, 50 წლისაც არ იყო და პურისათვის „კათარზისსაც" ვერ მიაკითხავდა (იქ მხოლოდ 65 წლის ასაკიდან კვებავენ)...

სხვა გამოსავალი არ იყო — გოგონას უნდა ეზრუნა მშობლებზე — სამუშაო უნდა ეშოვა, მაგრამ რცხვენოდა ქუჩაში მდგარიყო და „ომეგას" ან „ელიზის" სიგარეტები გაეყიდა. მერე იფიქრა: ძველმანებს ჩავიცვამ, თავზე თავსაბურავს მოვიხვევ, ქუჩაში დავჯდები და ვიმათხოვრებო... ეს მხოლოდ ჩანაფიქრი იყო და ვერ შეასრულა, მაგრამ ამის გაკეთება იმდენად არ უნდოდა, ღმერთს მადლობაც კი შესწირა, ეს რომ არ გამოვიდა...

ერთ დღესაც უაზროდ ჩაიცვა, გარეთ გამოვიდა, თვითონც არ იცოდა რატომ, ქუჩას დაუყვა... ლამაზი იყო და კომპლიმენტებს ეუბნებოდნენ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია — ისე ცხელოდა, მხოლოდ იმას ნატრობდა, ნეტა იმდენი ფული მომცა, ერთი ნაყინი მაყიდვინაო...

ერთ ადგილას სამარშრუტო ტაქსის ჩაუარა — ხნიერი მძღოლი ხვეტდა ცოცხით... რატომღაც შეჩერდა და დააკვირდა... მძღოლმა დაუძახა: შვილო, მანქანა დამინაგვიანეს, წელი მაწუხებს, თუ შეგიძლია, დამეხმარეო... არც დაფიქრებულა — მანქანაში შეხტა და წუთში დააკრიალა იქაურობა. რომ დაამთავრა, მძღოლმა ლარიანი გაუწოდა... ძალიან შერცხვა და არ ართმევდა: შვილი, ამ ფულს შრომაში გაძლევ, გეტყობა, გიჭირს, მოდი ჩვენთან გაჩერებაზე, ყოველ დილის 7 საათზე, 25 მანქანა დგას, დაასუფთავე, ფულსაც მოგცემენ და მადლობასაც გეტყვიანო...

დილით, გათენებამდე ადგა, გულგახეთქილი გაიქცა — არავინ მიმასწროსო და იმ დღეს, პირველი 12 ლარიც აიღო... მაშინვე ბაზარში წავიდა და შინ ის მიიტანა, რაც მამას ენატრებოდა... მერე კიდევ ასეთივე 40-ლარიანი სამუშაო იშოვა...

მართალია ახლა ყოველდღე, დილის 7 სთ-დან 9 სთ-მდე, „მარშრუტკებს" ხვეტავს, მერე კი, 10 საათიდან სხვა საქმეზე გარბის და იღლება, მაგრამ თვალებში სიხარული აქვს — ოჯახს ინახავს... ასე რომ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ამ ჩვენს საშინელ დროში არსებობს ახალგაზრდა ქალი, რომელიც პატიოსანი შრომით ოჯახსაც პატრონობს და ხალხსაც ეხმარება... მე კი, მიხარია, რომ არსებობს...

***ნიკო გორგი***

## 2002 წლის 1 იანვრიდან ევროპაში ევრო მოქმედებს




ევროპის ქვეყნებს ევრო მეტ შანსს მისცემს მსოფლიოს სხვა რეგიონებთან, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეჯიბრებაში გასამარჯვებლად. ევროპას სურს ევრო ისეთივე პოპულარული გახდეს, როგორიც დოლარია.

ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოებიდან ევროზე უარი მხოლოდ დიდმა ბრიტანეთმა, დანიამ და შვეციამ თქვეს. მათ არ მოინდომეს საკუთარი ფინანსური დამოუკიდებლობის დაკარგვა. დანარჩენებმა კი თავიანთი ეკონომიკის მესაჭეობა მაინის ფრანკფურტზე მდებარე ევროპის ცენტრალურ ბანკს მიანდეს. ევრო 12 ქვეყანაში მცხოვრები 300 მლნ ადამიანის ერთიანი ვალუტა გახდა.

მიმოქცევაში შევიდა 7 ნომინალის ბანკნოტი: 5, 10, 20, 50, 100, 200 და 500 ევრო.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ძველი ფული ევროსთან ერთად იქნება მიმოქცევაში, ამავე დროს დაიწყება ძველი ვალუტის გადაცვლა ახალზე. კომერციული ბანკები მთელი წელი იქნებიან ამით დაკავებულნი. შემდეგ კი კარგა ხნის მანძილზე ძველ ვალუტას ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკები გადაცვლიან.

ვარაუდობენ, რომ ევროზე გადასვლის გამო ფასები საკმაოდ აიწევს. გერმანელები განცვიფრებულნი დარჩნენ, როცა ახალი წლის მომდევნო დღეებში, მაგალითად, ბლოკნოტების და საკანცელარიო ნივთების ფასი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა.

## ნავთობის ფასმა რეკორდულ მაჩვენებლამდე აიწია

„ბრენტის" მარკის ნავთობის ფასი ლონდონის ნავთობის ბირჟაზე ბოლო სამი თვის განმავლობაში რეკორდულამდე აიწია — ბარელი 22,18 დოლარი, ამერიკული „მსუბუქი" ნავთის ნიუ-იორკის ბირჟაზე NYMEX — 1,18 დოლარით გაძვირდა და ბარელის ფასმა 21,55 დოლარი შეადგინა. როგორც საბირჟო ანალიტიკოსები იუწყებიან, ბაზარი მთლიანად მოექცა მომხდარი ფაქტის გავლენის ქვეშ — ძალაში შევიდა ოპეკის ქვეყნებისა და იმ სახელმწიფოების გადაწყვეტილება, რომლებიც ამ კარტელში არ შედიან. გადაწყვეტილების თანახმად, 2002 წლის 1 იანვრიდან ნავთობის მოპოვება და ექსპორტი დღეში თითქმის 2 მლნ ბარელით შემცირდა. ფასების დინამიკაზე ამ ფაქტორის ზემოქმედება აშშ-სა და ევროპის კონტინენტზე უამინდობამაც გააძლიერა.

***ბი-ბი-სი***

### საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 2,1650 |
| გერმანული მარკა | | 0,9924 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | **ახალია** | 3,1122 |
| ევრო | | 1,9409 |
| რუსული რუბლი | | 0,0709 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,0153 |

## არგენტინის ახალი ეკონომიკური პოლიტიკა

არგენტინის ახალმა პრეზიდენტმა ედუარდო დუალდემ განაცხადა, რომ აპირებს შეცვალოს ქვეყნის მოძველებული ეკონომიკური მოდელი და საფუძველი ჩაუყაროს ახალს, რომელიც ბაზრების აღდგენასა და სიმდიდრის სამართლიანად განაწილებას შეუწყობს ხელს.

არგენტინის ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ უცხოელ კრედიტორებს ვერ დაუბრუნებს ვალს — 132 მლრდ დოლარს. თავის საინაუგურაციო სიტყვაში დუალდემ მსოფლიოს საზოგადოებრიობას დახმარება და თანაგრძნობა სთხოვა. მან მკაცრად გააკრიტიკა ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ ეკონომიკური პანაცეაა — ბაზრების სრული თავისუფლების უზრუნველყოფა მან ისიც დასძინა, რომ ბაზრების თავისუფლებისათვის მხარდაჭერამ „არგენტინა ეროვნული ვალუტის გარეშე დატოვა". პრეზიდენტის მრჩევლის თქმით, პესოს დევალვაციის შემდეგ ნაციონალური ვალუტა დოლარზე კი არ იქნება მიბმული, არამედ ვალუტების მთელ კალათასთან, რომელშიც სხვებთან ერთად შევა ბრაზილიური რეალი, იაპონური იენი და ევრო.

***ბი-ბი-სი***

## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...



### ცხენის რამდენი სახელი იცის ქართულმა?

**— ოდითგან საქართველოში გავრცელებულია ცხენი, როგორც სატრანსპორტო, საომარი და საჭაპანო საშუალება. როგორც ვიცი, არსებობს ქართული ჯიშებიც — თუშური, ხევსურული... ამბობენ, აღმოსავლური კალენდრით ცხენის წელიაო. რადგან ეს ყველაფერი მითია, ვფიქრობ, შესაბამისად მითური სახელი უნდა ერქვას წლევანდელ სიმბოლოს, ამიტომ მას „რაშის წელი" უფრო შეეფერება.**

**ახლა მოდაშია ცხენის ყოლა, როგორც ფუფუნების დასტურისა. ჩვენს პრესას თუ გადავხედავთ, ეს კეთილშობილი პირუტყვი მოხსენიებულია ზოგადი სახელით და ფერებით. ამიტომ გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა ერქვა ძველად ცხენს.**

***გელა ბზიავა***

— ქართულ ენაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება სხვადასხვა დანიშნულების, ფერისა და ასაკის ცხენი. სულ ენა მოითვლის ცხენის 70-ზე მეტ სინონიმს.

**მამალ ცხენს** ეწოდება ახტა. გაუხედნავ ახტა კვიცს — უხედნი, ურა; დაუკოდავს — აჯილღა, ულაყი; დაკოდილს — იაბო, ტაიჭი; **დედალი ცხენია** — ხრდალი, ჭაკი; კვიცი — ფაშატი; გაუხედნავი — ლაფშა; კეთილმოსიარულეს ჰქვია მერანი, თოხარიკი, იორღა; შეკაზმულსა და სათადარიგოს — მარქაფა, ჯინიბი; კარგ ცხენს — ჰუნე, ბედაური; ფეხმაგარსა და გამძლეს — სინიბი, მაშტაკა, ჯიმბირი, ჯაფიერი, სადოღე; ურჩსა და ჯიუტს — გულარღო, გაქირი; ზღაპრულს — რაში, რასხი; ასაკმცირეს — გერგე; მუშას — საფორნე, საჯოგავი; ცუდს — ჯაგლაგი, ოჩანი, ჯახრაკი, ჯაგჯაგა, ჩაქჩაქა, ბასი; მებარგულს — სასაპალნე, საჩალვადრე; საჯდომს — საფერხე; სამგზავროს — სატალახო; ფერებით განირჩევიან: ჩალისფერს ჰქვია ზერდაგი, ჩალა, ოქროსფერი; შუბლთეთრს — საღარი, საღრი, ნიშა; შავ და წითელწინწკლებიანი თეთრი ცხენია აბრაში; ლურჯი — ლურჯა, სისვი, ლეგნა, ლეგა, ნისლა, ტრედანა, თვირთვილა; მოლურჯო — ლუში; წითელ ცხენს ეწოდება ჯურა, ქურანი, წაბლა, ქარცი, შვინდა, რასხი, ხზედი; ბაცი წითელია — სარია, თაფლა, ალათი, ჟღალი; ჭრელი; თვალებსა და ნესტოებთან წითელლაქებიანი — აბლაყი, ამლაკი; შავი — შავრა; თეთრი — თეთრონი; ცხენს ბავშვთა ენაზე აჩუა ჰქვია; აჩუ — შეძახილია; ცხენის მრისხანების ხმა არის ჭიხვინი, მშვიდი ხმიერება — ხვიხვინი. საომრად იყენებდნენ ფაშატს და დაკოდილ ცხენს.

***სულხან-საბა ორბელიანის, დავით ჩუბინაშვილის, ალექსანდრე ნეიმანის ლექსიკონების მიხედვით***

### ვინ მეტად ისჯება — მარიხუანას თუ ჰეროინის მომხმარებელი?

**— რა სასჯელი არსებობს ნარკოტიკული ნივთიერების — მარიხუანას და ჰეროინის გამოყენებისთვის. არის თუ არა სხვაობა სასჯელის მხრივ მათ შორის. არსებობს თუ არა ფულადი ჯარიმები?**

***მკითხველი***

— ნარკოტიკული საშუალების ან მისი ანალოგის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით ისჯება — ჰეროინზე 0,015-1 გრამზე თავისუფლების აღკვეთით 10 წლამდე. 1-10 გრ — 6-12 წლამდე ვადით. 10 გრ და ზემოთ 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით. მარიხუანაზე — 5-50 გრ 10 წლამდე, 500-5000 გრ — 6-12 წლამდე და ზემოთ — 20 წლამდე; რაც შეეხება ფულად ჯარიმებს — ნარკოტიკული ნივთიერების მცირე ოდენობით შენახვისთვის ან ექიმის დანიშნულების გარეშე მისი უკანონო მოხმარებისთვის გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმა (ადმინისტრაციული სასჯელის ერთ-ერთი სახე) 75-დან 300 ლარამდე.

ასე რომ, გირჩევთ, ნურც მარიხუანას გამოიყენებთ და ნურც ჰეროინს...

***საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორი ზურაბ ღუჭაშვილი***

### დავა მემკვიდრეობის შესახებ სასამართლოს პრეროგატივაა

**— ვცხოვრობ სოფელში. მყავს ოთხი დაოჯახებული შვილი — ერთი ვაჟი და სამი ქალიშვილი. ბინა, რომელიც ახლა ძალადობით აქვს დაკავებული ჩემს ვაჟს, რეგისტრირებულია ჩემზე. ითვლება თუ არა ასეთი ვაჟი ულირს მემკვიდრედ და თუ არ ითვლება, ამ შენობის რა ნაწილი ეკუთვნის. ასევე ჩემს სახელზე რიცხული ბინიდან ეკუთვნით თუ არა წილი ჩემს ქალიშვილებს?**

***მკითხველი***

— რადგანაც ბინა თქვენი საკუთრებაა, უფლება გაქვთ მისი სრული განკარგვისა. ხოლო თქვენი გარდაცვალების შემდეგ ოთხივე შვილი ითვლება თქვენს კანონიერ მემკვიდრედ და თქვენი ქონებიდან ყველას ეკუთვნის თანაბარი წილი, თუ თქვენ სიცოცხლეში სხვაგვარად არ განკარგავთ — მაგალითად, გააჩუქებთ ან დატოვებთ ანდერძს. სამოქალაქო კოდექსის 1311-ე მუხლის მიხედვით — კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან პირნი, რომლებიც ბოროტად თავს არიდებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, არჩინონ მამკვიდრებელი (იმ შემთხვევაში, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით). აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ უნდა მიმართოთ სასამართლოს.

***იურიდიული ფირმის დირექტორი მედეა დემეტრაშვილი***

### როგორ ვიცხოვრო ლეგალურად შვეიცარიაში?

**— გთხოვთ გაზეთის საშუალებით მიპასუხოთ, რა პირობის დაკმაყოფილებაა საჭირო, რათა შვეიცარიაში ლეგალურად ვიცხოვრო?**

***გ. ლომიძე, რუსთავი***

— შვეიცარია ემიგრანტებს არ ღებულობს. ამ ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრებისთვის საჭიროა გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმება რომელიმე შვეიცარიულ კომპანიასთან. გამგზავრება ხდება ვიზით, რომლის საფუძველზეც პიროვნებას მიეცემა დროებით ცხოვრების უფლება.

***შვეიცარიის საელჩო***

საუკეთესო ასლგადამღები აპარატები
გარანტიით, ფასდაკლებით
შესაძლებელია: განვადება ლიზინგი (იჯარა)

საუკეთესო ქსეროასლები შავ-თეთრი
2 თეთრიდან 5 თეთრამდე
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი — 1 ლარი
ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

«შროშანის» თმის მოვლის ინსტიტუტი
1. თმის ცვენისგან მკურნალობა მასაჟით, კრემებით, მცენარეული ნაყენით;
2. მტკივანი, სისხლმდენი ღრძილების მკურნალობა მცენარეული ექსტრაქტებით.
ჭავჭავაძის №5 (ვაკის ლეჩკომბინატი) „მშვენიერების ცენტრი" ☎ 25-00-74 10-18 სთ. კვირის გარდა

შპს „გეოკორი" აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

# წყალი და ალკოჰოლი



ექიმები გვირჩევენ, თუ ნაბახუსევს წყალს დავლევთ, გაცილებით კარგად ვიგრძნობთ თავს.

როგორც ცნობილია, წყალი ორგანიზმში მიმდინარე ყველა ბიოქიმიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. რამდენადაც საჭმლის „მონელების“, მისი ათვისების, გაუვნებლობის და ბოლოს ნარჩენების გამოყოფის პროცესი სხვა არაფერია, თუ არა ამ ბიოქიმიური პროცესების უსასრულო ჯაჭვი, მაშინ დასკვნა ნათელია — შეიძლება არ დალიო, მაგრამ თუ დალევ, აუცილებლად უნდა მიაყოლო წყალი.

რაც უფრო მეტ საკვებს მიიღებთ, მით უფრო მეტი წყლის მიყოლებაა საჭირო. ნაბახუსევზე თავის ტკივილისა და უსიამოვნო შეგრძნების მიზეზი ალკოჰოლის ზემოქმედების გამო თავის ტვინის უჯრედების გაუწყლოებაა, ამიტომ წყალი უნდა მიიღოთ ალკოჰოლზე ორჯერ და სამჯერ მეტი რაოდენობითაც კი. ახლა ვნახოთ, რომელი სითხის მიღება სჯობს. საუკეთესოა ვაშლის და ფორთოხლის წვენი. შემდეგ ადგილზეა: მინერალური წყალი, ბურახი, გაზიანი სასმელები.

***მედიცინა***



# გქონდეს ფეხეზი თბილად, თავი კი ციევად

როცა აცივდება, უნდა ეცადოთ სხეულის ქვედა ნაწილი თბილად შეიმოსოთ, აქ ხომ უამრავი მნიშვნელოვანი ორგანოა (თირკმლები, ღვიძლი), ჩვენი ორგანიზმი ხომ ნებისმიერი ფიზიკური სხეულის მსგავსად, ქვევიდან ზევით ცივდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სითბოს საკუთარი წყარო — ნაწლავები და ფილტვებია, მაშინ გასაგები გახდება, რატომ აღწევს უფრო ადვილად სითბო თავამდე და ძნელად — ფეხებამდე. ასე რომ, ფეხები საერთოდ უფრო ცივადაა, ვიდრე თავი და შესაბამისად, ფეხები ადვილად გვიცივდება. ამიტომ, საჭიროა ხელოვნურად შევუწყოთ ხელი სისხლის მოძრაობას ფეხებში. ამისთვის შესანიშნავი საშუალებაა ფეხის გულის მასაჟი დილა-საღამოს. თავს კი, შეუძლია დიდხანს გაუძლოს გარე სიცივეს. ჩრდილოელთა გამოცდილება მოწმობს: თუ შემოდგომის დადგომისას თავზე დიდხანს არ დაიხურავ, შეიძლება უქუდოდ იაროთ ზამთარში და არ გაცივდეთ. მაგრამ თუ ქუდს ყინვაში მოიხდით, აუცილებლად ავად გახდებით. ფიზიოლოგებმა ზუსტი ახსნა ვერ მოუძებნეს იმ ფაქტს, რომ რაც უფრო ადრე დაიხურავ ქუდს, მით უფრო სწრაფად დაარღვევ ორგანიზმის თერმორეგულაციის სისტემას.

***პრიროდა***

# იმუნიტეტის გასაძლიერებლად



— წვრილად დაჭერით ნახევარი ლიმონი კანიანად, დაუმატეთ 7-8 კბილი დაჭყლეტილი ნიორი. მოათავსეთ ყოველივე ეს ნახევარლიტრიან ქილაში, დაასხით ანადუღარი ცივი წყალი ისე, რომ ქილა აივსოს. დადგით ნარევი ბნელ ადგილას 4 დღით, შემდეგ კი მაცივარში. მიიღეთ დღეში ერთხელ, დილით, ჭამამდე 20 წუთით ადრე სუფრის კოვზით.

— აურიეთ ერთმანეთში 100 გ ალოეს წვენი, 500 გ დანაყილი ნიგოზი, 300 გ თაფლი და 3-4 ცალი ლიმონის წვენი. მიიღეთ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წთ-ით ადრე.

— ალოეს ბიომასტიმულირებელი წვენის მისაღებად ალოეს გარეცხილი ფოთლები შეახვიეთ მილისებურად ქაღალდში ისე, რომ ბოლოები ღია დარჩეს, მოათავსეთ მაცივრის ქვედა თაროზე 10-12 დღით. ამის შემდეგ გამოწურეთ წვენი და მიიღეთ დღეში 1-2 სუფრის კოვზი რეგულარულად.

— 100 გ ალოეს წვენს დაუმატეთ წყლის აბაზანაში შემთბარი 200 გ თაფლი, 300 გ წითელი ღვინო, აურიეთ და შედგით მაცივარში 2-3 დღე. მიიღეთ სამჯერ დღეში სუფრის კოვზით, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

— გაატარეთ ხორცსაკეპში ჭიქა-ნახევარი ქიშმიში, 2 ლიმონი კანიანად, ერთი ჭიქა ნიგოზი, 1/2 ჭიქა ნუშის გული, დაუმატეთ 1/2 ჭიქა თაფლი. დადგით 1-2 დღე ბნელ ადგილას. მიიღეთ 1-2 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

— ყოველდღე სვით ერთი ჭიქა ცივი ტომატის წვენი, რომელშიც გახსენით ერთი ჩაის კოვზი მცენარეული ზეთი.

***დომოვოი №1***

# ფრთხილად, ის არც ისე უვნებელია!



მართლაც, ბუნებამ ადამიანი ძალიან ბრძნულად ჩაიფიქრა: ყველაფერს, რაც ორგანიზმს არ სჭირდება, თვითონვე იშორებს. თუმცა ის არ ელოდა, რომ ადამიანს მის მიერვე გამოგონებული ცივილიზაციის ამდენი სიკეთე ძვირად, ჯანმრთელობის ფასად დაუჯდებოდა. როდესაც ტოქსინები და წიდები იწყებს ორგანიზმში დაგროვებას, ე.ი. სადღაც, რომელიღაც ორგანოა დაავადებული და მის მაგივრად სხვა ორგანოები იწყებს მუშაობას. მაგალითად თირკმელების დაავადებისას, ე.წ. აზოტური წიდების გამოდევნას იწყებს ნაწლავები, რაც პირღებინებასა და ფაღარათით ვლინდება. რა თქმა უნდა, ადამიანს თავში ფიქრად არც მოსდის, რომ ეს თირკმლებია მისახედი და იწყებს ნაწლავების გასუფთავება მიკროცელულოზათი, რომელიც აქტიურად გამოდევნის ნაწლავებიდან მავნე წიდებს.

მიკროცელულოზათი ორგანიზმის გაწმენდას ხშირად მიმართავს ისიც, ვისაც გახდომა სურს, რადგან ის ხელს უშლის საკვების შეწოვას. ექიმები კი ურჩევენ, უკეთესი იქნება თუკი მიირთმევენ ხილ-ბოსტნეულს — მცენარეული უჯრედისი „მუშაობს“ ზუსტად ისე, როგორც მიკროცელულოზა, მაგრამ ბევრად უკეთესად. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში ორგანიზმის „წმენდის“ მოყვარულები მიმართავენ ოყნას. როგორც ცნობილია ოყნას ექიმები უწერენ მშობიარე ქალებს, მწოლიარე ავადმყოფებს, ან მათ ვისაც ყაბზობა (შეკრულობა) აწუხებთ, ან აუცილებლობის შემთხვევაში. მაგრამ, თუ თქვენ არც მშობიარე ხართ, არც მძიმე ავადმყოფი, არც შეკრულობა გაწუხებთ, რაში გჭირდებათ ოყნა? უფრო მეტად ცდებიან ისინი, რომლებიც ცდილობენ გაიწმინდონ ღვიძლი მცენარეული ზეთით, რომელმაც შეიძლება სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანოს: გამოიწვიოს სიყვითლე, ნაღვლის ბუშტის ანთება ან აუტანელი ტკივილი.

ასე რომ გაფრთხილებთ, ეცადეთ თავი შეიკავოთ ექიმის დანიშნულების გარეშე, კუჭის ყოველგვარი გაწმენდისაგან.

***სობესედნიკი №36***

## თირკმლები არ აგტკივდებათ, თუ...

**— მიიღებთ დღეში არანაკლებ 2 ლ სითხეს;**
**— გამორიცხავთ რაციონიდან მაგარ ჩაის და ყავას;**
**— რაც შეიძლება ნაკლებ მარილს მიიღებთ;**
**— თავს შეიკავებთ ცხიმიანი საკვებისაგან;**
**— პოლივიტამინებს მინერალებით მიიღებთ მხოლოდ ექიმის კონტროლით;**
**— თუ თქვენს რეგიონში ხისტი წყალია, უკეთესია სვათ და მოამზადოთ საჭმელი წყაროს წყლით, რომელიც ბოთლებით იყიდება.**

# ახალი დიაგნოსტიკა მედიცინაში

ავსტრალიაში წარმატებით დასრულდა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების გამოცდა ახალი დიაგნოსტიკით. კაფსულა, რომლის სიგრძე 2,5 სმ-ია, ხოლო დიამეტრი — 1სმ, სამხედრო ტექნოლოგიის გამოყენებით და ნასა-ს სპეციალისტების დახმარებით შემუშავდა. კაფსულის შუაგულში, რომელიც გარედან აბს წააგავს, ვიდეოკამერა არის დამონტაჟებული (ფერად გამოსახულებას იძლევა), აგრეთვე შუქის წყარო, გადამცემი, ანტენა და ბატარეა. ქამარი სპეციალური პროცესორით თავსდება მუცლის არის ოდნავ ზემოთ. გადაყლაპვის შემდეგ კაფსულა მოძრაობას იწყებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მიდამოებში და იმ მონაკვეთებს აღწევს, რომელიც ჩვეულებრივი გასტროენტეროსკოპიის დროს არ ჩანს. ასე რომ, ეს სიახლე ექიმებს მისცემს უფრო ზუსტი დიაგნოსტიკის შესაძლებლობას.

***იტოგი №42***

# დაიხსომეთ, სიგარეტის მოყვარულებო!

მწეველის მენიუში აუცილებლად უნდა შევიდეს C, E, $B_6$ ვიტამინებით მდიდარი პროდუქტები, რათა დაიცვან მწეველი სიგარეტის შხამიანი ბოლისაგან. გარდა ამისა, შეეცადეთ ყოველდღიურად თქვენი კვების პროდუქტების ნახევარი იყოს: ტკბილი წიწაკა, ოხრახუში, ისპანახი, ფოთლოვანი სალათი, სტაფილო, ციტრუსები, კივი, მარწყვი, მოცხარი, მოცვი, შავი ქლიავი, ნიგოზი, ოსპი, შვრია, ღვიძლი. მწეველს (სიგარეტის გამო) კანის სიმშრალე ეწყება, ამიტომ სალათები შეანელეთ უმი არარაფინირებული ზეთით და მიიღეთ დღეში 2-3-ჯერ. სიგარეტს ნუ დააყოლებთ ალკოჰოლს და ყავას.



სტრესული მდგომარეობის დროს უნდა მიიღოთ $B_1$ ვიტამინით მდიდარი პროდუქტები: ბრინჯის და შვრიის ფაფები, შავი პური, მზესუმზირა, ხმელი ხილი, თევზი, რძის პროდუქტი, ლობიო, ბარდა და ბანანი.

ბევრს სიგარეტისთვის თავის დანებების შემდეგ მოწევა ისევ მოუნდება ხოლმე. ამ მავნე ჩვევის დასავიწყებლად:

— სვით ბევრი წყალი, ჭამეთ ბევრი ხილი, დაეხმარეთ თქვენს ორგანიზმს ნიკოტინის გამოდევნაში;

— გამოუცხადეთ ოჯახის წევრებს, მეგობრებს თქვენი გადაწყვეტილება. შეჰპირდით, ყოველი მოწევის შემდეგ გადაიხდით ჯარიმას, სასურველია ეს ჯარიმა შეეტყოს თქვენს საფულეს;

— ორი კვირის განმავლობაში არ მიიღოთ ალკოჰოლი და ყავა. ისინი მოწევის სურვილის პროვოცირებას ახდენენ;

— მოწევის სურვილის გაჩენისთანავე, რაც შეიძლება დიდხანს შეიკავეთ სუნთქვა, შემდეგ ისუნთქეთ რიტმულად. ასეთი სუნთქვითი ვარჯიში ხსნის „წევის“ სტრესს.

და კიდევ: გადააადგილეთ ავეჯი; თუ მანამდე დილით არ საუზმობდით, ახლა მიირთვით არომატული ჩაი ბუტერბროდით და არ უყუროთ საღამოს „ვიდეოპატრულის“ მსგავს გადაცემებს.

— ქალბატონებო! სიგარეტის წევას თავი დაანებეთ უშუალოდ „კრიტიკული დღეების“ წინ.

***მეგაპოლის ექსპრესი №51***

# რა იწვევს ტკივილს?



არსებობს თუ არა რაღაც კრიტერიუმი, რითაც შეიძლება განვასხვაოთ ნამდვილი ტკივილი ფსიქოლოგიური ტკივილისაგან?

უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიური წარმოშობის ტკივილიც ნამდვილია. შეიძლება ორგანიზმში არ იყოს სერიოზული დარღვევა, მაგრამ მისგან ადამიანი რეალურად იტანჯებოდეს უფრო ძლიერად, ვიდრე მომაკვდინებელი სენისაგან, გვარწმუნებს ალკოლოგია, — მეცნიერება ტკივილის სახეობების შესახებ. ყველაზე ნათელი და გავრცელებული მაგალითია — თავის ტკივილი, განსაკუთრებით შაკიკი, რომელიც ალკოლოგების აზრით, ძალიან ხშირად დაკავშირებულია სწორედ ფსიქიკურ მდგომარეობასთან. მეორე ფართოდ გავრცელებული შემთხვევაა — ე.წ. ფანტომური ტკივილი, როცა გტკივა ამპუტირებული (მოჭრილი) კიდური. ფეხი აღარ გაქვთ, ის კი, ანუ მისი ფანტომი ფეთქავს მწველი ტკივილით! ტკივილით ჩვენი ფსიქოფიზიკური მთლიანობა გამოხატავს პროტესტს, რომელიღაც მტანჯველი სიტუაციების ამბიციების, იმედგაცრუების, პასუხისმგებლობის ტვირთის მიმართ.

ნერვულ ნიადაგზე შეიძლება აგტკივდეთ სხეულის ნებისმიერი ორგანო. შედარებით იშვიათად — ზურგი. ალკოლოგებმა ასევე დაადგინეს რომ ყრუ, მღრღნელი, გამუდმებული ტკივილი, თითქმის ყოველთვის გამოწვეულია რეალური ფიზიკური ფაქტორით, ხოლო 69% ფეთქებადი ტიპის ტკივილი ფსიქოლოგიური სახისაა.

***ოტდოხნი №1***

# გვეკითხებიან



## კლდის დუმა — ბიოგენური სტიმულატორია

***გავიგე, რომ ჩემს სატკივარს უხდება კლდის დუმა. გთხოვთ გვესაუბროთ მის სამკურნალო თვისებებზე და დაბეჭდოთ ფოტო.***
***ნუნუ ჯულაყიძე, თბილისი***

კლდის დუმა თითქმის ყველგან გვხვდება, ტუნდრაშიც კი. უმეტესწილად იგი ირჩევს ქვაღორღიან ნიადაგს, სილნარს, მშრალ, ცხელ კლიმატს.

კლდის დუმისნაირებს ბოტანიკოსები მიაკუთვნებენ სუკულენტებს — მრავალწლიან გვალვაგამძლე მცენარეებს (კაქტუსი, აგავა, ალოე და სხვ). მცენარის სქელი, წვნიანი ფოთლები შესანიშნავად ინახავს წყალს და გვალვაში იზოგავს. ყვავის ყვითელი, ლამაზი ყვავილებით.



სუკულენტურ მცენარეებს ერთი საოცარი თვისება აქვთ: არასახარბიელო გარემოში მოხვედრისას (სიცივე, სიბნელე) გამოიმუშავებენ განსაკუთრებულ ნივთიერებას, რომელსაც „ბიოგენური სტიმულატორი“ ჰქვია. სწორედ ამაზეა დაფუძნებული ალოეს ექსტრატის მოქმედება, რომელიც თვალის სამკურნალოდ პირველად გამოიყენა ცნობილმა რუსმა ოფთალმოლოგმა ვ. ფილატოვმა. როგორც გაირკვა, კლდის დუმის ეს თვისება ააქტიურებს ადამიანის ორგანიზმში სასიცოცხლო პროცესს. მცენარის ყლორტები და ფოთლები შეიცავს ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ვაშლის, მჟაუნის), ალკალოიდ სედამინს, ბიოფლავონოიდებს. სამკურნალოდ გამოიყენება კლდის დუმისგან დამზადებული იმუნომოდულირების მოქმედების მქონე პრეპარატი „ბიოსედი“. მას ხმარობენ სამეანო პრაქტიკაში ანთებების, ინფექციურ-ალერგიული ბრონქიალური ასთმის დროს. ტყუილად ხომ არ ეძახიან მას „რუსულ ჟენ-შენს“.

ხალხურ მედიცინაში კლდის დუმას ოდითგან იყენებენ. ასაკოვანი მანდილოსნები მისი წვენით ლოყებს იზელდნენ ახალგაზრდული იერის მისაღებად, ჯარაექიმები ამ წვენით მკურნალობდნენ მეჭეჭებს, კოჟრებს, გამხმარი ფოთლების ნაყენით კურნავდნენ ციებას, წყალმანკს.

კლდის დუმა გავრცელებულია საქართველოს მთასა და ბარში, ოდითგან გამოიყენება სამკურნალოდ, ამიტომ სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი სახელი ჰქვია. ხევსურეთში კლდისვაშლასაც ეძახიან, რადგან მისი მომჟავო, სქელი, ხორციანი ფოთლები წყურვილს კლავს, იმერულად და გურულად — ყურა, კაციყურაა, აჭარულად — კილტავაშლა, რაჭულად — კლდის ტკეჩა, ზემოიმერულად — პიტკეცა, ტკეტკეცა, ქვიტკეცა, ქვატკეცია, მეგრულად — პისკერია, ფასქალი.

კლდის დუმის 500-ზე მეტი სახეობა არსებობს. უმეტესობა დეკორატიულია.

***ლიზა №51***

***P.S. ქ-ნი ნუნუ თუ დაინტერესდება კლდის დუმის ფერადი ფოტოთი, შეუძლია მის სანახავად მობრძანდეს რედაქციაში.***

# სასწაულმოქმედი დედაფუტკარა



თუ არა მისი ლილისფერი ყვავილი, დედაფუტკარა ისე ჰგავს ჭინჭარს, რომ ზოგჯერ შეიძლება ჭინჭრის ბარდში აგვერიოს, ის ტუჩოსანთა ოჯახის წარმომადგენელია, აქვს თავთავისებური ყვავილი, ხარობს ტყეში, ჭაობში, მთაში. მის ზოგიერთ სახეობას (მაგალითად ჭაობისას) ბოლქვებიანი ფესვები აქვს და შეუძლია მოგვცეს 50-მდე ბოლქვი. ახალი ბოლქვები, როგორც კარტოფილი, საკვებად გამოიყენება, გამხმარი კი — ფქვილად.

დედაფუტკარას ზოგიერთი სახე სამკურნალოდ გამოიყენებოდა. ერთ-ერთ უძველეს ბოტანიკურ წიგნში, მის შესახებ აღნიშნულია: „მის ნაყენს ცხელი წყლით სვამენ საყმაწვილოს, ეპილეფსიის, სხვადასხვა გულყრისა და ისტერიკის სამკურნალოდ. დანაყილ თავთავს იდებენ ჩირქოვან ჭრილობებსა და წყლულებზე — სწრაფად შესახორცებლად“.

ექიმები დედაფუტკარას გამხმარი ბალახის ნაყენს უწერენ ავადმყოფებს, როგორც დამამშვიდებელ და ჰიპოტენზურ საშუალებას.

ეს მცენარე შეიცავს ეთეროვან ზეთებს, ფლავონოიდებს, გლიკოზიდებს, ფისს, C ვიტამინსა და ანტოციანინებს. თანამედროვე ფიტოთერაპია მასზე დამზადებულ პრეპარატებს იყენებს ჰიპერტონიის, ნევროზის, უძილობის, ეპილეფსიის, გულ-სისხლძარღვების უკმარისობის, ინსულტისა და მენსტრუალური ციკლის დარღვევის დროს.

***ლიზა №50***

# ბედნიერები დღეგრძელნი არიან



ბედნიერება — ალცჰაიმერის (მეხსიერების დაკარგვა) მკურნალია, ასე ფიქრობენ ნიუ-იორკელი მეცნიერები.

ფიზიკური ტესტების დახმარებით, 15 წელი აკვირდებოდნენ 678 ხანდაზმული ადამიანის მდგომარეობას, რომელთაც ამ დაავადების მიმართ მიდრეკილება ჰქონდათ. დოქტორ დევი სნოუდენის აზრით, ექსპერტებმა ყურადღებით შეისწავლეს პაციენტების განვლილი ცხოვრება, დღიურები და ყველაფერი, რაც მათი სულიერი ცხოვრების მოწმე იყო.

როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ეს ყველაფერი უდავოდ მოქმედებს ალცჰაიმერის დაავადების განვითარებაზე.

დადგინდა — ბედნიერები და ოპტიმისტები 60-70%-ით ნაკლებად ავადდებიან ამ უცნაური სენით, ვიდრე ისინი, რომლებსაც მუდმივად უხდებათ მძაფრი განცდების გადატანა.

***მეგაპოლის-ექსპრესი №50***

# სიმშვიდე და მხოლოდ სიმშვიდე!

თურმე, მეტისმეტად ფიცხ ადამიანებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების 2-3-ჯერ მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მშვიდებს — დაადგინეს ბოსტონის უნივერსიტეტის მედიკოსებმა. თუმცა, ჯერ კიდევ დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, თუ როგორ მოქმედებს ორგანიზმზე სიფიცხის „მიკრობი“, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სტრესის დროს სისხლში დიდი რაოდენობით გადაისროლება ჰორმონები, იზრდება გულის კუნთების მოთხოვნები ჟანგბადის მიმართ და მაღლდება სისხლის სხეულაკი, რის შედეგადაც წარმოიქმნება თრომბი.

ასე რომ, დაიხსომეთ, თავშეკავება და სიმშვიდე დაგიცავთ გულის დაავადებებისა და ინფარქტისაგან.

***ონა №9***




სისხლში შაქრის საზომი აპარატები

კომპლექტი 95ლ

ავტომატური საჩხვლეტი

50 ც. ნემსით 14ლ

შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4

☎ 35-44-05; 899-19-60-55



ჰომეოპათიური მკურნალობა

ჰომეოპათიური აკადემიის პრორექტორი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი

თორნიკე ალაშვილი

აწარმოებს მიღებას წინასწარი ჩაწერით (ტ. 98 64 86)

ალ. ჭავჭავაძეს ქ.№2

№13 პოლიკლინიკა

სწავლების თაობაზე დარეკეთ: 29 43 65



“მიკროგენი“ - ფრენკელის დიაგნოსტიკა

ისრაელი-საქართველოს კლინიკა

გილოცავთ შობა-ახალ წელს და გთავაზობთ საახალწლო ფასდაკლებას:

მკვდარი ზღვის მინერალებსა და მარილებზე დამზადებული Dead Sea Premier Cosmetics-ის კანის მოვლის საშუალებები - 33%

სახისა და სხეულის მოვლის სხვადასხვა პროცედურები - 10%

მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


***ძალიან მიყვარს ციტრუსი, მაგრამ საკმარისია მივირთვა, მაშინვე მიწითლდება კანი და მექავება. რით არის ეს განპირობებული? ხომ არ არის საშიშროება, რომ იგივე მოვლენები ჩემს შვილსაც განუვითარდეს, როგორ დავიცვა იგი?***

***მკითხველი***

საკვებისმიერ ალერგიას განაპირობებს იმუნოლოგიური რეაქციები და არა — ნივთიერებათა ცვლის დარღვევა. უამრავ საკვებ პროდუქტს შეუძლია ალერგიული რეაქციის გამოწვევა. განსაკუთრებით ძლიერი კვებითი ალერგენებია: ძროხის რძე და რძისგან დამზადებული საკვები, კვერცხი (განსაკუთრებით ცილა), ხორბლეული, თევზეული. ასევე შოკოლადი, მარწყვი, ციტრუსები, თაფლი.

ციტრუსების მიმართ გამოვლენილი ალერგია განსაკუთრებით ხშირია ზამთრობით. ალერგიის გამომწვევ პროდუქტებს — საკვებისმიერი ალერგენები ეწოდება. თუ ადრე რომელიმე პროდუქტის მიმართ არ იყავით ალერგიული, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შემდგომში ამ საკვები პროდუქტის მიმართ ალერგიული რეაქციისაგან დაზღვეული ხართ. ალერგიულ ადამიანთა რიცხვი დღითი დღე მატულობს, რასაც მეცნიერები რამდენიმე ფაქტორით ხსნიან. ესენია: დაბინძურებული გარემო, შეცვლილი ეკოლოგიური პირობები, სუფთა საკვები პროდუქტების სიმცირე, მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობა.

დაავადების განვითარების მიზეზი — იმუნური სისტემის მომატებული მგრძნობელობაა. ეს ე.წ. ჭეშმარიტი საკვებისმიერი ალერგიაა. საკვების აუტანლობა შესაძლოა უკავშირდებოდეს იმ ზოგიერთი ფერმენტის თანდაყოლილ ან შეძენილ დეფიციტს, რომელიც საკვების გადამუშავებასა და შეთვისებაში მონაწილეობს. მაგალითად, ფერმენტ ლაქტოზას დეფიციტის ფონზე ვითარდება რძისა და მისი პროდუქტების აუტანლობა.

ხშირად ორგანიზმის უარყოფით რეაქციას განსაზღვრულ საკვებ პროდუქტზე განაპირობებს კუჭის, ასევე ნაღვლის ბუშტის, ღვიძლის, კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეასი) და სხვ. მწვავე ან ქრონიკული პათოლოგიები.

ზოგჯერ საკვები პროდუქტი ძნელად შეითვისება თავისი ფარმაკოლოგიური აქტივობის გამო. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია მაგარ ჩაისა და ყავაში კოფეინის მაღალი კონცენტრაცია. საკვების აუტანლობის მიზეზი შესაძლოა ასევე იყოს ისეთი ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერების სიჭარბე, როგორიცაა ჰისტამინი.

საკვებისმიერი ალერგიის სიმპტომები შესაძლოა განვითარდეს უარყოფითი განწყობის ფონზეც.

უცხო ნივთიერებაზე პირველად კუჭი და ნაწლავები რეაგირებს. შესაძლოა ავადმყოფს დაეწყოს გულისრევა, ღებინება, ნაწლავური მოშლილობანი (ფაღარათი და ა.შ.) ხშირია კანის გაწითლება, ქავილი, გამონაყარი — ჭინჭრის ციება. უფრო იშვიათია შეტევისებური ღებინება, შეშუპება,

# ერიდეთ საკვებისმიერ ალერგიას!



გამონადენი ცხვირიდან, ბრონქიალური ასთმა.

ზოგჯერ ალერგიული რეაქცია ვითარდება ალერგენის კუჭში მოხვედრისთანავე. მაგალითად, თხილის ალერგიის დროს თხილის მიღებიდან რამდენიმე წუთში იწყება უცაბედი გულისრევა და ფაღარათი.

ხანდახან ალერგიის პირველი ნიშნები მოგვიანებით იჩენს თავს. ამიტომაც ექიმს უჭირს ხოლმე ადამიანის მდგომარეობის რომელიმე კონკრეტულ საკვებ პროდუქტთან დაკავშირება. ალერგიულმა ადამიანებმა არ უნდა მიირთვან ალერგიული რეაქციის გამომწვევი პროდუქტები.

ალერგია შესაძლოა ნებისმიერი ასაკის ბავშვს დაემართოს. განსაკუთრებით კი, დაბადებიდან 3 წლამდე. ყველაზე საშიშია წლამდე ასაკი, ე.ი. ეს დაავადება უმეტესად ჩვილებში იჩენს თავს. ამ ასაკში კვებით ალერგენს უპირატესად ძროხის რძე წარმოადგენს.

ჩვილი ბავშვებისათვის საუკეთესო და ულტერნატივო საკვებია დედის რძე. ბავშვებში საკვებისმიერი ალერგიული რეაქციები სხვადასხვა სახით ვლინდება. პროცენტულად პირველ ადგილზეა საჭმლის მომნელებელი სისტემის რეაქციები. ამ დროს ბავშვს აღენიშნება სისხლიანი ნახველი, ტკივილი მუცლის არეში, ფაღარათი, მეტეორიზმი (გაზების დაგროვება) და ა.შ. მეორე ადგილზეა კანის რეაქციები, რაც ძირითადად დერმატიტის, კანზე ალერგიული გამონაყარის სახით ალინიშნება. იგი უპირატესად უფროსი ასაკის ბავშვებს აღენიშნებათ. ალერგიული ასთმის სისტემის გამომწვევი მოქმედება გააჩნია თევზეულს.

ალერგენის დიაგნოსტირებისთვის ზოგჯერ აუცილებელია ალერგიული სინჯების გაკეთება. ესენია: კანის სინჯი და ინფორმაციული მეთოდი, რომელიც ანტისხეულების გამოვლენას გულისხმობს.

## როგორ ვებრძოლოთ ალერგიას

უნდა გამოირიცხოს ალერგიის გამომწვევი პროდუქტები კვების რაციონიდან. უალტერნატივოა ჩვილის ბუნებრივი კვება, ხოლო თუ გარკვეულ მიზეზთა გამო ბავშვი დედის რძეს ვერ იღებს, საჭირო ხდება ჩვილის ხელოვნური კვება.

ბავშვისთვის ალერგიული რეაქციის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სწორად შევურჩიოთ ხელოვნური საკვების ნარევი. რაციონში ძროხის რძე, კვერცხი, თეთრი პური, ქათმის ხორცი მაქსიმალურად გვიან უნდა შევიტანოთ. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ნატურალური პროდუქტი (მაგ. მოხარშული კვერცხის ცილა) გაცილებით ძლიერი ალერგენია, ვიდრე ამ პროდუქტის შემცველი საკვები (მაგ. ნამცხვარი). ალერგიული მშობლების შვილები განსაკუთრებულ ყურადღებას 3 წლამდე საჭიროებენ.

საკვებისმიერი ალერგია 90% შემთხვევაში სპონტანურად იკურნება, ხოლო თუ ალერგია 3 წლამდე არ განიკურნა, სქესობრივი მომწიფების პერიოდში იგი აუცილებლად გაქრება.

***მაია მუხიგული***

# შეკითხვა ექიმს

***— ჩემს 15 წლის გოგონას განავლის გამოკვლევისას აღმოაჩნდა მახვილა ჭია. ექიმის დანიშნულებით ვუმკურნალეთ ვერმოქსის აბებით. უშედეგოდ. ორი კვირის შემდეგ გავიმეორეთ, რადგან ბავშვი ძალიან წუხდა. ძილის წინ ვაჭმევ ნიორს — იქნებ შეუნელოს ჭიების მოძრაობა. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.***

***მარინე ბერძენიშვილი, ქ. მცხეთა***

— მახვილა ჭიებით ინვაზია ანუ ენთერობიოზი ძალზე გავრცელებულია. პატარა ზომის ჭია, რომელიც ადამიანის ნაწლავებში ბინადრობს, ღამით გამოდის უკანა ტანიდან, ნაოჭებში დებს კვერცხებს და იქვე იღუპება. ავადმყოფს აწუხებს ქავილი სწორი ნაწლავისა და უკანა ტანის არეში. ზოგჯერ იგი იმდენად შემაწუხებელია, რომ ავადმყოფი კარგავს მოსვენებას და ნევროზულ მდგომარეობამდეც კი შეიძლება მივიდეს. გოგონებს გარეთა სასქესო ორგანოები ექავებათ, რადგან ჭია იქამდეც აღწევს და იწვევს ანთებით მოვლენებს.

ექიმმა სავსებით სწორად დაუნიშნა ბავშვს ვერმოქსი. მკურნალობის უშედეგობის ბრალია რეინვაზია ანუ ბავშვის მიერ კვერცხების ხელახალი გადაყლაპვა. ეს კვერცხები მრავლადაა ჩვენ ირგვლივ, მით უმეტეს, ენტერობიოზიანი ადამიანის ნივთებზე (ლოგინზე, საცვლებზე, წიგნებზე და სხვა). ამიტომ დიდია კვერცხების ხელმეორედ გადაყლაპვის შანსი. მკურნალობის კურსი ამგვარია: ვერმოქსის მიღება (დღეში 1 აბი) უნდა განმეორდეს ორ-ორკვირიანი შუალედით 3-ჯერ მაინც, რათა გამოირიცხოს რენვაზიის შესაძლებლობა. მაგრამ ვერავითარი წამალი ბავშვს ვერ უშველის, თუ არ დაიცავთ ჰიგიენის აუცილებელ წესებს: ყოველ დილით უკანა ტანი დაბანეთ თბილი წყლით და საპნით, ყოველდღიურად უცვალეთ საცვლები, მიაჩვიეთ ბავშვი ხელის ბანას საპნით, განსაკუთრებით ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ და ჭამის წინ. ასეთი ღონისძიებები ძალიან სწრაფ შედეგს იძლევა და უზრუნველყოფს მკურნალობას.


ეპილაცია

ალექსანდრიტის ლაზერით

სწრაფად, უმტკივნეულოდ, ჩხვლეტის გარეშე



სამედიცინო ცენტრი მედი ალ. ყაზბეგის გამზ. №1 ☎25-02-02

## რას არ იტყვის ეს ბუში



ბრიტანეთის გაზეთმა „სინდი ტელეგრაფმა“ გამოაქვეყნა წლის განმავლობაში ცნობილ ადამიანთა მიერ წარმოთქმული ყველაზე მჭევრმეტყველური ფრაზები. რეკორდსმენები პოლიტიკოსები გახდნენ, თუმცა წესით, საუბრისას სწორედ ისინი უნდა ფრთხილობდნენ ყველაზე მეტად.

ჟურნალისტების აზრით, კურიოზული ფრაზების წარმოთქმაში ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელმა პრეზიდენტმა ყველას აჯობა. ერთხელ ლონდონში, ერთმა ყმაწვილმა ჰკითხა — შენობა, რომელშიც ამერიკის ადმინისტრაცია მუშაობს (მხედველობაში თეთრი სახლი ჰქონდა), გარეგნულად რას ჰგავსო. ბუშმა ძალზე მრავალმნიშვნელოვნად მიუგო: თეთრი სახლი თეთრ სახლს ჰგავსო. დიდი ბრიტანეთის დედოფლის მეუღლემ, თავის 80 წლის იუბილეზე სავსებით სერიოზულად ბრძანა: „ვფიქრობ, რომ ჯანმრთელობა შემინარჩუნა ჩემს პატივსაცემად წარმოთქმულმა სადღეგრძელოებმა. ამიტომაც ვიცოცხლე 80 წლამდე“.

ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრემაც გამოიჩინა თავი „მჭევრმეტყველებით“, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ლონდონში ისლამში უკეთ ჩაწვდომის მიზნით მოწყობილ მიღებაზე ჩარლზმა №1 ტერორისტის ძმას — ბაქრი ბინ ლადენს ჰკითხა: „ბოლო დროს როგორ მისდის საქმეები თქვენს ძმას?“

სიყვარულისა და გაყრის თემებზე კურიოზების დარგში პირველობას არავის უთმობს კინოვარსკვლავი ნიკოლ ქიდმანი. ტომ კრუზთან (იგი ნიკოლზე ბევრად დაბალია) გაშორების შემდეგ ნიკოლმა თქვა, — მადლობა ღმერთს, ახლა მაინც შევძლებ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმასო.

## კორეელი ჯაშუშები კანფეტებით ამოიცნეს

ჩრდილოეთი კორეა თავისი ცენტრალური საინფორმაციო სააგენტოს საშუალებით გამოეხმაურა აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში იაპონიის საპატრულო გემსა და ამოუცნობ ტრაილერს შორის მომხდარ ინციდენტს. ჩრდილოეთი კორეა კატეგორიულად უარყოფს იაპონელთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ტრაილერი ჩრდილოეთ კორეას ეკუთვნოდა და იაპონელ მესაზღვრეთა საქციელს „მეკობრულ თავდასხმას“ უწოდებს.

6-საათიანი დევნის შემდეგ იაპონიის კატარღები საზღვრის დამრღვევ გემს გარს შემოერტყნენ და ცეცხლი გაუხსნეს.

იაპონიის სანაპირო დაცვის წარმომადგენლებმა ინციდენტის დამთავრებისთანავე განაცხადეს, ჩაძირული გემი კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკუთვნისო. ჩაძირული გემის ერთ-ერთი მეზღვაურის ცხედარს კორეულწარწერებიანი ჟილეტი ეცვა და ჯიბეში კორეული წარმოშობის კანფეტები ეწყო.

## ტონი ბლერი მეგობრებს არ ივიწყებს

ევროპის ქვეყნების კავშირის ბოლო სამიტზე გადაწყდა უმაღლესი ხელისუფლების ახალი ორგანოს — კონვენტის შექმნა. სტრუქტურა, რომელშიც ევროკავშირის თხუთმეტი ქვეყნიდან სამ-სამი წარმომადგენელი შევა, გაერთიანებული ევროპის ახალ სტრატეგიას გამოიმუშავებს. კონვენტს საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ჟისკარ დ'ესტენი უხელმძღვანელებს.

დამკვირვებელთა ვარაუდი, როგორც ჩანს, მართლდება. ევროკავშირის მთავრობათა მეთაურები კონვენტში თავიანთ თანამოაზრეებს და მივიწყებულ პოლიტიკოსებს ნიშნავენ (ამის ნათელი მაგალითია თავად ჟისკარ დ'ესტენი).

ამ დღეებში ცნობილი გახდა კონვენტში დიდი ბრიტანეთის სამი წარმომადგენლის სახელი. ესენი არიან ყოფილი მინისტრები: დევიდ მილიბანდი, ჯოის ქუინი და პიტერ მანდელსონი. ამ უკანასკნელის კანდიდატურამ პროტესტის ტალღა ააგორა. საქმე ის არის, რომ 1998 წელს მანდელსონს სკანდალით მოუწია მთავრობის დატოვება მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მან თითქმის ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი არ დაუბრუნა ქვეყნის ფინანსთა მინისტრს ჯეფრი რობინსონს. 1999 წელს ტონი ბლერმა თავის მეგობარს მეორე უპრეცედენტო შანსი მისცა — იგი ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრად დანიშნა. ამ პოსტზეც ცუდად დაამთავრა მოღვაწეობა მანდელსონმა — ინდოელ მილიონერ ჰინდუჯეს ლეიბორისტთა პარტიისათვის გაწეული სპონსორობის სანაცვლოდ ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღებაში დაეხმარა.

პიტერ მანდელსონის დანიშვნამ ისეთი აურზაური გამოიწვია დეპუტატთა შორის, რომ მათ კატეგორიულად მოითხოვეს — კონვენტში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი პრემიერმა კი არა, პარლამენტმა უნდა დანიშნოსო.

## ისინი უკვე შეხვდნენ შობა-ახალწელს

**ავსტრიაში** საახალწლო ნაძვის ხეს მხოლოდ შოკოლადის კანფეტებით და მარმელადით რთავენ. შობა დილას ოჯახი აუცილებლად ეკლესიაში მიდის სადღესასწაულო წირვაზე დასასწრებად. საშობაო მენიუს საუკუნოვანი ტრადიცია აქვს. თითოეულმა ავსტრიელმა აუცილებლად უნდა მიირთვას ქათმის ბულიონი და შემწვარი თევზი, ტკბილეულს კი გემოვნების მიხედვით ირჩევენ.

**ინგლისში** კარგა ხანია ცდილობენ იშვიათად იხმარონ გამოთქმა საშობაო დღესასწაული ან „შობის კვირა“, რომ არ გაანაწყენონ ებრაელები, მუსლიმანები, ინდოელები, რომლებიც მრავლად ცხოვრობენ დიდ ბრიტანეთში. ამიტომაც უფრო ახალი წლის ზეიმს ან „სეზონურ დღესასწაულს“ უწოდებენ შობა-ახალწლის კვირას.



მანჰეტენზე დადგმული აშშ-ის მთავარი ნაძვის ხის გვერდზე 11 სექტემბერს დანგრეული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის სამახსოვრო ობელისკი დგას

ჭეშმარიტი ინგლისელის საშობაო სუფრას ყოველ მიზეზგარეშე ამშვენებს 4 თავი საჭმელი — ვაშლებით მორთული შემწვარი ბატი, შემწვარი ძროხის ხორცი, იორკშირული პუდინგი და შაქარლამა. საშობაო საჩუქარი დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტია. ყოველი ინგლისელი აუცილებლად უგზავნის საშობაო მისალოც ბარათს შორეულ ნაცნობსაც კი.

**ბულგარეთში**, ისევე როგორც ავსტრიაში, შობაღამეს აუცილებლად მიირთმევენ თევზს. სუფრას ამშვენებს დიდი ღვეზელი. დიასახლისი ცომში ძველისძველ ვერცხლის ფულს დებს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. იმას, ვისაც მონეტა შეხვდება, ბედი გაუღიმებს, საქმეები აუცილებლად კარგად წაუვა.

**გერმანიაა** სწორედ ნაძვის ხის მორთვის ტრადიციის დამწყები. ლეგენდის თანახმად, იგი ლუთერს მოუგონია. ერთხელ თურმე შინ გვიან ღამით მიდიოდა, ყინავდა. დათოვლილ ნაძვზე ვარსკვლავი კიაფობდა და სწორედ მაშინ უფიქრია — რა ლამაზი სანახავი იქნება, მორთული ნაძვი შინ რომ დავდგათ ხოლმეო. შეიძლება ეს ასეც იყო, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ 4 საუკუნის წინ ელზასელები შობა-ახალწელს ტკბილეულით დამშვენებულ ნაძვის ხეებს დგამდნენ სახლებშიო. საშობაო მენიუც საუკუნეების განმავლობაში უცვლელია — შემწვარი ბატი და ნიგვზიანი ნამცხვარი.



უსახლკარო ბრაზილიელი ქალბატონი „საკუთარ“ ნაძვის ხეს რიო დე ჟანეიროს ცენტრალურ პარკში რთავს...

**ესპანეთში** ახალ წელს ნაკლები ზარ-ზეიმით ხვდებიან, ვიდრე შობას. თუმცა ახალი წლის შეხვედრასაც აქვს თავისი ტრადიციები — არც ერთ კერძში არ უნდა იყოს ნიორი (ვაითუ, კარს მომდგარი ბედი უკან გააბრუნოსო). როცა ღამის თორმეტ საათზე ახალი წელი დადგება, ესპანელები საათის ყოველ დარკევაზე თითო მარცვალ ყურძენს მიირთმევენ. ისე რომ, აუცილებლად უნდა მიირთვან 12 მარცვალი.

**იტალიაში** ახალ წელსაც ისეთივე სიხარულით ხვდებიან, როგორც შობას. ამით ეს ქვეყანა განსხვავდება დანარჩენი ევროპისგან, სადაც ახალი წელი არცთუ მნიშვნელოვანი დღესასწაულია. თუმცა არც შობისთვის აქვთ განსაკუთრებული მენიუ და არც ახალი წლის ვახშმისთვის. შემწვარ ღორის ხორცს, შინაურ ძეხვს და ნაირ-ნაირ სპაგეტის ჩვეულებრივ დღეებშიც მიირთმევენ.

ახალი წლის ღამეს იტალიაში არ მოქმედებს კანონი, რომელიც იცავს მოქალაქეების ღამის მშვიდი ძილის უფლებას. ის კი არა, რაც უფრო ხმამაღლა ყვირიან იტალიელები ახალი წლის ღამეს, მით უკეთესია, რადგან ითვლება, რომ ახალ წელიწადში უნდა შეაბიჯო სუფთა გულით. ყვირილი მათ შავი ენერგიისაგან ათავისუფლებს, ამიტომაც იყვირებენ, იყვირებენ და მშვენიერ გუნებაზე დგებიან.

მეორე ტრადიცია კი ის არის, რომ იტალიელები იმ ღამეს სახლიდან ძველმანებს ყრიან, ზოგი ისე შედის აზარტში, რომ ფანჯრებიდან ძველ სკამებსაც კი ისვრის. ასე რომ, იტალიაში ახალი წლის ღამეს ქუჩაში სიარული საშიშია.

**აშშ-ში** შობა მადლიერების დღის შემდეგ პირველ შაბათს დგება. იმ დღეს დიდ მაღაზიებში ცხადდება საშობაო ფასდაკლება, რომელიც მხოლოდ ერთი დღე გრძელდება, წვრილ მაღაზიებს ჩამოფასების თავიანთი სისტემა აქვთ და პატრონის სურვილით, ეს იმდენ ხანს გრძელდება, რამდენ ხანსაც საჭიროდ მიიჩნევენ.

ნაძვის ხეს შობამდე ორი დღით ადრე დგამენ და 20 იანვრისთვის აილებენ. ამერიკელთა საშობაო ვახშამი არაფრით განსხვავდება მადლიერების დღის ვახშმისგან — ინდაური და ღორი, განსხვავება მხოლოდ ნამცხვარშია, შობას გოგრიან ნამცხვარს მიირთმევენ, მადლიერების დღეს კი ვაშლიანს.

**შვეიცარიაში** შობა-ახალწლის შესახვედრად ერთი თვით ადრე იწყებენ მზადებას. სასტუმრო ოთახს ნაძვის ხის ტოტებით რთავენ, საკუთარი ხელით გაკეთებული გირლანდებით და ბაბთებით, სათამაშოების ყიდვა ცუდ ტონად ითვლება და ყველა ტრადიციული ოჯახი აუცილებლად იცავს ამ წესს.



წარმოიდგინეთ რა დამღლელია მილიარდნახევრიან ჩინეთში „სანტაკლაუსობა“

## მოკლედ

ახალი წლის დღეებში **ამერიკის შეერთებული შტატების** სამხრეთ რაიონებს თავს დაატყდა ძლიერი თოვლცვენა, რომელიც ნამდვილ სტიქიურ უბედურებად იქცა. მოყინული გზები ათასობით საგზაო ავარიის მიზეზი გახდა.

**თურქეთშიც** დიდთოვლობაა, ცუდი ამინდის გამო ავტომაგისტრალებზე თითქმის შეწყვეტილია მოძრაობა, გადადებულია ზოგიერთი ავიარეისი, მწყობრიდანაა გამოსული კომუნიკაციები, უგზო-უკვლოდაა დაკარგული 11 ადამიანი

## ასლან მასხადოვმა თავი კვლავაც პრეზიდენტად აირჩია



ასლან მასხადოვმა გამოსცა ბრძანებულება თავისი უფლებამოსილების ვადის კიდევ ერთი წლით გაგრძელების თაობაზე. იგი იჩქერიის პრეზიდენტად, რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, 1997 წლის 27 იანვარს 5 წლით აირჩიეს. მასხადოვი ნებაყოფლობით გადადგომას არ აპირებს და აცხადებს, თანამდებობას მანამ არ დავთმობ, ვიდრე ქვეყანაში ნორმალური არჩევნები არ ჩატარდებაო.

ცნობილი გახდა ასლან მასხადოვის კიდევ ორი ბრძანებულება. ერთი ეხება მისი მოადგილის, ვახა არსანოვის გათავისუფლებას, მეორე კი — ცნობილი საველე მეთაურის რუსლან გელაევის ჩამოქვეითებას. ოფიციალური ვერსიით, ვახა არსანოვი მძიმე ავადმყოფია და ველარ შეძლებს მოვალეობის შესრულებას. გელაევმა კი ჯერ კიდევ გროზნოსთვის ბრძოლაში შეირცხვინა თავი და მას შემდეგ მრავალგზის გახვია უსიამოვნებაში იჩქერიის ხელმძღვანელობა. თუმცა იმასაც ამბობენ, ასლან მასხადოვმა უბრალოდ, საკუთარი გარემოცვიდან მოიშორა ოდიოზური ფიგურებიო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იჩქერიის პრეზიდენტი შესაძლოა რუსეთის მთავრობასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობს.

## უკრაინა საბუთების წარდგენას ითხოვს

1 იანვრიდან დსთ-ის მოქალაქეები უკრაინის ტერიტორიაზე შესვლას, გამოსვლას ან ტრანზიტის სახით ქვეყნის გადაკვეთას მხოლოდ საზღვარგარეთის პასპორტით შეძლებენ. უკრაინის ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ დამოუკიდებლობის 10 წლის განმავლობაში დსთ-ის ქვეყნების უმეტესობას თავისი მოქალაქეები საზღვარგარეთის პასპორტით უნდა უზრუნველეყო. დსთ-ის ყველა ქვეყნის (თურქმენეთის გარდა) მოქალაქე უკრაინაში უვიზოდ შევა. თურქმენეთმა 1999 წლიდან შემოიღო სავიზო რეჟიმი დსთ-ის ქვეყნებისათვის. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით რუსეთის ან ვთქვათ, ბელორუსიის ტერიტორიაზე დარჩენილ ნათესავებსა თუ მეგობრებს, დაბრკოლებები არ შეექმნებათ, რადგან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე თავისი ქვეყნის პასპორტითაც შეძლებენ საზღვრების გადაკვეთას.

## ჩინელებიც ფეხდაფეხ მიჰყვებიან მსოფლიოს

წლის ყველაზე „ტენდენციური“ ქვეყანა აღმოჩნდა ჩინეთი. იგი მთელი წლის განმავლობაში ცდილობდა, არ შეელახა თავისი, როგორც სავსებით თანამედროვე და ცივილიზებული ქვეყნის იმიჯი. თუმცა ეს მართლაც ჩინურად ხდებოდა. ყველაფერი დაიწყო გაეროს მიერ ჯერ კიდევ 35 წლის წინ მიღებული საერთაშორისო პაქტის რატიფიკაციით. მსოფლიო აღტაცებით შეეგება ცნობას იმის თაობაზე, რომ ჩინეთშიც დღის წესრიგში დადგა ადამიანის უფლებათა დაცვა (თუმცა პაქტის ჩინური ვარიანტი ბევრ რამეს არ ითვალისწინებს, მაგალითად, დამოუკიდებელი პროფკავშირების შექმნას), არც მსოფლიოს სწრაფვა სექსუალური ორიენტაციის ლიბერალიზაციისაკენ დარჩენილა



ჩინეთში უყურადღებოდ. ჰომოსექსუალიზმი ფსიქიკურ დაავადებათა სიიდან ამოიღეს, თუმცა ლესბოსელებს, „ცისფერებს“ კვლავაც ციხეში სვამენ (ჰომოსექსუალიზმი დანაშაულად ითვლება). ჩინეთის მთავრობა თავგამოდებით ებრძვის ნარკომანიას. ნარკოტიკებთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აქ სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა — საგაზეთო სტატიებით დაწყებული, ნარკოტიკების გამყიდველთა საჩვენებელი დასჯით დამთავრებული. ჩინელებს არც გერმანელთა გამოცდილება დარჩენიათ უყურადღებოდ, ისინი, გერმანელთა მსგავსად, სპონსორთა შეწირულობებით აგებენ ხიდებს, გაჰყავთ გზები, აშენებენ პარკებს და მათ შემომწირველთა სახელებს არქმევენ.

# ვინ გაიქცა ბუტირკიდან პირველად?

მოსკოვის საგუბერნიო ციხე 1771 წელს აშენდა არქიტექტორ კაზაკოვის პროექტით და დღეს ცნობილია „საგამოძიებო იზოლატორი №2“-ის სახელით. ამ ციხიდან 100 წელზე მეტი ხნის მანძილზე არავინ გაქცეულა. პირველ გაქცევასაც ნაკლებად თუ უწოდებდი გაქცევას. 1906 წელს ბუტირკის „შეუვალობის“ დასამტკიცებლად და შესამოწმებლად ამერიკიდან ცნობილი მაგი გარი გუდინი მიიწვიეს. ბორკილებდადებული და ფეხებშეკრული ჯადოქარი პატიმრების გადასაყვან საგანგებო მეტალის ყუთში გამოამწყვდიეს. 28 წუთის შემდეგ ბორკილებახსნილი გუდინი ციხის კედლის მიღმა მისეირნობდა...



ამ საოცარი „გაქცევის“ საიდუმლო დიდმა მაგმა საფლავში ჩაიტანა და მას შემდეგ 86 წლის მანძილზე ბუტირკიდან არავის გაუღწევია. მიუხედავად ამისა, მითი მისი შეუვალობის შესახებ მაინც დაირღვა. 1992 წლის 7 დეკემბერს ორი პატიმარი ციხის სამრეცხაოს სახურავიდან გალავანს გადაახტა და გაიქცა. ორივე მალე დაიჭირეს, მაგრამ პატიმართა ცნობიერებაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი აზრმა — „ბუტირკიდანაც შეიძლება გაქცევა“. და მართლაც, გაიქცნენ 1996 წლის ივლისში, 2000 წლის აპრილში, დაბოლოს, 2001 წლის სექტემბერში. ყველაზე გახმაურებული გაქცევა სიკვდილმისჯილების: კულიკოვის, ჟელეზოგლოსა და ბეზოტეჩესტვოს გაქცევა იყო:

საზოგადოდ, ციხეზე თავად ყოფილ პატიმარზე უკეთესად ვერავინ გიამბობთ. ჩემმა თანამოსაუბრემ მოსკოვის იზოლატორში 3 წელი გაატარა. მერე კი გაირკვა, რომ უდანაშაულო იყო.

— გასულ წელს ბუტირკიდან დაცვის დახმარების გარეშე გაიქცნენ. ერთი ქართველი იყო, „მძიმე“ სტატია ჰქონდა, თანასაკნელს „მსუბუქი“. ყველამ იცოდა, რომ სასამართლო დარბაზიდანვე გაათავისუფლებდნენ. როცა დილით კონტროლიორმა მიაკითხა პროცესზე წასაყვანად, მის ნაცვლად ქართველი გაჰყვა. ჰოდა, სასამართლო დარბაზიდან აითესა. მართალია, მერე კი დაიჭირეს, მაგრამ მაინც ხომ მოახერხა გაქცევა. როცა კაცი საგამოძიებო იზოლატორში ხვდება, საგანგებო ბარათს ავსებენ: ფოტო ანფასითა და პროფილით, თითების ანაბეჭდები, პირადი მონაცემები. თუმცა ფოტოს გადაღებას რა აზრი აქვს? იქ მოხვედრილი კაცი ერთ თვეში ისე იცვლება, დედასაც უჭირს ცნობა. ციხეში ყველაფერი ისეა, როგორც თავისუფლებაზე — გაქვს ფული, კარგად ზიხარ, არ გაქვს — ცუდად. სხვათა შორის, ამ მხრივ ყველაზე მეტად ლეფორტოვოში ჭირს: რეჟიმი მკაცრია, დაცვა ძნელად მისადგომი. თუმცა საყოფაცხოვრებო პირობები და კვება უკეთესია. პატიმარი გამუდმებული თვალყურის ქვეშაა. საკნებში ორი-სამი კაცია, ყოველ ორ წუთში ერთხელ გამოწმებს კონტროლიორი. თავად დაცვასაც ამოწმებენ. ლეფორტოვოში დერეფნებს რუსული „P“-ის ფორმა აქვს, მათ გადაკვეთაზე მორიგის პულტია. საკნის არასანქცირებული გაღებისას პულტზე ნათურა ინთება. ასე რომ, აქედან ნამდვილად ვერ გაიქცევი.

მატროსკაია ტიშინა ხომ ნამდვილი ჯოჯოხეთია: სიბინძურე, სივიწროვე, საშინელი კვება, დაცვა უხეშია. კონტროლიორების უმეტესობა სამსახურებიდან ლოთობისთვის გაგდებული ორგანოს მუშაკებია. მორიგეობაზეც ხშირად გალეშილები მიდიან. ხელფასი ძალიან დაბალი აქვთ. რამდენჯერ უთხოვიათ დილაობით: ბიჭებო, იქნებ რამე მაჭამოთო. სამაგიეროდ, საჭვრეტში ერთხელ ჩამოგვხედავდა, ჩამოვლის დროსაც მალე გამოგვიშვებდა. როცა მატროსკაია ტიშინიდან ბუტირკაში გადამიყვანეს თითქოს კურორტზე მოვხვდი — სისუფთავე, კარგი კვება და, რაც მთავარია, დაცვა ადამიანურად გეპყრობა. საერთო ენის გამონახვა შეიძლება — რა გინდა: არაყი, ნარკოტიკები, ქალები, ცალკე საკანი — ყველაფერს გაგიჩენენ, თუკი გადაიხდი. მაგალითად, თუ გადაჭედილ საკანში არ გინდა ჯდომა, შეგიძლია ორ-სამ მეგობართან ერთად ცალკე „ხატა“ დაიკავო — ოპერს თვეში 100 დოლარი უნდა მისცე. სრული კომფორტი გარანტირებულია, ტელევიზორიც კი გექნება. ბუტირკაში ოპერნაწილი ყველაზე მაგარია, ნამდვილი პროფესიონალები მუშაობენ. საკნის შიგნით ყველაფერი რიგზე რომ იყოს, ხელს ბევრ რამეზე აწერენ. სჭირდება ოპერს, რომ საკანში არაყს სვამდნენ — ე.ი. დალევენ. საჭიროა კაცის დამალვა — ისე გადაგკარგავს, ვერავინ გიპოვის. თუ პატიმარს ადმინისტრაციაში ჰყავს კაცი, მაშინ ხომ მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. თუ დალევა გიყვარს, კონტროლიორს უნდა დაუძმაკაცდე. ხელფასი 2500 რუბლი აქვს, ერთ ბოთლში კი 500 რუბლს იღებს. ადვოკატს თუ „ზაპრეტი“ უნდა გამოსთხოვო, გამყვანს უნდა დაუძმაკაცდე. „ზაპრეტი“ რა არის? ვთქვათ, ვენტილატორი გინდა... გაჭედილ საკანში სუნთქვა ჭირს ხოლმე. გამყვანს მოელაპარაკები, ერთ საათში გაგიყვანოს და ადვოკატს შეგახვედროს — ის მოგიტანს ვენტილატორსაც, არაყსაც და თუ გინდა, ნარკოტიკსაც. შეიძლება რეჟიმის ოფიცერმა გაგაჩეროს, მაგრამ არაფერია, მასაც ჭამა უნდა — ისიც ადამიანია. თუ ვიტამინები გაკლია, სამზარეულოს ხალხს მოელაპარაკები. ისინიც პატიმრები არიან. აქ ბარტერითაა ყველაფერი: კომბოსტო, კიტრი, ხახვი გინდა? — ჩაი, სიგარეტი და შოკოლადი უნდა მისცე. ეს ციხის ვალუტაა. საკანი მორიგესთან თუ ძმაკაცობს, „შმონიც“ არაა საშიში. წინასწარ ასე 20 კოლოფ „მალბოროს“ და რამდენიმე „ზატაჩკას“ მისცემ და მორჩა: პატიმრებს გაიყვანენ, ჩაის დალევენ, ერთ-ორ საათს გაჩერდებიან და „შმონიც“ დამთავრებულია. თუ მორიგე ცვლასთან ვერ ხარ კარგად, მაშინ სხვა საკნიდან გაგაგებინებენ, „შმონიაო“. აი, მაშინ კი მთელი „ზაპრეტი“ უნდა ჩამოარიგო. რასაც ვერ მოასწრებ, სამალავებში წავა — ციხეში ამის მეტი რაა. ხშირად ხდება, რომელიმე კონტროლიორი რომელიღაც საკანს ამოიჩემებს და ისეთ „შმონს“ გაუშვებს, მტრისას! ერთი საშველია, „ხატას“ ვინც უყურებს (ასე უწოდებენ პატიმრები თავიანთ არაფორმალურ ლიდერს), ადმინისტრაციას მოელაპარაკება და ფასზე შეთანხმდებიან... გაქცევას რაც შეეხება, დადგენილი ტაქსა არ არსებობს. გააჩნია, მოლაპარაკებას. გაქცევა, მით უმეტეს, სიკვდილმისჯილებისა — სახუმარო საქმე არ გახლავთ. „სმერტნიკები“ მე-6 კორიდორში სხედან — ეს ციხეა ციხეში. კონტროლიორთან ან ცვლის მორიგესთან მოლაპარაკება უაზრობაა — კონტროლიორი რომ შევა, კარებს რომ მიუხურავენ — მორჩა, ცხვირს ველარ გაყოფს ვერსად. ამიტომ უფრო „ზემოთ“ უნდა გყავდეს კაცი. „სმერტნიკების“ საკანი 2-3-კაციანია — ხელისგულივით ჩანს ყველაფერი. „სმერტნიკები“ გაიქცნენო, ამბობ — დაცვის გარეშე ვერაფერსაც ვერ გაიქცეოდნენ — პირველივე „შმონზე“ ჩაიჭერდნენ. ეტყობა, ის სამი თავისუფლებაზე სჭირდებოდა ვიღაცას...

1995 წელს მატროსკაია ტიშინადან კონტროლიორმა ცნობილი ქილერი — ალექსანდრ სოლონიკი გაიყვანა, მაგრამ ის „სმერტნიკი“ არ ყოფილა. კონტროლიორს ამისთვის 5 წელი ელოდა — ეს იყო და ეს. გამოძიება, სასამართლო, კარგი ადვოკატი, სანიმუშო ქცევა — სამი წლის შემდეგ თავისუფლებაზე გამოვა. სამაგიეროდ, მთელი სიცოცხლე უზრუნველყოფილი იქნება. ახლა დაიანგარიშეთ, იმ სამ „სმერტნიკში“ რას აიღებდნენ?..“

...კითხვა მართლაც რომ რიტორიკულია, მაგრამ ბუტირკის დაცვას რომ ყველაფერი დააბრალო, უსამართლობა იქნება. კონტროლიორს არც ისე იოლი სამუშაო აქვს — მარტო კოლოსალური ფსიქოლოგიური დატვირთვა და ყოველდღიური რისკი რად ღირს. კაცმა არ იცის, რა გელის საკანში შესვლისას — მოწიწებული მდუმარება თუ „ზატაჩკა“. არც სახელმწიფოს მხრიდან არიან მხარდაჭერით დიდად განებივრებულები. ერთმა ოპერმა მითხრა: „პატიმართა გაქცევის მთავარი ხელშემწყობი ჩვენი სახელმწიფოა — ჩვენს მთავრობას ნეტავ თუ მართლა სჯერა, რომ მილიციელს ოჯახის რჩენა 2000 რუბლად შეუძლია?!“.

***ეხო პლანეტი***

# საშინელების გენიის მემკვიდრეები



1994 წელს, სრულიად მოულოდნელად, ნაკლებად ცნობილმა ტეხასელმა მხატვარმა ლოურენს ბერდმა უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. მისი საოცარი ნახატები ყველაზე პრესტიჟულ სალონებში იყო გამოფენილი და საკმაოდ ძვირად იყიდებოდა. მნახველს აოგნებდა ველური პრერიის რეალისტურ გამოსახულებაზე გაბნეული უცნაური ფერადი ლაქები. არაერთმა ევროპელმა თუ ამერიკელმა კერძო კოლექციონერმა შეიძინა ბერდის ნამუშევარი.

ბერდის ფერწერის მანერა უჩვეულო იყო და ის, რომ ნახატებს ქალის სახელები: „ბიანკა“, „ამანდა“, „სფეიდი“ ერქვა, მყიდველს არ აღელვებდა, რადგან ეს მხატვრის ექსცენტრიკულობად მიაჩნდათ. ლოურენსს ნახატებმა ასიათასობით დოლარი მოუტანა და რომ არა ბედის ირონია, მისი კარიერა კვლავ წარმატებით გაგრძელდებოდა:

ბერდის ერთ-ერთ ევროპელ თაყვანისმცემელს, კოლექციონერ ბრუნო გედასის, თავისმა აგენტმა საკმაოდ ძვირად უყიდა ნიუიორკის აუქციონზე ლოურენსის ნამუშევარი. გედასმა როგორც კი ნახა იგი, დაეჭვდა — აგენტმა აშკარად ყალბი ნახატი შემომაპარა და კაი დიდი ფული ჩაიჯიბაო და ფერწერული ტილო „პატრიცია“ საანალიზოდ ექსპერტებს მიუტანა.

ექსპერტებმა ტილოზე აღმოაჩინეს სისხლი და სპერმა!

თავზარდაცემულმა ბრუნომ, რომელსაც ბერდის კიდევ სამი ნამუშევარი ჰქონდა, მათი შემოწმებაც მოინდომა... შედეგი იგივე იყო. ნახატებმა — „სულია“, „ოლგა“, „სტეფანია“ — ექსპერტებიდან პოლიციელებთან გადაინაცვლა.

დაიწყო საერთაშორისო გამოძიება. ბერდი დააპატიმრეს. სპერმის ანალიზით დადგინდა, რომ ფერწერულ ტილოზე სწორედ მისი ფიზიოლოგიური სითხე იყო. მხატვარი ძალიან მალე „გატყდა“ და პოლიციელებს მოუთხრო თავისი „შემოქმედებითი სახელოსნოს“ საშინელი საიდუმლოს შესახებ.

პათოლოგი მხატვარი სახელოსნოში მოტყუებით, ვითომდა დასახატად, იწვევდა გოგონებს, ძველ ნახატებზე საღებავებს ასხამდა, შემდეგ მათ აიძულებდა, შიშველნი ამ ნახატებზე დაწოლილიყვნენ. თვითონ კი, ფუნჯის მაგივრად დანით ხელში, პირდაპირ ტილოზე აუპატიურებდა ქალს, შემდეგ კი ყელს ღადრავდა.

სწორედ ამ ბრძოლის, სისხლისა და სპერმის ნაკვალევი ქმნიდა იმ განუმეორებელ „კოლორიტს“, რამაც ბერდს აღიარება მოუტანა. მხატვარს ნამუშევარი სალონში მიჰქონდა, დაჩეხილ მსხვერპლს კი ღამით მარხავდა.

თავისი კარიერა და სიცოცხლე ლოურენს ბერდმა ელექტროსკამზე დაასრულა...

1988 წელს საფრანგეთის პოლიცია ქალაქ პერპინიანში უცნაური მკვლელობის ფაქტს წააწყდა — მოკლული იყო სამი ახალგაზრდა ქალი — 17 წლის ტატიანა ა., 19 წლის მოჰტარია ჰაიბი და 22 წლის მარია-ელენა გონსალესი. აკუწული გვამები რკინიგზის მახლობლად ეყარა.

მალე პოლიციის პრეფექტურაში აღმოაჩინეს პოლიციელი, რომელიც გატაცებული იყო ფერწერით, კერძოდ კი სალვადორ დალის ხელოვნებით. უმცროსმა ოფიცერმა ჟოსლენმა გაიხსენა, რომ დალის ნახატზე, „სექსოპილობის სპექტრი“, გამოსახული უთავო და ცალხელა შიშველი ქალი წვეთი წყალივით ჰგავდა მარია-ელენა გონსალესის თავ და ხელმოჭრილ გვამს. დალის მეორე ნამუშევარზე, „პერპინიანის სადგური“(!!!), ასახული იყო მამაკაცი, რომელიც ინტიმურ კავშირს ამყარებდა შიშველ ქალთან და ის ქალი მოკლული მშვენიერი ეგვიპტელი ქალის მოჰტარია ჰაიბის ალიკვალი გახლდათ. ჟოსლენმა ივარაუდა, პოლიციამ მკვლელი უნდა ეძებოს სალვადორ დალის დიდ თაყვანისმცემელთა შორისო და მართალიც გამოდგა.

პოლიციის ოპერმუშაკებმა რამდენიმე დღის შემდეგ სადგურში დააკავეს უსაქმოდ მოხეტიალე ჟანლუკ ლეტელიე, რომელსაც სპორტულ ჩანთაში ქირურგიული ხერხი ედო. ამ საეჭვო ხერხზე აღმოჩნდა ფერწერის მოყვარული მანიაკის მსხვერპლთა სისხლი. გაირკვა, რომ ლეტელიე საკმაოდ ნიჭიერი მხატვარი-აბსტრაქციონისტი იყო, სიგიჟემდე უყვარდა სალვადორ დალი და გადაეწყვიტა, მას გასჯიბრებოდა და ეჯობნა კიდეც.

ჟან-ლუკის ბინაში აღმოაჩინეს მის მიერ დახოცილი ქალების მოდერნისტული პორტრეტები. ლეტელიეს ფერწერული ნამუშევრები პარიზის პოლიციის არქივში ინახება, თავად მხატვარი კი სიცოცხლეს სამუდამო პატიმრობაში გაატარებს.

***მირ კრიმინალა***

# იპოვიან როდესმე ტალკოვის მკვლელს?

10 წლის წინ სანკტ-პეტერბურგის სპორტის სასახლეში, ტვ-შოუს პრეზენტაციაზე გამოსვლის წინ, მოკლეს მომღერალი და მსახიობი იგორ ტალკოვი. მაშინ ის 35 წლის იყო.

იმ ავბედით დღეს მის წინ



ოლეგ გაზმანოვი მღეროდა, აზიზა გამომსვლელთა სიაში საერთოდ არ იყო, მაგრამ წინა დღეს სპორტის სასახლეში გამართულ კონცერტზე იმღერა და ტვ-შოუშიც მიიწვიეს. მან ტალკოვის გამოსვლამდე მოინდომა სიმღერა. აზიზას მეგობარმა იგორ მალახოვმა ტალკოვს გამოუცხადა, — ჯერ აზიზა იმღერებსო. ტალკოვმა არ დათმო. შეიარაღებული მალახოვი საგრიმიოროში შეუვარდა იგორს. ისინი რამდენიმე წუთს მარტონი იყვნენ. არავინ იცის, რა უთხრეს ერთმანეთს. როცა ოთახიდან ჩხუბის ხმა გამოვიდა, შიგ მცველები და ტალკოვის ჯგუფის დირექტორი ვალერი შლიფმანი შეცვივდნენ. მალახოვმა ჯიბიდან რევოლვერი დააძრო და ჰაერში ისროლა. ამას მოჰყვა ტალკოვის გაზის პისტოლეტის ხმა. დერეფანი კვამლით აივსო, მალახოვი გააკავეს. ამ დროს მორიგი სროლა გაისმა. ტყვიამ გულთან გაუარა ტალკოვს. იგი მაშინვე გარდაიცვალა.

ვალერი შლიფმანმა რატომღაც მალახოვის იარაღი უნიტაზში ჩატენა, იქიდან კი, როცა ყველაფერი დამთავრდა, აზიზამ ამოიღო და ნაცნობის საშუალებით გაქცეულ პატრონს დაუბრუნა.

მალახოვმა იარაღი დამალა და წყალში გადაყარა. სამხილი განადგურდა, მაგრამ მალახოვი რამდენიმე თვის შემდეგ თვითონ მივიდა პოლიციაში და აღიარა, — იარაღს უკანონოდ ვატარებდიო.

გამოძიებამ დასკვნაში ჩაწერა, რომ ტალკოვს 0,5 მეტრიდან ესროლეს. მასთან კი ასე ახლოს მხოლოდ ვალერი შლიფმანი იდგა.

ძიების მსვლელობისას შლიფმანი უკვე რუსეთში აღარ იყო, იგი ისრაელის მოქალაქე გახდა. ისრაელი კი თავის მოქალაქეებს არავის გადასცემს.

ისრაელში შლიფმანმა განაცხადა, — მე ტალკოვის უახლოესი მეგობარი ვიყავი, რა მქონდა მასთან გასაყოფი, რატომ უნდა მომეკლაო. თუმცა ჩვენების მისაცემად რუსეთში მაინც არ ჩამოვიდა.

მომღერალი აზიზა აცხადებს, — არ ვიცი, ვის, მაგრამ, ეტყობა, ვიღაცას ხელს უშლიდა იგორ ტალკოვი. იმას რაც 10 წლის წინათ მოხდა, ახლაც მწარედ განვიცდი. იგორი ხშირად მესიზმრება.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე იგორ ტალკოვი გადაიღეს ფილმში „უკანასკნელ ზღვარს მიღმა“, სადაც მის გმირსაც კლავენ.

***კომსომოლსკაია პრავდა***



## თარაზულად:


5 საგანგებოდ დაპატიჟებულთათვის გამართული ქეიფი


6 სურათიანი კედლის ხალიჩა


9 მაგნიტოფონი, რომლითაც მხოლოდ ჩანაწერის მოსმენაა შესაძლებელი


10 ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე ბორჯომიდან 30კმ-ში



11 პოპულარული გერმანული ჟურნალი


15 საკონდიტრო ნაწარმი — შაქარში არეული მოხარშული გახეხილი ნუში



17 ფრანგული ფირმა


18 ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში


19 წელიწადის დრო


20 სასრიალო საზიდარი


24 ამერიკელი მსახიობი


25 დანაყოფები სიდიდეთა გასაზომად


26 იტალიელი კინორეჟისორი, მწერალი და მხატვარი


29 გაშვების მომენტი


32 მაიკლ ჯექსონის პოპულარული დაიკო


33 იატაკის სახეობა


34 სურათის სახელწოდება


35 საკრავი, შექმნილი XVII ს-ის დასაწყისში

## შვეულად:


1 ხმის გამაძლიერებელი


2 პირველი მსხვერპლი დედამიწაზე


3 მეტისმეტად შხამიანი გველი


4 მსუბუქი არშიყობა


5 ქართველი მომღერალი


7 შტატი აშშ-ში, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი სპრინგფილდია


8 ინსტრუმენტი


12 ციტრუსი


13 დანიელი მეზღაპრე


14 კრეტის მეფის, მინოსის ასული


16 პატარა სამკაული


21 იტალიელი მოდელიერი, ჯანი ვერსაჩეს და


22 ფრანგული სპირტიანი სასმელი


23 აშშ-ის ყოფილი პირველი ლედი


27 ტიპოგრაფია


28 ფრანგი კინომსახიობი


30 დიდი ბაღი


31 მარჯნის კუნძული

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №53 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ჰოკიჯოხი; 6. რეჟისორი; 9. ინდექსი; 10. ბოკალი; 11. ამინდი; 15. ზურგჩანთა; 17. ფლორა; 18. პალმა; 19. ოფიცერი; 20. ორაგული; 24. მალტა; 25. კნუტი; 26. გრავირება; 29. პრიზმა; 32. სიგარა; 33. ნიუმენი; 34. იუბილარი; 35. ლიტურგია.

**შვეულად:** 1. სიცილი; 2. ცხენი; 3. კექსი; 4. ესკიმო; 5. ჰონოლულუ; 7. იპოდრომი; 8. მენიჩბე; 12. მუშკეტერი; 13. მთქნარება; 14. გრიფიტი; 16. კაოლინი; 21. გასტროლი; 22. უნიკუმი; 23. სტუმრობა; 27. ემოცია; 28. გიტარა; 30. ნიორი; 31. უნცია.

# ვისთვის შეიქმნა „კრასნაია მოსკვა“?



ფრანგ ანრი ბროკარს (ანუ ჰენრიხ აფანასიევიჩს, როგორც მას რუსეთში ეძახდნენ) „პარფიუმერიის მეფეს“ უწოდებენ. მან დააარსა და თითქმის 40 წელიწადს ხელმძღვანელობდა ფაბრიკას, რომელსაც გასაბჭოების შემდეგ „ნოვაია ზარია“ უწოდეს.

...1872 წელი იდგა. კრემლში ალექსანდრე მეორის ქალიშვილის მარია ალექსანდროვნას პატივსაცემად წვეულება გაიმართა. ანრი ბროკარმა, იმ დროისთვის მოსკოვში ცნობილმა და პატივცემულმა კაცმა, მარია ალექსანდროვნას თაიგული მიართვა. თავდაპირველად, მეფის ასულმა არ დაიჯერა, რომ ყვავილები ხელოვნური იყო — თითოეულს ბუნებრივი სუნი ჰქონდა. პეტერბურგში დაბრუნებულმა მარია ალექსანდროვნამ ბროკარი მისი უდიდებულესობა საიმპერატორო სახლის მომმარაგებლად დანიშნა. „ყვავილის ოდეკოლონ №1“-ს, რომელიც ფაბრიკამ გამოუშვა, უკვე დიდი თავადის ქალის ვენზელი ამშვენებდა. ყოველივე ეს მოგვიანებით მოხდა.

მანამდე კი ყველაფერი პროზაულად დაიწყო — საპნით. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან რუსეთში პარფიუმერია სისუფთავის სიყვარულმა დაამკვიდრა. რომელ რუსს არ უყვარს კარგად გახურებული აბანო! სწორედ აქ დაიწყეს პირველად სურნელოვანი ბალახეულით წყლის არომატიზება. საპნის ხარშვა კი პეტრე პირველის დროს დაიწყო. თუმცა მე-19 საუკუნემდე საპონს მხოლოდ დიდებულები ხმარობდნენ. გლეხები ტუტეთი იბანდნენ — ნაცარს მდუღარეს ასხამდნენ და ღუმელში დიდხანს ხარშავდნენ. ბროკარმაც საპნით დაიწყო. პარფიუმერობას მამის, ასევე ცნობილი პარფიუმერის ათანასის სურვილით მოჰკიდა ხელი. 1861 წელს ანრი ბროკარი მამის ბრძანებით მოსკოვში ჩავიდა. სამი წელი პაველ გიკის პატარა პარფიუმერიულ ფაბრიკაში იმუშავა ლაბორანტად. ამ დროს შექმნა კონცენტრირებული სუნამოების პირველი რეცეპტი და მაშინვე საფრანგეთს მიაშურა. რეცეპტი იქ 25 000 ფრანკად გაყიდა და ამ ფულით მოსკოვში საკუთარი საპნის სახარში გახსნა. თანაშემწედ საპნის ხარშვის ოსტატი, ვინმე ალექსეი ბურდაკოვი და კიდევ ერთი მუშა დაიქირავა. სამი კაცი დღეში 60-დან 120 ცალამდე საპონს უშვებდა, თავადვე მიჰქონდათ კლიენტებთან და თავადვე ყიდიდნენ. მას შემდეგ, რაც იაფფასიანი საპონი გამოუშვა, რომელსაც მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა ხმარობდა, ბროკარი „პარფიუმერიის მეფედ“ აღიარეს. გარდა ამისა, იგი რეკლამის ნოვატორი და გენიოსიც იყო. იაფი პროდუქციისთვის რომ მიმზიდველი იერი მიეცა, ლამაზად ფუთავდა — ქაღალდზე ანბანის რიგის მიხედვით რომელიმე ერთი ასო ეწერა — მუშებს შეეძლოთ ბავშვებისთვის წერა-კითხვა ესწავლებინათ. მომხმარებელი განსაკუთრებით აღაფრთოვანა საპონმა, რომელსაც სახელად „კიტრი“ ერქვა. იმდენად ჰგავდა ნამდვილს, რომ ბევრი მხოლოდ და მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო ყიდულობდა. ბროკარი ყველა მოვლენას ეხმიანებოდა: თურქეთთან ომის დროს იყიდებოდა საპონი „საბრძოლო“, ხოლო როცა ყოფაში ელექტრობა დამკვიდრდა — დახლებზე გამოჩნდა საპონი — „ელექტრობა“. დაუდეგარმა ფრანგმა მოაგარაკეთათვის 15 პარფიუმერიული საგნისაგან შემდგარი ნაკრები წარმოადგინა. ამ სერიის პირველი 2.000 კოლოფი თავისი მაღაზიის გახსნის დღეს გაყიდა. ფრანგი პარფიუმერი არ ცხრებოდა — ერთ-ერთ გამოფენაზე პატარა შადრევანი დადგა — შადრევნიდან ბროკარის „ყვავილის ოდეკოლონი“ იფრქვეოდა — ყველას შეეძლო ესხურებინა და მერე სასურველი არომატი ეყიდა.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა პუდრი „ლებიაჟი პუხი“ და სუნამო „პერსიდსკი სირენი“, რომლებმაც 1889 წელს პარიზში საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი დაიმსახურა. 1914 წლისთვის ბროკარის ფაბრიკა წელიწადში 4 000-ზე მეტ ფლაკონ სუნამოს უშვებდა. რევოლუციის შემდგომ ფაბრიკა ბოლშევიკებმა ჩამოართვეს და მას „ნოვაია ზარია“ უწოდეს. საბჭოთა პერიოდის ქალების ბევრი თაობისათვის ეს სახელი განუყრელადაა დაკავშირებული სუნამო „კრასნაია მოსკვასთან“. თუმცა ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ მისი არომატი რევოლუციამდელი სუნამოს — „იმპერატრიცას საყვარელ სურნელს“ იმეორებდა. ეს სუნამო ბროკარის თანამშრომელმა ფრანგმა ავგუსტ მიშელმა შექმნა. 1925 წელს სუნამოს „კრასნაია მოსკვა“ დაერქვა — ავგუსტ მიშელმა მოლოტოვის მეუღლის, პერლ კარპოვსკაიასთვის ოდნავ შეცვალა არომატი — იის, ზამბახის, მიხაკის, მუშკისა და ფლერდორანჟის კოქტეილმა გაუძლო კოლექტივიზაციას, ტერორს, ომს, ნგრევას და 1952 წელს ბრიუსელის გამოფენაზე მთავარი პრიზიც დაიმსახურა. ბროკარისეულია სახელგანთქმული „ტროინოი ოდეკოლონიც“. ეს ოდეკოლონი სტალინს უყვარდა თურმე.

და კიდევ ერთი სახალისო ამბავი ჰენრიხ ბროკარის ცხოვრებიდან. მისი მომავალი მეუღლე შარლოტა რავე გუვერნიორის ქალიშვილი ყოფილა. შარლოტას მაშინ მოსკოვში მეტად პოპულარული ერთი ტენორი მოსწონდა. ქალის გული რომ ვერაფრით მოინადირა, ბროკარმა ისევ პარფიუმერია მოიშველია. ერთ მშვენიერ დღეს შარლოტამ ტენორი და ბროკარი მიიწვია სტუმრად. პარფიუმერმა ქალს იით სავსე კალათა მიართვა წარწერით — „თქვენთვის და თქვენი ტენორისათვის“. კალათა როიალზე დადგეს. მალე ტენორი როიალს მიუჯდა და სიმღერა დაიწყო. მისდა საუბედუროდ, ტენორმა იმ საღამოს ვერც ერთი მაღალი ნოტი ვერ აიღო. ბროკარის გარდა, არავინ იცოდა ტენორის დამარცხების მიზეზი — თურმე ია მავნე ზეგავლენას ახდენს სახმო სიმებზე, ამიტომაც „ჩაუვარდა“ ხმა ტენორს. ამ შემთხვევის შემდეგ შარლოტამ და ბროკარმა მალე იქორწინეს კიდეც.

ჰენრიხ ბროკარი პარიზში გარდაიცვალა 62 წლის ასაკში. ერთ-ერთი გაზეთი ნეკროლოგში წერდა: „ბროკარის სიცოცხლე ნათელი დასტურია იმისა, თუ რამდენს შეიძლება მიაღწიოს ადამიანმა შრომითა და მტკიცე ნებისყოფით“.

*ეხო პლანეტი №49*

# დიასახლისი დაზვერვის შეფი გახდა



ქალბატონი სტელა რიმინგტონი თავის დროზე სუსტი სქესის პირველი წარმომადგენელი გახლდათ, რომელიც სათავეში ჩაუდგა ევროპის ერთ-ერთ სახელგანთქმულ სპეცსამსახურს — ბრიტანეთის კონტრდაზვერვას.

...1965 წლის ზაფხულში ორი შვილის დედამ, დელიში აკრედიტებული ბრიტანელი დიპლომატის მეუღლემ, სიამოვნებით მიიღო მიწვევა, ემუშავა მბეჭდავად ბრიტანეთის საელჩოს საიდუმლო ნაწილში. იმ დღიდან სტელას ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. თავის მოგონებებში, რომელიც მისი გადადგომის შემდეგ გამოვიდა, სტელა დაჟინებით უარყოფს ამ სამსახურის „ტრადიციულ ქალურ ეშმაკობებს“, რომლის საშუალებითაც ფილმებში მზვერავი ქალები მათთვის საინტერესო ინფორმაციას იღებენ — ამ მიზნით არავისთან მქონია რომანი, სამუშაოსადმი პრაგმატული მოთხოვნითაც კარგად ვიგებდი ყველაფერს, რისი გაგებაც მინდოდაო.

ბრიტანეთის კონტრდაზვერვაში მუშაობის მანძილზე სტელა რიმინგტონის პიროვნება საიდუმლოებით იყო მოცული, არავინ იცოდა სად მუშაობდა. მაგრამ 1992 წლის თებერვალში, ქვეყნის კონტრდაზვერვის მეთაურის პოსტზე დანიშვნიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ბრიტანეთის ლიდერმა გადაწყვიტა, ინგლისელებისათვის ემცნო ეს ფაქტი. სტელა რიმინგტონის თქმით, ის მზად არ იყო ჩრდილიდან გამოსასვლელად და, რაც მთავარია, არ იცოდა, რა ეთქვა ქალიშვილებისათვის, რომლებმაც არ იცოდნენ, სად მსახურობდა მათი დედა.

პოსტიდან გადადგომის შემდეგ სტელა რიმინგტონმა მემუარების წერა დაიწყო.

ბრიტანეთის კონტრდაზვერვის საქმიანობის (რაზეც ლაპარაკია რიმინგტონის წიგნში) ერთ-ერთი სფერო იყო ქვეყანაში მოქალაქეთა უფლებებისათვის მებრძოლთა თვალყურის დევნება 70-80-იანი წლებში. რიმინგტონი წერს, — ახლა ვფიქრობ, რომ შესაძლოა ცივი ომის დროს მეტისმეტ სიფრთხილეს ვიჩენდით მემარცხენეთა მოძრაობის წარმომადგენლების მიმართო.

ამჟამად სტელა რიმინგტონი რომანს წერს მზვერავთა ცხოვრებაზე, რადგან მიაჩნია, რომ სათქმელი ბევრი აქვს. ის თავის ყოფილ ხელმძღვანელობას დაჰპირდა, რომ გამოქვეყნებამდე ხელნაწერს აუცილებლად მათ გადასცემს. თუმცა დაზვერვის ყოფილი შეფი ზედმეტს რომ არაფერს იტყვის, ისედაც ცხადია.

*ვოკრუგ სვეტა*

# „მე იქიდანაც შევამოწმებ, როგორ ასრულებთ ჩემს დავალებებს“...

უოლთ ელიას დისნეი 100 წლის წინ, 1901 წლის 5 დეკემბერს დაიბადა ჩიკაგოში. ოჯახში ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი იზრდებოდა. ძალიან უჭირდათ, თვიდან თვემდე თავი ძლივს გაჰქონდათ. მამა კეთილშობილი ფრანგული საგვარეულოს ჩამომავალი იყო. გაკოტრების შემდეგ დურგლად მუშაობდა. მისი მეუღლე, ფლორა კოლი ოჯახში ტრიალებდა, შვილებს ზრდიდა. 4 წლისა იყო დისნეი, როცა მისი ოჯახი გადასახლდა ქ. მარსელინის მახლობდად (მისურის შტატი) მდებარე დიდ ფერმაში. ბიჭმა აქ პირველად ნახა ქათმები, ღორები, ძროხები, ცხენები და გატაცებით დაიწყო მათი ხატვა. ჯერ მხოლოდ 7 წლისა იყო, როცა ოჯახში ფულის „შემომტანი კაცი“ გახდა — მეზობლები სიამოვნებით ყიდულობდნენ მის ნახატებს. 1918 წელს ჩაეწერა „წითელ ჯვარში“, სადაც მთელი წელი იმუშავა. რეკლამის ნაცვლად მის მანქანას სახურავიდან ბორბლებამდე მხიარული ცხოველები ამშვენებდა. ამის შემდეგ უოლთმა მუშაობა დაიწყო მხატვრის თანაშემწედ. ხელფასი ძალზე მცირე ჰქონდა (50 დოლარი), მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო. როცა ბოსს საქმე ცუდად წაუვიდა, იგი დაითხოვეს, მაგრამ სულ მალე შესთავაზეს მუშაობა კინოთეატრში აფიშების შემქმნელად. უოლთს თავდავიწყებით შეუყვარდა მულტიპლიკაცია. მალე გაიტაცა კლასიკური ზღაპრების თემატიკამ. 1923 წელს 40 დოლარით ჯიბეში და ალისას თავგადასავლების ამსახველი სურათებით ჰოლივუდში გაემგზავრა. მერე ნასესხები ფულით უოლთმა და მისმა ძმამ იყიდეს კინოკამერა და გადაიღეს... ფილმი ქოხში, რომელიც პირველ ხანებში დისნეის კინოსტუდია იყო. როცა ალისას თავგადასავლის პოპულარობამ იკლო, დისნეიმ მოიფიქრა ახალი გმირი — კურდღელი ოსვალდი. ახალგაზრდა ოპერატორს დაავიწყდა მასზე პატენტის აღება და, ბუნებრივია, იგი მოიპარეს... თანაც მისმა უახლოესმა მეგობრებმა. დისნეის იმედი არ დაუკარგავს, ცოტა ხანს იდარდა და შექმნა ახალი პერსონაჟი მიკი მაუსი. მალე ხმაც გაჩნდა და დისნეიმ ისიც დაუმატა თავის მულტფილმს.

ამოუწურავი ფანტაზიის მქონე დისნეი ზედიზედ ქმნიდა ახალ-ახალ შედევრს: „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „პინოქიო“, „ბემბი“, „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, „მძინარე მზეთუნახავი“ და სხვა მრავალი. ბევრს მისი შემოქმედების მწვერვალად მიაჩნია ფილმი „მერი პოპინსი“, რომელშიც ცოცხალი მსახიობებიც მონაწილეობდნენ (1938 წ). ამ სურათით დისნეიმ დროს გაუსწრო.



მის მულტფილმს „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ ისეთი წარმატება ხვდა წილად, რომ სპეციალურად ჩამოასხეს ჯუჯას შვიდი მოოქრული ქანდაკება და „ოსკართან“ ერთად გადასცეს დისნეის.

უოლთ დისნეი გარდაიცვალა 1966 წლის 15 დეკემბერს. სიკვდილამდე ცოტა ადრე მისმა თანაამშრომლებმა თავი მოიყარეს კინოსტუდიაში დისნეის მიერ გადაღებული ფილმის სანახავად.

ფილმში იგი სახელებით მიმართავს თითოეულ მათგანს, აცნობს, თუ რა უნდა აკეთოს მან მომდევნო 5 წლის განმავლობაში და აფრთხილებს, რომ ის იქიდანაც შეამოწმებს, როგორ ასრულებენ თანამშრომლები მის მითითებებს...

*მირ ნოვოსტეი №49*

# ჩინური საჩუქარი სიყვარულზე ძვირი ჯდება



ფეიერვერკების აღმოსავლურმა მოდამ დიდი ხანია ფეხი მოიკიდა მსოფლიოში. აღფრთოვანებულნი შევყურებთ ხოლმე საოცარ სანახაობას, მაგრამ დავფიქრებულვართ კი, საიდან წამოვიდა ფეიერვერკების ტრადიცია?

„ფეიერვერკი“ — გერმანული სიტყვაა, მაგრამ ცეცხლოვანი გასართობის სამშობლო გერმანია კი არა, ჩინეთი იყო. სწორედ იქ, ათას წელზე მეტი ხნის წინ გამოიგონეს საფანტი, იქ დაიბადა პიროტექნიკაც — ცეცხლის მართვის ხელოვნება.

უძველეს დროში ჩინელებისთვის ფეიერვერკი ახალი წლის შეხვედრის რელიგიური ცერემონიის აუცილებელი ატრიბუტი იყო, ცეცხლოვანი წარმოდგენა ბოროტი სულების დასაშინებლად იყო გამიზნული.

ჩინელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფეიერვერკის ფერს, თანაც აღმოსავლეთში სავსებით განსხვავებული შეხედულებაა ამა თუ იმ ფერის მნიშვნელობაზე. მაგალითად, ჩინეთში თეთრი ფერი სიბერის, ჭკნობის და უბედურების სიმბოლოა, ამიტომ პეტარდის გაშვებისას ცდილობენ თეთრი ფერი ნაკლებად გამოიყენონ. უწინ უპირატესობას ცისფერს ანიჭებდნენ, რომელიც ცხოვრებისეული გზის სიმბოლოა. პოპულარობით სარგებლობს ყვითელი ფერი, რომელიც ბუდისტებთან უმაღლეს სუბსტანციას განასახიერებს და წითელი, რომელიც რევოლუციური სწრაფვის გარდა, მყარი ძალაუფლების სიმბოლოა.

ჩინელი პიროტექნიკოსები ფეიერვერკის შექმნის ხელოვნებაში ისე გაიწაფნენ, რომ ჯერ კიდევ XIII საუკუნეში „ციური ცეცხლის“ ნაირფეროვან ნახატებს ქმნიდნენ, რაც უცხოელ ვაჭრებს აღაფრთოვანებდა. XIV საუკუნეში ფეიერვერკების ნიმუშები ევროპაშიც გაიცნეს. ამბობენ, პირველი ევროპელი, რომელმაც ჩინელებს ფეიერვერკის დამზადების ტექნოლოგია მოჰპარა, მარკო პოლო იყოო.

სიახლე განსაკუთრებით იტალიელებს მოეწონათ, ჩინელების „ცეცხლთან მუშაობა“ აქ ყოველწლიურად ვითარდებოდა და XVII საუკუნის დასაწყისში აპენინის ნახევარკუნძულზე ფეიერვერკების გამართვის სახელმძღვანელოც კი გამოიცა. მისი ავტორი, ვენეციელი ვანოჩიო ბირუნგუჩი წიგნის წინასიტყვაობაში წერდა: „ფეიერვერკი სატრფიალო კოცნაზე მეტხანს არ გრძელდება, მაგრამ სიყვარულზე უფრო ძვირი ჯდება“.

ჩვენ დროში ფეიერვერკი ნამდვილ ხელოვნებად იქცა. ძალზე პოპულარულია მუსიკალური პიროტექნიკა, რომელიც პირველად წარმოადგინეს 1960 წელს, კანის ფესტივალზე. „ცეცხლოვანი წარმოდგენების“ ისტორიულ სამშობლოში, ჩინეთში კი, იშვიათად თუ გაიგონებთ საახალწლო სატკაცუნოების ხმას. 1993 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ აკრძალა თვითნაკეთი ფეიერვერკების ხმარება (რადგან ამ გართობას მსხვერპლი მოჰყვა), აკრძალეს პეტარდები და სატკაცუნოებიც.

ჩინური ფეიერვერკი ბოლოს მოეწყო შანხაიში — აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკურ სამიტზე. 20 ქვეყნის მეთაურის გასაოგნებლად ფეიერვერკის მომწყობებმა ორ მილიონ დოლარზე მეტი დახარჯეს. კოსმოსურ თემაზე შექმნილი ცეცხლოვანი წარმოდგენა მართლაც საოცარი სანახავი იყო: დიდებულ ქრიზანთემათა ფონზე ცაში ფერად-ფერადი დრაკონები დაქროდნენ.

ეს სანახაობა 60 კაციანმა ჯგუფმა განახორციელა.

*იტოგი №52*

# ყურმოკვრით...

●●● დამარცხებული ავღანელი თალიბების ლიდერი მოლა მუჰამედ ომარი ალყას დაუძვრა და გაიპარა... ველოსიპედით. დაზვერვამ ვერ დაუშვა, რომ პატარა ბიჭივით ამხედრებული უცნაურად ჩაცმული მამაკაცი ასეთი დიდრანგიანი თალიბი იქნებოდა.

●●● ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II-მ საახალწლოდ ბრძანება გასცა: მისი სასახლის სუვენირების კიოსკებში აიკრძალოს ევროს მიღება. ყველა ტურისტმა სამეფო მამულების ტერიტორიაზე მხოლოდ ინგლისური გირვანქა უნდა დახარჯოს.

●●● იტალიაში საახალწლოდ გაიყიდა უამრავი საფულე, ე.წ. „პორტოევრო“, რომელიც საგანგებოდ ევროსთვის გამოუშვეს. საქმე ის გახლავთ, რომ იტალიაში აქამდე მაინცდამაინც არავინ იყენებდა საფულეს, რადგან ადგილობრივი ვალუტის ღირებულება მეტად დაბალია. ევროს ჯიბით ტარება კი მოუხერხებელი გახლავთ.

●●● ევროს შემოღებამ განსაკუთრებით აალელვა პარიზელი მეძავები. 300 ფრანკის ნაცვლად რაღაც 45,63 ევრო როგორ უნდა ავიღოთ, ეს ხომ ჩვენს ბიზნესს გააუფასურებსო, — ღელავენ ისინი.

●●● ჯორჯო არმანიმ მილანის ცენტრში გახსნა და თავისი სახელი დაარქვა თეატრს. შენობა, რომლის ფართია 14000 კვმ, აშენდა იაპონელი დიზაინერის ანდოს პროექტის მიხედვით და გათვალისწინებულია 700 ადგილზე (დასაჯდომი). ჯერჯერობით იქ კუტიურების ტრადიციული დეფილე ჩატარდა.

## მილოცვა

**თენგიზ ჯაიანს!**

მამა ბაბუ! გილოცავთ დაბადების დღეს! იუბილეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ტკბილ სიბერეს.

*გკოცნით: ლაშუკა, დეავი, ნინუკა და ირუ!*

**ანუკი ბალიაშვილს** ვულოცავთ 2 წლის შესრულებას. ვუსურვებთ, რომ გაიზრდილიყოს სასახელო ქალი. ჯანმრთელობა, ბედნიერება და ხანგრძლივი სიცოცხლე გქონდეს. გფარავდეს ღმერთი.

*ოჯახი*

**ანუკი ბალიაშვილს!**

ჩემო ცისფერთვალება მეგობარო! გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ სიხარულს და სიცოცხლეს. გკოცნი და მიყვარხარ.

*ქეთი ტეფნაძე*

## ბინები

იტალიურ ეზოში, იზოლირებული, 3 ოთახიანი ბინა, 2 სართულიანი სახლის I სართულზე, ლოჯიით, ტელეფონით, სარდაფით. ფასი $ 16.000. მის: ჩუღურეთის რ-ნი, ჯავახიშვილის ქ. №30. ტელ: 96-71-53

3 ოთახიანი, არასტანდარტული, გარემონტებული, კუთხის ბინა, 5(5), ს/ფ 105 კვმ, მარმარილის მეზრით, სარდაფით, 2 ადგილიანი ავტოფარეხით, ღუმელის ტიპის გაფართოების პერსპექტივით, საბურთალოს ცენტრში, ყაზბეგის გამზირის დასაწყისში. ფასი$35.000. ტელ: 37-01-66; 899 55-58-86

ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი მეტრიდან (კოტორიანთკარზე გადამტული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული — ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი — დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

## ქირავდება

ბუკიას ბაღთან 3 ოთახიანი ბინა. ტელ: 22-03-72

ვაკეში, მუხიანის ქუჩაზე, 70 კვმ ფართის ბინა, I სართულზე, სათვისო მოწყობილობით, ტელეფონით, ბ/ბირით. ტელ: 22-66-96

## გთავაზობთ სამუშაოს

გვაქვს 4 ვაკანსია. საოპერაციოდ მაღალ მდიდი განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ემუშაობით მხოლოდ/მაში. საუკეთესო თანამშრომლებს ვძლევთ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

ორგანიზაცია სთავაზობს 18-25 წლამდე გოგონებს გამგზავრებას გერმანიაში 1 წლით ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ხელფასით (ჯიბის ფული), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. შესაძლებელია წინასწარ ადგილმდებარეობის შერჩევა. ტელ: 95-64-18; 96-07-81; 7-74-79 (ქუთაისში)

გაიხსნა ახალი ოფისი. არის 4 ვაკანსია. გვჭირდება განათლებული, რუსული ენის მცოდნე ახალგაზრდები. გამომუშავება ძალიან მაღალია. იჩქარეთ, მიმდინარეობს შერჩევა. მის: ბელინსკის ქ. №2. IV სართ. ოთახი №422. ტელ: 93-18-84. რობერტი

## მომსახურება

კომპიუტერული დასვენება ბაკურიანის და გუდაურის სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროსა და კერძო სექტორებში, შეღავათიან ფასად. ადგილების დაჯავშნა წინასწარ. ოფისი „Dilaplus". ტელ: 38-61-77; 899 54-00-79; 38-41-73 (საღამოს); E-mail: dilaplus@rambler.ru

ფირმა „სატურნი" თბილისში ყველაზე იაფად დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის რკინის კარებს, ცხაურებს, დახვეულ კიბეებს; შეასრულებთ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს. ტელ: 39-57-00; 39-82-95; 877 42-40-18

შპს „ინვესი" — მშენებლობა, რემონტი, ელექტრომონტაჟი; ესკიზური პროექტი და კარკასის აწყობაში. მაღალი გამოცდილება, მაღალი ხარისხი. კვალიფიციური ურთიერთობა კლიენტთან. მის: ვაჟა-ფშაველას №41. ტელ: 39-57-26; 877 45-07-92

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1 სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გოროვიძიანი

„ფენიქსი", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია სამუდამოდ მოარიდებს ნაწიბურს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ — 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა — 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

გთავაზობთ ეპილაციას, ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, გაღიზიანების გარეშე, მორჩენის გარანტიით, — 1 სთ — 5 ლარი; თმის მოცილებას სახეზე და ტანზე მცენარეული დეპილატორით. მიღება წინასწარი ჩაწერით. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით! მის: მ „300 არაგველი". გულიკო. ტელ: 77-50-32

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე — ძალზე ეფექტური, უნიკალური მეთოდებით. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ტრადიციული მეთოდებით მკურნალის ქუჩაკა მაცაცია (ჩინეთი) სამკურნალო მცენარეებისა და თვითონ შეგროვებით ამზადებს მალამოებს, საფენებს და ჩაიებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართრიტს, საშარდე ნიჟარს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონცოვის) ქ. №25. II სართ. („ფინანსის" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

თბილისში — მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი გილოცავთ ახალ წელს, მშვიდობასა და ჯანმრთელობას გისურვებთ. უახლესი მეთოდით, ყველა ასაკში, მოკლე დროში, ალაგდებთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას, ენაბორძიკობას, ლოგონევროზს, ცერებრალურ დამბლას, საშინაო ტრავმას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს. აქვს ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება, ყველა დარღვევის მქონე ავადმყოფებთან. ტელ: 899 55-05-75

მკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლეტოლოგიელებს და ხელმოკლე ოჯახებს მკურნალობ უფასოდ. მის. აბრამიშვილის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა №46 (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

თბილისში მცხოვრები ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კოლიტი, ქრონიკული, კარდიალგია, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უძილობა. მკურნალი აპატოლი მაკოძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

მუშაობას მუდგა პრატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი ეკალინა ლოლაძე. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰაჰნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, საშვილოსნოს ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიასი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა — მიმართეთ ეკალინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

## მასწავლი

მომზადება ისტორიაში იაფად. ტელ: 22-78-56

ვამზადებ მოსწავლეებს მათემატიკაში და ნებისმიერ საგანში. ტელ: 34-84-78. ქეთინო

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61

სახვითი ხელოვნების სტუდია აცხადებს მსურველთა მიღებას. ფუნქციონირებს აბიტურიენტთა, მოყვარულთა და დაწყებითი ასაკის ბავშვთა ჯგუფები. ისწავლება: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, მოდელირება, ვობლენი. მეცადინეობას ატარებენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები. ტელ: 53-60-06; 93-64-23

კომპიუტერული სტუდია — „ლოგი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტრიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშესწავლის კურსებზე. შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

მიღება კურსებზე საახალწლო 50%-იანი ფასდაკლებით: 1) კოსმეტიკა. შეისწავლება: სახის კანის დეფექტები, მკურნალობა, გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, კრემები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ნიღბები, ლოსიონები და სხვა; 2) ყველა სახის მასაჟი. გაიცემა სერტიფიკატი. მის: „ნაძალადევი", მ. „ვაგზლის მოედანი", დადიანის ქ. №26. ტელ: 66-53-56; 99-49-59

სასწავლო ცენტრი კომპანია „თემსო" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

## იყიდება

ძველებური, გერმანული ვიტრინა, ზედა ნაწილი — სამშრიანი ბროლის მინით, 2 კარიანი, ქვემოთ — 2 კარიანი. $200. ტ: 23-07-65

ფაიფური, გერმანული, როიალი „ბლუტნერი", საუკეთესო მდგომარეობაში, 1,90სმX1,50სმ, ნახევრად საკონცერტო. ფასი $7.500. ტელ: 96-09-35

ფრანგული წარმოების ქალისა და მამაკაცის თეთრეული, ფაიფური და მუშა. ტელ: 99-92-88

სოიას შროტი ექსტრუდერში გატარებული. ცილა 33%. ფასი: 1 კგ — 0,65 ლარი. ტელ: 899 54-63-44

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

ორგანიზაცია იქირავებს 1,5 და 2 კვტ-იან გენერატორებს. ტელ: 92-25-33; 899 57-53-61

## ხსოვნა

**ჩვენო საყვარელო მამუკა!**



ჩემო სიცოცხლევ და სიამაყევ, რომ იცოდე, როგორ მენატრები, შვილო! შენი უბედური დედ-მამა ისევ ცოცხლები ვართ. არადა, ვფიქრობდით, ორივენი თავს დავიხოცავთ, მამუკას რომ რამე მოუვიდოდა.

ჩემო საყვარელო ბიჭო! ანანოს და თათიას რა პასუხი გავცეთ — ჩვენც რომ მიგატოვეთ, გაუგებრობაა.

მამუკა, იცი, როგორ მოუნატრე შენს შვილებს?! პატარა თათია კიდევ გელოდება, ანანომ კი ყველაფერი იცის და ძალიან დარდობს.

გელოდება შენი საყვარელი ცოლიც. სულ თვალცრემლიანი დადის. საკუთარი ტკივილი მავიწყდება, ჩემო საყვარელო ბიჭო, ლელას რომ ვუყურებ.

რა მალე გავიდა 40 დღე. უშენოდ შევხვდით ახალ წელსაც. ვაი, ასეთ შეხვედრას!

მამუკა, გენაცვალოს დედა, ჩემო ლამაზო ბიჭო! როგორ ჰყვარებიხარ ყველას, შენს საფლავს არ სცილდებიან, უვლიან, ესათუთებიან შენი მეგობრები, ბიძები, ბიძაშვილები.

გაუსაძლისი ტკივილი დაუტოვე ყველას — ბებიაშენს, შენს დებს, სიძეებსა და დისშვილებს.

ჩემო საყვარელო ბიჭო! ამატეე შენს უბედურ დედას, თუ ისეთი სითბოთი და სიყვარულით ვერ გავაცილე შენი ლამაზი სული. მაშ, რატომ დამტოვე ასე უდროოდ, ჩემო სიცოცხლევ?!

31 წელი რა არის, ბიჭო! ვერ ხომ დავაკავებდი ვერ მოასწარი.

რომ იცოდე, როგორ მენატრები, მამუკა! როგორ მინდა, მოვხვიო ხელი შენს ლამაზ მხარ-მკერდს და ჩაგეხუტო. ვიცი, რომ ნათელში იქნება შენი ლამაზი სული, ჩემო ნათელო და კეთილო ბიჭო.



**ზვიად დადვანს!**

შობა-ახალ წელს გილოცავთ, ზვიად!

ღმერთმა გაანათლოს შენი ლამაზი სული.

*მეგობრები*

**ცისნამი დოლიძის გახსენება**



გავიდა ტკივილიანი 40 დღე. გონებაში ისევ ცოცხალი ხარ, მაგრამ ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. სევდა, ტკივილი, ცრემლი... ეს სიტყვები სრულად არ გამოხატავს იმ საშინელ გრძნობას, რაც თან ახლავს შენთან სამუდამო განშორებას.

დეკემბრის თვე ჩვენი ოჯახისთვის მწარე თვეა. არ გვემეტებოდი იმ ქვეყნისათვის, ყველაფერს ვაკეთებდით, შეგვენარჩუნებინა შენი თავი ოჯახისათვის, მაგრამ ავადმყოფობის მძიმე სენს ვერ მოვერიეთ. დიდი ტკივილი მიბოძე გამოთხოვების დროს, ძმა და ძმისშვილები.

მწამს, სპეტაკი სულით წარდგები უფლის წინაშე.

*ნანული, ზაალ, ჯუმბერ მათიაშვილები*

**არჩილ ჯვარშეიშვილის ხსოვნას**

12 იანვარს 31 წელი შეგისრულდებოდა, შვილო, ჩემო ერთადერთო, მაგრამ, ვაი, რომ 17 იანვარს



შენი წასვლიდან წლისთავი სრულდება და შენ ჩემთვის ყოველთვის 30 წლის იქნები. იმისთვის, რომ შენი დატოვებული სიცოცხლე გავაგრძელო, ყოველდღიურად ვარწმუნებ საკუთარ გონებას, რომ შენ ისევ ჩემთან ხარ, აქ, ამქვეყნად და როგორც ჩემი სულისა და ხორცის განუყოფელი ნაწილი, ჩემი სიცოცხლის ბოლომდე ჩემთან დარჩები.

შენმა წასვლამ, ჩემმა განუზომელმა სიმწარემ, სხვა ბედნიერი ადამიანების მიმართ გულში ბოღმა და სიძულვილი არ დამიტოვა. და დღევანდელი გადმოსახედიდან, ერთი წლის მანძილზე მივხვდი, რომ ღმერთის ნებით მე ბედნიერი ქალი ვარ, რადგანაც შენი სიცოცხლე გრძელდება და შენი სახელი თბილისისა და სამტრედიის ქუჩებში ისევ დადის.

*დედა*



არ ვიცი, რა დავარქვა შენს წასვლას — გარდაცვალება თუ სიკვდილი. ალბათ გარდაცვალებაა, რადგან სანამ ჩვენ ცოცხლები ვიქნებით, შენც არ მოკვდები. შენ პირველი იყავი და პირველი დარჩები.

აჩი, შენ იყავი ჩემი სიხარული და ასევე დარჩი ჩემს დიდ ტკივილად. შენ ხომ იცოდი, რომ მე სიტყვაძუნწი ვარ და სიცოცხლეში ვერ გითხარი, როგორ მიყვარდი და რა იყავი ჩემთვის. შენ ჩემი სიცოცხლე და სიხარული იყავი, მეამაყებოდა, რომ „ლამაზი" მყავდი და მეგონა ასეთი ლამაზი იქნებოდა შენი სიცოცხლეც. მაგრამ ასე არ მოხდა, ალბათ ესეც ღმერთის ნება იყო.

ყოველთვის თვალწინ მიდგას შენი ლამაზი „მძინარე" სახე, ვარდისფერი ლოყებით და სინათლის შუქით მოკაშკაშე შენი შუბლი. შენ იყავი ალბათ ერთადერთი მიცვალებული, რომელიც საოცრად თბილი იყო. მე მარტო ვარ ჩემს ტკივილთან. როცა ყველას სძინავს, ვიხსენებ ჩვენს ბავშვობას, ერთად გატარებულ დღეებს და ძალიან მიჭირს. შენს სურათს ვეფერები და ველაპარაკები. შენც მიყურებ და მიცინი, თითქოს ბედნიერი ხარ.

იძინე მშვიდად, ისევე, როგორც ბუნებით იყავი. მე კი ჩუმად მოგეფერები სიცოცხლის ბოლომდე.

*შენი თინიკო*



აჩი, ჩემო სიცოცხლევ და სიყვარულო, პირობას გაძლევ შენც და შენს დედიკოსაც, რომლის სახელის მოზიარე ვარ, შენს შვილებსაც ჩვენებურ სიყვარულს გავუწევ და შენს მშობლებსაც არავის საპატრონოდ არ დავტოვებ.

ჩემო დადუ, ჩემო თათა, თქვენ ხომ ჩემი ძმის, ჩემი აჩის მიერ თავისი მშობლებისათვის დატოვებული სიცოცხლე ხართ, მისი სიცოცხლე თქვენში გრძელდება და იმედი მაქვს, თქვენც მისი კეთილი სულის ღირსეული შვილები იქნებით.

მინდა მოგეფეროთ, გულში ჩაგიკრათ, მაგრამ ვიცი, ეს მოფერება, ჩახუტება და ალერსი, მის მონატრებას არ მინახევრებს. მაპატიეთ, რომ ისე ვერ მოგეალერსებით და ისე ვერ შეგეყვარებით სიყვარულში, მან რომ იცოდა, რადგან ამ ნიჭით მხოლოდ თქვენი კეთილი და ლამაზი მამა იყო დაჯილდოებული.

მინდა გითხრათ, რომ ამქვეყნად ყველაზე საუკეთესო მამა გყავდათ. მისი ახლობლები, მეგობრები და ნებისმიერი ნაცნობი, მოგიყვებიან იმ დიდ სიყვარულსა და სიკეთეზე, რომელიც ჩვენს აჩის ასე უხვად გააჩნდა და თქვენ მისი ამქვეყნიური ცხოვრების არასოდეს შეგრცხვებათ.

აჩი, ჩემო სიცოცხლევ, შენ ჩემთვის ყველაფერი იყავი, ისეთი სიყვარულით მიყვარდი, რომლის გადმოცემაც არ შემიძლია და ასეთი დარჩები სიცოცხლის ბოლომდე.

*შენი თამრიკო*

**ზურიკო ტყემალაძის გახსენება**



6 იანვარს ცხრამეტი წელი შეგისრულდებოდა, შვილო. ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა შენი მიწიერი ცხოვრება. ვერ შევეჩვიეთ უშენობას.

ნათელი დაადგეს შენს სულს, ჩვენო საყვარელო ზურიკო!

*შენი ეკა და მშობლები*

**ლანდა კობახიძეს!**



ლანდა! ჩვენო საყვარელო დედავ, მეუღლევ, დაო, მამიდავ და მულო; ჩვენო მოურჩენელო ტკივილო. უკვე მეორედ ვხვდებით უშენოდ ახალ წელს. გაუსაძლისია მონატრება და სურვილი შენი ჩვენთან ყოფნისა. შენ ხომ ყოველ ახალ წელს დიდი იმედებით და სიხარულით ეგებებოდი. გვენატრება შენი გულღია სიცილი, შენი სიყვარული გვენატრება. ჩვენ, ყველანი მოვალთ შენს საფლავთან და ვილოცებთ შენი სულის განათლებისთვის. ლანდა, ძვირფასო, შენ არ მომკვდარხარ, შენ მხოლოდ სხვა სამყაროში გადაინაცვლე. იმედი მაქვს, გაივლის დრო და ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

*ლია და ჯამბული კობახიძეების ოჯახი*

**ნუგზარ ჩემიას მონატრება**



მწუხარების ანშლაგს გაუშლია ფრთები. არც სიკვდილში ჰქონია ბედი.

უშენოდ მოდის 13 იანვარი, შენი დაბადების დღე. გაუსაძლისი ტკივილი დაგვიტოვე.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*მეუღლე თამარი*

**კაკო დიმიტრის ძე ჭკუასელს**



2002 წლის 10 იანვარი — შენი დაბადების დღის 50 წლისთავი. წელს უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს. გარეგნულად ლამაზო, მუდამ ღიმილიანო, უსაზღვროა შენი მონატრება. ცრემლიანი თვალებით, უამრავი ყვავილით და სავსე ბოკალით, როგორც შენ გიყვარდა, ისე მოგილოცავთ დაბადების დღეს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*როლანდი, ირაკლი, იურა, ლევანი, დიმიტრი, გიორგი*

**ზურაბ მელაძის ხსოვნას**



სამი ცრემლიანი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი. უშენობით ვიტანჯებით მე და შენი გაუბედურებული დედა და ყველა შენი ახლობელი. შენ ხომ მაგალითი იყავი კარგი შვილობის, მეგობრობის, ვაჟკაცობის და სიკეთის. თურმე დრო არ კურნავს ყველაფრის მკურნალი, ჩემო ზურა. გულაზი და გიხმობ ყოველდღე. მენატრება შენი მოფერება, ჩემო საყვარელო ბიჭო, — რომ მეტყოდი, ყველაფერს რომ მავიწყებდა ამქვეყნად.

ნათელში გამყოფოს უფალმა!

ვცოცხლობ შენთან შეხვედრის მოლოდინში.

*შენი ტანჯული ნორა ბებია*

**მიკა ოჩიგავას გახსენება**



მიკა, შვილო! ერთი წელი გავიდა იმ საშინელი დღის შემდეგ, რაც შენ ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო ტკივილი, სიმწარე და მონატრება. წელს დაამთავრებდი სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს და ბრწყინვალე მომავალი გელოდა წინ. მაგრამ ყველასგან გამორჩეული, სიკვდილმაც ამოგარჩია და არ დაგვითმო შენი თავი.

საოცარია, რა მძლეობინებს შენს დამკარგავ დედას, შენგან დატოვებულ სიცარიელეს ხომ ვერავინ შეავსებს. მაგრამ ალბათ, მოლოდინი იმ ბედნიერი დღის, როცა შენი დარდი ბოლოს მომიღებს და შენთან მომიყვანს, მაშინ კი ვერაფერი დაგვაშორებს, ჩემო ლამაზო, ჭკვიანო, საამაყო, კეთილო ვაჟკაცო.

*უბედური დედაშენი როზა კოდუა*

**გია ბასილაშვილის მონატრება**



ჩემო სიცოცხლევ, აუწერელია ის მწუხარება, რაც შენმა გარდაცვალებამ მომიტანა; შემზარავია ის უბედურება, რომელიც თავს მოულოდნელად დამატყდა. ჩვენს ოჯახს სასიკვდილო მოერყა, ჩემთვის მთელი სამყარო ხომ შენ იყავი. ტკივილით სავსე ორი თვე გავიდა...

დავბორიალობ ოთახიდან ოთახში, ადგილი ვერ მოძებნია, ჩემს თვალზე ცრემლი არ შემშრალა. სულის სიმშვიდეს მხოლოდ შენს საფლავზე ვპოულობ.

ახალი წელი მოვიდა, შენი საყვარელი დღესასწაული. დღესასწაული, რომელსაც განსაკუთრებულად ხვდებოდი. უშენოდ, მარტოდ დარჩენილს, როგორ გამიჭირდა ამ დღის გათენება.

იმაზე საშინელი არაფერია, როცა დედას შვილი უკვდება. ჩემთვის ნუგეში ის არის, იქნებ ღმერთმა ისმინოს ჩემი ვედრება და მალე შენთან წამოვიდე.

ღმერთო, შენ მიყწიე ჩემს შვილს, შენ იყავი მისი მფარველი, შენ დაუმკვიდრე სამარადისო სასუფეველი.

*შენგან მიტოვებული, გაუბედურებული დედა*

**ჯუნა დაველიანიძის გახსენება**

ჩვენო ჯუნა, პირველ შობა-ახალ წელს ვხვდებით უშენოდ. როგორ გვიჭირს იმის დაჯერება, რომ შენ ჩვენ შორის აღარა ხარ. 40 დღე გავიდა, რაც შენმა ნათელმა სულმა სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრა ადგილი.

რისთვის მოგვდიოდით: შენებისთვის თუ ნერვებისთვის, სიყვარულისთვის თუ სიძულვილისთვის, სიკეთის თუ სისავისთვის თუ ბოროტის ქმნისთვის, ერთგულებისთვის თუ ღალატისთვის?

შენ, შენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად უპასუხე ამ კითხვებს — მხოლოდ და მხოლოდ შენებისთვის, სიკეთისთვის, ერთგულებისა და სიყვარულისთვის.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს დაუკავშირე. კოლეგებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდი. დატოვე სითბო და სიყვარული.

საშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, ქვეყნის სიხარულის და ტკივილის თანაზიარი იყავი. რა საწყენია, რომ ბოლო დროს ქვეყანაში გამეფებული განუკითხაობის გამო, აღარაფერი გახარებდა. გაუსაძლისი შეიქნა შენთვის თბილისში ყოფნა და განერიდე რა დედაქალაქს, თავი მშობლიურ რაჭას შეაფარე, სადაც მოსიყვარულე ახლობლების გარემოცვაში გაატარე სიცოცხლის ბოლო წლები.

ჩვენო ჯუნა, ჩვენ, შენს მეგობრებს ყოველთვის გვემახსოვრები. შენი დაკარგვით გამოწვეულ სიცარიელეს ვერაფერი შეგვივსებს.

მშვიდობით, ჩვენო ერთგულო მეგობარო, მსუბუქი იყოს მშობლიური რაჭის მიწა.

*მეგობრები*

„კვირის პალიტრის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ჟურნალისტ ქეთი ბერეკაშვილს მამის

**ვალერი ბერეკაშვილის**

გარდაცვალების გამო



მეუღლე: ცირა ბარბაქაძე; შვილები: რუსუდან და თემურ შონიები; სიძე: გიორგი პაქსაშვილი; რძალი: ქეთევან ლომიძე; შვილიშვილები: გურამ პაქსაშვილი, ნინო, ნიკო, მარიამ, ლუკა შონიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ გრიგოლის ძე შონია**

*პანაშვიდი:* 6, 7 იანვარს, 16 საათზე;

*გამოსვენება:* 8 იანვარს, 14 საათზე.

*მისამართი:* წყნეთის ქ. მე-14 კორპ, ბინა №105

მეუღლე: ნინო შევარდნაძე; შვილი: გიორგი დარახველიძე; ლამარა დათიკოშვილი, გიორგი შევარდნაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მხატვარი **გოჩა დარახველიძე**

*დაკრძალვა:* ხუთშაბათს, 10 დეკემბერს.

*მისამართი:* ქ. ქუთაისი, ცაცხვების ქ. №26 (გორაზე).

## ნეკროლოგი



გარდაიცვალა **ლევან თოლორდავა**, კეთილშობილი, უწყინარი ადამიანი, თავისი ქვეყნის ღირსეული შვილი, რაინდული სულის მქონე, ზრდილობისა და სამართლიანობის დამმკვიდრებელი ოჯახში, ახლობლებში, საზოგადოებაში.

ღმერთმა დაუმკვიდროს მის ნათელ სულს სასუფეველი, მსუბუქი იყოს მისთვის მშობელი მიწა.

*ახლობლები*

# ქართველი „მაფიოზის“ დანიური თავგადასავალი

***ბოლო დროს საქართველოში ხეირიანი თავდამსხმელების გვარიანი დეფიციტი საგრძნობია. მიზეზი ყველასათვის ცხადია — ვინც კი ოდნავ მაინც გამოიჩენს თავს, აიკრავს გუდა-ნაბადს და უცხოეთისკენ ჰერი-ჰერი. ასე აღმოჩნდა საქართველოს ჩემპიონატი უწვერული ბიჭებისა და უნიჭოთა სარბიელი.***

***საქართველოს კი არა, რუსეთსაც მწვავედ აწუხებს ანალოგიური პრობლემა. 1999 წელს რუსი საფეხბურთო ექსპერტები წუხდნენ, რომ მათ პირველობაზე წამყვან როლებს არარუსი თავდამსხმელები ასრულებდნენ, უფრო კი ქართველები, დემეტრაძე და ჯანაშია.***

***ჩვენი პირველობის ერთ-ერთი გამორჩეული თავდამსხმელი მიხეილ აშვეთიაც გაეცალა აქაურ საცოდაობას. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის შემდეგ ქუთაისის „ტორპედოსა“ და ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი დანიის ჩემპიონის, „ბკ კოპენჰაგენის“ მწვრთნელს მოუვიდა თვალში და 24 წლის ქართველმაც ოთხწლიანი კონტრაქტით დანიაში ყოფნა დაიბევა. სამწუხაროდ, კონტრაქტი აშვეთიას ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტი მაინც ვერ გახდა. არადა, მიხომ წასვლამდე საქართველოს პირველობის 5 შეხვედრაში 8 ბურთი გაიტანა, რაც ქართველ გულშემატკივარს მის წარმატებულ დანიურ კარიერაში არც აეჭვებდა.***



***მოხდა პირიქით — აშვეთია ჯერაც ვერ ათამაშდა ჩვეულად. საქართველოში მცირე ხნით ჩამოსულ ფორვარდთან ინტერვიუ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება.*** *მიხეილ აშვეთია* ***დეტალურად გვიყვება იმ განსხვავებების თაობაზე, ევროპულ, ზოგადად კი დანიურ ფეხბურთს, ქართულისაგან რომ განასხვავებს.***

**— მიშა, ჩასვლის შემდეგ რამდენი შეხვედრა ჩაატარე „კოპენჰაგენში“?**

— სულ შვიდი შეხვედრა. ეს მაჩვენებელი ჩემთვისაც არ გახლავთ სასურველი, მაგრამ დამიჯერეთ, იქ გადასვლიდან გასული სამი თვის მანძილზე ძალიან ბევრი რამ შევიძინე.

**— მაინც, რატომ ვერ უწევ კონკურენციას იქაურ ფორვარდებს, კერძოდ კი ჩვენთვის კარგად ნაცნობ ზუმას?**

— ჯერ ერთი, ზუმა ჩემზე უკეთ შეეგუა დანიურ ფეხბურთს, რადგან საამისოდ მეტი დროც ჰქონდა. თუმცა, ზუმასთან კონკურენციის ნამდვილად არ მეშინია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისით „არსენალი“, „ბაიერნი“ და „მიდლსბრო“ დაინტერესდნენ და ალბათ, რომელიმეში გაუშვებენ და მეც ძირითად შემადგენლობაში გამეხსნება გზა. სხვათა შორის, ზუმა წამითაც არ მაგრძნობინებს, რომ კონკურენტები ვართ. ძალიან კარგი სპორტსმენია და არც პიროვნებაა ურიგო. ჩვენ ვმეგობრობთ. ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს ლიტველ დონატას ვენჩიავიჩუსთან. საერთოდ გუნდთან და ქვეყანასთან შეგუების პრობლემა არ მქონია, მაგრამ როცა ენა არ იცი, ძნელია, ვთქვათ, იგივე მწვრთნელის დავალების სრულყოფილად გაგება. თარჯიმანი მაინც დილეტანტია ფეხბურთში და შესაძლოა ნათქვამის ნიუანსები ვერც აგიხსნას. თანაგუნდელები მაინც ყოველნაირად მეხმარებიან, რათა გაუცხოების პერიოდი მალე დავასრულო.

**— დანია ფეხბურთელისთვის სასურველი ტრამპლინია. შენი აზრით „ტრამპლინზე დაშვებას“ როდის მოახერხებ?**

— როდესაც ბოლომდე შევეჩვევი დანიას. არ დავმალავ და თავდაპირველად „კოპენჰაგენში“ თავი პირველკლასელი მეგონა, სკოლადამთავრებულებს შორის. დანიაში ფეხბურთზე შესვლისთანავე ბავშვებს ტაქტიკურად ანათლებენ, ფიზიკურად მომზადება კი არსად არ წარმოადგენს პრობლემას. აი, ეს არის განსხვავების თავი და თავი. ეს ჩამორჩენა საკუთარ მაგალითზე ვიგრძენი და იმიტომაც მიჭირს დღემდე „კოპენჰაგენის“ ძირითადში მოხვედრა. არადა, კი არ ვტრაბახობ, მონაცემებით ნაღდად არ ჩამოვრჩები ვინმეს; დანიაში ბავშვებსაც თანამედროვე ტაქტიკით ათამაშებენ, თუმცა, გარკვეული ასაკის შემდეგ. დიდ მოედანს მათ არც აკარებენ და პატარა სტადიონებზე ათამაშებენ. ასე, ნელ-ნელა გაზრდილი ბავშვები გუნდში უმტკივნეულოდ გადადიან და მათ ჩემსავით არ უხსნიან თეორიას. საქართველოში რაც არ მისწავლია, იქ უნდა ავინაზღაურო. დანიაში ისიც დავინახე, რომ ქართველების დიდი ნიჭიერება ჩვენივე მიზეზით ვერ გამოგვიყენებია. საქართველოში სანამ ახალი თაობის მწვრთნელები არ მოვლენ, მანამდე არაფერი გვეშველება. უფულობის გამო ბევრი ნიჭიერი მწვრთნელი ევროპაში წასვლასა და მუშაობას ვერ ახერხებს, შესაბამისად ნიჭსაც ვერ ავლენს.

**— ასე აშკარად იგრძენი მწვრთნელთა კვალიფიკაციაში განსხვავება?**

— რა თქმა უნდა. ერთი თვე აზრზე ვერ მოვდიოდი, მწვრთნელი ჩემგან რას ითხოვდა. საქართველოში მსგავს მოთხოვნებს არავინ მიყენებდა.

**— ნუთუ ქართველ მწვრთნელს ვერ დაასახელებ, ვისთან მუშაობაც გსიამოვნებდა?**

— მათ შორის ყველაზე გამორჩეული დავით ყიფიანი იყო. ეს კაცი რაღაცნაირად მხსნიდა და მათამაშებდა. ძოძუაშვილიც საინტერესო პიროვნებაა და ფეხბურთზე თავისი შეხედულებები გააჩნია. და მაინც დანიაში მეტია მცოდნე და განათლებული მწვრთნელი. მოკლედ, განსხვავება უდიდესია. ჰკითხეთ ნებისმიერ ლეგიონერს, თუნდაც არასაგაზეთოდ, ყველა ჩემს აზრს დაეთანხმება.

**— ამ ახალ წელს რას ინატრებდი? მოდი, ცოტათი მაინც განვიმუხტოთ პრობლემებისგან.**

— გასულ წელს ყველა სურვილი შევისრულე. ნაკრებშიც მათამაშეს, საქართველოს ჩემპიონიც გავხდი, ფორმაში ჩავდექი და ბოლოს ევროპაშიც გადავედი. ახლა ყველაზე დიდი ნატვრა ევროპაშიც ღირსეული თამაშია. იქაც თუ საქართველოსნაირ შედეგიანობას მივაღწევ, მაშინ ჩავთვლი, რომ ურიგო თავდამსხმელი არ ვარ. „კოპენჰაგენი“ დანიაში ყველაზე ძლიერ კლუბად ითვლება და „ბრონდბიუსაც“ ვერ უყენებენ გვერდით. ამდენად, იქ თავის გამოჩენა უბრალო საქმე არ გახლავთ

**— რუსეთშიც გითამაშია და საინტრესოა, დანიური ფეხბურთი სჯობს თუ რუსული?**

— უეჭველად დანიური და ამას „კოპენჰაგენში“ თამაშის გამო არ ვამბობ. მათ შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა.

**— კონკრეტულად?**

— დანიაში თავს შეიგრძნობ ნამდვილ ფეხბურთელად. ძალიან დიდი განსხვავებაა მომზადებაში. რუსეთსა და კომუნისტურ ქვეყნებში დღემდე შემორჩა მატჩის წინა შეკრების მოწყობის ყავლგასული მეთოდი. ნამდვილი პროფესიონალი მაშინ ხარ, როდესაც თავად იცი, როგორ მოემზადო. თამაშებზე ყველანი შინიდან მოდიან. „აიაქსთან“ შეხვედრამდე გავაფორმე გუნდთან კონტრაქტი და გამიკვირდა, ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ ფეხბურთელები ბაზიდან შინ რომ გაუშვეს. სეზონის წინაც მხოლოდ ორი კვირით ემზადებიან. ამის მიზანი მარტივია — ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად არ უნდა გადატვირთო. თეორიული მომზადებაც პრაქტიკული ვარჯიშებით არის შეცვლილი. თითქოს ეს არც არაფერია, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში პრაქტიკა ყოველთვის სჯობს თეორიას.

**— დანიის ჩემპიონატში თუ მოახერხებდა რამეს ჩვენი „დინამო“ ან „ტორპედო“?**

— თავიდან ძალიან გაუჭირდებათ. ჩვენზე მაგარი ფეხბურთელები არ ჰყავთ, მაგრამ ტაქტიკურად უსაშველოდ გაგვასწრეს.

**— თავი მთვარეზე ხომ არ გგონია?**

— ასეც ვერ ვიტყვი. ოქროს თევზის დაჭერა რომ შემეძლოს, ნაღდად ამას ვთხოვდი, დანიელების ცოდნა მოგვცეს და დამიჯერეთ, ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა არასდროს გაგვიჭირდება. დანიაში ბავშვებთანაც კი ისეთი კვალიფიციური მწვრთნელები მუშაობენ, ნებისმიერი ქართული კლუბი ინატრებდა. ამიტომაც ზრდიან ვარსკვლავებს. სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან დანიელი თამაშობს. ეს არ არის შემთხვევითი.

**— ფინანსურადაც სჯობნიან რუსებს?**

— გუნდებს გააჩნია. „კოპენჰაგენს“ მხოლოდ „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“ თუ გაუტოლდება. „სპარტაკშიც“ მიწვევდნენ და სულაც არ ვნანობ ჩემს არჩევანს. რუსეთში ფეხბურთელი მორალურად იღლება. სხვათა შორის, მენტალიტეტის პრობლემა რუსებს უფრო აწუხებთ. აბა, სამი თვით უცხოეთში მომზადება სწორია? სხვა წვრილმანებსაც გეტყვით: დანიაში ფეხბურთელები ეწევიან და ამაზე, მწვრთნელი გუნდიდან არავის აგდებს. ისევე როგორც სმისთვის. მთავარია, მოედანზე რას აკეთებს ფეხბურთელი. თავისი თავის მტერი არავინაა — ისე გამოთვრეს, რომ თამაშზე „პახმელიაზე“ გამოცხადდეს.

**— დანიელებს საქართველოზე წარმოდგენა პანკისის ხეობიდან ხომ არ ექმნებათ?**

— თავიდან არავინ იცოდა, რომ აშვეთია ჩამორჩენილი ქვეყნის შვილი იყო. სხავათა შორის, უმრავლესობამ არც იცის, ჩვენთან რომ უჭირთ. დღემდე რუსებში ვეშლებით და მხოლოდ შევარდნაძეს იცნობენ.

**— პატივს სცემენ?**

— რუსებთან გაიგივებული არც ერთი პიროვნების სახელის გაგონებაც არ სურთ, მაგრამ შევარდნაძეს მაინც პატივს სცემენ. სხვათა შორის, დანიელები საოცარი ნაციონალისტები არიან და სხვა ტომის ადამიანებს ვერ იტანენ. ამას განსაკუთრებით ასაკოვან ხალხზე ვიტყოდი, ახალგაზრდები შედარებით ლოიალურები არიან. ახლა „ევრო“ ხომ მთელი ევროპის მთავარი გადასახდელი საშუალება გახდება. ეს დიდად არ მოსწონთ დანიელებს.

საერთოდ მშვიდი და ლამაზი ქვეყანაა, ქურდობაც იშვიათობაა. მაგრამ, რატომღაც მე ამომიღეს მიზანში. სტადიონზე მივდიოდი, როდესაც სახლის წინ დაყენებული მანქანა აღარ დამხვდა. დავრეკე გუნდში და ვაცნობე მომხდარის შესახებ. ეს პოლიციასაც შეატყობინეს და მოპარულის ნაცვლად გუნდმა ახალი მანქანა მიყიდა. თუმცა, ერთი თვის შემდეგ მითხრეს, რომ ეს მოპარული მანქანა, თურმე, პოლიციაში დგას. წარმოიდგინეთ, ერთი თვე მას ეძებდნენ მთელს დანიაში. გუნდელები ამის გამო მეხუმრებოდნენ, ქართული მაფიის წევრი ხარ, მეორე მანქანაც ამგვარად ჩაიგდე ხელშიო.

**— „კოპენჰაგენში“ დამკვიდრება რომ გაგიჭირდეს, „დინამოში“ თამაშს არ დათანხმდები?**

— ამაზე ფიქრი არც მინდა, მაგრამ რა ვიცით ცხოვრებაში რა მოხდება. მე იმ გუნდში ვითამაშე, ვინც იტალიის ახალგაზრდული ნაკრები დაამარცხა და ძლიერი ნაკრებიც უნდა გვყოლოდა. ბუფონის, ფიორეს, კოკოს, ჰესკის, ბექჰემის წინააღმდეგაც კარგად გვითამაშია, მაგრამ მათსავით ვერ გავიზარდეთ. ჩემი საახალწლო სურვილიც ეს იქნება — ქართველებმა ახლა მაინც მოვახერხოთ ნიჭის მოვლა-პატრონობა და გამოვლენა. ამაზე მეტის სურვილი წარმოუდგენელია. დღეს ხომ არ ვთამაშობ ხშირად „კოპენჰაგენში“, ამის მიუხედავად თავს უკეთ ვგრძნობ, ვიდრე საქართველოში. მგონია, რომ სხვა პლანეტაზე ვარ.

***ლაშა დუმბაძე***

# მიხაილოვიჩი „ფიორენტინაში“ გადავიდა



რომის „ლაციოს“ ყოფილი მცველი სინიშა მიხაილოვიჩი ფლორენციულ „ფიორენტინაში“ გადავიდა. იუგოსლავიის ნაკრების კაპიტანი ბოლო დროს სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდებოდა რომაელთა ძირითად შემადგენლობაში. კლუბში ალბერტო ძაკერონის მოსვლის შემდეგ კი პრაქტიკულად აღარც უთამაშია. მიხაილოვიჩის ტრანსფერის თანხამ $500.000 შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ „ფიორენტინა“ ამჟამად უმძიმეს კრიზისს განიცდის და სერია A-ს დატოვებაც ემუქრება, იუგოსლავ ფეხბურთელს „იისფერთა“ წინადადებაზე დიდხანს არ უყოყმანია. სავარაუდოა, რომ „ფიორენტინა“ სინიშა მიხაილოვიჩის უკანასკნელი სერიოზული კლუბი იქნება, ვინაიდან ის უკვე 32 წლისაა და მაქსიმუმ კიდევ 3-4 სეზონი შეძლოს მაღალ დონეზე თამაში.

# რებროვი «ლაციოში» გადადის

უკრაინის ნაკრებისა და ინგლისური „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ფორვარდი სერგეი რებროვი მალე დატოვებს ლონდონურ კლუბს და სავარაუდოდ რომის „ლაციოში“ გადავა. რებროვმა აშკარად ვერ გაამართლა ინგლისური კლუბის იმედები. რებროვი „ტოტენჰემის“ სარეკორდო შენაძენია, მის საფასურად ინგლისელებმა $16 მილიონი გადაიხადეს, თუმცა ვერაფრით იხეირეს. უკრაინელის შეძენით დაინტერესება თავად გამოთქვა „ლაციოს“ მწვრთნელმა, ძაკერონიმ. ფორვარდის სავარაუდო ფასად $10 მილიონი სახელდება. „ლაციოს“ ხელმძღვანელობას თავდასხმაში რებროვისა და სიმონე ინძაგის შეწყვილება სურს.



# ვინ იქნება შემდეგი?

თუ გახსოვთ, შარშან მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის ოტმარ ჰიტცფელდის ბინა გაქურდეს. ჰიტცფელდის გაქურდვამდე რამდენიმე თვით ადრე გერმანელმა ქურდებმა ბავარიელთა მცველის ბიქსენტ ლიზარაზიუს ბინა დააცარიელეს. როგორც ჩანს, ახლა კლუბის კაპიტნის შტეფან ეფენბერგის ჯერი დადგა. ბავარიელთა კაპიტანი, ფლორიდაში ოჯახთან ერთად ნებივრობდა, როდესაც შეიტყო, რომ მიუნხენში, მის ბინაშიც შეეღწიათ ქურდებს და გაეძარცვათ. საინტერესოა, რომელი „ბაიერნელი“ იქნება შემდეგი დაზარალებული?

# მინდვრის ბუნებრივი საფარი მალე ხელოვნურით შეიცვლება

უეფას ეგიდით ჩასატარებელ ოფიციალურ მატჩებში ბუნებრივი საფრის ნაცვლად ხელოვნური გაზონის გამოყენება უეფას მიერ დაშვებული იქნება 2004-2005 წლის სეზონის დაწყებიდან. ეს პრობლემა მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც ევროპასა და აზიაში გადახურული სტადიონები გამოჩნდა. დახურულ ნაგებობაში ბუნებრივი ბალახი რადიკალურად განსხვავებულ ბიოლოგიურ პროცესებს განიცდის, ვიდრე ღია ცის ქვეშ. ასეთ შენობებში ბალახი პრაქტიკულად არ იზრდება, რაც იწვევს ფესვების ლპობას; ბალახამდე თითქმის ვერ აღწევს ულტრაიისფერი სხივები... ყოველივე აქედან გამომდინარე, მინდვრის საფარი უვარგისი ხდება და იზრდება ტრავმის მიღების საშიშროება. ხელოვნური საფრით ბუნებრივის შეცვლის სურვილი უკვე გამოთქვა რამდენიმე სტადიონის ხელმძღვანელობამ. უეფას მითითებით ყველა სინთეტიკური გაზონი სერტიფიცირებული უნდა იყოს და უეფას მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლg1-a7!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მათს **ორ** სვლაში.




C M Y K

# წყლის დედოფლები



ისტორიკოსებმა და ბიოლოგებმა დაამტკიცეს, რომ სირინოზი ნამდვილად არსებობდა. მსოფლიოს ყველა ხალხის მითებში შეხვდებით ნახევრად ადამიანებს, რომლებიც ტყეებსა და მდინარეებში ბინადრობენ, ეხმარებიან ან სჯიან ხალხს. ბერძნულ ღმერთთა პანთეონში ზღვის მბრძანებელ პოსეიდონს ურიცხვი ასული — ნერეიდა ჰყავს. ნერეიდები წელზემოთ მომხიბლავი ქალიშვილები არიან, წელქვემოთ — თევზები. ეს ანცი ქალთევზები მომაჯადოებლად მღერიან და მეზღვაურებს იტყუებენ. ისინი ძირავენ ზღვებსა და მდინარეებში ხომალდებს, ხოლო მეზღვაურებით ტიკინებივით თამაშობენ.

ლეგენდის თანახმად, ხანდახან სირინოზს შეუყვარდება მოკვდავი, ცდილობს, ხმელეთზე გადასვლას, რათა მასთან ერთად იყოს, მაგრამ უმწეო ხდება და მალე იღუპება კიდეც...

ნერეიდები, ნაიადები, ნიმფები, სირინოზები, ალები — ყველა ეს სახელწოდება ერთ არსებას ეკუთვნის — წყლის იდუმალ ქალწულს, ზღვების, მდინარეებისა და ტბების მბრძანებელს. სხვადასხვა ხალხს ალის წარმოშობის სხვადასხვა ვერსია აქვს. ალებს ნაირსახეობაც ახასიათებთ — არსებობს ხის ალი ანუ დრიადა, რომელიც წყლის ალისგან იმით განსხვავდება, რომ მთელ დროს ხეზე ატარებს და უგრძეს თმას ჯადოსნური სავარცხლით ივარცხნის.

ყველა ქვეყანაში ალი საშიშ, ეშმაკ არსებად ითვლება. მასთან შემთხვევითი შეხვედრაც კი ავისმომასწავებელია — გადმოცემით, მეზღვაური, რომელიც ალს დაინახავდა, აუცილებლად იღუპებოდა.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში უამრავი ალი, ტყაშმაფა (ტყის დედოფალი), დალი, ჯიხვთმწყემსა ქალაი, ქაჯის ქალია. გახსოვთ ალბათ, ამირანის დედა დალი იყო, ბეთქილიც ოქროსთმიანმა დალმა გადაიბირა, ტყაშმაფა შეგვიანებულ მგზავრებს იტყუებს და ა.შ. (რედ.).

## მოძალადე დაისაჯა

უამრავი ლეგენდის გარდა, არსებობს ქალთევზებთან შეხვედრების ისტორიული, დასაბუთებული მაგალითი.

1890 წელს შოტლანდიელმა მასწავლებელმა უილიამ მონრომ ზღვის ნაპირზე სეირნობისას ქვაზე წამომჯდარი შიშველი ქალი შენიშნა, დააკვირდა და მიხვდა, ალი იყო. რამდენიმე წუთი თვალგაშტერებული უყურებდა, მერე მიახლოება მოინდომა, მაგრამ ალი ზღვის ტალღებში გადაეშვა. მასწავლებელმა კარგა ხანს ვერ გაამხილა ეს საოცარი ამბავი, მხოლოდ ათი წლის შემდეგ დაწერა ამის შესახებ ლონდონის „თაიმსში“.

1903 წელს რუსეთში, ერთ-ერთი ტბის ნაპირას გლეხებმა სირინოზი იპოვეს. ერთ-ერთმა მათგანმა მისი ახლოს ნახვა მოინდომა. ქალთევზას გამჭვირვალე და ქათქათა კანი ჰქონდა, თმა წყალმცენარესავით მწვანე, თვალები — უზარმაზარი და უჩვეულოდ ამღვრეული, წელქვემოთ კი ქერცლით იყო შემოსილი. ახალგაზრდა კაცმა გლეხებს ქალთან სექსუალური ურთიერთობა შესთავაზა: „რას ამბობ, ის ხომ თევზია“, — შეიცხადეს მათ, რაზედაც კაცმა უპასუხა — საამისოდ ბევრი ხერხი არსებობსო... გლეხებს შეეშინდათ და განერიდნენ იქაურობას, ყმაწვილი ქალთევზასთან დატოვეს. იგი გვიან საღამოს დაბრუნდა სოფელში, მოღუშული და გულდამძიმებული ჩანდა. დღითი დღე ნაღველი ერეოდა, ბოლოს, ლოგინად ჩავარდა, ხელ-ფეხი წაერთვა, კვირის თავზე კი გარდაიცვალა.

## მომაკვდინებელი ეკოლოგია

იშვიათ შემთხვევაში ქალთევზების დაჭერაც ხერხდებოდა. მალე აშკარა გახდა, რომ წყლის ქალები ადამიანურ საკვებს პირს არ აკარებენ, მით უმეტეს, ტყვეობაში და მალევე იხოცებიან. დღემდე არ არის გარკვეული, როგორია მათი გონებრივი განვითარება — ყველა დაჭერილი ალი უარს ამბობს ადამიანებთან კონტაქტზე.

ბოლო ასი წელია, სირინოზს იშვიათად ხვდებიან. მეცნიერები, რომელთაც სჯერათ მათი არსებობისა, ვარაუდობენ, რომ ეს წყლის ეკოლოგიის გაუარესებითაა განპირობებული. ქალთევზები ან ადამიანისათვის მიუწვდომელ ადგილებში გადაიმალნენ, ან სამუდამოდ გაქრნენ ამ ქვეყნიდან.

*ეკოლოგია №1*

# ამერიკელებმა უცხოპლანეტელის კლონირება მოახერხეს

1947 წლის ივლისის ერთ ცხელ საღამოს როსუელის თავზე (აშშ, ნიუ-მექსიკოს შტატი) უცნაური ვარსკვლავი გამოჩნდა. იგი პირველად ფერმერმა უილიამ ბრეიზელმა შენიშნა — დედამიწისაკენ სწრაფად ეშვებოდა, გარშემო მომწვანო-გამჭვირვალე ცეცხლის რკალი ერტყა და თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. მალე აფეთქების ხმა გაისმა და ყველაფერი დამთავრდა.



ბრეიზელი დარწმუნებული იყო, რომ სამხედრო თვითმფრინავის კატასტროფის მოწმე გახდა და ამის შესახებ შეატყობინა კიდეც შტაბს. შემთხვევის ადგილას მალე გამოჩნდნენ სამხედროები. რამდენიმე დღის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობდნენ. შემთხვევის ადგილი აკრძალულ ზონად გამოაცხადეს. ახლოს არავის აკარებდნენ. ყველაფერი წაიღეს, რისი წაღებაც შეიძლებოდა. მოჭრეს და გაიტანეს ნიადაგის მთელი ზედაფენა. პრესაში კი დაიწერა, რომ იმ დღეს აფეთქდა დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდნილი სპეციალური მეტეოროლოგიური ბალონი.

ბევრი სპეციალისტისათვის იმთავითვე ცხადი შეიქნა, რომ იმ საღამოს კატასტროფა განიცადა სხვა პლანეტიდან გამოგზავნილმა საფრენმა აპარატმა. აპარატი შექმნილი იყო იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც თავისი განვითარებით მრავალი ათასწლეულით გაუსწრეს დედამიწელებს.

„...ისინი ჯუჯები იყვნენ, — ჰყვება სამძებრო სამუშაოების ერთ-ერთი იმჟამინდელი მონაწილე სებასტიან ტექსი, — დაახლოებით ნახევარი მეტრი სიმაღლისა. სახეზე ნაცრისფერი დაჰკრავდათ. კომბინეზონები ეცვათ. არ გვემუქრებოდნენ, მაგრამ აპარატთან არ გვიშვებდნენ. უცნაური, ვერცხლისფერი მანქანა იყო. თეფშს მოგაგონებდათ, ორი ჯუჯა თითქოს ესაუბრებოდა ერთმანეთს, თითქოს ტკივილებისაგან კვნესოდა. ერთი დაეცა და მალე მოკვდა...“

აფეთქების შემდეგ აპარატში ხვრელი გაჩნდა და ადამიანებმა მოახერხეს შიგნით შესვლა. აქაც ორი უცხოპლანეტელის გვამი აღმოჩნდა. საგნები უჩვეულო იყო. აქვე აღმოჩნდა გაურკვეველი ნიშნებით აჭრელებული პერგამენტისებური ფირფიტები, იყო ოთხკუთხა ფირფიტებიც, რომლებიც ხელის შეხებისთანავე იშლებოდა. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ეს უცხოპლანეტელების საკვები იყო.

ცოტა ხნის წინ პრესაში სენსაციური ცნობა გაჩნდა იმის თაობაზე, რომ როსუელის აპარატის ნამსხვრევებისა და ნარჩენების შესწავლა დღესაც გრძელდება პენტაგონში. მთავარი კი ის არის, რომ დამზადებულია ანტიგრავიტაციულძრავიანი საფრენი აპარატის საცდელი მოდელი. წარმატებით მოხერხდა უცხოპლანეტელის კლონირება — შენახული ბიოლოგიური მასალის საფუძველზე. ასე რომ, აშშ-ის ტერიტორიაზე დადის არამიწიერი წარმოშობის არსება.

*ნლო №54*

## „საზაღლო–სალაღო“ გვერდის პასუხები

I. ახალი წელი მოსულა ახალი სიხარულითა.

II. ფიფქია;

III. თოვლი.

ჩვენ გვწერენ

# თვალმარჩხები

სოფელში ყველა იცნობს ამ ოჯახს. თაობიდან თვალმარჩხები არიან, ოღონდ არა ქალები, არამედ მამაკაცები.

ამბობენ, მათი წინაპარი კაცისული კი არა, ოჩოკოჩი იყოო...

გერმანიის ომიდან დემობილიზებულ ცალფეხა სარდიონას ერთი მასავით ჩოლახი თვალჭრელი კაცი ჩამოჰყოლია — ჩემი ამხანაგიაო. გოლიათი ყოფილა ის ნაჯარისკაცალი, ბანჯგვლიანი, თავ-პირზე ორი, ღრმად ჩამჯდარი მარჩხი თვალი შუშის მძივებივით უბზინავდა. მის დანახვაზე ბავშვები თავპირისმტვრევით გარბოდნენ თურმე. განსაკუთრებით სარდიონას მოწიფულ გოგოს, ბამბის ქულასავით ფითქინა და ფუმფულა, 14 წლის ევდოს ეშინოდა მისი. ერთ დღეს ეზოს გვიდა თურმე ევდო. ვიღაცის ჩრდილი დასცემია. აუხედავს და უკივლია — ბანჯგვლიანი სტუმარი ურცხვი, მშიერი თვალით უყურებდა. იმ ღამეს სარდიონას ბებიამისისეული ზანდუკი გაუხსნია და რაღაც ჩაუმალავს შიგ, გასაღები კი გულზე ჩამოუკიდია. მეორე დღეს თურმე მღვდელმა ჯვარი დასწერა ევდოს და უჩანეს. მალე დუქნებს უკან, ტყისპირა ახო გაუტეხავს უჩანეს და შიგ ქოხი ჩაუდგამს. პირველი ბიჭი შეეძინათ ახალმოსახლეებს — ხახულია, ორი წლის მერე — ჭოჭია, მას კასიანე მოჰყვა. ხახულია და კასიანე მამამისივით ურჯუკები იყვნენ, სულ მგლის ლეკვებივით იღრინებოდნენ. 10-12 წლისანებს კაი ვაჟკაცის დამამშვენი წვერ-ულვაში ჰქონდათ. ჭოჭია დედამისის ალიკვალი იყო, მომთმენი, დამფრთხალი, ევდოს კალთას მიწებებული.

ამ ოჯახს კაციშვილი არ ეკარებოდა, თუკი ვინმე ჭიშკართან შემთხვევით ჩაივლიდა, პირს მიიბრუნებდა და ნაბიჯს აუჩქარებდა, თითქოს ავსული მოსდევსო. უჩანეზე ამბობდნენ, ისეთი მჭრელი თვალი ჰქონდა, კაცს წააქცევდაო. დილას რომ შეეხედა აბიბინებული ყანისთვის, საღამოსთვის მომსპარი იყოო. ერთხელ ჭურისთავზე მეზობლების ლხინს შესწრებია, არც მისალმებია ვინმეს, თვალი კი შეუვლია ჭიქაში მოკამკამე ოქროსფერი სითხისთვის და ღვინო არა მარტო ჭიქებში, ქვევრშიც გაშავებულა!

უჩანე უცნაურად მოკვდა — რქამახვილი ვაცი დაეტაკა და გულმკერდი გაუნგრია. თავისუფლად ამოისუნთქა სოფელმა, ევდომაც აიწია თვალებზე ჩამოფარებული თავსაფარი. მაგრამ მალე ხახულიამ შეკრა წარბი. ჯაჯღანა და უხასიათო — ცაში ჩიტს და მიწაში ჭიაყელას არ გაუშვებდა შეუგინებელს. ბიძაშვილს — გოგუცას, ძროხის წველის დროს წადგომია თავს. შეუხედავს და საღ-სალამათი ძროხა წაქცეულა. ხახულიას თვალის მცოდნე გოგუცას უკივლია — ახლავე დასწერე ჯვარი, შე მავნე და გადასაშენებელოო, მაგრამ გაჯიუტებულა. სიძეს თოფი გადმოუღია. ხახულიას უფიქრია, არ ხუმრობსო და ძლივს ამოუღერღავს — ჯვარი სწერია ჩემი თვალიდანო და წამომდგარა პირუტყვი...

ხახულიას გაღმა სოფელში ერთი მშვენიერი გოგოსთვის დაუდგამს თვალი. ჟუჟუნას ოჯახს მაჭანკალი უკან გაუბრუნებია. გაწბილებული ხახულია ყოველ დილას ღობის ძირში ხვდებოდა და ისედაც დამფრთხალ გოგოს სულ აგიჟებდა. ცოტა ხანში კენჭივით ჟუჟუნას გულყრები დაწყებია და მალე მიწას ამოფარებია. ხახულიას, რაც მე მახსოვს, თერთმეტი ცოლი მაინც ჰყავდა გამოცვლილი: ზოგი უკვდებოდა, ზოგი საგიჟეთში ამთავრებდა სიცოცხლეს, ზოგი გაურბოდა. მისი სახლიდან დილიდან საღამომდე ჯაჯღანი ისმოდა. ერთ ღამეს დაიძინა და ვეღარ გაიღვიძა. ეს მოხდა მეთორმეტე ცოლის, ვარდიკოს მოყვანის წინა დღეს.

კაიხნის დაქვრივებულ კასიანეს უფიქრია — ხარჯი გაწეული ჰქონდა ჩემს ძმას, ქალისთვის ბელგა — მიტანილი, ისევ მე მოვიყვან, კაი გამრჯე და შესახედიაო და ხახულიას ორმოცი გასული არ იყო, ვარდიკომ ზღურბლზე რომ გადმოაბიჯა. წლისთავზე ბიჭიც შეეძინათ — დურმიშხანი. უშვილძიროდ გადაგებულ ბიძას დაემსგავსა დურია, გარეგნობითაც, სირეგვნითაც და ავი თვალითაც. საქმეზე მიმავალნი თუ გადაეყრებოდნენ დურიას, უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ — მაინც ხელი მოეცარებოდათ...

მეზობლის მშობიარე პატარძალი საავადმყოფოში მიჰყავდა სასწრაფო დახმარებას,



ბავშვი ლამის დაბადებული იყო. შემოეყარათ დურია და შეუწყდა ჭინთვები ქალს... სამი დღე ელოდნენ მერე ჩვილის მოვლინებას...

დურიას შვილი, ჩემი თანაკლასელი ბადრიაც მისნაირი ჯმუხი და თვალმარჩხია. სკოლა ისე დავამთავრეთ, მისი ხმა არ გაგვიგონია, მზერა არავისთვის გაუსწორებია. სტუმარი თუ მიადგებოდა მათ ჭიშკარს, გომურში იმალებოდა, ცოლიც მისნაირი წარბშეკრული შეხვდა. მათი ეზოდან ნესტის სუნი იფრქვეოდა ყოველთვის და თითქოს ყველაფერს ხავსი ჰქონდა მოდებული.

ამ უცნაურ ხალხს უფროსი შვილი პუსკუნია ქვისგამციებელი გამოუვიდა. ახლაც სადღაც რუსეთშია გადავარდნილი და მისი გზა-კვალის მცოდნე კაცი დაბადებული არავინაა. უმცროსს, ჯუმბერას, საეშმაკო რამ უსწავლია და მემკვიდრეობითი ცოდნა გაუმდიდრებია. ახლა დიდი ჯადობაზის სახელი აქვს და აკეთებს ფულს...

**შოუ ქობალია**

# სახლი, რომელშიც ცხოვრობ...

ახალი ცხოვრება უმჯობესია, ორშაბათიდან დაიწყოს კაცმა. ოღონდ კალენდარული ორშაბათით, შვიდ დღეთაგან ერთ-ერთით კი არა, არამედ რომელიღაც მითური „ორშაბათით“. ასეთ ორშაბათად შეგიძლიათ ჩათვალოთ თუნდაც ახალი წლის წინა დღე. ახალი წლიდან ხომ ყველა ჩვენგანი აპირებს ახალი ცხოვრების დაწყებას (თუმცა, როგორც წესი, წელი წელს მისდევს, შეცვლით კი არაფერი იცვლება). ვაპირებთ, მაგრამ საამისოდ არც ნებისყოფა გვყოფნის და არც მონდომება. ალბათ საქმე მარტო არც ჩვენს სიზარმაცესა და უნებისყოფობაშია, არამედ თავიდათავი ის ძალზე მცდარი შეხედულებაა, რომელიც გვაქვს საზოგადოდ ცხოვრებაზე და არც ის ვიცით ხეირიანად, საიდან უნდა დავიწყოთ მისი განახლება. არადა რამდენი რამის შეცვლა გვსურს, რამდენი გეგმა გვაქვს. მაშ, რა ვქნათ?



ავდგეთ და ყველაზე იოლით დავიწყოთ — ახალი ცხოვრებისთვის ადგილი გავათავისუფლოთ.

სად? ბუნებრივია, შინ!

ბინა, სახლი, არა მხოლოდ შენობაა, სადაც ღამეს ვათევთ და უქმე დღეებს ვატარებთ, არამედ ეს ჩვენი სასიცოცხლო სივრცეა, ჩვენი ტერიტორია. იგი „ცოცხალი ორგანიზმია“ — ჩვენ მას ვმუხტავთ საკუთარი ენერგიით და თავის მხრივ, ისიც გადმოგვცემს საკუთარს. ტყუილად როდი ამბობენ, ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეაო.

...ყურადღებით მოათვალიერეთ საკუთარი სამყოფელი, თითოეულ ნივთს დააკვირდით. ნუთუ მართლა ასე საჭიროა ყოველი მათგანი?

თქვენდა გასაოცრად აღმოაჩენთ, რომ ერთი მესამედი მაინც მართლაც ყოვლად უსარგებლო ყოფილა. უბრალოდ, ან გადაყრა გეზარებათ, ან ვერ ელევით. ეს უსარგებლო გროვა კი დროთა განმავლობაში იზრდება და ავსებს ჩვენს სასიცოცხლო სივრცეს!

ასკეტიზმს არავინ გიქადაგებთ, მაგრამ სჯობს ბინაში მხოლოდ საჭირო და აუცილებელი ნივთები დატოვოთ. მით უმეტეს, რომ უამრავი მიკრობი და მტვერია ჩაბუდებული იმ უხმარ თუ ნახმარ ნივთებში!

გარდა ამისა, ის ბინა, სადაც ამდენი ხარახურაა, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პატრონის ფსიქოლოგიაზე — მის შიშზე მომავლისა და საერთოდ, ცხოვრების წინაშე.

ამიტომაც, მოდით, მოვიშოროთ თავიდან უსარგებლო ნივთები და მასთან ერთად წარსულიც, რომელთანაც თითქოს უწყვეტი ძაფით ვართ მიბმულნი.

ახალ წელს აუცილებლად უნდა გადაყაროთ გაბზარული ნივთებიც, როგორი ძვირფასი მოგონებაც არ უნდა გაკავშირებდეთ მათთან.

უეჭველად გაისტუმრეთ ვალი, თორემ მთელ წელიწადს ერთთავად ვალების აღება-გასტუმრებაში იქნებით.

ნურც სხვის კუთვნილ ნივთს გაიჩერებთ შინ, პატრონს დაუბრუნეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბარაქა წაგივათ.

ახალ წელს შეიძინეთ თუნდაც ერთი, მაგრამ ახალი ნივთი — ოჯახში სიხარული და სიუხვე დაგებედებათ.

*ორაკული №1*

# ჰოლივუდის თვალში მე და კელი პიჟონები ვართ



რას აღარ ეუბნებოდნენ მსახიობ კელი პრესტონს, როცა მან ჯონის ცოლობა გადაწყვიტა — თავხედი, ფიცხი და ყოყოჩა იდიოტიაო. გათხოვების შემდეგაც აშინებდნენ „კეთილისმსურველები“ — ძალიან მალე მიგატოვებს ეს ვითომ მსახიობი, მანამდე კი გიღალატებს, დათვრება და ცემას არ მოგაკლებსო.

ამ საშინელი წინასწარმეტყველების მიუხედავად, ჯონი და კელი უკვე 10 წელია ერთად არიან. გასახსენებელი ბევრი აქვთ — კარგიც და ცუდიც, მაგრამ „ოჯახური ცხოვრება, ალბათ ასეთი უნდა იყოს“, — ამბობს კელი. ჰოლივუდის საზომებით ყველაზე ბედნიერი წყვილი ცხოვრობს ლოზუნგით — „დატკბი ცხოვრების თითოეული წამით“.

ისინი წარამარა იმეორებენ, — ჩვენი ოჯახი — ძლიერი გუნდიაო და ამის თქმა არ ბეზრდებათ. წლინახევრის ელა ტრავოლტა ამ ოჯახის სიამაყეა, პატარას ძალიან სიამოვნებს მშობლების გვერდით ყოფნა და ამიტომ სიხარულით დაჰყვება დედ-მამას მსოფლიოს ყოველ კუთხეში, მამაცურად იტანს თვითმფრინავით ფრენასაც და გადაღებებზე ყოფნასაც.

„ოჯახური გუნდის“ „ციხესიმაგრე“ ლოს-ანჯელესშია. ყველაზე მეტად აქაურობა უყვარს პაწია ელის.

ეს ფეშენებელური 7 ოთახიანი ვილა 50-იან წლებში აშენდა. ჯონმა და კელიმ დანახვისთანავე შეიყვარეს ეს სახლი თავისი ზღაპრული გარემოთი, რომელიც ოკეანეს გადაჰყურებს. ახალმა პატრონებმა სახლი იტალიურ ვილად გადააკეთეს.

ჯონი ყოველთვის ოცნებობდა ლამაზ ცხოვრებაზე. ის საშუალო შეძლების ოჯახის მეექვსე შვილია. დედამისი ჰელენი მსახიობის ოსტატობას ასწავლიდა, მამას — სალვატორეს ავტომობილის საბურავების ფირმა ჰქონდა. ცხოვრობდნენ სამოთახიან ბინაში. 16 წლისამ კოლეჯი დატოვა და თავი თეატრალურ ხელოვნებას მიუძღვნა. დაუმეგობრდა ტომ ჰენქსს და რიტა უილსონს, ბარბრა სტრეიზანდს, ბოლო დროს ჯეიმს ბროლინსაც. ჯონის ცხოვრების პრინციპი იყო: „თუ გაქვს 5 დოლარი სადილისთვის, ჰამბურგერის და ჩიპსების ყიდვას სჯობს, შეხვიდე პატარა ფრანგულ რესტორანში და 5.95 დოლარად მშვენიერ გარემოში ისადილო. ამორჩევა — ეს ხელოვნებაა“.

უნდა აღინიშნოს, რომ კელიც ყოველთვის ასეთი პრინციპით ცხოვრობდა: „რატომ უნდა დავლიო ქაღალდის ჭიქით, როცა შეიძლება მივირთვა ფაიფურის ფინჯნით, თუ ეს ფინჯანი ერთადერთია“.

კელი პრესტონი 3 წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა. დედა მეორედ გათხოვდა. ცოლად გაჰყვა სასოფლო-სამეურნეო ფირმის თანამშრომელს. ოჯახი ხან ერაყში ცხოვრობდა, ხან ავსტრალიაში, ხანაც ჰავაიზე.

პრესტონი სამსახიობოზე სწავლობდა და მეორეხარისხოვან ფილმებში თამაშობდა. 1985 წელს ის ცოლად გაჰყვა მსახიობ კევინ გეიჯს. ეს ქორწინება რამდენიმე წელი გაგრძელდა... პრესტონი ყოველთვის თაყვანს სცემდა ტრავოლტას. 1989 წელს მათი საერთო ნაცნობის ოჯახში წვეულებაზე ტრავოლტა და კელი გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ სუფრასთან. მაშინ ჯონმა წასჩურჩულა: „ახლა შენ მარტო ხარ, მოდი, ვიმეგობროთ“. მას შემდეგ ისინი ერთად არიან.

— ვგრძნობ, რომ ცხოვრების ზენიტში ვარ, — ამბობს ჯონი, — თითქმის ყველაფერი მომწონს... ბავშვებთან ერთად თამაში, შინ დესერტების მომზადება, კელისთან ერთად მაღაზიებში სიარული, მისთვის საუზმეზე გრეიფრუტის მირთმევა, მეგობრებთან შეხვედრა, კინოში თამაში. ისეთი ბედნიერი ვარ, როგორც არასდროს. მეტზე რომ ვერ ვიოცნებებდი!

*ეკრანი №3*

# ფრანკო ნერო: ვანესა ჩემი ერთადერთი სიყვარულია

ცისფერთვალა, ათლეტური აღნაგობის ფრანკო ნეროს შემყურე, ძნელი დასაჯერებელია, რომ 23 ნოემბერს მას 60 წელი შეუსრულდა. ეტყობა, მას თავისუფლად შეგვიძლია მივუსადაგოთ მარჩელო მასტროიანის სიტყვები: „ძალიან მიყვარდა სიცოცხლე, მაგრამ მასაც ვუყვარდი“. 23 წლის ასაკში ნერო პირველად გადაიღეს კინოში, ერთი წლის შემდეგ უკვე აღიარეს იტალიის საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობად. ისე მოხდა, რომ კარაბინერის ვაჟმა წარმატებული კარიერა დაიწყო პოლიციელის როლით. საერთოდ, დამიანო დამიანის ფილმით „პოლიციის კომისრის აღსარება რესპუბლიკის პროკურორის წინაშე“ ახალი ეპოქა იწყება იტალიის კინემატოგრაფიაში, რომელსაც ზოგი პოლიტიკურს უწოდებს. ვესტერნებისა და მაფიის შესახებ ფილმების გმირმა — ნერომ შეძლო შეექმნა რომანტიკული სახე.

ბევრი თქმულა ფრანკო ნეროსა და ვანესა რედგრეივის ურთიერთობაზე — მათ 1967 წელს გაიცნეს ერთმანეთი ფილმის „კამელოტის“ გადაღებაზე. ვანესა თავშეკავებული ინგლისელი მანდილოსანია ცნობილი არტისტული ოჯახიდან, ფრანკო — ტემპერამენტიანი, მხიარული სამხრეთელია. მათ უჩვეულო რომანი ჰქონდათ, რომელიც, როგორც ახლობლები ამტკიცებენ, დღემდე გრძელდება. ყოველ შემთხვევაში, ფრანკოს დღემდე უმშვენებს თითს ვანესას ნაჩუქარი ბეჭედი...

**— თქვენი პარტნიორები იყვნენ მსოფლიო კინოს ყველაზე ლამაზი მსახიობები. შეგიძლიათ რომელიმე მათგანი გამოყოთ?**

— ლამაზი ბევრი იყო. მათ შორის კლაუდია კარდინალე, კატრინ დენევი, ოლივია დე ხავილენდი, ვირნა ლიზი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე მომხიბვლელი მათ შორის ვანესა იყო. ვანესა საოცრად კეთილი ადამიანია. ის გაეროში მუშაობს და სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობს ბავშვებისა და ლტოლვილების დასახმარებლად. ხშირად ჩამოდის იტალიაში, სადაც საღამოებს ვაწყობთ ბავშვებისთვის. დაახლოებით 30 წელია ბავშვთა სახლებს ვეხმარები. ვანესა მოხარულია, როცა მას ოდრი ჰეპბერნს ადარებენ. ყოველთვის ცდილობდა მაგალითი აეღო ამ მსახიობისაგან.

**— ძველებურად ახლო ურთიერთობა გაქვთ ვანესასთან?**

— ხშირად ვხვდებით. ბევრი გვაქვს საერთო, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჩვენი ვაჟი. საერთოდ, რომანი ვანესასთან — ყველაზე ლამაზია ჩემს ცხოვრებაში.

**— თქვენი ვაჟი — კარლო რატომ არ გაჰყვა მშობლების პროფესიას?**

— ალბათ, გადაწყვიტა, რომ საკმარისია მსახიობი მშობლები. მით უმეტეს, რომ მისმა დებმა, ნატაშამ და ჯოელმა (ვანესას ქალიშვილები პირველი ქორწინებიდან) მსახიობის პროფესია აირჩიეს. კარლომ რეჟისორობა გადაწყვიტა. ბავშვობაში ძალიან კარგად თამაშობდა ფეხბურთს. ცნობილი მწვრთნელი არიგო საკი „მილანშიც“ კი იწვევდა, მაგრამ კარლომ რომის კინემატოგრაფიულ ინსტიტუტში ჩააბარა. შემდეგ მეორე ინსტიტუტი დაამთავრა ნიუ-იორკში. ორი წლის წინ მისი დებიუტი შედგა დიდ კინოში — ფილმით „დაუპატიჟებელი“, სადაც მთავარი როლები მე და ვანესამ ვითამაშეთ. ეს არაორდინარული ფილმი ოთხ დღეში გადაიღო. ძირითადად მოქმედება სასამართლო დარბაზში ხდება. მე ფილმის პროდიუსერი ვარ და უნდა აღვნიშნო, რომ კარლომ გაამართლა ჩემი იმედები.

**— როგორ ფიქრობთ, ჰყავს იტალიას ახალი ფრანკო ნერო? მაგალითად, ახალ სოფი ლორენს ეძახიან მარია გრაცია კუჩინოტას...**

— იმედი მაქვს. იტალიაში ბევრია ახალგაზრდა უნიჭიერესი მსახიობი. რაც შეეხება ახალ ლო-



რენს, ის არ არის და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან სოფი განუმეორებელია.

**— როგორ აფასებთ თქვენს კინოკარიერას?**

— კმაყოფილი ვარ. კინოში 35 წლის მუშაობის მანძილზე 150 როლი ვითამაშე. მიმუშავია ისეთ ბრწყინვალე მსახიობებთან, როგორებიც იყვნენ ბერტ ლანკასტერი, რიჩარდ ბარტონი, ჰენრი ფონდა, ენტონი ქუინი, ტრევორ ჰოვარდი, რიჩარდ ჰარისი, მაქსიმილიან შელი. ისინი ჩემი მხოლოდ პარტნიორები არ იყვნენ, საუკეთესო მეგობრები გახლდნენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი პროფესიისათვის, განსაკუთრებით კი კინოში.

**— თქვენ რომში უკვე 30 წელია ცხოვრობთ ერთ პატარა, ლამაზ ქუჩაზე. ნუთუ არასოდეს მოგნდომებიათ სხვა ქვეყანაში ცხოვრება?**

— რომი თავისთავად ერთი პატარა ქვეყანაა. ყველაზე კარგად თავს ვგრძნობ რომში, სადაც დედა და და მყავს. როცა წლები გემატება, ხვდები, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მეტი დრო გაატარო შინ...

*ტვ პარკი №48*

# ხოაკინ კორტესი — ცხოვრობს ისე, როგორც ცეკვავს...

მისი ყოველი გამოსვლა სცენაზე ვულკანის ამოფრქვევას ჰგავს, მისი ცეკვა, ყველა ქვეყანაში



ნუსხავს მაყურებელს, განსაკუთრებით ქალებს, — მათთვის ესპანელი მოცეკვავე ვნებიანი „ბოშა საყვარლის“ სიმბოლოა. ტანკენარი ხოაკინ კორტესი ნახევრად შიშველი ცეკვავს და ვნების ცეცხლს ანთებს, ანდამატურ ძალას აფრქვევს. სწორედ ამ ძალამ აქცია იგი ესპანეთის სექს-სიმბოლოდ, ხოლო ჟურნალმა ELLE, მსოფლიო სექს-სიმბოლოთა ათეულში შეიყვანა.

თავად კორტესი კი „ამერიკული ოცნების“ ცოცხალ ნიმუშად მიიჩნევს თავს. ადამიანად, რომელმაც თვითონ გაიკაფა გზა და თავისი თავი თვითონ შექმნა.

## თავისუფალი ადამიანი

ხოაკინ კორტესი მცხუნვარე სამხრეთში, კორდოვაში დაიბადა. დედამისი მოსამსახურედ მუშაობდა მადრიდის ღარიბულ უბანში და ბავშვიც იქ იზრდებოდა. ბიჭს არც უფიქრია ცეკვაზე, მაგრამ ბიძამ, ფლამენკოს მოცეკვავემ დაიჟინა — ცეკვა უნდა ვასწავლოო. 12 წლის იყო, პირველი პა რომ გააკეთა და მას შემდეგ ცეკვა მისი ცხოვრების აზრი შეიქნა. 15 წლისა „ესპანეთის ნაციონალური ბალეტის“ სოლისტი ხდება. 20 წლის კორტესს თავისუფლება მოსწყურდა, თეატრიდან წავიდა და საკუთარი დასი შექმნა „ხოაკინ კორტესის ფლამენკოს ბალეტი“, სადაც მოცეკვავეც, რეჟისორიც, დეკორატორიც და დამდგმელიცაა. პირველივე სპექტაკლი მოეწონათ ესპანელებს. ამას მოჰყვა შოუ „ბოშური ვნება“, რომელმაც ევროპა დაიპყრო, მერე კი ამერიკა და იაპონია. 1995 წელს 20 წლის კორტესი საქვეყნოდ ცნობილი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ხოაკინ კორტესი თავდაუზოგავად მუშაობს (მისი რეპეტიციები თორმეტ-თორმეტი საათი გრძელდება) და ამბობს, რომ ეს მისი ცხოვრებაა, იგი ბევრ სხვა რამესაც ასწრებს...

## ცეცხლოვანი საყვარელი

პირველ რიგში კი, რასაკვირველია, რომანებია. მისი სიყვარულის ხაფანგში გაებნენ სერიალების ვარსკვლავი კეტრინ ფულოპი, ესპანელი მოდელი მარია პიდენა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნაომი ქემფბელიც, რომელიც ისე ეჭვიანობდა თურმე, რომ თავის მოკვლაც კი დააპირა. ეს ნუსხა არასრულია. ამბობენ, ნაომის შემდეგ მოცეკვავე ძალიან ფრთხილობს, ეძებს „იმ ერთადერთს“ და როცა იპოვის, აუცილებლად ცოლად შეირთავს და ბევრ შვილს გააჩენს — აბა, ისე რაღა ბოშა იქნება?! ქალები კი გარს ეხვევიან. მასთან სურათის გადაღებაც კი ბევრის მომტანია მათი კარიერისთვის. ხოაკინი ცეკვავს ჯენიფერ ლოპესთან, მერაია კერისთან ერთად. თუკი სადმე თავყრილობაზე გამოჩნდება, ვარსკვლაოსანი ქალები დნებიან...

## ყველაფერში ნიჭიერია

ბრწყინვალე მოცეკვავე დიდებული მსახიობიც რომ იქნებოდა, მალე იგუმანეს ესპანელმა რეჟისორებმა. პედრო ალმადოვარმა ხოაკინ კორტესი „ჩემი საიდუმლოს ყვავილში“ გადაიღო, კარლოს საურამ კი „ფლამენკოში“. ხოლო როდესაც კორტესმა მთავარი როლი ითამაშა მანუელ პალასიოსის თრილერში „ბოშა“, იგი ნამდვილ კინოვარსკვლავად იქცა.

კორტესი ცხოვრობს ისე, როგორც ცეკვავს, ანუ ყველაფერში ვნებას აქსოვს: ძალიან უყვარს მანქანის ტარება, მშვენივრად ცურავს, თამაშობს ფეხბურთს, მისდევს სპორტის ყველა სახეობას, უყვარს მეგობრები. კორტესმა შექმნა „ბოშათა ფონდი“, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს იუნესკოსთან. ახლა აპირებს ღარიბი ოჯახის შვილებისთვის საცეკვაო სკოლის გახსნას. შეიძლება სწორედ აქ აღმოჩნდნენ ისეთივე ნიჭიერნი, რომელთაც შეეძლებათ მასავით თქვან „ფლამენკო — ეს მე ვარ“.

*7 დღე №50*




CMYK

# ყველას როდი შეუძლია „უბრალოდ იმღეროს“



როგორც ჩანს, ელტონ ჯონის ცხოვრებაში დაიწყო ცვლილებები, რომელიც მის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას არ უკავშირდება. თითქოს არ კმაროდა, რომ მომღერალმა გადაწყვიტა გაებედნიერებინა მეგობარი და „ცოლად“ შეირთო იგი, რომ ამ დღეებში, მანჩესტერში გამართული კონცერტის შემდეგ განაცხადა, რომ ამიერიდან აღარ ჩაწერს დისკებს, რადგან თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე (სულ 40 ალბომი გამოუშვა) დაიღალა მუსიკალური ინდუსტრიისგან და ახლა „უბრალოდ სურს, იმღეროს“. მომღერალს გადაწყვეტილი ჰქონდა, საქველმოქმედო მიზნით მონაწილეობა მიეღო ტრადიციულ საშობაო კონცერტზე ვატიკანში, მაგრამ შესასვლელი გზა ჩაკეტილი აღმოჩნდა მომღერლისათვის მისი სექსუალური ორიენტაციის გამო. ახლა სერ ჯონს ისღა დარჩენია, დაფიქრდეს: ძალზე ხმამაღლა ხომ არ აკეთებს განცხადებებს თავისი ამურული მიდრეკილებების შესახებ?

**ოგონიოკი №50**

# როგორ გაეიცნოთ გოგონა ქუჩაში?



ამერიკაში გამოვიდა სახელმძღვანელო მათთვის, ვისაც უყვარს გოგონების გაცნობა ქუჩაში. ერთ-ერთ თავში ავტორს მოჰყავს ფრაზები, რომლითაც საუბრის დაწყება არაფრით არ შეიძლება იმ მანდილოსანთან, რომელიც ქუჩაში მოგეწონათ. მაგალითად, აღარ ღირს საუბრის გაბმა გაცვეთილი ფრაზებით: „მე თქვენ სადღაც მინახავხართ“, „შემთხვევით ერთად ხომ არ ვისვენებდით?“ „მე ხომ არ მიცდით?“ „საათი ხომ არ გაქვთ?“ ეს ბანალური ფრაზები ნეგატიურ ეფექტს იძლევა. თქვენი რჩეული ზედაც არ შემოგხედავთ, თუ გამოუცხადებთ: „ოჰ, რა კოხტა და მიმზიდველი ტანი გაქვთ“ ან „ისეთი გემრიელი ხართ, ლამის შეგჭამოთ“...

რა თქმა უნდა, არც მაშინ გაგიმართლებთ, თუ ახალგაცნობილს თქვენი ბინის სანახავად დაპატიჟებთ.

წიგნის ავტორს მიაჩნია, რომ მანდილოსანი უყურადღებოდ ნამდვილად არ დაგტოვებთ, თუ მოულოდნელად დაგცდებათ: „როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი, როგორი მახინჯები ყოფილან კროუფორდი, ქემფბელი, შიფერი და მაკფერსონიც კი.“

**ლიზა №50**

# ვირზე ხმამაღლა



ცნობილია, რომ ადამიანის ხმა და მისი ლაპარაკის მანერა წარმატებული კარიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის, ვინც ან ძალიან ხმადაბლა, ან ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობს, ნდობას არ იმსახურებს.

წყნარი ამინდის დროს ღია ცის ქვეშ მოსაუბრე ადამიანების ხმა 200 მეტრზე ისმის. კანარის კუნძულელები ლაპარაკობენ განსაკუთრებულ კილოზე, რომელიც 8 კმ-ის მანძილზე ისმის. გარდა ამისა, დაფიქსირდა შემთხვევა, როცა ღამით, აბსოლუტურად მშვიდი ტბის ზედაპირიდან ადამიანის ხმა 17 კმ-ის დაშორებითაც ისმოდა.

დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად ტარდება მყვირალების მსოფლიო ჩემპიონატი. აბსოლუტური რეკორდი — 123,2 დეციბალი დაამყარა ნილ სტეფენსონმა. ეს დაახლოებით ისეთივე ხმაურია, რომელიც წარმოიშობა მანქანის დაჭრის ხმოვანი გამაძლიერებლების გამოყენების დროს. ისიც დაადგინეს, რომ 150-დეციბალიანი ხმაური ადამიანს აყრუებს, ხოლო 192-დეციბალიანი ხმაური კლავს.

უკანასკნელ ათწლეულში გამოჩნდა ისეთი პროფესიები, რომელიც სწრაფი ლაპარაკის ოსტატობას მოითხოვს. ასეთებს განეკუთვნება სპორტული კომენტატორისა და დიჯეის პროფესიები, სამწუხაროდ, ეს თანდაყოლილი თვისებაა, რომლის უსაზღვროდ განვითარება შეუძლებელია.

ძალიან სწრაფი და მკაფიო ლაპარაკის რეკორდსმენია სტივ ვუდმორი. ბრიტანეთის ტელეარხში „ეი-თი-ვი“ ვუდმორმა 56,01 წამში 595 სიტყვა წარმოთქვა. ცნობილი საზოგადო მოღვაწეებიდან სწრაფი ლაპარაკის რეკორდი ეკუთვნის ამერიკის პრეზიდენტს, ჯონ კენედის. 1961 წლის დეკემბერში, გამოსვლის დროს, იგი წუთში საშუალოდ 327 სიტყვას წარმოთქვამდა. ამ პირველობას კენედის ეცილება ვლადიმირ ჟირინოვსკი, მაგრამ ჯერჯერობით, უშედეგოდ.

**ვოტ ტაკ №49**

# რჩევები უფროსებისთვის

გსურთ თქვენმა ხელქვეითებმა შეუსვენებლივ იმუშაონ, ერთმანეთთან არ იკინკლაონ და თქვენზეც მზე და მთვარე ამოსდიოდეთ?

თუ ასეა, მაშინ ფულს ნუ დაიშურებთ — მთელ კოლექტივს ტკბილეული უყიდეთ. ასევე, ნება დართეთ, მთელი დღე რადიოს ან ტელევიზორს უსხდნენ და სხვადასხვა თემაზე ილაქლაქონ. მთავარია, კოლექტივში უზრუნველობის ატმოსფერო სუფევდეს და მუშაობაც გახურდება.

ინგლისელი ბოსები დარწმუნებულნი არიან, რომ პირქუში უფროსი საქმეს ადგილიდან ვერ დაძრავს.

რაც შეეხება ხელქვეითებს, როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, 200 ოფისში ყოველი მესამე თანამშრომელი ბუზებს ყლაპავს და ეს მაშინ, როცა ინგლისელ მოსამსახურეებს ყველაზე ხანგრძლივი და ინტენსიური სამუშაო დღე აქვთ. ოფისებში თურმე თავაწყვეტილი მხიარულებაა.

**ეხო პლანეტი №44**

# ბუნების უცნაურობანი

•••ამერიკელმა ორნითოლოგებმა დაადგინეს, რომ ჩიტებს შორის ყველაზე მგრძნობიარე შხამიანი გაზების მიმართ კანარის ჩიტია. ნებისმიერი შხამიანი ნივთიერების სულ ოდნავ ჰაერში არსებობაც კი ამ ჩიტის მეყსეულ სიკვდილს იწვევს.

როცა გამოკვლევათა შედეგები პრესაში გამოქვეყნდა, ზოოლოგიურ მაღაზიებში საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება კანარის ჩიტზე.

დეკორატიული ფრინველების გამყიდველებს მიაჩნიათ, რომ ამ ულამაზესი ჩიტის გამოყენება ცოცხალი ინდიკატორის თვალსაზრისით სისასტიკეა.



კანარის ჩიტი — ერთობ აზიზი ფრინველია, რომელიც განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვს. მყიდველები კი იმითაც არ ინტერესდებიან, რითი უნდა კვებონ ეს საბრალო ჩიტები!..

•••მიწის თხილი განეკუთვნება პარკოსანთა ოჯახს. იზრდება ბუჩქივით, ყვავის მუხუდოსავით, როგორც კი ფოთლები ჩამოცვივა, პარკი იზრდება, ჩაიმარხება მიწაში და თესლიც ხვდება ნიადაგში. ამიტომაც მიწის თხილს მიწიდან იღებენ

•••ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ბინადრობს პეპელა, რომლის ფრთების სიგანე 26 სმ-ია. აქაურები მას საჭმელად ხმარობენ, მაგრამ პეპლის მოხელთება იოლი საქმე არ გეგონოთ. ის ძალიან მაღლა დაფრინავს და მონადირენი წვრილი საფანტით დატენილი თოფით დასდევენ ხოლმე.

ამ ვეებერთელა მწერით მრავალფეროვან და გემრიელ კერძებს ამზადებენ.

•••წყნარი ოკეანის კუნძულ სამოაზე ცხოვრობს ერთი მეთევზე აპია, რომელმაც ნატურალისტები და ბიოლოგები დიდ საგონებელში ჩააგდო — მან მოათვინიერა რვაფეხა!

ეს საშინელი წყალქვეშა მონსტრი ოკეანის სანაპიროსთან დაცურავს და როგორც კი მისკენ მომავალ მეგობარს შენიშნავს, უმალ თევზით „ხელებდამშვენებული“ მიადგება ხოლმე. აპიაც, სანაცვლოდ, გემრიელი კრევეტებით უმასპინძლდება.

ეს, ცოტა არ იყოს, ანგარებიანი მეგობრობაა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირიო.

ეს რვაფეხა, რომელსაც მეთევზე სიყვარულით ბულბოს ეძახის, ჯერ კიდევ პატარა ყოფილა, როცა დაუჭერია და კარგა ხანს თოკგამობმული ჰყოლია წყალში. თურმე კრევეტებს საკუთარი ხელით აჭმევდა. ამას ისე შეეჩვია ბულბო, რომ აღარ სცილდება „პატრონს“.

•••ავსტრალიაში ხარობს ლიმონის ერთ-ერთი სახეობა, რომლისთვისაც დროს არა აქვს მნიშვნელობა — ერთსა და იმავე ტოტზე კვირტიც ინასკვება, ყვავილიც იშლება, ნაყოფიც მწიფდება.

•••რუსეთში, შორეულ აღმოსავლეთში, მიედინება პატარა, უცნაურსახელიანი მდინარე კონტროვოდი. იგი სამ თვეში ერთხელ იცვლის კალაპოტს და ხან ამურს ერთვის, ხან მდინარე უსურს და ხანაც ტაიგის ბიკინს.

**პრიროდა ი ჟიზნ №12**

# სავაჭრო ნიშანი — მუსოლინი



ახალგაზრდა იტალიელებში ქვეყნის ფაშისტი დიქტატორის ბენიტო მუსოლინის სახელი სულ უფრო პოპულარული ხდება. მუსოლინის გამოსახულებიანი მაისურები, ქუდები, კალენდრები და პლაკატები გაყიდვის მაჩვენებლებით პოპულარულ ბრითნი სპირსსაც კი უსწრებს. ინტერნეტკაფეებში სულ უფრო მეტი ახალგაზრდა შედის სწორედ იმისთვის, რომ მუსოლინის ვებ-საიტებში მის გამოსვლებს მოუსმინოს. იტალიის ჩრდილოეთში, უდინეში ერთ-ერთმა ღვინის მწარმოებელმა დაიწყო რამდენიმე სახის ღვინის ჩამოსხმა, რომლის ბოთლებზეც სამარკო ნიშნად გამოსახულია მუსოლინი. როგორც მწარმოებელი აცხადებს, „მუსოლინის ღვინოებზე“ მოთხოვნამ ქვეყნის ყოველი კუთხიდან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ყოველდღიურად მოდიან, რათა ათასობით ბოთლი „მუსოლინი“ შეისყიდონ.

სიცილიის ერთ-ერთი ქალაქის მმართველები უფრო შორს წავიდნენ — ქალაქის ცენტრალურ ქუჩას მუსოლინის სახელი უწოდეს და დიდ ღირსშესანიშნაობადაც აქციეს „ხმაურიანი მუსოლინის“ პატივსაცემად. ქალაქის მმართველობამ აქ სპეციალური ნიშანი დაკიდა წარწერით: „ამ ქუჩაზე შეგიძლიათ ბენიტოსავით ხმამაღლა და ცხარედ ილაპარაკოთ“.

**ნიუ ზუიქი**

# პარიზში ბალზაკისთვის ადგილს ეძებენ



პარიზის ცენტრალური რაიონების მუნიციპალურ ხელმძღვანელებს შორის დიდი ბრძოლაა გაჩაღებული ზურაბ წერეთლის ახალი ნამუშევრის თავის ტერიტორიაზე დადგმის უფლების მოსაპოვებლად. დიდი მწერლის ონორე დე ბალზაკისადმი მიძღვნილი მემორიალი არის მონუმენტური კომპოზიცია, ბალზაკი ზის თავისი წიგნების, გმირების, პარიზის ქუჩებისა და სახლების გარემოცვაში. ნავარაუდევია, საფრანგეთის დედაქალაქში ძეგლი გაიხსნას 2003 წელს.

**ოგონიოკი**

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ლენინის ფრაზას ამოიკითხავთ.**

| ი | კ | ი | თ | ხ | ე | მ | ხ | ო | ლ | ო | დ | კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ნ | ა | დ | ი | ნ | დ | ი | უ | ნ | ვ | ვ | ი | ე | ი | ი | დ | მ | | ე | ი | ვ | ა | ი | ე | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**ი.** ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; **კ.** ანსამბლ „ივერიას“ სოლისტი; **ი.** მთის საზაფხულო საძოვარი; **თ.** მღრღნელების რიგის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; **ხ.** დროებით სხვას შეკედლებული ადამიანი; **ე.** ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი მუსლიმანურ ქვეყნებში; **მ.** ანდამატი; **ხ.** თევზის ჯიში; **ო.** კათოლიკე ბერების საზოგადოება, რომელსაც გარკვეული წესდება აქვს; **ლ.** მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; **ო.** სოფელი თიანეთის რაიონში; **დ.** მსახიობი მარლენ ...; **კ.** თამაში, რომლის დროსაც ორად გაყოფილი მოთამაშეები ხის ჩაქუჩებით ცდილობენ გაიყვანონ ხისავე ბურთები გარკვეული წესით დადგმულ მავთულის რამდენიმე კარში; **ვ.** გარდაცვლილი ადამიანი, რომელიც ცრურწმენის თანახმად საფლავიდან დგება და ადამიანებს სისხლს სწოვს; **ი.** აღა მაჰმად-ხანის სამშობლო; **რ.** ქვეყანა აფრიკაში; **ი.** უმწიფარი ყურძენი; **ს.** ალექსანდრეს მოფერებითი სახელი; **პ.** დაბალი წრის წარმომადგენელი ძველ რომში; **ა.** გამოუწვავი აგური; **ლ.** კურორტი ქალაქ გაგრასთან; **ი.** აფრა; **ტ.** სპორტული ნაგებობა ველოსპორტში შეჯიბრისათვის; **რ.** ფრანგი მწერალი; **ა.** ტროპიკული ხილი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**კ.** კაბარე; **ვ.** ვიალი; **ი.** იაქე; **რ.** რეიბანი; **ი.** ილორი; **ს.** საბრინა; **პ.** პრადო; **ა.** აისი; **ლ.** ლუიდორი; **ი.** იასონი; **ტ.** ტაუერი; **რ.** რუსტი; **ა.** არტალა; **მ.** მზიური; **უ.** ურსულა; **დ.** დუპლეტი; **ა.** ავიცენა; **მ.** მარსელი; **შ.** შავლეგო; **ე.** ესენცია; **ნ.** ნალია; **ს.** სეინერი; **გ.** გენუა; **ვ.** ვოიაჟი; **ე.** ერშოვი; **რ.** რუანდა; **დ.** დანია; **ი.** ირისი; **თ.** თიანეთი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ბაქობა სისუსტის პირველი ნიშანია.**

CMYK

## №53 (274) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 416 მკითხველი გამოეხმაურა. 2 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 162-მა ქალმა და 252-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის წლის ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსი?“**

ჩვენი მკითხველების აზრით, ნინო ბურჯანაძისთვის გასული წელი მეტად ნაყოფიერი იყო. რესპონდენტთა 30-მა დაასახელა იგი წლის ყველაზე წარმატებულ პოლიტიკოსად. მინიმალური — 1 ქულით იგი მხოლოდ ერთმა მკითხველმა შეაფასა. **7,44** საშუალო ქულით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პირველ ადგილზეა.

ედუარდ შევარდნაძესაც მკითხველთა ზუსტად 30-მა დაუწერა მაქსიმალური — 9 ქულა. თუმცა, საერთო ქულების რაოდენობით პრეზიდენტი მესამე ადგილზეა და მას 7,15 საშუალო ქულით მიხეილ სააკაშვილი უსწრებს. უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილს არც ერთმა რესპონდენტმა არ დაუწერა მინიმალური ქულა, მაქსიმალური — 9 ქულა კი 29-მა მიაკუთვნა.

ნინო ბურჯანაძეს და ასლან აბაშიძეს საერთო ისა აქვთ, რომ ორივე მათგანი მინიმალური ქულით მხოლოდ ერთმა მკითხველმა შეაფასა. ასლან აბაშიძე მეოთხე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6,42.

ჩვენი მკითხველების აზრით, 2001 წელი შედარებით ნაკლებად იყო წარმატებული ჯუმბერ პატიაშვილის, ვაჟა ლორთქიფანიძისა და ლევან მამალაძისათვის. ბაღდათის არჩევნებში გამარჯვებულ ლორთქიფანიძეს არც ერთმა მკითხველმა არ არგუნა მაქსიმალური ქულა, ხოლო ლევან მამალაძისთვის 9 ქულა მხოლოდ ერთმა მკითხველმა გაიმეტა.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი 56 წლის **გივი გოგობერიშვილია.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, ასლან აბაშიძეს ექვსის ნაცვლად შვიდი ქულა (მესამე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო ედუარდ შევარდნაძეს — შვიდის ნაცვლად — ექვსი (მეოთხე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 9 იანვარს, 17 საათზე.

## №1 (275) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლოცინეში.*

**№1 (275) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 9 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 10 იანვრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №1 (275) — საუბრის თემა

**თქვენი აზრით, რა არის დღევანდელი ქართველი მამაკაცების საუბრის ყველაზე საყვარელი თემა** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№1(275) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| N | თემა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | პოლიტიკა | |
| 2 | ხელოვნება | |
| 3 | საქმე (სამსახური) | |
| 4 | სპორტი | |
| 5 | რელიგია | |
| 6 | ავტომობილები | |
| 7 | ქალები | |
| 8 | იუმორი, ანეკდოტები | |

*მკითხველის ლოცინეი*

**დაასახელეთ საყვარელი ქართული კინოკომედია**

✓ ____________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

*მკითხველის ლოცინეის შედეგები*

**2001 წლის ადამიანი მსოფლიოში**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ჯორჯ ბუში | 44,4% |
| 2. | უსამა ბინ ლადენი | 43,3% |
| 3. | ვლადიმირ პუტინი | 3,4% |
| 4. | ედუარდ შევარდნაძე | 1,9% |
| 5-6. | კოფი ანანი | 0,7% |
| 5-6. | ლუიზ ფიგუ | 0,7% |



***მკითხველის რეიტინგში 368 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. კითხვაზე პასუხის გაცემა რესპონდენტთა 1%-ს გაუჭირდა. მამაკაცების უმრავლესობამ წლის ადამიანის ტიტული ჯორჯ ბუშს მიაკუთვნა, ქალებმა — ბინ ლადენს.***

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



**არჩილ გოგელია, აკაკი ჩხაიძე და ნუგზარ შევარდნაძე**

**დ.თ.** — ბატონო პრეზიდენტო, რამდენი ვაფრთხილე შინაურები, მაინც არ მომისმინეს, რამდენი ვაფრთხილე რუსები, მაინც დაგვბომბეს. საერთოდ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემს ნალაპარაკევს არავინ ისმენს.

**ე.შ.** — კაცო, ხმა ამოიღე, ახალი წელი მაინც მომილოცე.

***ქიშო ქურხული, თბილისი***

**დ.თ.** — გილოცავ, პრეზიდენტო, ახალ წელს. ჯარს მოვუვლი, როგორც ჩემს საკუთარ თავს!

**ე.შ.** — შენც გილოცავ ახალ წელს, მარა დაღუპულა ჩვენი საქმე, თუ ჯარი ასე შიშველ-ტიტველი იქნა შენი თავივით.

***სერგი, თბილისი***

**ე.შ.** — ეს გაუმარჯოს ახალ მთავრობას,

ძველ კალაპოტში მოარულთ ლაღად.

**დ.თ.** — თუ ისევ ჩვენვე გვამინისტრებდი,

ველარ გავიგე, გაგვყარე რაღად?

მაშ, სადღეგრძელო დავლიოთ ტკბილად

და სავარძლებში ჩავეფლოთ თბილად.

***გია შურღაია, თბილისი***



ედუარდ შევარდნაძე, დავით თევზაძე

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 115 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**დ.თ.** — რაფრა შეგვაშინე, ძია ედუარდ, მინისტრები, რომ დაგვშალე.

**ე.შ.** — ჰაიტ, თქვე გლახებო, რამ შეგაშინათ? დაგშალეთ, ისევ დაგნიშნეთ. დამჭირდება, ისევ დაგშლით, ისევ დაგნიშნავთ, ვიაროთ ამ დუნიაზე ასე ერთად.

აბა, დაშლა არმოშლას გაუმარჯოს!

***ა.ე., რუისელი***

არც ერთია დავით აღმაშენებელი და არც მეორე გიორგი სააკაძე, ორივენი ბედკრული საქართველოს ჩვეულებრივი ხელისუფალნი არიან.

***ავთანდილ წერეთელი, თბილისი***

**დ.თ.** — ამ პატარა ჭიქით და დიდი გრძნობით, შენს წასვლას და ჩვენს დარჩენას გაუმარჯოს!

**ე.შ.** — ოხრად დარჩებით თორემ, კი ბატონო, გაუმარჯოს.

***ლეილა სუმბათაშვილი, თბილისი***

**ე.შ.** — დათო, ჩემი ბრძანების გარეშე რუსების ბომბდამშენი რატომ ჩამოაგდეთ?!

**დ.თ.** — რა ვქნათ, ბატონო ედუარდ, ბიჭებს ხელფასს ვერ ვაძლევთ და ცოტა ფერადი ლითონი მაინც შეაგროვონ!

***სვანი, თბილისი***

**ე.შ.** — ეს სასმისი კი ჩვენი არმიისა იყოს!

**დ.თ.** — რატომ შეწუხდით, ბ-ნო ედუარდ, დამჯდარს დაგელიათ!

**ე.შ.** — საერთოდ, მიცვალებულების გახსენებაზე ფეხზე ვდგები ხოლმე.

***დ. ობოლაშვილი, თბილისი***

ნიძლავი ათი ბომბის ფულზე — ვინ უფრო გრძელ სადღეგრძელოს იტყვის, ოღონდ უსიტყვოდ.

(შევარდნაძეს მოთმინება ელევა, თევზაძე თავის ამპლუაშია).

***მახარე წიკლაური, დედოფლისწყარო***

## ფოტო განწყობისთვის






## წინა სკანვორდის პასუხები



# ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის Iკ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე —* ***არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ახმეტასა და დედოფლისწყაროში* ***ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან.*** *ბოლნისში* ***თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან.*** *ჟინვალსა და დუშეთში* ***— თვის III კვირის ოთშაბათს.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (1) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

***გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№1 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 10 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.




**„ალიგატორ სერვის“**

ყველა ტიპის სიგნალიზაციის დამონტაჟება, შეკეთება, მინის ელექტროამწევებისა და აუდიოსისტემების მონტაჟი.



**გარანტიით**

**20% ფასდაკლება**

მის: ვაჟა-ფშაველას №37

☎899 50-31-52

**ფირმა „ბერმუხა“**



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

ერთი კაცი ჭაობში ჩავარდა და იხრჩობა.

მის თავზე ხის ტოტზე ყვავი ჩამომჯდარა.

კაცი უყვირის ყვავს:

— ჩამოწიე ტოტი, ვერ ხედავ ვიხრჩობი. შენ კი, ბრმა ხარ? ერთი წუთის შემდეგ:

— ჩამოწიე ტოტი?

ეძახა, ეძახა და დაიხრჩო. გაუჩინარდა თუ არა კაცი ჭაობში, ყვავმა დინჯად თქვა:

— არც ბრმა ვარ და არც ყრუ... „პროსტო“ დამეზარა.



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: **რედაქცია:** 33-39-54

**რეკლამა, ფაქსი:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“©**

**გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი